ვახტანგ ქარუმიძე

საერთაშორისო ორგანიზაციები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეთოდსაბჭოს მიერ დამტკიცებულია
სახელმძღვანელოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტებისათვის

მეოთხე გამოცემა
(შევსებული, შესწორებული)

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო
კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი-საზოგადოება –
„ცოდნა“

თბილისი
2004

УДК 061 (100) (075.8)
ქ. 301

სახელმძღვანელო მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პოლიტოლოგიის კათედრაზე. მას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ 1992 — 2004 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტებზე წაკითხული ლექციები და სპეცკურსები, აგრეთვე გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და წერილები საერთაშორისო ორგანიზაციების საკითხებზე.

რედაქტორი — *ომარ გოგიაშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი

რეცენზენტები — *გურამ აბესაძე*, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ავთანდილ ტუაკვაძე, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

© ვახტანგ ქარუმიძე. საერთაშორისო ორგანიზაციები

ISBN 5–895 12–186–1

წინასიტყვაობა

სახელმძღვანელო მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პოლიტოლოგიის კათედრასა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტზე. მას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ 1992 – 2004 წლებში წაკითხული ლექციები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების საკითხებზე. იგი ეძღვნება პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინის „საერთაშორისო ორგანიზაციების" საქართველოში დამკვიდრებისა და განვითარების თანამედროვე პრობლემებს.

წიგნის ამ სახით წარმოდგენა განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

1. საქართველო 90-იან წლებში დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას; გახდა სუვერენული, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო; საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. საბჭოთა იმპერია, ტოტალიტარულ-მბრძანებულური რეჟიმი საბჭოთა რესპუბლიკებს არ აძლევდა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრ-სახელმწიფოებად გახდომის უფლებას. იმ დროს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მხოლოდ საბჭოთა კავშირი იყო.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო გახდა რა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მიეცა ფართო შესაძლებლობა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისათვის.

საქართველო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი. 1999 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ევროპის კავშირისა და საქართველოს შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.

ამ მოვლენებმა დღის წესრიგში დასვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ისტორიისა და საქმიანობის, მათ მიერ მიღებული დოკუმენტების მეცნიერული შესწავლა, ამ დარგში კვლევითი მუშაობის ფართო მასშტაბით გაშლა.

2. მეცნიერული და პოპულარული ნარკვევების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების, საკითხავი წიგნების გამოქვეყნება დღის წესრიგში დასვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო ბიზნესის, ეკონომიკის ფაკულტეტებზე, აგრეთვე სპორტის აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტზე საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც სასწავლო დისციპლინის, კურიკულუმებში შეტანამ და ამ კურსის ნაკითხვამ, მისმა შეტანამ არჩევითი საგნების ჩამონათვალში.

3. ამავე წლებში შეიქმნა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობები გაეროში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ევროპის კავშირში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მონაწილეობა გაეროს თითქმის ყველა სტრუქტურაში.

საქართველოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წარმოიშვა საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციის აუცილებლობა. საქართველომ გაიარა უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მნიშვნელოვანი ეტაპი.

საქართველო აღიარა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ. ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან. 30 სახელმწიფოსთან შექმნილია სამართლებრივი ბაზა ორმხრივ სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განვითარებისათვის სხვადასხვა დარგში.

საქართველო უცხოეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ეკოლოგია, ტრანსპორტი, ტურიზმი, განათლება, კულტურა, მეცნიერება, ვაჭრობა, საბაჟო საქმე, ჰუმანიტარული სამართალი და სხვა მრავალი, საქართველო გავიდა დიდ საერთაშორისო ასპარეზზე.

დღეს საქართველოს სახელმწიფო მოხელეებს, პარლამენტისა და საკრებულოების წევრებს, პედაგოგებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, ბიზნესმენებს, კერძო ფირმების ხელმძღვანელებს, მეწარმეებს ესაჭიროებათ მონოგრაფიები, საკითხავი წიგნები, სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და სხვა სახის ლიტერატურა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების, მათი მიზნებისა და ამოცანების საკითხებზე.

4. საქართველოს მოსახლეობა, უმთავრესად მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, იჩენს უდიდეს ინტერესს საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემებისადმი განსაკუთრებით ახლანდელ ეტაპზე, როდესაც საქართველოს ახალი ხელისუფლება ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარების ფართო პროგრამას.

დღემდე ქართულ ენაზე შეიქმნა გარკვეული ლიტერატურა საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გივი ჟვანიას[1], ნოდარ კიკვაძის[2], ლევან ალექსიძის[3], გურამ ჯოლიას[4], ანდრო ღვამიჩავას[5], ვასილ ჭყოიძის, ზაზა ჭელიძის[6], ვაჟა კაკაბაძის[7], ლევან ბოძაშვილის[8], ვახტანგ ქარუმიძის[9], ზურაბ აბაშიძის,[10] დავით ძამუკაშვილის[11] და სხვათა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, საკითხავი წიგნები. პრესაში ქვეყნდება წერილები, სტატიები, ნარკვევები საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების შესახებ.

---

1. გივი ჟვანია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში. 1974.
2. ნოდარ კიკვაძე. საერთაშორისო ორგანიზაციები. ცნობარი. 1982.
3. ლევან ალექსიძე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 1985. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. 2001.
4. გურამ ჯოლია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. 2002.
5. ანდრო ღვამიჩავა. ევროკავშირი XXI საუკუნის მიჯნაზე. 1998.
6. ვასილ ჭყოიძე, ზაზა ჭელიძე. ევროპული ინტეგრაცია და ევროკავშირის ინსტიტუტები, 1998.
7. ვაჟა კაკაბაძე. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი თანამედროვე პირობებში, ნაწილი პირველი. 1998.
8. ლევან ბოძაშვილი. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა. 1998.
9. ვახტანგ ქარუმიძე. საერთაშორისო ორგანიზაციები. 2003.
10. ზურაბ აბაშიძე. ნატო და საქართველო, უტოპიიდან რეალობისაკენ. 2001.
11. დავით ძამუკაშვილი. პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია, თბ., 2000.

აღნიშნულის მიუხედავად, საჭიროება გამოკვლევისა – საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების, მათ მიერ მიღებული დოკუმენტების პრობლემებზე, მეტად დიდია, თანაც სასწრაფო და აუცილებელი.

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებმა, მისმა გაწევრიანებამ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში, საერთაშორისო აქტებმა და კონვენციებმა, საქართველოს წარმომადგენლობების მუშაობის პრაქტიკამ მოითხოვა მეცნიერული გააზრება, გაანალიზება, განზოგადება, მიზანმიმართულ და მწყობრ სახელმძღვანელო სისტემებად ჩამოყალიბება, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ეს, ნანილობრივ, გათვალისნინებულია წინამდებარე წიგნში.

სტუდენტები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების ცნება, სტრუქტურა, სამთავრობათშორისი, რეგიონალური, არასამთავრობათშორისი ორგანიზაციები, გაერო – უნიკალური საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვა. მათი სურვილები, შეძლებისდაგვარად, ასახულია წარმოდგენილ სახელმძღვანელოში.

წიგნში, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში არსებული ლიტერატურის, საერთაშორისო შეთანხმებების, კონვენციების, ხელშეკრულებების საფუძველზე, განხილულია შემდეგი საკითხები: საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები თანამედროვე პირობებში, საერთაშორისო ორგანიზაციისა და კონფერენციის ცნებები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემა, გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებანი, სამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტები.

წინამდებარე ნაშრომი სამეცნიერო-პრაქტიკული და გამოყენებითი მიმართულებისა და მნიშვნელობისაა. მასში საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა ძირითად, უმთავრეს საკითხზე გაცემულია კონკრეტული, მოკლე და მეცნიერული პასუხები, განსაზღვრული და განმარტებულია საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემებთან დაკავშირებული ცნებე-

ბი, ტერმინები და დებულებები, მითითებულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

წიგნში, საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგად-მეცნიერული საკითხების განხილვასთან ერთად, ნაჩვენებია 100-მდე საერთაშორისო სამთავრობათშორისი და არასამთავრობათ—ორისი, აგრეთვე რეგიონული ორგანიზაციის საქმიანობა, მოტანილია თანამედროვე მონაცემები მათი მიზნებისა და სტრუქტურის შესახებ. ეს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებია, რომელთა წევრი სახელმწიფოა საქართველო.

წიგნზე მუშაობისას დახმარება აღმოგვიჩინეს სხვადასხვა მასალებისა და ლიტერატურის გადმოცემით, შენიშვნებით, რჩევებით ვახტანგ შამილაძემ, ლევან ალექსიძემ, გივი ინწკირველმა, ომარ გოგიაშვილმა, ჯანგირ მამალაძემ, რომან შენგელიამ, მურმან არდიამ და სხვებმა, რისთვისაც მათ მიმართ გამოვთქვამთ უღრმეს მადლობას.

წიგნში საპროგრამო მასალა დალაგებულია სტრუქტურულ ელემენტებად: თავებად და პარაგრაფებად. ძირითადი ტექსტობრივი მასალა დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: წინასიტყვაობა, მეთოდური რეკომენდაციები, ძირითადი ტექსტი, ანოტირებული და სათანადოდ კლასიფიცირებული რჩეული ბიბლიოგრაფია, სასწავლო პროგრამა და სარჩევი.

ჩვენი აზრით, სახელმძღვანელო სათანადო მეცნიერულ და მეთოდურ დონეზეა დაწერილი სასწავლო დისციპლინის აპრობირებული სილაბუსის შესაბამისად. იგი საქართველოში ქართულ ენაზე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სახელმძღვანელოს გამოცემის ერთ-ერთი პირველი ცდაა. წიგნის მიმართ გამოთქმულ სამართლიან, ჯანსაღ, საყურადღებო შენიშვნებს და წინადადებებს სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ ახალი, შევსებული და გადამუშავებული გამოცემის დროს.

წინამდებარე წიგნი განკუთვნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, იურიდიული, ეკონომიკის, საერთაშორისო ბიზნესის და სხვა ფაკულტეტების, აგრეთვე, სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემების შესწავლით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

თავი პირველი

საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები

1. 50-იან და 60-იან წლებში, როდესაც დაიმსხვრა კოლონიალური სისტემა, ბევრი ახალი სახელმწიფო გაჩნდა. კაცობრიობის უდიდესი ნაწილი, რომელსაც ადრე მსოფლიოს საქმეების გარჩევისას არაფერს ეკითხებოდნენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შევიდა.

1989 წლის რადიკალური ცვლილებების შემდეგ სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანებას კიდევ ბევრი ხალხი შეემატა. მათ თავიანთი ადგილი დაიკავეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. დაფუძნებისას — 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 50 წევრი სახელმწიფო იყო, 1987 წელს — 159, დღეს კი მათი რიცხვი 191-ს შეადგენს.

1992 წლის 31 ივლისი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. საქართველო გახდა მსოფლიოს ერთა ოჯახის წევრი. იგი 179-ე ქვეყანაა, რომელიც გაეროს წევრად მიიღეს. ეს კი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის, მისი საერთაშორისო ცნობის გვირგვინია.

საქართველო გახდა აგრეთვე გაეროს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ევროპის საბჭოს და სხვა ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. დღეს საქართველო 100-მდე საერთაშორისო სამთავრობათშორისი ორგანიზაციის წევრია.

ევროპისა და მსოფლიოს სტრუქტურებში გაწევრიანება დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად იქცა. გაეროსა და ეუთოში საქართველო ჯერ კიდევ 1992 წელს შევიდა წევრად. გაცილებით რთული იყო მწყობრი იდეოლოგიის მქონე ისეთ

სტრუქტურებში გაწევრიანება, როგორიცაა ევროპის საბჭო და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. ეს საქართველოსაგან სერიოზულ შინაგან ტრანსფორმაციას მოითხოვდა. მაგრამ 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე ქვეყანაში განხორციელებულმა მრავალმხრივმა რეფორმამ ეს რეალობად აქცია: საქართველო კავკასიის პირველი სახელმწიფო იყო, რომელიც ევროპის საბჭოს და ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი გახდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო საერთაშორისო თანამშრომლობის ასპარეზის გაფართოება, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სახელმწიფო უშიშროების ამოცანათა გადაწყვეტისათვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება და რესურსების მაქსიმალური მობილიზება.

მსოფლიო ქვეყნების თანამეგობრობაში საქართველო დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოა. იგი დადასტურებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო, სახელმწიფოს უზენაესი კანონია. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

დღეისათვის საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ასამდე სახელმწიფოსთან, ყველა მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანასთან. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო სამთავრობათშორის ორგანიზაციებთან, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, გაეროს სხვა სპეცია-

ლიზებული დაწესებულებანი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, ნატო, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და სხვ.

საქართველოს ინტენსიური ხასიათის სტრატეგიული, ეკონომიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა აქვს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან, ამერიკასთან, ევროპის, შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, რუსეთთან, უკრაინასთან, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან.

1993 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაეროში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თითქმის ყველა სტრუქტურაში.

საქართველოს პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად, იზრდება უცხოელ ინვესტორთა დაინტერესება, შექმნილია ათობით ერთობლივი საწარმო და მათი რიცხვი სწრაფად იზრდება.

(საქართველოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წარმოიშვა საქართველოს საერთაშორისო თანამეგოგრობაში ინტეგრირების აუცილებლობა. საქართველო აღიარა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ. ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან. 30 სახელმწიფოსთან შექმნილია სამართლებრივი ბაზა ორმხრივი სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განვითარებისათვის სხვადასხვა დარგებში.)

საქართველოსათვის დიდი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეგობრობისა და ურთიერთ დახმარების ამ ბოლო წლებში დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებებს ისეთ სახელმწიფოებთან, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და სხვა. ამ ხელშეკრულებებში ცენტრალური ადგილი ეთმობა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობებისა და მომსახურების საკითხებს.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს 40-მდე სახელმწიფოს საელჩო და 50-მდე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა. 40-მდე ქვეყანაშია საქართველოს საელჩო ან წარმომადგენლობა. ეს საქართველოს ინტერესების უკეთ დაცვის რეალურ შესაძლებლობას იძლევა. შემუშავებულია გაეროში საქართველოს მიზნები და მათი მიღწევის გზები, სხვადასხვა ქვეყნების მისიებთან მუშაობის პროგრამა.

საქართველო უცხოეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, კულტურა, მეცნიერება, ადამიანის უფლებათა დაცვა, ეკოლოგია, ტრანსპორტი, სპორტი, ტურიზმი, ვაჭრობა, საბაჟო საქმე, ჰუმანიტარული სამართალი და სხვა მრავალი. საქართველო გავიდა დიდ საერთაშორისო ასპარეზზე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. იგი განპირობებული იყო პოლიტიკური არასტაბილურობით, თავსმოხვეული სეპარატისტული სამხედრო კონფლიქტებით, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სიძნელეებით.

საქართველოს ეკონომიკისათვის გამანადგურებელი დარტყმა გამოდგა აფხაზეთის ომი (1992 – 1993 წწ.), რომლის შედეგად პირდაპირმა ეკონომიკურმა ზარალმა 6–7 მილიარდი დოლარი შეადგინა[1].

ერთადერთი ალტერნატივა იმ წლებში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელება, საგარეო დახმარების მოზიდვა და ახალი, პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დაფუძნება იყო.

დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე საქართველოს ეხმარებოდნენ მეგობარი ქვეყნები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, ევროკავშირის სხვა სახელმწიფოები, თურქეთი, იაპონია, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა.

2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის დახმარებით საქართველოში 1994 წელს შემუშავდა ან-

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 16 ოქტომბერი.

ტიკრიზისული პროგრამა და დაიწყო ფართომასშტაბიანი რეფორმა, რომლის ძირითადი ამოცანა იყო ქვეყანაში საბაზრო მექანიზმების ამუშავება და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაცია. საერთაშორისო ბაზარში ინტეგრაცია მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო ვაჭრობის დეცენტრალიზაციისა და ლიბერალიზაციის დონეზე. ამის გათვალისწინებით ქვეყანაში გაუქმდა კვოტირება, საექსპორტო და საიმპორტო კონტრაქტების რეგისტრაცია, ძირითადად მოიხსნა არასატარიფო ბარიერები და შეზღუდვები, მინიმუმამდე შემცირდა ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქონლის ნომენკლატურა, გაუქმდა ექსპორტზე საბაჟო გადასახადი.

რეფორმამ ეკონომიკის ყველა სფერო და მიმართულება მოიცვა: საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკისა და საბანკო სისტემის გარდაქმნა, პრივატიზაციის დაჩქარება, ფასების გათავისუფლება, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საკანონმდებლო ბაზის განმტკიცება და სხვა. საქართველოს პარლამენტმა 1995 – 2004 წლებში მიიღო 800-მდე კანონი. განხორციელდა სასამართლო რეფორმა.

ქვეყანაში 1994 წლიდან დაწყებულმა რეფორმებმა დაარწმუნეს მსოფლიო საქართველოს გეზის სისწორეში: ამან განაპირობა სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანების მრავალმხრივი მხარდაჭერა. ეს შეეხებათ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მეგობარ ქვეყნებს (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, იტალია, შვეიცარია, საბერძნეთი) და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამათგან აღსანიშნავია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს სააგენტოთა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერა. დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში საერთაშორისო ორგანიზაციები, ძირითადად, ჰუმანიტარულ დახმარებას გვიწევდნენ. ამ დახმარებამ საქართველოს მოსახლეობა პრაქტიკულად შიმშილს გადაარჩინა და უზრუნველყო პირველი მოთხოვნილების პრდუქტებით. შემდგომ ეტაპზე, ქვეყანაში განხორციელებული სტრუქტურული და ეკონომიკური რეფორმების შედეგად, მოხდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებისტრანსფორმაცია ანუ მთლიანი დახმარების პაკეტში გაიზარ-

და მაკროეკონომიკური სტაბილურობისკენ მიმართული და საინვესტიციო პროექტების წილი.

(მსოფლიო ბანკმა საქართველოსათვის დიდი და მრავალ-მხრივი „საკრედიტო პორტფელი" გამოყო. ბანკის ვალდებულებების მთლიანი მოცულობა 640 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. ამჟამად უკვე გამოყოფილია და მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის 400 მლნ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის 18 პროექტის განხორციელება[1].)

V(მარტო თბილისში განხორციელდა 60-მდე პროექტი. განხორციელებული სამუშაოების ფარგლებში დასაქმდა 50-მდე სამშენებლო კომპანია და 5 ათასამდე ადამიანი.)

(მსოფლიო ბანკმა) 20 მილიონი აშშ დოლარით(დააფინანსა)საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტი. პროექტის ფარგლებში (მიმდინარეობს ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს ყველა რაიონში) დასრულდა 370 მიკროპროექტი.

(2001 წელს მსოფლიო ბანკმა 38 მილიონი აშშ დოლარი გამოყო საავტომობილო გზების პროექტების დასაფინანსებლად, რომლის ფარგლებში განხორციელდა ფოთი– თბილისი– წითელი ხიდის ძირითადი მაგისტრალის სხვადასხვა მონაკვეთის, თურქეთის საზღვართან მისასვლელი გზის (ბორჯომი–ახალციხის გზის განშტოება) რეაბილიტაცია.)

(მსოფლიო ბანკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტი, რომელიც 1998 წლიდან ხორციელდება (4,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით) მიზნად ისახავს საქართველოს უნიკალური კულტურის მხარდაჭერას.) იგი უპრეცენდენტოა. პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდათ) იკორთის მთავარანგელოზის ტაძარს, ბოჭორმის წმინდა გიორგის ეკლესიას, ნიქოზის ღვთაების ტაძარს, ნოქალაქევის ეგრისის მეფეთა სასახლეს, ნეკრესის მცირე ბაზილიკას, მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიას, აწყურის ტაძარს, ურბნისის წმინდა სტეფანეს ტაძარს, გარეჯის წმინდა დავითის ლავრას და სხვა(მრავალ უნიკა-

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 16 ოქტომბერი.

ლურ არქიტექტურულ ძეგლს თუ ნაგებობას) შესრულებული სამუშაოების შედეგად განადგურებას გადაურჩა მრავალი ფრესკა. პროექტს ახორციელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, რომელმაც 1600-ზე მეტი კაცი დაასაქმა.

(მსოფლიო ბანკი ეხმარება საქართველოს კერძო სექტორის განვითარებაში საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია 100-მდე კერძო და პრივატიზებული საწარმოსათვის დახმარების აღმოჩენა.)

ინვესტიციათა შემოსვლას ხელი შეუწყო პრივატიზაციის პროცესმა. საქართველოში 90-იანი წლების დამდეგს ფაქტიურად არ არსებობდა კერძო მეწარმეობა, 2000 წლისათვის კი ბიუჯეტში შენატანების 4,5% კერძო სექტორზე მოდიოდა[1].

(1998 წელს ძირითად კაპიტალში ინვესტიციებმა მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწია. მან შეადგინა 370 მილიონი დოლარი. ეს მაჩვენებელი, ძირითადად, ბაქო–სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაში გაწეულმა ინვესტიციებმა განაპირობა) მომდევნო წლებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, უცხოურ ინვესტიციათა ხვედრითი წილი შემცირდა ადგილობრივ ინვესტიციებთან შედარებით. თუმცა(2000–2001 წლებში ქვეყნის ეკონომიკაში ყოველწლიურმა ინვესტიციამ საშუალოდ 175 მილიონი დოლარი შეადგინა[2])

(საქართველოში 1995 – 1999 წლებში შემოვიდა მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციები, რომლებიც ნავთობსადენებში, ენერგეტიკაში, ტრანსპორტში, მრეწველობასა და სხვა სფეროებში დაბანდდა. ამერიკის შეერთებული შტატების ფირმებმა, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ფირმებს შორის, ყველაზე მეტი ინვესტიციები საქართველოში დააბანდეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს ამერიკა–საქართველოს ბიზნესის განვითარების საბჭო.)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით საქართველოში 1994–2003 წლებში განხორციელებული ოთხი პროგ-

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000 წლის 6 ოქტომბერი.
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 16 ოქტომბერი.

რამის საერთო ღირებულებამ 300 მილიონი აშშ-ის დოლარი შეადგინა[1]. სწორედ მის საფუძველზე დაიწყო უდიდესი სოციალური მნიშვნელობის პროგრამების განხორციელება. 2001 წლის იანვარში საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა სიღატაკის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების სამწლიანი პროგრამა. ეს არის რეალური პროგრამა, შემუშავებული საერთაშორისო ორგანიზაციების, უპირველეს ყოფლისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. იგი ითვალისწინებს 141 მილიონი დოლარის გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტის გამოყოფას. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდას და ქვეყანაში სიღატაკის დაძლევას. არა ჰუმანური დახმარებით, არამედ უმთავრესად ინტენსიური მეთოდებით, მცირე ბიზნესის მხარდაჭერითა და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებით.

საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია და მისი მონაწილეობა შრომის გლობალურ დანაწილებაში განსაზღვრა „დიდი აბრეშუმის" გზის აღდგენისა და „ევრაზიის დერეფნის" კონცეფციამ, რომელიც წარმატებით ხორციელდება. იგი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ რეგიონს მოუტანს მრავალ სიკეთეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული მსოფლიოს მხარდაჭერა საქართველომ მოიპოვა არა მხოლოდ გეოპოლიტიკური მდებარეობით ან თუნდაც პლანეტის ენერგეტიკული მარაგის ცენტრებთან სიახლოვით, არამედ დემოკრატიული არჩევანით, ყოველმხრივი რეფორმებითა და თავისუფალი, სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნებით.

ამჟამად მოქმედებს სამოქალაქო საზოგადოების ყველა ინსტიტუტი, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები, თავისუფალი მედია, პოლიტიკური პარტიები და სხვა. საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია და მოქმედებს 147 პოლიტიკური გაერთიანება და 778 ფონდი[2].

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლიდანვე ევროპის კავშირმა უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს. 1992–2001 წლებში ევროგაერთიანებამ ქვეყანას

1. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წლის 13 მაისი.
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 16 ოქტომბერი.

გამოუყო 400 მილიონი ევრო. აქედან მხოლოდ გრანტების სახით საქართველომ 300 მილიონი ევრო მიიღო.)

3.(ბოლო წლებში საქონლის იმპორტისა და ექსპორტის სიდიდის ზრდის პარალელურად უფრო მრავალფეროვანი გახდა სასაქონლო სტრუქტურა, გაფართოვდა საერთაშორისო ვაჭრობის გეოგრაფია. თუ 1994 წელს სავაჭრო ოპერაციები მიმდინარეობდა 55 ქვეყანასთან, 2004 წლის დამდეგს მისმა რაოდენობამ მიაღწია 115-ს.)

(საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან უახლოესი მეზობელი ქვეყნები — თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა.)ამასთან სულ უფრო იზრდება იმპორტი დასავლეთ ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან. 2003 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის (თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, თურქმენეთი, აშშ, იტალია, შვეიცარია) წილი მთელ სავაჭრო ბრუნვაში 2002 წელთან შედარებით 2,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 75,3 პროცენტს მიაღწია[1].

2002 წლის დამდეგს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1004,1 მლნ აშშ-ის დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 320,0 მლნ დოლარი (2000 წელთან შედარებით 97,0%), ხოლო იმპორტი 684,1 მლნ დოლარი (2000 წლის 105,1%). სავაჭრობალანსი უარყოფითია. სავაჭრო დეფიციტი 361,1 მლნ აშშ-ის დოლარს უტოლდება[2].

ბოლო წლებში ექსპორტის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ეჭირა ფეროშენადნობებს, სასუქებს, ლითონების ჯართს, აგრეთვე თხილს. აღინიშნა ყურძნის ნატურალური ღვინის, მინერალური წყლების და სამკურნალო საშუალებების წილის ზრდა. იმპორტის საერთო მოცულობაში დიდია ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი აირის წილი.

4. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების პროგნოზირების ანალიზი ცხადყოფს, რომ XXI საუკუნეში მთავარი საფინანსო, სავაჭრო და საინფორმაციო ნაკადები აშშ—ევროპა—აზიის სამკუთხედში მოიყრის თავს. ამ

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 27 მარტი.
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 27 მარტი.

მიმართულებით ევროპის კავშირის პროგრამა „ტრასეკას“ მონაწილე ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუმინეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, თურქეთი, უზბეკეთი, უკრაინა) უმთავრესი ამოცანაა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების სრული რეალიზება საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ქსელების განვითარების მეშვეობით, რომელიც ოფიციალურად არის აღიარებული წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. 2008 წლისათვის საჭირო მიმოქცევა აზიასა და ევროპას შორის 2 ტრილიონ აშშ-ის დოლარს აღემატებოდა. მათ შორის სატრანსპორტო ხარჯების წილი 200 მილიარდ დოლარს შეადგენდა[1].

ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის განვითარებით საქართველო მოექცა როგორც მეზობელი, ისე ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესთა არეში.

მასშტაბურ კონცეფციათა მატერიალიზების შედეგია „მშვიდობიანი კავკასიის“, „აღმოსავლეთ–დასავლეთისა და ევრაზიის დერეფნის“, „დიდი აბრეშუმის გზის აღდგენის“, „ტრასეკას“, „ინოგეოტის“ და „ვანკუვერიდან–ვლადივასტოკამდე ერთიანი, ინტეგრირებული ეკონომიკური სივრცის“ შემადგენელი პროექტები.

მნიშვნელოვანია საქართველოს ბოლოდროინდელი ინიციატივა „შავი ზღვის, სამხრეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის ენერგეტიკული სტაბილურობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ“. იგი მიზნად ისახავს რეგიონის ენერგეტიკული უშიშროების ერთიანი სისტემის შექმნას და შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვას, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და დონორ ქვეყნებთან ერთად, მათ შორის, გარემოსდაცვითი პროექტების ხელშეწყობისათვის. ამ ინიციატივამ ევროკავშირის მხარდაჭერა პოვა.

საქართველოში მსოფლიო ბანკისა და იუნესკოს დახმარებით ხორციელდება პროექტები განათლების, კულტურული მემკვიდრეობისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 21 აგვისტო.

2002 წლის 18 სექტემბერს დაიწყო ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. მას წინ უძღოდა უდიდესი მრავალწლიანი მუშაობა. პირველი კონტრაქტი ჯერ კიდევ 1994 წლის სექტემბერში გაფორმდა. შემდეგ იყო აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტების შეთანხმება. მილსადენის აგებას დასჭირდება 30 თვე. სამუშაოთა დასრულება 2004 წლის დამლევისათვის ივარაუდება. სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ მილსადენი საათში დაახლოებით 1 მილიონი დოლარის ღირებულების ნავთობს გაატარებს. მხოლოდ ტრანზიტის საფასურად საქართველო ყოველწლიურად 63 მილიონ დოლარს მიიღებს[1]. მნიშვნელოვანია ინვესტიციათა მოზიდვა, ათიათასობით სამუშაო ადგილის შექმნა, საწარმოთა ამოქმედება, მოსახლეობისათვის კომპენსაციის სახით მილიონობით დოლარის გადახდა, ინფრასტრუქტურის ყოველმხრივი განვითარება, ეკონომიკური უსაფრთხოების სრული დაცვა.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, დიდი ნავთობსადენის მშენებლობისას, დაახლოებით 10%-ით გაიზრდება. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მილსადენის ყოველმხრივი უსაფრთხოების გარანტიებს ქმნის კომპანია „ნოტროპ გრუმანი", რომელიც სამხედრო ტექნიკისა და მომსახურების უდიდესი მწარმოებელია მსოფლიოში. იგი საქართველოში დაამონტაჟებს 36-არხიან თანამგზავრულ უსაფრთხოების სისტემას. ამასთან დიდი ნავთობსადენისა და დიდი გაზსადენის ამოქმედების შემდეგ საბოლოოდ გადაწყდება ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემა.

მსოფლიოში საქართველოს როლისა და მნიშვნელობის აღნიშვნისას, გასათვალისწინებელია ის წინააღმდეგობები, რომლებსაც ქვეყანა აწყდება განვითარების გზაზე. ესაა სეპარატისტული რეჟიმები, მოუგვარებელი კონფლიქტები, უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები და საზღვრებთან შექმნილი საფრთხე (პანკისის ხეობა და სხვა). მათი გადაწყვეტა რეგიონში სტაბილური პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარების უზრუნველყოფის წინაპირობაა.

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 24 სექტემბერი.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელმაც საერთო მოცულობის 11 ინვესტიცია განახორციელა. მისი პირველი ოპერაცია 1994 წელს ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტი იყო. ბანკს საქართველოში დამტკიცებული აქვს პროექტები ინფრასტრუქტურის სექტორში. მათ შორის არის რიონჰესის, ენგურჰესის და გარდაბნის თბოელექტროსადგურის რეაბილიტაციის, შირაქის ადრეული ნავთობის პროექტები, აეროპორტის, აეროვაგზლის რეკონსტრუქციისა და სამხრეთ კავკასიის რკინიგზის პროექტები.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციის 12 წლიანი პროექტი. პროექტის სავარაუდო ღირებულება 128 მილიონი დოლარია, საიდანაც 27 მილიონი საქართველოს ბიუჯეტმა და ფერმერებმა უნდა გაიღონ. 98 მილიონ დოლარს განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, 3 მილიონს მსოფლიოს გარემოს დაცვითი ფონდი გამოყოფენ[1]. ეს პროექტი გარდატეხას შეიტანს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

დემოკრატიული ინსტიტუტების და საბაზრო ურთიერთობების მშენებლობის საქმეში ფასდაუდებელია ის დახმარება, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები და მეგობარი ქვეყნები უწევენ საქართველოს. მაგალითისათვის საკმარისია აღინიშნოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამის, ევროკავშირის, აშშ-ის, გერმანიის, ნიდერლანდების, სხვა ქვეყნების დახმარება სასამართლო რეფორმის, სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფის, საბანკო დაწესებულებათა რეორგანიზაციის, ფასიანი ქაღალდებისა და კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბების, კორუფციასთან ბრძოლის საქმეში.

(ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განვითარების ხელშეწყობის კომიტეტმა (DAC) 1993 წლის 14 დეკემბერს საქართველო განვითარებად ქვეყნად მიიღო.)

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1999 წლის 14 ივლისი.

სპეციფიკური, არაორდინარული მდგომარეობის გამო, რომელშიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოები აღმოჩნდნენ (დამოუკიდებლობის მიღებასთან ერთად მძლავრი ეკონომიკური უკუსვლა, ზოგან ნგრევა, ქაოსი, შეიარაღებული პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, სოციალური პრობლემების უკიდურესი გამწვავება და სხვა) და მათ წინაშე სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ურთულესი პერსპექტივა დაისახა(გაერომ აღნიშნული ქვეყნები, მათ შორის(საქართველო, გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოდ მიიჩნია, რაც დააფიქსირა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საქმეების დეპარტამენტმა 1998 წლის ნიუ-იორკში გამოცემულ „მსოფლიო ეკონომიკურ და სოციალურ მიმოხილვაში“.)

(ამრიგად, გაეროს კლასიფიკაციით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის მხოლოდ საქართველო მიეკუთვნება ერთდროულად, როგორც განვითარებად, ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს.)

ჰუმანიტარული დახმარება, რომელმაც საქართველოს ყველაზე მძიმე წლებში, შიმშილობა ააცილა, ძირითადად განხორციელდა საერთაშორისო სააგენტოების საშუალებით და იგი მიეწოდებოდა მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ჯგუფებს, ლტოლვილებს. ამ ღონისძიებაში განსაკუთრებით დიდია ამერიკის შეერთებული შტატების, ევროგაერთიანებების, გაეროს სააგენტოების და სხვათა წვლილი. სავალუტო დახმარების სახით მიღებული ფულადი სახსრები გამიზნული იყო ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. პრაქტიკულად, ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარება საქართველოს ეროვნული ბანკისადმი საგადამხდელო ბალანსის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საერთაშორისო მომსახურების სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის სრულყოფა, საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის უპი-

რატესობების ეფექტიანი გამოყენება. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ყველა სახის ტრანსპორტისა და მათი ინფრასტრუქტურის განვითარება, ისეთი საერთაშორისო პროექტების განხორციელება, როგორიცაა ევროპა–აზიის დერეფნის შექმნა (TRASEKA), „დიდი აბრეშუმის გზის" აღორძინება, კასპიის ზღვისა და შუა აზიის რესპუბლიკების ნავთობისა და გაზის საქართველოს გავლით ტრანსპორტირების საკითხის გადაწყვეტა.

1999 წლის 30 ივნისს აშშ-ის სენატმა შეიღო „აბრეშუმის გზის" სტრატეგიის 1999 წლის აქტი [1]. მასში აღნიშნულია, რომ უძველესი აბრეშუმის გზა, რომელიც ერთ დროს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის სასიცოცხლო გზას წარმოადგენდა, ახლა კვეთს საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთისა და უზბეკეთის ტერიტორიებს. აბრეშუმის გზის ქვეყნებს შორის ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ხალხთა შორის ურთიერთთანამშრომლობისა და ისტორიული ურთიერთობების აღდგენას. მართლაც, ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირები მათი სუვერენიტეტის, დემოკრატიული და საბაზრო რეფორმების გარანტიაა. „მყარი პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების კავშირების განვითარება სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის განამტკიცებს სტაბილურობას ამ რეგიონში, რაც წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიკური დაძაბულობის ხელსაყრელ სამიზნეს სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან" — ნათქვამია აქტში და ამასთან სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს შორის ღია საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარება უზრუნველყოფს დადებით სტიმულს საერთაშორისო კერძო ინვესტიციების მოზიდვისათვის, ვაჭრობის განვითარებისათვის და გააფართოებს კომერციული ურთიერთდამოკიდებულების სხვა ფორმებს დანარჩენ მსოფლიოსთან.

კანონში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო დახმა-

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1999 წლის 11–2 აგვისტო.

რება მიმართული უნდა იყოს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად და დემოკრატიის, ღია საბაზრო ეკონომიკის, ადამიანის უფლებებისა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისათვის".

საქართველო აქტიურად მონაწილეობს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის", აგრეთვე ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს მუშაობაში. ნატო განიხილავს საქართველოს, როგორც ქვეყანას, რომელიც გადავიდა დემოკრატიულ სისტემაზე და იმყოფება საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში; ყოველივე ამას ძალზე დადებითად აფასებს.

აშშ მხარს უჭერს საქართველოში დემოკრატიის განვითარებას, მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. აშშ დახმარების მეშვეობით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, თავად აკონტროლოს თავისი საზღვრები. აშშ გადასცა საქართველოს ვერთმფრენები, რომლებიც ხელს უწყობენ საზღვრის დამოუკიდებელ დაცვასა და პატრულირებას. აშშ საქართველოს გადასცა აგრეთვე სანაპირო დაცვის კატარღა1, რომელიც შესაძლებელს ხდის საქართველოს საზღვაო საზღვრის გარკვეული მონაკვეთის დაცვას.

ევროპის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადრე თუ გვიან ეკონომიკურ ინტერესთა თანხვედრა პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრასაც გამოიწვევდა. ამის მაგალითია (საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და უზბეკეთის გაერთიანება — სუუამი.) იგი სულ უფრო ხშირად გამოდის ერთიანი პოზიციით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ ფორუმებზე. დაიწყო სამხედრო თანამშრომლობაც. საქართველოში სატრანზიტო კომუნიკაციების დაცვის მიზნით, ერთობლივ წვრთვნებს გადიან საქართველოს, უკრაინის და აზერბაიჯანის ქვეგანაყოფები.

5. საქართველოს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრელ მიმართულებად რჩება თანამშრომლობის გაღრმავება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, ევ-

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1999 წლის 3 აგვისტო.

როსაბჭოსთან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან და სხვა ევროპულ თუ გლობალურ გაერთიანებებთან, აგრეთვე თანდათანობით დაახლოება ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან, კერძოდ, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან და, რა თქმა უნდა, ევროკავშირთან. ჩვენი ერთ-ერთი საბოლოო მიზანი ევროკავშირში გაერთიანებაა. ამასთანავე დიდ მნიშვნელობას ენიჭება პოსტსაბჭოურ სივრცეში წარმოშობილი ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობას (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, სუუამ-ის გაერთიანება)[1].

საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას საქართველო ორი პრიორიტეტით ხელმძღვანელობს. ეს არის პარტნიორული, მეგობრული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან (სომხეთთან, აზერბაიჯანთან), აგრეთვე უკრაინასთან, ბალკანეთის სახელმწიფოებთან, ცენტრალურ აზიასთან და თანასწორუფლებიანი, ურთიერთსასარგებლო, კომპლემენტარულობის პრინციპებზე აგებული თანამშრომლობა საქართველოს ორ უდიდეს სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთის ფედერაციასთან.

1995 წლის 25 სექტემბრიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ბრუნვაში მოექცა ქართული ეროვნული ვალუტა. ლარისადმი მოსახლეობა იმთავითვე ნდობით განეწყო. ამის შედეგად ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 196 მილიონი დოლარი შეადგინა. საქართველომ შეიძინა სრულფასოვანი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი. ეს მას დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის წარმართვის საშუალებას აძლევდა.

საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა თავისი ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ.

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 12 ოქტომბერი.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით, მათი კრედიტებითა და გრანტებით რეალურად ხორციელდება საქართველოსა და TRASEKA-ს სხვა მონაწილე ქვეყნების სატრანსპორტო სისტემის რეაბილიტაცია. ევროპის კავშირის დახმარებით აშენდა საბორნე გადასასვლელი ბათუმში და სარკინიგზო საბორნე გადასასვლელი ფოთში, რომელთა მეშვეობით საქართველო უკავშირდება ვარნის, ოდესის, ნოვოროსიისკის, ილიჩოვსკის, სოჭის, კონსტანცისა და ანტვერპენის პორტებს.

საქართველოს როლი XXI საუკუნის მსოფლიოში იქნება ერთ-ერთი გამორჩეული, თუ იგი თავის შესაძლებლობებს ეფექტიანად გამოიყენებს. ამისათვის კი აუცილებელია საქართველომ განახორციელოს აქტიური წინგამსწრები სტრატეგია, რომლის არსია — სახელმწიფოს როლის ამაღლება, სოციალური პასუხისმგებლობისა და ფინანსური დისციპლინის გაზრდა, მდგრად პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლა და ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანება [1].

საქართველო—სამხრეთარგარეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობებს საფუძველად უდევს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები. იგი ორმხრივი და მრავალმხრივია. საერთაშორისო ხელშეკრულება — საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებაა, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის წორმებით. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება იდებს:

1. საქართველოს სახელით — სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება;

2. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით — მთავრობათაშორისი ხელშეკრულება;

3. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახელით — უწყებათშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება.

---

1. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 518.

საქართველოს სახელით იდება საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით ენიჭება სახელმწიფოთაშორისი ხასიათი, აგრეთვე ხელშეკრულება, რომელიც ეხება: 1. ტერიტორიულ და ზავის სიკითხებს; 2. ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს; 3. მოქალაქეობას; 4. საქართველოს მონაწილეობას სახელმწიფოთაშორის კავშირებსა და სხვა საერთაშორისო გაერთიანებებში (ორგანიზაციებში); 5. სამხედრო საკითხებს; 6. საქართველოს ტერიტორიისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას; 7. სახელმწიფოს მიერ სესხის აღებას და გაცემას, სახელმწიფო გარანტიის მიცემას, საბაჟო საქმეს.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახელით იდება უწყებათშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება საკითხებზე, რომლებიც მათ კომპეტენციას განეკუთვნება. აქ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ეკონომიკური ურთიერთობა და მისი მართვა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით დადასტურდა და ძალაში შევიდა 50 საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 120-მდე საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მთავრობა და საქართველოს პარლამენტი იღებენ ზომებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები, რომელთა კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხები, უზრუნველყოფენ საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, თვალყურს ადევნებენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს უფლებების დაცვასა და ხელშეკრულების სხვა მხარეების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულებას.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ყოველივე აღნიშნულიდან? მთავარი დასკვნა ისაა, რომ საქართველოში მკვიდ-

რდება დემოკრატია, პოლიტიკური პლურალიზმი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში ევროპასთან, ინტეგრირების პროცესი; ეს მოვლენები შეუქცევად და სტაბილურ სახეს იღებენ.

ყოველივე ეს მოითხოვს გავიაზროთ, გავიცნობიეროთ და შევისწავლოთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების სტრუქტურა, არსი, კომპეტენცია, საქმიანობის შინაარსი და ძირითადი მიმართულებები; მათი ადგილი და მნიშვნელობა გაერთიანებულ ერთა თანამეგობრობაში.

90-იან წლებამდე ამ საკითხების კვლევას, გააზრებას, შესწავლას ჰქონდა მხოლოდ ვიზუალური, სასხვათაშორისო და ზოგად-თეორიული მნიშვნელობა. დღეს სხვა მდგომარეობაა. საქართველო ასამდე სამთავრობათშორისი და ორასამდე არასამთავრობათშორისი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა გახდა. ამასთან საქართველო უკვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. საქართველოს საზოგადოებრიობა, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა, მოვალეა იცოდეს საერთაშორისო ორგანიზაციების ისტორია, მოღვაწეობა, სტრუქტურა, კომპეტენცია, სამართლებრივი ბაზა. ამდენად პრობლემა სამეცნიერო-პრაქტიკული და გამოყენებითი მიმართულებისა და მნიშვნელობისაა. ჩვენს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა ძირითად საკითხზე გაცემულია მოკლე, კონკრეტული და მეცნიერული პასუხები; განსაზღვრული და განმარტებულია საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ძირითადი ცნებები, ტერმინები და დებულებები.

თავი მეორე

საერთაშორისო ორგანიზაციები და კონფერენციები

1. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საგანი, სისტემა

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინა, ისწავლება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. ამ მხრივ დადებითი გამოცდილება დაგროვდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, რუსეთში, უკრაინაში და რიგ სხვა ქვეყნებში. შექმნილია სამეცნიერო ცენტრები და დაწესებულებები, ინსტიტუტები, კათედრები. გამოიცა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სხვა სახის ლიტერატურა საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემებზე [1]. მომზადდა სამაგისტრო, საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომები, შეიქმნა სპეციალური კურსები, გაიმართა საერთაშორისო კონფერენციები, სიმპოზიუმები და რეგიონული შეხვედრები.

---

1. 1. Морозов. Международные организации. Москва. 1974.
   2. K. Zemanek. Das Vertragsrecht der Internationalen Organisationen. Wien. 1957.
   3. Von Binnenmarkt zur Europäischen Union. გიუნტერ რენერი და პიტერ კეკადა, გამომცემლობა „კონკორდია“, ბიული. 1995.
   4. К. Кольяр. Международные организации и учреждения. Москва. 1972.
   5. Г. Шармазанашвили. Международные и межправительственные организации. Москва. 1980.
   6. Ирина Герчикова. Международные экономические организации. Москва. 2002.
   7. Т. Нешатаева. Международные организации и право. Москва. 1998.
   8. Х. Шлеплер. Международные экономические организации. Справочник. Москва. 1998.

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც სასწავლო დისციპლინა, 1992 წლიდან ისწავლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ეკონომიკის, საერთაშორისო ბიზნესისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტებზე. საგნის სწავლებაში დაგროვდა დადებითი გამოცდილება. გამოიცა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები და სხვა. ახლა მაგისტრანტებიც სწავლობენ საერთაშორისო ორგანიზაციების კურსს.

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, [illegible] სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინა, საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი დარგი და შემადგენელი ნაწილია. იგი:

1. იკვლევს საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, წარმოშობის, დამკვიდრებისა და განვითარების კანონზომიერებებს, მათი ურთიერთობის პრინციპებს; განსაზღვრავს მათ ადგილს და მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში;

2. ადგენს იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რეგიონულ, ზოგად საერთაშორისო და სპეციალური კომპეტენციის მქონე, სამთავრობათაშორისი და არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, იურიდიულ-სამართლებრივ და სხვა ურთიერთობებს; თანამშრომლობის ფორმებსა და მიმართულებებს;

3. შეისწავლის გაეროსა და მისი სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციებს (გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები, გაეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო, რეგიონალური ორგანიზაციები და სხვა) შორის ურთიერთობის განვითარების მთავარ მიმართულებებს, წესებს, ფორმებს, მეთოდებს და საშუალებებს;

4. განსაზღვრავს საერთაშორისო კონფერენციების გამართვის სამართლებრივ ნორმებსა და სახეებს;

5. შეიმუშავებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების დამფუძნებელი დოკუმენტების მიღების წესებს, ამ ორგანიზაციების მიზნებსა და ამოცანებს, კომპეტენციას,

ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურას და მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებებს.

საერთაშორისო სამართალი სპეციფიკურ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო სისტემას მიეკუთვნება. საერთაშორისო სისტემა, ფართო გაგებით, მოიცავს ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც სახელმწიფოს გარეთ წარმოქმნილი ურთიერთობების კომპონენტებს შეიცავს, გამორჩეულად იმისა, ატარებს კონკრეტული ურთიერთობა სამთავრობათაშორის თუ არასამთავრობათაშორის ხასიათს, მონაწილეობს მასში ფიზიკური თუ იურიდიული პირი, პოლიტიკური პარტია თუ სახელმწიფო, როგორც სუვერენული უფლებების მატარებელი. საერთაშორისო სისტემის ამ ცნებაში შედის ყველა საერთაშორისო მოვლენა, ერთა შორის არსებული ყველა კონტაქტი, შექმნილი ინსტიტუტი და სხვა[1].

საერთაშორისო სისტემის უფრო ვიწრო ცნებაა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, რომლებშიც ძირითად სუბიექტებად გამოდიან სახელმწიფოები, როგორც სუვერენული პოლიტიკური ურთიერთობები, აგრეთვე სახელმწიფოების მიერ შექმნილი საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაციები, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები, სახელმწიფოს მსგავსი ერთეულები.

საერთაშორისო სამართალი კონკრეტული საერთაშორისო სისტემის — სახელმწიფოთაშორისი სისტემის განუყოფელი ნაწილია და იგი უნდა განიხილებოდეს მთელი სისტემის კომპონენტებთან მჭიდრო კავშირში. საერთაშორისო სამართალი ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სავაჭრო, კულტურული, სამხედრო და სხვა ურთიერთობების იურიდიული ჩარჩოა. იგი იმ იურიდიული ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს.

საერთაშორისო სამართალი არ შედის ცალკეული რომელიმე ქვეყნის სამართლის სისტემაში. იგი წარმოადგენს სა-

---

1. ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. 2001, გვ. 3.

მართლის განსაკუთრებულ და თავისებურ დარგს. მისი ნორმები ყალიბდება სხვადასხვა სახელმწიფოთა შეთანხმებების შედეგად. ეს ნორმები გამოხატულობას პოულობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, პაქტებში, შეთანხმებებში, კონვენციებში და აწესრიგებენ ურთიერთობებს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პროცესში. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგი, შემადგენელი ნაწილი, ორ ძირითად წყაროს იცნობს. ესაა საერთაშორისო ხელშეკრულება და საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულება.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საერთაშორისო ორგანიზაციების დადგენილებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ქცევის წესებს შეიცავენ.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, სამართლის სხვა დარგების სუბიექტისაგან განსხვავებით, წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობების ისეთ მონაწილეს, რომელიც არა მარტო ფლობს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ურთიერთობების სხვა მონაწილეებთან ერთად თვითონ ქმნის ამ ნორმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას[1].

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტია სახელმწიფო, რომელიც მოქმედებს საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლად. ესაა სახელმწიფო, რომელიც თვითონ განსაზღვრავს და წყვეტს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ამოცანებს. ნიშან-თვისებას, რომელიც გვიჩვენებს სახელმწიფოს ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და დამოუკიდებლობას რომელიმე უცხო სახელმწიფოსაგან საერთაშორისო ასპარეზზე, სახელმწიფო სუვერენიტეტი ეწოდება, ხოლო ამ ნიშან-თვისების მქონე სახელმწიფოს — სუვერენული სახელმწიფო.

საერთაშორისო სამართლის არაძირითად, განსაკუთრებულ სუბიექტს წარმოადგენენ საერთაშორისო გაერთიანებები, რომლებიც საერთაშორისო ხასიათს ატარებენ — გაერ-

---

1. ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გვ. 53.

თიანებული ერების ორგანიზაცია, მისი სპეციალიზებული დაწესებულებანი, გაეროსთან დაკავშირებული სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები. მეცნიერთა უმრავლესობა ასეთ ორგანიზაციებს მიაკუთვნებს საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა რიცხვს იმის გამო, რომ ისინი წარმოადგენენ რა სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებს, მოქმედებენ საერთაშორისო ასპარეზზე მათი წესდებით გათვალისწინებული უფლებაუნარიანობის ფარგლებში. ეს წესდებანი ანიჭებენ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ ორგანოებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების და შესრულების უფლებას.

მართალია აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, როდესაც წერს: „რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავაიგივოთ სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებაუნარიანობის ხასიათი, მისი მოცულობა. სახელმწიფო არის პირველადი, ძირითადი სუბიექტი, საერთაშორისო ორგანიზაცია კი მეორადი, არაძირითადი, წარმოებული სუბიექტია, რომლის უფლებაუნარიანობა ზუსტადაა განსაზღვრული, უპირველეს ყოვლისა, წესდებით და არა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებით“ [1].

ზოგიერთი მეცნიერი აზვიადებს საერთაშორისო ორგანიზაციების უფლებრივ მდგომარეობას და აწერს მათ „ზესახელმწიფოებრივ“, „მსოფლიო მთავრობის“ თვისებას (შ. რუსო, გ. ლუტერპახტი), უპირისპირებს მათ წევრ-სახელმწიფოებს. მაგრამ ეს შეხედულება ვერ პოულობს დიდ გამოხმაურებას თეორიასა და პრაქტიკაში.

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის სასწავლო კურს მჭიდრო კავშირი აქვს მეცნიერების ისეთ ინსტიტუტებსა და დარგებთან, როგორიცაა პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, დიპლომატიური და საკონსულო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო საზღვაო სამართალი, საჰაერო და კოსმოსუ -

1. ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. 2001, გვ. 55.

რი სივრცის სამართლებრივი რეჟიმი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და სხვა.

ამის მაგალითია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, რომლის უმთავრესი წყაროა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული დეკლარაციები, კონვენციები, დასკვნითი აქტები, ქარტიები, საერთაშორისო პაქტები და სხვა.

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, როგორც საგანი, დაკავშირებულია პოლიტიკურ მეცნიერებასთან. პოლიტიკას აქვს ორი ძირითადი მხარე: 1. საშინაო და 2. საგარეო პოლიტიკა. საშინაო პოლიტიკა მოიცავს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ცხოვრების მოწყობის ფორმებს, ორიენტაციებსა და პრიორიტეტებს, ეროვნულ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების განმტკიცების, ადამიანთა პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლების და სხვა საკითხებს. საგარეო პოლიტიკა განაგებს გლობალურ ანუ საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომელიც ქვეყნის შინაგანი განვითარების კანონზომიერი ასახვაა; მისი შინაარსი ძირითადი სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტებით, საერთაშორისო თანამშრომლობის თავისებურებებით, გეოპოლიტიკური მდგომარეობითა და სტრატეგიული ინტერესებით განისაზღვრება[1].

იუნესკომ 1948 წელს პარიზში განსაზღვრა პოლიტიკური მეცნიერების ოთხი ძირითადი პრობლემა:

1. პოლიტიკური თეორია: პოლიტიკური თეორია და იდეების ისტორია;

2. პოლიტიკური ინსტიტუტები: ა) კონსტიტუცია; ბ) ცენტრალური მართვა; გ) მართვის ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები; დ) რეგიონალური და ადგილობრივი მართვა; ე) საჯარო ადმინისტრაცია; ვ) პოლიტიკური ინსტიტუტების შედარებითი ანალიზი;

3. პოლიტიკური პარტიები, ჯგუფები და საზოგადოებრივი აზრი: ა) პოლიტიკური პარტიები; ბ) ჯგუფები და ასოცი-

---

1. პოლიტოლოგია, ლექციების კურსი, 2004, გვ. 8.

აციები; გ) მოქალექეების მონაწილეობა ადმინისტრაციულ მართვაში; დ) საზოგადოებრივი აზრი;

4. საერთაშორისო ურთიერთობანი: ა) საერთაშორისო პოლიტიკა; ბ) პოლიტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციები; გ) საერთაშორისო სამართალი.

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება მოიცავს შემდეგ პოლიტიკურ სუბდისციპლინებს: პოლიტიკური აზრის ისტორიას, პოლიტიკურ ფილოსოფიას, პოლიტიკურ სოციალოგიას, პოლიტიკურ ფსიქოლოგიას, პოლიტიკურ ანთროპოლოგიას და საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების თეორიას. ამ ბოლო მიმართულებაში ცენტრალური ადგილი უკავია საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა მოღვაწეობაში პოლიტიკას და პოლიტიკურ ურთიერთობებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის, როგორც საგნის, ძირითადი პრინციპები ყველაზე უფრო ზოგადი, უმნიშვნელოვანესი და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებია. რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წამოყენებული პრინციპები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის სავალდებულო ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ეს პრინციპები აღიარებული იქნება ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, ესე იგი იქცევიან საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებად, რომელთაც იურიდიული ძალა აქვთ.

საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი პრინციპები იგივე საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებია, რომლებიც იქმნებიან საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულებების სახით, მაგრამ თავისი ხასიათით სხვა ნორმების მიმართ ისეთივე თანაფარდობაში არიან, როგორც კონსტიტუციური და ჩვეულებრივი კანონები. თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს მის ძირითად პრინციპებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის ძირითადად პრინციპებში ზოგჯერ ურევენ სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა „ძირითად უფლება-მოვალეობებს". სახელმწიფოს ძირითადი უფლებები ეს ის უფლებებია, რომლის გარეშე ვერ იარსებებს ვერც ერთი სახელმწიფო და საერთა-

შორისო ორგანიზაცია, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია — საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი ობიექტი.

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის 1975 წლის უმაღლესი დონის თათბირის დასკვნით აქტში და სხვა დოკუმენტებში [1]. ეს პრინციპებია:

1. სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელ უფლებათა პატივისცემა;
2. ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლობა;
3. საზღვრების ურღვეობა;
4. სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა;
5. დავის მშვიდობიანი მოწესრიგება;
6. საშინაო საქმეებში ჩაურევლობა;
7. ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემა;
8. ხალხთა თანასწორუფლებიანობა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლება;
9. სახელმწიფოთა თანამშრომლობა;
10. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

საერთაშორისო ორგანიზაციები ერთმანეთთან და ყველა სახელმწიფოსთან ურთიერთობას წარმართავენ აღნიშნული პრინციპების შესაბამისად. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინა, სწორედ ამ პრინციპებს ემყარება.

***

ბოლო დროს სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით საერთაშორისო სამართლის ცნობის ტენდენცია.

---

1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად, თბილისი, 1991.

საქართველოს კონსტიტუციაში დაფიქსირებულია საერთაშორისო სამართლის პრიმატი, ანუ საერთაშორისო სამართლის იმ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების უზენაესობა, რომლებიც ჩამოყალიბდა სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულებათა და ჩვეულებების საშუალებით. ჩვენ უფრო შორს წავედით, ვიდრე ბევრი სხვა სახელმწიფო, რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ანიჭებენ უპირატესობას შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებთან მიმართებაში [1].

საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო სახელშეკრულებო და ჩვეულებითი ნორმების ერთობლიობაა. იგი გამოხატავს სახელმწიფოთა შეთანხმებულ ნებას და აწესრიგებს მათ შორის თანამშრომლობასა და ურთიერთობებს, როგორც მშვიდობიან პერიოდში, ისე ომიანობის დროს. საერთაშორისო სამართალი კონკრეტული საერთაშორისო სისტემის — სახელმწიფოთაშორისი სისტემის განუყოფელი ნაწილია. არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი — საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი დარგი და საერთაშორისო სამართალი მთლიანად, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სისტემა. სამართლის დარგი სამართლის სისტემის შემადგენელი ნაწილია. ასეთებად კი სამართლისცოდნეობა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართალს მიიჩნევს.

სამართლის დარგი სამართლის ნორმების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთ რომელიმე სფეროს.

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი დარგი იმ ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

აკადემიკოსი ლევან ალექსიძე სტატიაში „არის თუ არა ადამიანის საყოველთაო უფლებები საერთაშორისო სამართლი-

1. ადამიანი და კონსტიტუცია. 1999. №1, გვ. 36-37.

საგან დამოუკიდებელი დარგი?!“ წერს: „სამართლის დარგი — სამართლის სისტემის შემადგენელი ნაწილია, ხოლო ასეთებად სამართალმცოდნეობა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართალს მიიჩნევს. ამიტომ, როდესაც ავტორი იხსენებს იმ ფაქტს, რომ სასწავლო დაწესებულებაში ადამიანის უფლებათა კურსი საერთაშორისო სამართლის კურსისაგან ცალკე იკითხება, ის ურევს ერთმანეთში საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ დარგს და საერთაშორისო სამართალს მთლიანად, რომელიც სამართლის დამო უკიდებული სისტემაა“[1].

2. საერთაშორისო ორგანიზაციები

XX საუკუნის დამდეგს, საერთაშორისო ეკონომიკური და ტექნიკური ურთიერთობების განვითარების შედეგად, იქმნება სტაბილური საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაციები (საყოველთაო სატელეგრაფო კავშირი — 1865 წ., მსოფლიო საფოსტო კავშირი — 1874 წ., მსოფლიო მეტეროლოგიური ორგანიზაცია — 1873 წ., ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია — 1883-1886 წწ., ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირი — 1865 წ., საერთაშორისო კავშირი საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების დარგში — 1890 წ. და სხვა) და ორგანოები.

უფრო სწრაფად იზრდება არასამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი. XX საუკუნის დასაწყისში ითვლიდნენ 20 სამთავრობათაშორის და 192 არასამთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციას.

ამჟამად მსოფლიოში 59 ათასი საერთაშორისო ორგანიზაციაა; ამათგან 6400-ზე მეტი სამთავრობათაშორისი ორგანიზაციაა[2].

საერთაშორისო ორგანიზაციის ცნება XX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა. მაგრამ ამგვარი ორგანიზაციების შექმნის ცდები შორეულ წარსულში გვხვდება. ეს, უმთავრე-

---

1. ადამიანი და კონსტიტუცია. 1999, №1, გვ. 31.
2. ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., 2001, გვ. 96.

სად, მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებია, რომელთა განხორციელება შეუძლებელი იყო განუწყვეტელი ომიანობის პირობებში.

საერთაშორისო ურთიერთობანი ყოველთვის წარმოშობდა სხვადასხვა ინსტიტუტებს, რომელთა მიზანი იყო სახელმწიფოებს შორის კავშირის განმტკიცება, ამ თანამშრომლობის შედარებით სტაბილურ საწყისებზე გადაყვანა. ეს ინსტიტუტები უმთავრესად წარმოდგენილი იყო საერთაშორისო კონფერენციებისა და სამხედრო კავშირების სახით, რომელნიც ქმნიდნენ მუდმივ ორგანოებს ყოველდღიური ორგანიზაციული საქმიანობისათვის.

XIX საუკუნის დამლევს, საერთაშორისო ეკონომიკური და ტექნიკური ურთიერთობების გაღრმავების შედეგად, წარმოიშვა სტაბილური სამთავრობათაშორისი და არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციები. საუკუნის დამდეგს მათი რიცხვი 200-ს აღემატებოდა.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთა თანამშრომლობის ფორმებია საერთაშორისო კონფერენციები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

რას ვგულისხმობთ საერთაშორისო ორგანიზაციის ცნებაში? იგი ეროვნული სახელმწიფოების სამთავრობათაშორისი და არასამთავრობათაშორისი საზოგადოებების, ასოციაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების გაერთიანებაა, რომლის საქმიანობას საფუძვლად უდევს დამფუძნებელი აქტი (წესდება). წესდება განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებს, კომპეტენციას, ხელმძღვანელ ორგანოთა საქმიანობის წესს და სხვა.

ფრანგი მეცნიერის კ. ა. კოლიარის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციები იყოფა ორ პრინციპულად სხვადასხვა კატეგორიად: 1. სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციებად; 2. არასამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციებად[1]. ეს დაყოფა ამჟამად დამკვიდრებულია საერთაშორისო სამართალში.

---

1. **К. Кольяр. Международные организации и учреждения; Москва, 1972, стр. 472.**

საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი ამჟამად 59 ათასზე მეტია, იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: სამთავრობათაშორის და არასამთავრობათაშორის ორგანიზაციებად. მათი მიზნები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს.

საერთაშორისო სამართალი იურიდიული ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი პირველი სახელმწიფოების შექმნისთანავე დამყარდა. ყოველ ისტორიულ ეპოქაში ამ პერიოდისათვის ტიპობრივი საერთაშორისო ნორმები არსებობდა.

მონათმფლობელობის დროიდან გვხვდება საერთაშორისო სამართლის ისეთი ნორმები, რომლებიც განამტკიცებდნენ ელჩთა ხელშეუხებლობასა და ექსტერიტორიულობას, დადებულ ხელშეკრულებათა ურღვევობას, უცხოელთა რეჟიმს, ომის გამოცხადების და სხვა საკითხებს. ფეოდალიზმის ეპოქაში ეს ინსტიტუტები კიდევ უფრო განვითარდა — შეიქმნა დიპლომატიური წარმომადგენლობანი, ჩამოყალიბდა საკონსულო სამართალი, ღია ზღვის თავისუფლების პრინციპი და სხვ.

ძველი საქართველოს მმართველი წრეები აქტიურად იყენებდნენ საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებს. XI—XIII საუკუნეებში საქართველოში ჩამოყალიბდა სუვერენიტეტის თვითმყოფადი კონცეფცია, უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა პროგრესული სამართლებრივი რეჟიმი.

მეცნიერთა დიდ ჯგუფს მიაჩნია, რომ სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი შეიძლება იყოს არანაკლებ სამი სახელმწიფო. მათი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაცია სახელმწიფოთა მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმაა, ხოლო ეს ურთიერთობა განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამი სახელმწიფო მაინც დაუკავშირდება ერთმანეთს საერთაშორისო ხელშეკრულებით. მათი მტკიცებით, ორი სახელმწიფოს თანამშრომლობა ვერ წარმოშობს სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებს.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა განვსაზღვროთ, როგორც სამი და მეტი სახელმწიფოს გაერთიანება საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე დარგში (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული, სოციალური და სხვა) თანამშრომლობის განხორციელებისა და განვითარებისათვის. იგი უნდა ემყარებოდეს დამფუძნებელ დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია მისი მიზნები და პრინციპები, მთავარი ორგანოები, მათი კომპეტენცია და ფუნქციონირების წესი. აგრეთვე მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურა და იურიდიული ძალა.

ამ მოსაზრებას იზიარებენ გ. მოროზოვი[1], კ. ზემანეკი[2], კ. კოლიარი[3], გ. შარმაზანაშვილი[4] და სხვ. ავსტრიელ მეცნიერს ზემანეკს მიაჩნია, რომ ნებისმიერი საერთაშორისოორგანიზაციის დამფუძნებელი უნდა იყოს სამი სახელმწიფო მაინც.

გ. მოროზოვის აზრით, საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილური ფორმაა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კონტინენტის სამ სახელმწიფოს მაინც; მის მონაწილეთა შორის შეთანხმებულია საქმიანობის მიზნები, კომპეტენცია, მთავარი ორგანოები, აგრეთვე სპეციალური ორგანიზაციული ინსტიტუტები (წესდება, პროცედურა, წევრობა, მუშაობის წესი, გადაწყვეტილებათა მიღება და სხვ.). ამასთან, ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნები და საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რომლებიც, გათვალისწინებულია გაეროს წესდებაში.

ინგლისელი მეცნიერის გ. ფიტცმორის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაცია სახელმწიფოთა თანამეგობრობაა, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო ხელშეკრულებაზე. მას აქვს დამფუძნებელი აქტი და კოლექტიური ორგანოები, შეუძლია დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები.

---

1. Г. Морозов. Международные организации. Москва, 1974, стр. 55.
2. K. Zemanek. Das Vertragsrecht der internationalen Organisationen, Wien, 1957, p. 11.
3. К. Кольяр. Международные организации и учреждения, 1972.
4. Г. Шармазашвили. Международные межправительственные организации. Москва. 1980. стр. 10.

გერმანელი მეცნიერი გ. შლიუტერი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციას საფუძვლად უდევს საერთაშორისო ხელშეკრულება, მას აქვს საკუთარი, მუდმივი ორგანოები.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ქმედითი ინსტიტუტებია სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები. მათ საქმიანობაზეა დამოკიდებული მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საკითხების, სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების ეფექტიანობა.

სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი ნიშნებია:

1. სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება სახელმწიფოთა მიერ (არანაკლებ სამი სახელმწიფო) საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. ეს ხელშეკრულება მისი დამფუძნებელი დოკუმენტია, რომელსაც ექვემდებარება საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა.

საერთაშორისო ხელშეკრულება სახელმწიფოთა ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა შეთანხმებაა პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სხვაგვარ ურთიერთობებში მათი ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების შესახებ. იგი საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროა, მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით საერთშორისო ხელშეკრულება ორმხრივი და მრავალმხრივია. მისი ელემენტებია:

ა) პრეამბულა (მიზანი, მხარეთა დასახელება და სხვ.);

ბ) ძირითადი ნაწილი (კონკრეტული დადგენილებანი რეგულირებულ ურთიერთობათა არსის შესახებ);

გ) დასკვნა (მოქმედების ვადა, დენონსაციის წესი).

2. საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწფიოები რჩებიან დამოუკიდებელ, სუვერენულ, თანასწორუფლებიან სახელმწიფოებად. გაეროს წესდებაში ნათქვამია: „ორგანიზაცია დაფუძნებულია მისი ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპზე" (მუხლი 2, 1 პუნქტი).

3. საერთაშორისო ორგანიზაცია არ ერევა იმ საქმეებში, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფოს კომპეტენციაა. გაეროს

წესდების მეორე მუხლში აღნიშნულია: „წესდება სრულებითაც არ ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლებას ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად რომელიმე სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციაში შედიან".

4. საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ნიშანია მისი მთავარი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების დადგენილი წესი და მათი განხორციელების სათანადო პროგრამის შემუშავება.

ამრიგად, სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტების — სუვერენული სახელმწიფოების მიერ, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორგანიზაციების კომპეტენციასა და სტრუქტურას, მის საერთაშორისო-სამართლებრივ სუბიექტუნარიანობას. ასეთი ორგანიზაციის ყოველი წევრი მოქმედებს მათი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მეშვეობით, მთელი ქვეყნის სახელით, როგორც ერთიანი სუვერენული ერთეული.

არასამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება რამდენიმე სახელმწიფოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პირების მიერ; მას არა აქვს საერთაშორისო-სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა. ზოგიერთი მათგანი სარგებლობს საკონსულტაციო სტატუსით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ფარგლებში.

გაეროს წესდების 71-ე მუხლის შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია გაატაროს სათანადო ღონისძიებანი მის კომპეტენციაში შემავალი საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან საკონსულტაციოდ. „ასეთი ღონისძიებანი, — ნათქვამია წესდებაში, — შეიძლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჭიროების შემთხვევაში კი ეროვნულ ორგანიზაციებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაინტერესებულ წევრებთან კონსულტაციის შემდეგ"[1].

---

1. გაეროს წესდება. იხილეთ წიგნში: ლევან ალექსიძე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თბ., 1985, გვ. 126.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივი სამთავრობათაშორისი დაწესებულებანია, რომლებიც ხანგრძლივი ვადით ან უვადოდ იქმნებიან პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ადმინისტრაციული და სხვა მიზნების განსახორციელებლად.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის გარდაუვალი მოვლენაა მსოფლიოს ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული, სავაჭრო, საბაჟო, ტურისტული, სპორტული და სხვა ურთიერთობის განვითარება.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციული ფორმაა – ქვეყნების გაერთიანება საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემაში. ამ სისტემის ცენტრში დგას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო).

საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია ემყარება სხვადასხვა კრიტერიუმებს. ამათგან აღსანიშნავია:

1. მონაწილეთა იურიდიული სტატუსი. ამის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციები იყოფა ორ პრინციპულად სხვადასხვა ჯგუფად: 1. სამთავრობათაშორის (სახელმწიფოთაშორისი) და 2. არასამთავრობათაშორის ორგანიზაციებად.

საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაცია – ეს სახელმწიფოთა გაერთიანებაა, რომელიც საერთო მიზნების მიღწევისათვის ემყარება საერთაშორისო ხელშეკრულებას.

ხელშეკრულება საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე ფართოდ მიღებული ტერმინია, რომელიც ყველა სახის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებას ასახავს. ხელშეკრულება შეთანხმებაა, ჩვეულებრივ წერილობითი, ურთიერთვალდებულებების შესახებ.

ხელშეკრულებანი განსხვავდებიან მხარეთა რაოდენობის მიხედვით. ორმხრივი ხელშეკრულებანი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ყველაზე ტიპური და მრავალრიცხოვანი სახეა. მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულ ათასს შეადგენს. თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო დიდ და ფართო გამოყენებას პოულობენ მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომელთა მეშვეობით იქმნება საერთაშორისო უნი-

ვერსალური და რეგიონალური ორგანიზაციები, წესდება საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმი არხებზე, სრუტეებზე, მდინარეებზე და სხვა.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებისა და შეწყვეტის წესს, მათი იურიდიული ძალის ნამდვილობის პირობებს, ამ საკითხებთან დაკავშირებული დავების მოწესრიგების საშუალებებს, არეგულირებს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო სამართლის დარგი.

სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტის — სუვერენული სახელმწიფოების მიერ, რომელნიც განსაზღვრავენ ამ ორგანიზაციების კომპეტენციასა და სტრუქტურას, მის საერთაშორისო-სამართლებრივ სუბიექტუნარიანობას.

არასამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები იქმნება რამდენიმე სახელმწიფოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ასოციაციების, ფედერაციების ფორმით და მოქმედებენ წევრთა კონკრეტული მიზნების მიღწევისათვის. მათ არ გააჩნიათ საერთაშორისო-სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა.

საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაციების სახეები: საჯარო და დახურული. საჯარო ის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელშიც შეიძლება გაერთიანდეს თავისი შეხედულებითა და სურვილით ნებისმიერი სახელმწიფო; დახურული ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, სადაც წევრად მიღება ხდება მიწვევით (ნატო და სხვა).

საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნისათვის საჭიროებულობა: 1. დამფუძნებელი დოკუმენტის (წესდება, ხელშეკრულება, პროგრამა, შეთანხმება და სხვა) მიღება; 2. საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურის განსაზღვრა და ამოქმედება; 3. ხელმძღვანელი ორგანოების (კონფერენცია, სესია, ასამბლეა, აღმასრულებელი საბჭო, სამდივნო, გენერალური მდივანი, პრეზიდენტი და სხვა) შექმნა და ფუნქციონირება.

საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნების ყველაზე მიღებული ორგანიზაციული ფორმაა საერთაშორისო ხელშეკრულება. ხელშეკრულების ტექსტის შემუშავებისა და მიღები-

სათვის იწვევენ საერთაშორისო კონფერენციას. დამფუძნებელი სამართლებრივი დოკუმენტის სახელწოდება შეიძლება იყოს სხვადასხვა: წესდება, კონვენცია, პროგრამა, სტატუსი. ამ აქტის მიღების დღე ითვლება ორგანიზაციის შექმნის თარიღად.

საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია, დამკვიდრებული წესის მიხედვით, ხდება ორი ძირითადი პრინციპით: 1. ორგანიზაციული და 2. მრავალმხრივი რეგულირებით.

ორგანიზაციული პრინციპი ნიშნავს იმის დადგენას ეკუთვნის თუ არა საერთაშორისო ორგანიზაცია გაეროს სისტემას. ამასთან ყურადღებას იპყრობს საერთაშორისო ორგანიზაციების პროფილი და მათი საქმიანობის მიზნები. ასეთი მიდგომის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. გაეროს სისტემის სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები;
2. გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები (სპეციალური კომპეტენციის საერთაშორისო ორგანიზაციები);
3. საერთაშორისო არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ ეგრეთწოდებული საკონსულტაციო სტატუსით გაეროს სისტემის ფარგლებში, მაგრამ არ მიეკუთვნებიან საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტობას;
4. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არ შედიან გაეროს სისტემაში;
5. რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები.

მრავალმხრივი თანამშრომლობის რეგულირების პრინციპის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი ჯგუფებია:

პირველი ჯგუფი. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის რეგულირებას;

მეორე ჯგუფი. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელბიც არეგულირებენ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

მესამე ჯგუფი. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა შორის სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებს.

მეოთხე ჯგუფი. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა რეგულირების სფეროა ვაჭრობა, საბაჟო საქმე, ტურიზმი, სპორტი, განათლება, მეცნიერება და სხვა.

მეხუთე ჯგუფი. საერთაშორისო არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებენ ასოციაციებს, ფედერაციებს, ფირმებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალურ-კულტურული სისტემა, ვაჭრობა, ტურიზმი, სპორტი და სხვა;

მეექვსე ჯგუფი. რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უდევს ისეთი ურთიერთობების რეგულირება, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური სფერო, განათლება, მეცნიერება, კულტურა, რელიგია, სპორტი, ტურიზმი, გარემოს დაცვა და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციები მოიცავენ საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტებს. ისინი იქმნებიან ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეროვნულ ურთიერთობათა და სხვა დარგებში. მათ გააჩნიათ განსაზღვრული თავისებურებები და სპეციფიკური ნიშნები[1].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება დავყოთ სხვადასხვა ჯგუფებად საქმიანობის ხასიათისა და ნიშნების მიხედვით.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სისტემა. იგი ითვლის 4 ათასზე მეტ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებს, რომელთაგან 300-ზე მეტი სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციაა[2].

ეკონომიკური საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემაში უმთავრესი ადგილი უკავია სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციებს. ეს ორგანიზაციებია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი; რეკონსტრუქციისა და განვითარების

1. Политология. Курс лекций. Под редакцией А. А. Радугина. Москва. 2001, стр. 318.
2. И. Герчикова. Международные экономические организации. 2002. стр. 26.

საერთაშორისო ბანკი; საერთაშორისო-ფინანსური კორპორაცია; განვითარების საერთაშორისო ასოციაცია; საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი; მსოფლიო ბანკის ჯგუფი; საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკი; საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი; განვითარების ამერიკათაშორისი ბანკი; კარიბის განვითარების ბანკი; არაბეთის სავალუტო ფონდი; ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოთა განვითარების ბანკი; დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური და სავალუტო კავშირი; დასავლეთ აფრიკის განვითარების ბანკი; აღმოსავლეთ აფრიკის განვითარების ბანკი და სხვა.

მსოფლიო ეკონომიკის ცალკეული დარგის საერთაშორისო ორგანიზაციებია: საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია; სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია; საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატა; შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია; მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესი; ბალტიის ზღვის სახელმწიფოთა საბჭო; ტრანსპორტის მინისტრების ევროპის კონფერენცია; ევროპის კოსმოსური სააგენტო; გაეროს ეკონომიკური კომპანია ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზისათვის; გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომისია აზიისა და წყნარი ოკეანისათვის; გაეროს ევროპის ეკონომიკური კომპანია და სხვა.

ზოგადი–ფართო კომპეტენციის საერთაშორისო ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; ევროპის საბჭო; ევროპის კავშირი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა; აფრიკის სახელმწიფოთა კავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა; სუუამ-ი; ამერიკის სხელმწიფოთა ორგანიზაცია და სხვა.

სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებია: სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო

ფონდი; სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია; მსოფლიო სასურსათო საბჭო; საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსი; დუნაის კომისია; საერთაშორისო ორგანიზაციები კაკაოს, ყავის, კაუჩუკის, შაქრის, ზეითუნის ზეთის დარგებში; საერთაშორისო საბჭო მარცვლეულის დარგში; საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭო მებამბეობის დარგში; საერთაშორისო საკვლეო ჯგუფები კაუჩუკის და თაფლის წარმოების დარგებში და სხვა.

სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციები: ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო); წყნარი ოკეანის უშიშროების პაქტი და სხვა.

სოციალურ-კულტურული პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციები: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია (იუნესკო); ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია; მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია; საერთაშორისო კავშირი საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების დარგში; მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია; საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი; საერთაშორისო სპორტული ფედერაციები; ეკლესიების მსოფლიო საბჭო და სხვა.

პროფკავშირთა საერთაშორისო ორგანიზაციები: პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია; შრომის საერთაშორისო კონფედერაცია; თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაცია და სხვა.

მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ორგანიზაციები: მშვიდობის მსოფლიო საბჭო; პაგუოშის მოძრაობა; მშვიდობის მსოფლიო ინსტიტუტი და სხვა.

პროფესიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები: ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია; ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია; საერთაშორისო წითელი ჯვარი; პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია; პენკლუბი; კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტერპოლი) და სხვა.

ეს ჯგუფები, ბუნებრივია, მოიცავს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მხოლოდ ძირითად, უმთავრეს სფეროებს. დიდმნიშვნელოვანი ადგილი

უკავიათ აგრეთვე ბავშვთა, ახალგაზრდობის, რელიგიურ, ეკოლოგიურ, ენერგეტიკულ, საზღვაო, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ერთა ლიგა სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშომლობის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო. ის შეიქმნა 1919 წელს, როდესაც პარიზის საზავო კონფერენციამ მიიღო მისი წესდება. ეს წესდება, როგორც განუყოფელი ნაწილი, დართული აქვს პირველი მსოფლიო ომის შემდგომ საზავო ხელშეკრულებებს: ვერსალის (1919 წლის 23 ივნისს), სენ ჟერმენის (1919 წლის 10 სექტემბერს), ნეის (1919 წლის 29 ნოემბერს) და ტრიანონის (1920 წლის 4 ივნისს) საზავო ხელშეკრულებებს. ამ ხელშეკრულებებთან ერთად ერთა ლიგის წესდება ძალაში შევიდა 1920 წლის 10 იანვარს. წესდებას ხელი მოაწერა 44 სახელმწიფომ.

ერთა ლიგის საქმიანობა შეწყდა 1940 წელს. ის ოფიციალურად დაიშალა 1946 წელს.

ერთა ლიგის ძირითადი ორგანოები იყო: ასამბლეა, რომლის ყოველწლიურ სესიებში მონაწილეობდა ყველა წევრი, საბჭო, რომელიც თავდაპირველად შედგებოდა 4 მუდმივი (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია) და 4 არამუდმივი წევრისაგან, და სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალური მდივანი. საბჭოს წევრთა შემადგენლობა და რაოდენობა ხშირად იცვლებოდა.

ერთა ლიგამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ორგანიზაციების ცხოვრებაში.

განასხვავებენ უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებს. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი ორგანიზაციები, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხის მოწესრიგება მსოფლიოს ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით.

რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები მოიცავენ გარკვეული გეოგრაფიული რეგიონის სახელმწიფოებს და ამ რეგიონის უშიშროების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების გადაწყვეტის მიზნებს ემსახურებიან.

ამის გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კომპეტენციის მიხედვით — ზოგად სა-

ერთაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ის ორგანიზაციები, რომელთა მიზანია საკითხთა ფართო სპექტრის რეგლამენტაცია, ხოლო სპეციალური კომპეტენციის მქონე, ანუ სპეციალიზებული ორგანიზაციები ვიწრო, სპეციალური დანიშნულების საკითხების მოწესრიგებას ემსახურებიან.

უნივერსალურ ზოგად საერთაშორისო ორგანიზაციას მიეკუთვნება მშვიდობის დაცვისა და ხალხთა თანამშრომლობის განვითარების ისეთი უნიკალური დაწესებულება, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. უნივერსალურ სპეციალიზებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან, პირველ რიგში, გაეროს სისტემის სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები, ანუ სპეციალიზებული დაწესებულებანი. გაეროს წესდების 57-ე მუხლის თანახმად, ორგანიზაციას უნდა დაუკავშირდეს მთავრობებს შორის შეთანხმებებით შექმნილი სხვადასხვა სპეციალიზებული დაწესებულება, რომლებიც აღჭურვილნი არიან მათი დამფუძნებელი აქტებით განსაზღვრული ფართო საერთაშორისო პასუხისმგებლობით ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა მსგავს დარგებში.

სპეციალიზებული დაწესებულებები დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციბია; გაერო მხოლოდ კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას, აძლევს მათ რეკომენდაციებს საბიუჯეტო და საფინანსო საკითხებზე, სპეციალიზებულ დაწესებულებათა პოლიტიკისა და საქმიანობის ურთიერთშეთანხმების თაობაზე და სხვა.

გაეროს წესდების 52-ე მუხლში აღნიშნულია: „გაერო არ უშლის ხელს იმას, რომ არსებობდეს რეგიონული შეთანხმებანი ან ორგანოები საერთაშორისო მშვიდობის და უშიშროების დაცვის საკითხების გადასაწყვეტად“ [1].

უშიშროების საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ადგილობრივი დავა მშვიდობიანად გადაწყდეს ასეთ რეგიონულ შეთანხმებათა ან ასეთ რეგიონულ ორგანოთა მეშვეობით, ან დაინტერესებულ სახელმწიფოთა ინიციატივით, ანდა საკუთარი ინიციატივით.

---

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. იხ. წიგნში: ლევან ალექსიძე, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გვ. 120.

3. საერთაშორისო კონფერენციები

კაცობრიობის განვითარების მთელ მანძილზე სახელმწიფოები იკრიბებოდნენ და იკრიბებიან კონფერენციებზე ამა თუ იმ საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად. საერთაშორისო კონფერენციების რიცხვი დღითადღე იზრდება. თუ 1980-იან წლებში მათი რიცხვი წელიწადში შეადგენდა 10 ათასს, 2003 წლისათვის ამ რიცხვმა 50 ათასს მიაღწია[1].

საერთაშორისო კონფერენცია ეწოდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების შეხვედრას ამა თუ იმ პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და სხვა საკითხების განხილვისათვის და მათ თაობაზე შეთანხმების მიღწევისათვის (ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, განცხადება და სხვა). საერთაშორისო კონფერენცია ხშირად ატარებს „კონგრესის", „თათბირის" ან სხვა სახელწოდებას. ამას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. კაცობრიობის განვითარების მანძილზე სახელმწიფოები იკრიბებოდნენ და იკრიბებიან კონფერენციებზე ამა თუ იმ საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად.

დღევანდელ ეტაპზე ცნება „კონგრესი" შეეფარდება მხოლოდ ისეთ შეხვედრებს, რომელთაც არა აქვთ დიპლომატიური ხასიათი. ამის მაგალითია საერთაშორისო კონგრესები, რომლებიც ეძღვნება სამეცნიერო, ტექნიკურ, კულტურულ, ახალგაზრდობისა და სხვა საკითხებს, მაგალითად, გეოლოგთა, ისტორიკოსთა, ფიზიოლოგთა და სხვა მსოფლიო კონგრესები.

ცნება „კონგრესი" გამოყენებულია აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასობრივი მოძრაობების წარმომადგენელთა შეხვედრების მიმართ (მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი, ანტიფაშისტური კონგრესი და სხვ.).

ცნება „თათბირი" XX საუკუნის შუა წლების პირმშოა, თუმცა იგი ჯერჯერობით ფართოდ არ არის გამოყენებული.

---

1. ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. 2001, გვ. 91.

თათბირების ისეთი სახე, როგორიცაა უმაღლეს დონეზე შეხვედრები, მეტად სასარგებლოა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში. დიდი ისტორიული მნიშვნელობისა იყო ჰელსინკის უმაღლესი დონის თათბირი, რომელიც 1975 წლის 29 ივლისს – 1 აგვისტოს გაიმართა. იგი ისტორიაში შევიდა, როგორც „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი". მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის 33 სახელმწიფომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ. ამ თათბირზე მიღებული დასკვნითი აქტის საფუძველზე ტარდება რეგულარული თათბირები მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის შესამოწმებლად. ასეთი იყო ბელგრადის (1979 წ.), მადრიდის (1980 წ.), პარიზის (1990 წ.), ჰელსინკის (1992 წ.), ბუდაპეშტის (1994 წ.), ლისაბონის (1996 წ.), სტამბოლის (1999 წ.) თათბირები.

ამ ბოლო წლებში ჩატარდა რამდენიმე მრავალმხრივი თათბირი, რომელთა მიზანი იყო ამა თუ იმ აქტუალური საერთაშორისო, პრობლემების გადაწყვეტა.

ტერმინი „კონფერენცია" საერთაშორისო შეხვედრების ყველაზე მიღებული და დამკვიდრებული სახელწოდებაა, რომელსაც მრავალფეროვანი, ყოვლისმომცველი ხასიათი აქვს [1].

საერთაშორისო კონფერენციებს პირობითად ყოფენ შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

1. საზავო კონფერენციები – შეხვედრები, რომელთა მიზანია ომის მდგომარეობის შეწყვეტის იურიდიული გაფორმება საზავო ხელშეკრულების დადებით;

2. პოლიტიკური კონფერენციები, რომელთაც იწვევენ მიმდინარე საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემების განხილვისა და გადაწყვეტისათვის;

3. ეკონომიკური კონფერენციები, რომლებზეც განიხილავენ სახელმწიფოთა ურთიერთობებს ვაჭრობის, საფინანსო-საკრედიტო და სხვა საკითხებზე;

4. დიპლომატიური კონფერენციები, რომლებიც ეძღვნება სამართლის კოდიფიკაციის საკითხებს სპეციალური სახის ხელშეკრულებათა და კონვენციების შემუშავებისა და მიღებისათვის.

---

1. **Б. М. Ашавский. Межправительственные конференции. Москва, 1980.**

საერთაშორისო კონფერენციებს იწვევენ საერთაშორისო ორგანიზაციები ან თვით სახელმწიფოები. საერთაშორისო კონ-ფერენციას ხსნის იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომ-ლის ტერიტორიაზე ან ინიციატივით იქნება მოწვეული კონ-ფერენცია. ამავე პიროვნებას ირჩევენ კონფერენციის თავმჯდო-მარედ. ჰააგის 1899 და 1907 წლების კონფერენციებზე თავ-მჯდომარეობდა რუსეთის წარმომადგენელი, სან-ფრანცისკოს 1945 წლის კონფერენცია გახსნა აშშ-ის პრეზიდენტმა ფ. რუზ-ველტმა. მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში დიპლო-მატიურ პრაქტიკაში დაინერგა სხვა წესიც: სახელმწიფოთა მეთაურები რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ საერთაშო-რისო კონფერენციებს.

კონფერენციის პირველი სხდომა ეძღვნება ხელმძღვანელ ორგანოთა, სამანდატო და სარედაქციო კომიტეტების არჩე-ვას. აქვე იხილავენ დღის წესრიგს, კამათის წესისა და სხვა საკითხებს. ხშირად ეს საკითხები ან ზოგიერთი მათგანი წი-ნასწარ შეთანხმებულია დიპლომატიური არხებით. კონფერენ-ციის მუშაობა მიმდინარეობს პლენარულ სხდომებზე ან კო-მისიებში. პლენარული სხდომები საჯაროა, კომისიების სხდო-მები მიმდინარეობს დახურულად, საიდუმლო ვითარებაში. კონ-ფერენციები გადაწყვეტილებებს ღებულობენ ერთხმად ან ხმათა უმრავლესობით. სახელმწიფო, რომელიც არ ეთანხმება უმ-რავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თავისუფა-ლია მისგან.

კონფერენციაზე ჩატარებული დისკუსიის ყველა მომენ-ტი ფიქსირებული უნდა იყოს ოქმში. იგივე ითქმის მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. კონფერენციის საბოლოო გა-დაწყვეტილებანი შეაქვთ „დასკვნით ოქმში", ანუ „დასკვნით აქტში" და გადასცემენ ხელმოსაწერად ყველა ქვეყნის დელე-გაციას.

კონფერენცია, როგორც წესი, თავდება საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის დადგენით; მისი ხელმოწერა შე-იძლება იქვე ან მომდევნო კონფერენციაზე, რომელსაც მხო-ლოდ ამისთვის მოიწვევენ. თუ კონფერენცია არავითარ შე-დეგს არ იძლევა მონაწილეთა პოზიციების შეურიგებლობის

გამო, შეადგენენ დასკვნით კომუნიკეს, რომელსაც ამტკიცებენ კონფერენციის ყველა მონაწილე და გადასცემენ პრესას გამოსაქვეყნებლად.

კონფერენციისაგან განსხვავებით, რომლებსაც დროებითი სახელმწიფოთაშორისი თათბირების, შეხვედრების, ფორუმების სახე აქვთ, საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივი სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებანია, რომლებიც ხანგრძლივი ვადით ან უვადოდ იქმნება პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების განსახორციელებლად.

უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კონფერენციები გაიმართა 1980–2002 წლებში. მარტო საქართველოში 2000–2002 წლებში გაიმართა 30-მდე საერთაშორისო კონფერენცია თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე.

გარდა აღნიშნულისა, საჭიროა მივუთითოთ შედარებით ხანგრძლივი დროით არსებული კონფერენციების შესახებ. გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური ორგანოა ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია, რომელიც პერიოდულად იკრიბება. იგი შეიქმნა 1964 წლის ივნისში კონფერენციის პირველი სესიის დასკვნითი აქტისა და გენერალური ასამბლეის XIX სესიის რეზოლუციის საფუძველზე. კონფერენციის მონაწილეა 185 ქვეყანა.

კონფერენციის ძირითადი ფუნქციებია: საერთაშორისო ვაჭრობის წახალისება, სახელმწიფოებისა და რეგიონული ეკონომიკური დაჯგუფებების პოლიტიკის შეთანხმება ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში გაეროს სხვა დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციისათვის ხელის შეწყობა.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები: 1. საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა, სტაბილური მსოფლიოს უზრუნველყოფა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარება; 2. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მექანიზმების,

პრინციპებისა და რეკომენდაციების შემუშავება; 3. გაეროს სისტემის, სხვა ორგანიზაციების, საქმიანობის კოორდინაცია; 4. სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება; 5. სავაჭრო პოლიტიკისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ღონისძიებების და საშუალებების შემუშავება; 6. განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ხელისშეწყობა; 7. საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; 8. გაეროს ფარგლებში საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე საქმიანობის კოორდინაცია; გენერალური ასამბლეისათვის დოკუმენტების მომზადება.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია უნივერსალური ხასიათის ორგანიზაციაა. იგი არ წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო სტრუქტურას. მის საქმიანობაში პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანა (გაეროს წევრები და რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები) მონაწილეობს. მისი კვლევის სფერო ძალზე დიდი და მრავალფეროვანია: ნედლეულით, მზა ნაწარმითა და ნახევარფაბრიკატებით საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემების, აგრეთვე ტრანსპორტირების, დაზღვევის, კრედიტების გაცემის, ტექნოლოგიების გადაცემის და სხვა ასპექტების გადაწყვეტა.

კონფერენციის ძირითადი ორგანოებია: სესია, რომელსაც იწვევენ მონაწილე ქვეყნების მინისტრების დონეზე 4 წელიწადში ერთხელ მაინც, და ვაჭრობისა და განვითარების საბჭო, რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბება. საბჭოს გადაწყვეტილებებს რეკომენდაციის ძალა აქვს, კონფერენციის სამდივნო გაერთიანებულია გაეროს სამდივნოში, მისი შტაბ-ბინა ჟენევაშია.

დღემდე ჩატარებულია 10 სესია. პირველი სესია ჩატარდა 1964 წელს ჟენევაში (შვეიცარია); მეორე — 1968 წელს — დელიში (ინდოეთი); მესამე — 1972 წელს სანტიაგოში (ჩილე); მეოთხე — 1976 წელს — ნაირობში (კენია); მეხუთე — 1979 წელს მანილაში (ფილიპინები); მეექვსე — 1983 წელს ბელგრადში (იუგოსლავია); მეშვიდე — 1987 წელს ჟენევაში (შვეიცარია); მერვე — 1992 წელს კარტახენში (კოლუმბია); მეცხრე — 1996 წელს — მიდრადში; მეათე — 2000 წელს — ტაილანდში.

2. **ბანიარაღების კონფერენცია** 1961 წლიდან არსებობს. მის მუშაობაში მონაწილეობს მრავალი სახელმწიფო. გადაწყვეტილებებს ღებულობენ საერთო შეთანხმებების (კონსენსუსის) საფუძველზე. იგი არ არის გაეროს ორგანო, მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად წარუდგენს გაეროს გენერალურ ასამბლეას მოხსენებას ჩატარებული მუშაობის შესახებ, გენერალური ასამბლეა, თავის მხრივ, უგზავნის თხოვნას კონფერენციას, განიხილოს განიარაღების ესა თუ ის საკითხი. გაერო კონფერენციას უწევს ფინანსურ დახმარებას.

3. **დიდ მუშაობას ეწევა სამხრეთ აფრიკის განვითარების კოორდინაციის კონფერენცია** — რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაცია. იგი შეიქმნა 1980 წელს. მისი წევრები არიან: ანგოლა, ზამბია, ბოტსვანა, ზიმბაბვე, ლესოტა, მალავი, მოზამბიკი, სვაზილენდი, ტანზანია. კონფერენციის ძირითადი მიზანია: ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება, მონაწილე ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენცია, აღმასრულებელი ორგანო — მინისტრთა საბჭო.

4. **ჰაააგის კონფერენცია საერთაშორისო კერძო სამართალში.** იგი პირველად გაიმართა 1893 წლის 12 სექტემბერს ნიდერლადდების მთავრობის ინიციატივით. 1954 წლიდან ორგანიზაციამ მიიღო სტატუსი, რომლითაც განმტკიცდა ორგანიზაციის მუდმივი ხასიათი. სტატუსი ძალაში შევიდა 1955 წლის 15 ივლისს. სტატუსი (წესდება) განსაზღვრავს ორგანიზაციის ფუნქციებს, მიზნებსა და უფლებამოსილებას.

კონფერენციის მუდმივი ხასიათი განსაზღვრეს გერმანიამ, ავსტრიამ, დანიამ, ესპანეთმა, ფინეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, ლუქსემბურგმა, ნორვეგიამ, ნიდერლანდებმა, პორტუგალიამ, დიდმა ბრიტანეთმა, შვეიცამ და შვეიცარიამ.

ჰაააგის კერძო საერთაშორისო სამართლის კონფერენციის სტატუსის ძირითადი დებულებებია:

1) ჰაააგის კონფერენციის მიზანია: მოქმედება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების უნიფიცირებისათვის;

2) ჰაააგის კონფერენციის წევრები არიან სახელმწიფოები, რომლებიც მონაწილეობდნენ კონფერენციის ერთ ან მეტ სესიაში და მიიღეს კონფერენციის სტატუსი.

3) ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, რომლის მონაწილეობაც მნიშვნელოვანია კონფერენციის მუშაობისათვის, შეიძლება გახდეს წევრი. ახალი წევრების მიღება ხდება წევრი სახელმწიფოების მიერ ერთი ან რამოდენიმე მათგანის წინადადებით, ხმათა უმრავლესობით, მთავრობებისათვის ამ წინადადების წარმოდგენიდან ექვსი თვის განმავლობაში.

4) 1897 წლის 20 თებერვლის სამეფო დეკრეტით დაარსებული ნიდერლანდების მუდმივმოქმედი სამთავრობო კომიტეტი ახორციელებს კონფერენციისათვის საჭირო ოპერატიულ საქმიანობას. იგი განიხილავს კონფერენციის დღის წესრიგთან დაკავშირებულ ყველა წინადადებას, განსაზღვრავს სესიის თარიღს და დღის წესრიგს.

5) კონფერენციის სესიები იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ. შეიძლება გაიმართოს რიგგარეშე სესიები.

6) მუდმივმოქმედი ბიუროს შტაბ-ბინა მდებარეობს ჰააგაში.

7) მუდმივმოქმედი ბიურო შედგება გენერალური მდივნისა და სხვადასხვა ეროვნების ორი მდივნისაგან, რომლებიც ინიშნებიან ნიდერლანდების მთავრობის მიერ მუდმივმოქმედი სამთავრობო კომიტეტის წარდგინებით. გენერალურ მდივანს და მდივნებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი იურიდიული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.

8) წევრი სახელმწიფოს მთავრობები ქმნიან ეროვნულ სამსახურებს.

ჰააგის კონფერენციის სამუშაო ორგანოებია: კონფერენცია, რომელიც შედგება იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლობისაგან, რომელთაც მიიღეს ჰააგის კერძო საერთაშორისო სამართლის კონფერენციის სტატუსი. ის სახელმწიფოები, რომელებიც არ მონაწილეობენ კონფერენციაში, სარგებლობენ მასთან მიერთების უფლებით. ამისათვის საჭიროა წევრი სახელმწიფოების თანხმობა. განცხადება მიერთების შესახებ უნდა გაეგზავნოს ნიდერლანდების მთავრობას, რომელიც ამის თაობაზე აცნობებს წევრ სახელმწიფოებს. კონფერენციის სესიები იმართება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

ჰააგის კონფერენციის მუდმივმოქმედი ორგანოა ბიურო, რომელიც მოქმედებს კონფერენციი ს სესიებს შორის პერიოდში. მისი საქმიანობა კონტროლირდება ნიდერლანდების მუდმივმოქმედი სამთავრობო კომიტეტის მიერ.

ჰააგის კერძო საერთაშორისო სამართლის კონფერენციის წევრები არიან: ავსტრია, ბელგია, დანია, გერმანია, იტალია, იაპონია, ნორვეგია, პორტუგალია, შვეცია, შვეიცარია, იუგოსლავია, ფინეთი, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, საბერძნეთი, ნიდერლანდები, ესპანეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო.

საერთაშორისო კერძო სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ხასიათის სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს (ქონებრივ, მათთან დაკავშირებულ არაქონებრივ, საოჯახო, შრომისა და საპროცესო).

5.ისლამური ორგანიზაციის კონფერენცია (OUK) შეიქმნა 1969 წელს მუსულმანური ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა კონფერენციაზე ქ. რაბატში (მაროკო). წესდება მიღებულია 1972 წელს. კონფერენცია არაა რელიგიური ორგანიზაცია. ის აერთიანებს მუსულმანურ ქვეყნებს, რომლებიც მდებარეობენ სხვადასხვა რეგიონებში. ისლამური კონფერენციის წევრებია მხოლოდ მუსულმანური სახელმწიფოები. თუმცა არ წარმოადგენს რელიგიურ ორგანიზაციას, არამედ იგი ტიპური საერთაშორისო ორაგნიზაციაა. მისი ამოცანაა მუსულმანური სახელმწიფოების პოზიციების დაახლოება მნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, მათი პოლიტიკის კოორდინაცია. მისი წევრია 50 მუსულმანური სახელმწიფო, მათ შორის აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი [1]. კონფერენციის მიზნებია: 1. მუსულმანურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამეცნიერო ურთიერთობების განვითარება; 2. მუსულმანური სოლიდარობის განმტკიცება; 3. რასიზმისა და კოლონიალიზმის ყველა ფორმისა და მიმართულების ლიკვიდაცია; 4. მუსულმანური ხალხების გაერთიანება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში; 5. პალესტინის ხალხისადმი დახმარება თავისი ტერიტორიებისათვის ბრძოლაში.

უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენცია, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ

---

1. **И. Герчикова. Международные экономические организации. стр. 102.**

იმართება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და რელიგიური პრობლემების განხილვისათვის. წევრი–ქვეყნების მინისტრების კონფერენცია იწვევა ყოველწლიურად მიმდინარე საკითხების განხილვისათვის. 1980 წელს კონფერენციამ შექმნა მინისტრთა მუდმივმოქმედი კომიტეტი 11 მინისტრისა და კონფერენციის გენერალური მდივნის შემადგენლობით. ისლამური ორგანიზაციის კონფერენციის ფარგლებში შექმნილია მუდმივმოქმედი კომიტეტები და კომისია.

ტრანსპორტის მინისტრთა ევროპული კონფერენცია (Europian Conference of Ministers of Transport — ECMT) შეიქმნა 1953 წელს ევროპის ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების ინიციატივით. იმყოფება პარიზში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში. ეკონომიკურ საკითხებში სამდივნო შედის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სამდივნოს შემადგენლობაში. წევრია 31 სახელმწიფო: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მოლდოვა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკია, შვეცია, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ჩეხეთი, შვეიცარია, სლოვენია, ესტონეთი.

კონფერენციის მიზნებია: 1. ტრანსპორტის განვითარების მხარდაჭერა; 2. კოორდინაცია და მხარდაჭერა იმ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობისადმი, რომელთაც აქვთ დამოკიდებულება ევროპულ ტრანსპორტთან.

კონფერენციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: 1. სატრანსპორტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება და ინვესტიციების მოთხოვნათა განსაზღვრა; 2. ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებების შემუშავება; 3. რკინიგზის, საავტომობილო და სამდინარო ტრანსპორტის განვითარებაში კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა და გადაწყვეტა; 4. საქალაქო გადაზიდვების, საგზაო უსაფრთხოებისა და საგზაო მოძრაობის წესების პრობლე-

მების გადაწყვეტა, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, გარემოს დაცვა.

უმაღლესი ორგანოა მინისტრთა საბჭო, რომელიც შედგება წევრი ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრებისაგან. ადმინისტრაციული მართვის ორგანოა სამდივნო, რომელიც ორი განყოფილებისაგან შედგება: 1. სატრანსპორტო პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარებისა და დოკუმენტაციის; 2. ადმინისტრაციული განყოფილებები[1].

სამოქალაქო ავიაციის ევროპული კონფერენცია (Europian Civil Aviation Conference — ECAC) შეიქმნა 1955 წელს ევროპის საბჭოს ინიციატივითა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის აქტიური მხარდაჭერით. მის შემადგენლობაში შედის 33 წევრი: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთ ი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, ისლანდია, იტალია, კიპრი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკია, სლოვენია, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ჩეხეთი, შვეიცარია, შვეცია, ესტონეთი.

კონფერენციის მიზნებია: 1. სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო და გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფა; 2. მშვიდობიანი მიზნით თვითმფრინავების კონსტრუქციების შექმნა და მათი ექსპლოატაციის წახალისება; 3. უსაფრთხო, რეგულარული, ეფექტიანი და ეკონომიკური საჰაერო გადაყვანით ევროპის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; 4. აეროპორტების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

ამრიგად, კონფერენციები დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო ცხოვრებაში. მათი რეკომენდაციები ეხმარება ცალკეულ ქვეყნებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური, სოციალური და სხვა პრობლემების გადაჭრაში.

---

1. **И. Герчикова. Международные экономические организации. Москва, 2002, стр. 245-248.**

თავი მესამე

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედების პრინციპები, მიზნები და ამოცანები

2004 წელს გაეროს წევრ სახელმწიფოთა რაოდენობამ 191-ს მიაღწია. ყველაზე ახალი წევრებია – შვეიცარია და ტიმორ-ლეშტი.

საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. გაეროს შექმნის საფუძველი გახდა ჰიტლერული გერმანიისა და მისი ბლოკის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა გაერთიანება მძლავრ კოალიციად.

გაეროს შექმნას წინ უძღოდა 1942 წლის 1 იანვარს ვაშინგტონში 26 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი „გაერთიანებული ერების დეკლარაცია". აქედან წარმოდგა ორგანიზაციის სახელწოდებაც. გადაწყვეტილება ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე მიიღო სამმა დიდმა სახელმწიფომ (აშშ, სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი) 1943 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვის კონფერენციაზე. ამ ქვეყნებისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს „ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციას საყოველთაო უშიშროების საკითხზე", რომლითაც აუცილებლად იყო მიჩნეული უმოკლეს დროში საყოველთაო უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსება. ასეთი ორგანიზაციის წესდების პროექტი შეიმუშავეს 4 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დუმბარტონ-ოქსის (1944 წლის აგვისტოს) კონფერენციაზე. ყირიმის კონფერენციაზე (1945 წლის თებერვალი) სამი დიდი სახელმწიფო შეთანხმდა პროექტის გადაუჭრელ საკითხებზე, ამასთან, გადაწყდა პროექტის განსახილველად და წესდების მისაღებად სან-ფრანცისკოს კონფერენციის მოწვევა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა 1945 წლის ივნისში, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღე.

გაეროს შტაბ-ბინა მდებარეობს აშშ-ის ქალაქ ნიუ-იორკში კუნძულ მანჰეტენზე, მდინარე ისტრივერის სანაპიროზე, ასანთის კოლოფის მსგავს 39-სართულიან შენობაში. მისი დღევანდელი შტაბ-ბინის ტერიტორია (7,3 ჰექტარი), მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას, 8 მილიონ დოლარად შეისყიდა ცნობილმა ამერიკელმა მილიარდელმა როქფელერმა და საჩუქრად გადასცა გაეროს. კომპლექსის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ამერიკელი არქიტექტორი უოლეს ჰარისონი. ამჟამად, გაეროს კომპლექსი ლამაზი ცათაბჯენების, რესტორან-კაფეების, სასტუმრო-ბიბლიოთეკების, საბანკო და სხვა დაწესებულებათა ადგილსამყოფელია.

შენობის ფონზე ფლაგშტოკებზე აღმართულია წევრ-სახელმწიფოთა მრავალფეროვანი დროშები, რომელთა ანსამბლი კეთილი ნების ყველა ადამიანში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების იმედს აღძრავს, მოუწოდებს მსოფლიოს ხალხებს დაირაზმნენ მშვიდობის დასაცავად.

გაეროს წესდება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა. იგი შეიცავს 19 თავსა და 111 მუხლს. წესდებაში ასახული და განვითარებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი დემოკრატიული პრინციპები. წესდების განუყოფელი ნაწილია გაეროს საერთაშორისო სასამართლოს წესდება.

წესდების პრეამბულა გვაუწყებს გაეროს შექმნის მთავარ მოტივს — ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილებას ომის უბედურებისაგან იხსნან მომავალი თაობები, კვლავაც განამტკიცონ ადამიანის ძირითად უფლებათა, მამაკაცთა და ქალთა

თანასწორუფლებიანობის, დიდი და პატარა ერების თანასწორობის რწმენა, შექმნან პირობები, რომელთა დროსაც შესაძლებელი იქნება სამართლიანობის დაცვა, ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესს და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი თავისუფლების პირობებში. პრეამბულაში ჩამოყალიბებულია ზოგადი მიზეზები და მიზნები, რომლებმაც განაპირობეს ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა. „და ამ მიზნით, — აღნიშნულია გაეროს წესდების პრეამბულაში, — გამოვიჩინოთ შემწყნარებლობა და ვიცხოვროთ ერთად მშვიდობიანად, როგორც კეთილმა მეზობლებმა, და... გავაერთიანოთ ჩვენი ძალები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად,... უზრუნველყოთ პრინციპების მიღებით და მეთოდების დაწესებით, რომ შეიარაღებული ძალები სხვანაირად არ იქნება გამოყენებული, თუ არა საერთო ინტერესებისათვის, და გამოვიყენოთ საერთაშორისო აპარატი ყველა ხალხის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობისათვის.; გავაერთიანოთ ჩვენი ძალები ამ მიზნის მისაღწევად. ამის თანახმად ჩვენი სათანადო მთავრობანი თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით... შეთანხმდნენ, მიიღონ გაერთიანებული ერების წესდება და ამით შექმნან საერთაშორისო ორგანიზაცია „გაერთიანებული ერების" სახელწოდებით".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებია:

1. დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება, ამ მიზნით მიიღოს ეფექტიანი კოლექტიური ღონისძიებანი მშვიდობისადმი მუქარის აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად, აგრესიის აქტების ან მშვიდობის სხვა დარღვევათა ჩასახშობად, და მშვიდობიანი საშუალებით, სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, მოაგვაროს ან გადაწყვიტოს საერთაშორისო დავები ან სიტუაციები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მშვიდობის დარღვევა;

2. განავითაროს მეგობრული ურთიერთობა ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობის და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე მიიღოს სათანადო ღონისძიებანი საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად;

3. განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად და ყველასთვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის წასახალისებლად და განსავითარებლად მიუხედავად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა;

4. იყოს ცენტრი ერების მოქმედებათა შესათანხმებლად ამ საერთო მიზნების მისაღწევად (გაეროს წესდება, მუხლი 1).

ამ მიზნების მისაღწევად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი წევრები მოქმედებენ შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

1. ორგანიზაცია დაფუძნებულია მისი ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპზე;

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი კეთილსინდისიერად ასრულებს წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს, რათა ყველა წევრისათვის ერთობლიობაში უზრუნველყონ ის უფლებანი და უპირატესობანი, რომლებიც გამომდინარეობენ ორგანიზაციის წევრობიდან;

3. ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო დავას წყვეტს მშვიდობიანი საშუალებებით იმგვარად, რომ საფრთხე არ შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას;

4. ორგანიზაციის ყველა წევრი საერთაშორისო ურთიერთობაში თავს იკავებს ძალით დამუქრებისა ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის, ან დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი რაიმე სხვა მოქმედებისაგან;

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ყოველმხრივ დახმარებას უწევს ორგანიზაციას ყველა მოქმედებაში, რასაც იგი წესდების შესაბამისად წამოიწყებს, და თავს იკავებს იმისაგან, რომ დახმარება აღმოუჩინოს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია პრევენტიული ან იძულებითი ხასიათის მოქმედებას მიმართავს;

6. ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფოები, რომლებიც მისი წევრები არ არიან, მოქმედებდნენ ამ პრინციპების შესაბამისად, რამდენადაც ეს შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად;

7. წესდება სრულებითაც არ ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლებას ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად რომელიმე სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციაში შედის, და არ მოითხოვს ორგანიზაციის წევრებისაგან გადაწყვიტოს ასეთი საქმეები აღნიშნული წესით (გაეროს წესდება, მუხლი 2).

გაეროს წესდების მეცხრე თავი „საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობა" განსაზღვრავს სტაბილურობისა და კეთილდღეობის პირობების შექმნის მიზნით, გაეროს ამოცანებს. იგი ხელს უწყობს:

ა) ცხოვრების დონის ამაღლებას, მოსახლეობის სრულ უზრუნველყოფას სამუშაოთი და ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და განვითარების პირობებს;

ბ) საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას ეკონომიკურ, სოციალურ, ჯანმრთელობის დაცვის დარგში და ამგვარი პრობლემების გადაწყვეტას; საერთაშორისო თანამშრომლობას კულტურისა და განათლების დარგში;

გ) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას ყველასათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და სარწმუნოებისა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, 1970 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ „საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაცია". ამ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული და განმარტებულია შემდეგი შვიდი პრინციპი: 1. ძალის გამოყენებისა და ძალით დამუქრებაზე უარის თქმა; 2. საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა; 3. სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; 4. სახელმწიფოთა თანამშრომლობა გაეროს წესდების თანახმად; 5. ხალხთა თანასწორობა და თვითგამორკვევა; 6. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა; 7.

გაეროს წესდების შესაბამისად მიღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება.

დეკლარაცია აცხადებს, რომ წესდების პრინციპები „საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებია და ამიტომ ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს, რათა თავიანთ საერთაშორისო საქმიანობაში ამ პრინციპებით იხელმძღვანელონ, თავიანთი ურთიერთობანი მათი მკაცრად დაცვის საფუძველზე განავითარონ". 1970 წლის დეკლარაციას გაეროს წესდების ახსნა-განმარტებითი აქტის სახე ჰქონდა, ამიტომ მას იურიდიულად სავალდებულო ძალა მიეცა. ამან ერთხელ კიდევ განამტკიცა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საწყისები.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირზე (1975 წლის ივლისი—აგვისტო) აღნიშნული პრინციპებიდან გამოყვეს კიდევ სამი ძირითადი პრინციპი: 1. ტერიტორიული მთლიანობის ხელუხლებლობა; 2. საზღვრების დაურღვევლობა; 3. ადამიანის უფლებათა დაცვა.

ეს არ არის ახალი პრინციპები, თითოეული მათგანი შვიდი პრინციპის შემადგენელი კომპონენტია. შემდეგ ისინი დაკონკრეტდა. ამით საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების რაოდენობამ ათს მიაღწია. ეს დებულებები განმარტებული და შემდგომ განვითარებულია დოკუმენტებში „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის" (1990 წლის ნოემბერი), ჰელსინკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებული დეკლარაცია „ცვლილებათა ხანის იმედები და პრობლემები" (1992 წლის ივლისი); ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის უმაღლესი დონის თათბირების დოკუმენტებში.

გაეროს წევრად გახდომა შეუძლია ნებისმიერ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, რომელიც კისრულობს წესდების დაცვასა და შესრულებას. მიღება ხორციელდება გენერალური ასამბლეის დადგენილების საფუძველზე, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით და საბჭოს მუდმივი წევრების ერთსულოვნების შემთხვევაში.

წესდების მე-6 მუხლის შესაბამისად, გაეროს წევრი, რომელიც სისტემატურად არღვევს წესდების პრინციპებს, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით, შეიძლება გაირიცხოს ორგანიზაციიდან გენერალური ასამბლეის მიერ.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით. გაეროსთან დაკავშირებულია სპეციალიზებული დაწესებულებები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია (აშშ). აქ არის მისი მუდმივმოქმედი ორგანოები — უშიშროების საბჭო და სიმდივნო; მეტწილად იქ ტარდება სხვა მთავარი და დამხმარე ორგანოების სესიები. გაეროს ოფიციალური ენებია: ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული, არაბული და ჩინური. ამ ენებზე შედგენილია წესდების ავთენტიკური ტექსტები, შეიძლება სიტყვით გამოსვლა გაეროს ორგანოებში (საერთაშორისო სასამართლოს გარდა) და ქვეყნდება ოფიციალური დოკუმენტები. სამუშაო ენებია: ინგლისური და ფრანგული. ზოგიერთ ორგანოში კი აგრეთვე ესპანური და რუსული ენები. გაეროს ბიუჯეტს შეადგენს წევრ სახელმწიფოთა წლიური შენატანები და სხვა შემოსავლები.

გენერალური ასამბლეა. გენერალური ასამბლეა შედგება ორგანიზაციის ყველა წევრისაგან. გაეროს ნებისმიერ წევრს ერთი ხმა აქვს. სახელმწიფო დელეგაციები უნდა შედგებოდეს არაუმეტეს 5 წარმომადგენლისაგან.

გენერალური ასამბლეის ფუნქციები ორგანიზაციის საქმიანობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს. გენერალური ასამბლეა, გაეროს წესდების თანახმად, განიხილავს საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებს მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში, ხელმძღვანელობს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საქმიანობას, სამეურვეო საბჭოს დახმარებით თვალყურს ადევნებს სამეურვეო საკითხზე შეთანხმების დაცვას ყველა რეგიონში, სტრატეგიულის გარდა. ირჩევს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს, ეკონომიკური და სოციალური საბჭოსა და დეკოლონიზაციის საბჭოს წევრებს, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით ნიშ-

ნავს გაეროს გენერალურ მდივანს, განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის ბიუჯეტს.

გენერალური ასამბლეა იკრიბება თავის ყოველწლიურ სესიაზე სექტემბრის მესამე სამშაბათს და იანვრამდე განაგრძობს მუშაობას. განსაკუთრებულ შემთხვევაში უშიშროების საბჭოს მოთხოვნით ან ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის თხოვნით, გენერალური მდივნის მოწვევით მუშაობას იწყებს სპეციალური სესიები.

გაეროს გენერალური ასამბლეის რიგგარეშე სესიები იწვევა ან ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, ან თანხმობით. საგანგებო სესია იწვევა 24 საათის განმავლობაში. სესია ირჩევს თავმჯდომარესა და მის 21 მოადგილეს გეოგრაფიული რაიონების სამართლიანი წარდგენის პრინციპის დაცვით.

მუშაობა წარმოებს გენერალური ასამბლეის პლენარულ და კომიტეტების სხდომებზე. იქმნება 7 კომიტეტი. ეს კომიტეტებია: 1. პირველი კომიტეტი — პოლიტიკური საკითხები და განიარაღება; 2. სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი — პოლიტიკური საკითხები, უშიშროება, განიარაღება; 3. მეორე კომიტეტი — ეკონომიკური და ფინანსური საკითხები; 4. მესამე კომიტეტი — სოციალური და ჰუმანიტარული საკითხები; 5. მეოთხე კომიტეტი — დეკოლონიზაციის საკითხები; 6. მეხუთე კომიტეტი — ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხები; 7. მეექვსე კომიტეტი — სამართლებრივი საკითხები.

გენერალური ასამბლეის სესია ქმნის აგრეთვე პროცედურულ კომიტეტებს: 1. გენერალური კომიტეტი (თავმჯდომარე, 21 მოადგილე, 7 კომიტეტის თავმჯდომარე) განაგებს დღის წესრიგს, მუშაობის წესსა და რეგლამენტს; 2. რწმუნებათა შემოწმების კომიტეტი.

გაეროს წესდების შესაბამისად, გენერალური ასამბლეას და უშიშროების საბჭოს შეუძლიათ ახალი ორგანოები შექმნან თავიანთი ფუნქციონირების უფრო ნაყოფიერად წარმართვის მიზნით. გენერალურ ასამბლეას, ძირითადი კომიტეტების გარდა, უფლება აქვს შექმნას სხვა კომიტეტები ან ქვეკომიტეტები. გენერალურმა ასამბლეამ დააარსა 4 ძირითადი ორგანო: სარევიზიო კომისია, ინვესტიციების კომი-

ტეტი, გაეროს პერსონალისათვის საპენსიო ფონდის კომიტეტი, საერთაშორისო სამართლის კომისია და მრავალი დამხმარე ორგანო – განიარაღების კომისია, კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომისია, არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის შეგროვების კომიტეტი და სხვ.

გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია (წესდების 22 მუხლი) დაანესოს ისეთი დამხმარე ორგანოები, რომლებსაც იგი საჭიროდ ჩათვლის თავისი ფუნქციების განსახორციელებლად.

გენერალურმა ასამბლეამ შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი რიგი საერთაშორისო დოკუმენტის შემუშავებასა და მომზადებაში, სახელდობრ, საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და კოდიფიკაციაში. გაეროში დამკვიდრდა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების მთელი პრაქტიკა. ამ პრაქტიკის შესაბამისად, თავდაპირველად იღებდნენ დეკლარაციებს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო შემდეგ დეკლარაციათა საფუძველზე მუშავდებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები.

გენერალური ასამბლეის რეზოლუციები არ წარმოადგენენ იურიდიულად სავალდებულოს სახელმწიფოებისათვის, მაგრამ მათ არ შეიძლება მიეცეთ უბრალო მოწოდებისა და სურვილის კვალიფიკაცია.

გაეროს წესდება სავალდებულოდ თვლის, რომ სახელმწიფოებმა კეთილსინდისიერად განიხილონ გენერალური ასამბლეის რეზოლუციები. დღემდე მიღებულია გენერალური ასამბლეის 10 ათასი რეზოლუცია, რომლებმაც დიდი ზეგავლენა მოახდინეს საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციაზე (კოდიფიკაცია – სამართლის ცალკეული დარგების კანონთა სისტემაში მოყვანა, ერთ კრებულში გაერთიანება) [1].

გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია:

---

1. И. Герчикова. Международные экономические организации. Москва, 2002, стр. 55

1. განიხილოს მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები, მათ შორის ის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ განიარაღების და შეიარაღების რეგულირებას, და ამ პრინციპების შესახებ მისცეს რეკომენდაციები გაეროს წევრ სახელმწიფოებსა და უშიშროების საბჭოს;

2. განიხილოს ყოველი საკითხი, რომლებიც სერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას ეხება;

3. უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყროს იმ სიტუაციებზე, რომელიც შესაძლებელია ემუქრებოდნენ საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას [1].

გაეროს წესდების 13-ე მუხლის მიხედვით, გენერალური ასამბლეა აწყობს გამოკვლევას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმ მიზნით, რომ ა) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას პოლიტიკურ დარგში და წაახალისოს საერთაშორისო სამართლისა და მისი კოდიფიკაციის პროგრესული განვითარება; ბ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში და ადამიანის უფლებათა განხორციელებას.

გენერალური ასამბლეა იღებს და განიხილავს უშიშროების საბჭოს ყოველწლიურ და სპეციალურ მოხსენებებს, რომლებიც შეიცავენ ანგარიშს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის იმ ღონისძიებათა შესახებ, საბჭომ რომ გადაწყვიტა.

გენერალური ასამბლეა განიხილავს და ამტკიცებს გაეროს ბიუჯეტს; აგრეთვე ყოველგვარ საფინანსო და საბიუჯეტო შეთანხმებებს სპეციალიზებულ დაწესებულებებთან.

გენერალური ასამბლეის თითოეულ წევრს ერთი ხმა აქვს. გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა მიღება მნიშვნელოვან საკითხებზე (რეკომენდაციები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის შესახებ, უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების, ეკონომიკური და სოციალური

---

1. გაეროს წესდება, იხილეთ წიგნში: ლევან ალექსიძე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გვ. 105–106.

საბჭოს, მეურვეობის საბჭოს წევრთა არჩევნები, ახალ წევრთა მიღება, ორგანიზაციის წევრთა უფლებებისა და პრივილეგიების შეჩერება, გაეროდან წევრთა გარიცხვა, საბიუჯეტო და სხვა) წარმოებს დამსწრეთა და ხმის მიცემის მონაწილეთა ორი-მესამედის უმრავლესობით. გადაწყვეტილებათა მიღება სხვა საკითხებზე წარმოებს დამსწრეთა და ხმის მიცემის მონაწილეთა უბრალო უმრავლესობით.

გენერალური ასამბლეა იკრიბება მორიგ ყოველწლიურ სესიებსა და ისეთ სპეციალურ სესიებზე, რომლებიც შეიძლება გარემოებამ მოითხოვოს. სპეციალურ სესიებს იწვევს გენერალური მდივანი უშიშროების საბჭოს ან გაეროს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით. გენერალური ასამბლეა ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს. იგი ირჩევს თავის თავმჯდომარეს თითოეულ სესიაზე.

უშიშროების საბჭო. უშიშროების საბჭო გაეროს უმნიშვნელოვანესი მუდმივად მოქმედი ორგანოა. მას ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა მშვიდობის დაცვისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან 5 მუდმივია, ხოლო ათს გენერალური ასამბლეა ირჩევს 2 წლის ვადით [1]. უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა და ჩინეთი, რომელთაც ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

წესდების თანახმად, უშიშროების საბჭო:

1. იცავს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას:

2. იძიებს ყველა დავასა და სიტუაციას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო დაძაბულობა;

3. იძლევა რეკომენდაციას ასეთი დავის გადაწყვეტის მეთოდების შესახებ;

4. შეიმუშავებს შეიარაღების რეგულირების სისტემის შექმნის გეგმებს;

---

1. თავდაპირველად წესდება ითვალისწინებდა ექვსი არამუდმივი წევრის არჩევას. 1965 წლიდან, როდესაც გაეროს წევრთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა, არამუდმივ წევრთა რაოდენობა ათამდე გაიზარდა.

5. განსაზღვრავს მშვიდობის დარღვევის საფრთხისა და აგრესიის აქტის ფაქტს და იძლევა რეკომენდაციებს საჭირო ზომების მიღებისათვის; მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს აგრესორის წინააღმდეგ გამოიყენონ ეკონომიკური ან სხვა ისეთი სანქციები, რომლებიც შეიარაღებული ძალის გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული;

6. მიმართავს სამხედრო მოქმედებას აგრესორების ასალაგმავად;

7. იძლევა რეკომენდაციებს ახალი წევრების მიღებისა და გენერალური მდივნის დანიშვნის თაობაზე;

8. გენერალურ ასამბლეასთან ერთად ირჩევს საერთაშორისო სასამართლოს წევრებს.

უშიშროების საბჭო მოქმედებს გაეროს ყველა წევრის სახელით და უფლებამოსილია მშვიდობის დაცვის ან მისი აღდგენის მიზნით ჩაერიოს ნებისმიერ საერთაშორისო დავასა, ან შეიარაღებულ კონფლიქტში; შეუძლია რეკომენდაცია მისცეს, ანდა გადაწყვიტოს საჭირო ღონისძიებების მიღების საკითხი. გაეროს წესდების 25-ე მუხლის შესაბამისად, ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს „დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი“.

უშიშროების საბჭოს თითოეულ წევრს ერთი ხმა აქვს.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი პროცედურულ საკითხებზე მიიღება 9 ხმის უმრავლესობით, მიუხედავად იმისა, თანახმაა ამაზე ხუთივე დიდი სახელმწიფო თუ არა. მაგრამ როდესაც განიხილება არაპროცედურული საკითხი, ამ შემთხვევაში ცხრა ხმა უნდა შეიცავდეს ყველა მუდმივი წევრის დადებით ხმას. ეს წესი დიდ სახელმწიფოთა ერთხმოვნების პრინციპადაა აღიარებული და გაეროს საქმიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. იგი ემყარება იმ დებულებას, რომ თუ ყველა დიდი სახელმწიფო შეთანხმებულად იმოქმედებს, მშვიდობა მართლაც იქნება მსოფლიოში.

თითქმის ხუთი წელია დგას გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი და არამუდმივი წევრების გაზრდის საკითხი, მაგრამ დღემდე ვერ გადაწყდა.

უშიშროების საბჭოსთან შექმნილია სამხედრო-საშტაბო კომიტეტი, რომელიც საბჭოს მუდმივ წევრთა სამხედრო შტაბთა მეთაურებისაგან შედგება და მოწოდებულია დახმარება გაუწიოს უშიშროების საბჭოს ღონისძიებების რეალიზაციის საქმეში. გაეროს წესდებით უშიშროების საბჭოს განკარგულებაში მეტად ეფექტიანი საშუალებებია აგრესიის აღსაკვეთად.

გაეროს სისტემაში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ინსტიტუტი „მშვიდობის დაცვის ოპერაციები", რომელიც ითვალისწინებს გაეროს სპეციალური შეიარაღებული განაყოფის შექმნას, „ცხელ წერტილებში" მხარეთა დაშორიშორებისა და შუაში ჩადგომის მიზნით. „მშვიდობის დაცვის შეიარაღებული ძალები" შედგება წევრი სახელმწიფოების მიერ გამოყოფილ სამხედრო კონტინგენტისაგან. ეს ნაწილები შეიარაღებული არიან მსუბუქი იარაღით და მათ არა აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა შეირაღებულ ბრძოლაში, თუ კი თვითონ არ არიან თავდასხმის ობიექტები. გაეროს შეიარაღებული ძალები უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებენ, ვიდრე რეალურ სამხედრო ძალას წარმოადგენენ.

გაეროს წესდების მიხედვით (მუხლი 46) შეიარაღებული ძალების გამოყენების გეგმებს ადგენს უშიშროების საბჭო სამხედრო-საშტაბო კომიტეტის დახმარებით. კომიტეტი იქმნება იმისათვის, რომ რჩევა მისცეს და დახმარება გაუწიოს უშიშროების საბჭოს ყველა საკითხზე, რომელიც შეეხება უშიშროების საბჭოს სამხედრო მოთხოვნილებებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში, მის განკარგულებაში გადაცემული ჯარების გამოყენებას და მათ სარდლობას, აგრეთვე შეიარაღების რეგულირებას და შესაძლო განიარაღებას.

სამხედრო-საშტაბო კომიტეტი, რომელიც უშიშროების საბჭოს ემორჩილება, პასუხისმგებელია უშიშროების საბჭოს განკარგულებაში გადაცემული ყოველი შეიარაღებული ძალის სტრატეგიული ხელმძღვანელობისათვის.

წესდების 50-ე მუხლის თანახმად, თუ უშიშროების საბჭო მიიღებს პრევენტიულ ან იძულებით ღონისძიებებს რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, ყოველ სხვა სახელმწიფოს, მიუხე-

დავად იმისა, ორგანიზაციის წევრია თუ არა, რომლის წინაშეც დადგება სპეციალური ეკონომიკური პრობლემები, უფლება აქვს კონსულტაცია მიიღოს უშიშროების საბჭოსაგან ასეთი პრობლემების გადასაწყვეტად.

გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად, „ეს წესდება ოდნავადაც არ ეხება ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას, თუ მოხდა შეიარაღებული თავდასხმა ორგანიზაციის წევრზე, მანამდე, სანამ უშიშროების საბჭო არ მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად საჭირო ღონისძიებებს. თავდაცვის ამ უფლების განხორციელებისას ორგანიზაციის წევრთა მიერ მიღებული ღონისძიებანი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეხებოდეს უშიშროების საბჭოს ამ წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას, ნებისმიერ დროს მიმართოს ისეთ მოქმედებას, როგორსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ან აღსადგენად".

უშიშროების საბჭო იმგვარად იქმნება, რომ მას შეეძლოს განუწყვეტლივი ფუნქციონირება. ამ მიზნით უშიშროების საბჭოს თითოეული წევრი მუდმივად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის სამყოფელ ადგილზე. უშიშროების საბჭო პერიოდულად იკრიბება სხდომებზე, ამას თან, საბჭოს სხდომები შეიძლება ჩატარდეს არა მარტო ორგანიზაციის ადგილსამყოფელზე, არამედ ნებისმიერ ადგილზე, რომელიც უფრო მეტად უწყობს ხელს მის მუშაობას. უშიშროების საბჭო გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ყოველწლიურ და სპეციალურ მოხსენებებს.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო. ეკონომიკური და სოციალური საბჭო მოწოდებულია გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელობით განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკურ და სოციალურ დარგებში. იგი შედგება 54 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს გენერალური ასამბლეა სამი წლით; გენერალური ასამბლეა ყოველწლიურად საბჭოს განაახლებს ერთი მესამედით.

საბჭოს უმაღლესი ორგანოა სესია, რომელიც იკრიბება წელიწადში ორჯერ ნიუ-იორკში და ჟენევაში. შეიძლება სპეციალური სესიების მოწვევაც.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო, ჯერ ერთი, უზრუნველყოფს გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობას; მეორე, იკვლევს, ადგენს მოხსენებებს და იძლევა რეკომენდაციებს საერთაშორისო საკითხებზე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა მსგავს დარგებში; მესამე, რეკომენდაციას იძლევა ადამიანის უფლებათა და თავისუფლების პატივისცემის დაცვა-წახალისების მიზნით; მეოთხე, იწვევს საერთაშორისო კონფერენციებს და შეიმუშავებს სათანადო კონვენციების პროექტებს გენერალურ ასამბლეაში წარსადგენად; მეხუთე, სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან აწარმოებს მოლაპარაკებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მათი ურთიერთობის შესახებ.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს: სტატისტიკური კომისიის, ხალხთა დასახლების კომისიის, სოციალური კომისიის, ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის, ქალთა კომისიის, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისიის, ნედლეულით საერთაშორისო ვაჭრობის კომისიის დახმარებით. ამ საბჭოს საქმიანობა ბევრადაა დამოკიდებული ხუთ რეგიონულ ეკონომიკურ კომისიაზე. ესენია: ეკონომიკური კომისია ევროპისათვის — 29 წევრი, ჟენევა; ეკონომიკური კომისია აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის — 23 წევრი, 2 წევრ-თანამშრომელი, შესაბამისად ბაღდადი და ბანგკოკი; ეკონომიკური კომისია ლათინური ამერიკისათვის — 24 წევრი, სანტიაგო დე ჩილე; ეკონომიკური კომისია აფრიკისათვის — 30 წევრი, ადის-აბება, დასავლეთ აზიისათვის. საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, დააარსოს მუდმივი და დროებითი კომისიები და კომიტეტები.

საბჭოს შეუძლია მიმართოს კონსულტაციისათვის არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, საპარლამენტთაშორისო კავშირი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია და სხვა). საბჭო ხელმძღვანელობს სხვადასხვა კომისიას, რომელთა მიზანია ტექნიკური დახმარება გაუწიონ განვითარებად ქვეყნებს.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო დაკავშირებულია 19 ადმინისტრაციულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელთაც საბჭოსთან სპეციალური შეთანხმების ძალით აქვთ „სპეციალიზებულ დაწესებულებათა“ სტატუსი და რომელთა საქმიანობა გაეროს (საბჭოს სახით) ხელმძღვანელობით უნდა წარიმართოს.

გაეროს წესდების 64-ე მუხლის შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სათანადო ზომები სპეციალიზებული დაწესებულებებისაგან რეგულარულ მოხსენებათა მისაღებად. საბჭო უფლებამოსილია აცნობოს გენერალურ ასამბლეას თავისი შენიშვნები ამ მოხსენებათა გამო.

მუხლი 65. ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია წარუდგინოს უშიშროების საბჭოს ინფორმაცია და, უშიშროების საბჭოს წინადადებით, მოვალეა დაეხმაროს მას.

მუხლი 66. 1. ეკონომიკური და სოციალური საბჭო ახორციელებს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც შედის მის კომპეტენციაში გენერალური ასამბლეის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. 2. საბჭო უფლებამოსილია გენერალური ასამბლეის დასტურით, შეასრულოს სამუშაო ორგანიზაციის წევრთა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა თხოვნით; 3. საბჭო უნდა ასრულებდეს ისეთ სხვა ფუნქციას, რომლებიც ჩამოთვლილია წესდების სხვა ნაწილებში ან რომლებიც მას შეიძლება დააკისროს გენერალურმა ასამბლეამ.

მეურვეობის საბჭო. მოქმედებს გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელობით; საბჭო მოწოდებული იყო ხელი შეეწყო კოლონიებში მცხოვრები ხალხებისათვის, მიეღწიათ თვითმმართველობის ან დამოუკიდებლობისათვის. იგი გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანოა, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა გაეროს მეურვეობის საერთაშორისო სისტემაში ჩართული ტერიტორიების მდგომარეობაზე. მანვე უნდა წარუდგინოს უშიშროების საბჭოს და გენერალურ ასამბლეას რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია სამეურვეო ტერიტორიების ხალხთა თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის

უფლებების განხორციელებისაკენ. იგი შეიქმნა 1946 წელს. მეურვეობის სისტემის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სამეურვეო ტერიტორიების მოსახლეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, მის წინსვლას განათლების, თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობის სფეროში. ამ სისტემის არსებობის პერიოდში დაიდო ათზე მეტი სამეურვეო შეთანხმება.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი განვითარების შედეგად სამეურვეო ტერიტორიების უმრავლესობამ დამოუკიდებლობას მიაღწია.

დღეს მსოფლიოს მოწინავე ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ დეკოლონიზაციის თვალსაზრისით, ეს საბჭო, დიდ როლს აღარ ასრულებს. ადრე ამ საბჭოს დახმარებით ბევრმა არათვითმმართველმა ტერიტორიამ დამოუკიდებლობა მიიღო. დღეს მათი რიცხვი მცირეა.

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია გაეროს გენერალური ასამბლეაზე 1960 წლის 14 დეკემბერს მიღებული „დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ".

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ და უპირობოდ მოეღოს ბოლო კოლონიალიზმის ყოველგვარ ფორმასა და გამოვლინებას; ამ მიზნით დეკლარაციში შემუშავებულია შემდეგი პრინციპები:

1. ხალხთა დამორჩილება უცხოური უღლისა და ბატონობისადმი და მათი ექსპლუატაცია ადამიანის ძირითად უფლებათა უარყოფაა, ეწინააღმდეგება გაეროს წესდებას, აბრკოლებს თანამშრომლობის განვითარებას და მშვიდობის დამყარებას მთელ მსოფლიოში;

2. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება; ამ უფლების ძალით ხალხები თავისუფლად ამყარებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ახორციელებენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას;

3. არასაკმაო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მომზადებულობა ან არასაკმაო მომზადებულობა განათლების დარგში არასოდეს უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც საბაბი დამოუკიდებლობის მინიჭების დასაყოვნებლად;

4. ყოველგვარი შეიარაღებული მოქმედება ან ნებისმიერი ხასიათის რეპრესიული ზომები, მიმართული დამოკიდებულ ხალხთა წინააღმდეგ, უნდა შეწყდეს იმისათვის, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში განახორციელონ თავიანთი უფლება სრულ დამოუკიდებლობაზე, მათი ეროვნული ტერიტორიის მთლიანობა კი პატივისცემით უნდა სარგებლობდეს;

5. სამეურვეო და არათვითმმართველ ტერიტორიებზე აგრეთვე სხვა ტერიტორიებზე, რომელსაც ჯერ არ მიუღია დამოუკიდებლობა, დაუყოვნებლივ უნდა იყოს მიღებული ზომები მთელი ხელისუფლების გადასაცემად ამ ტერიტორიის ხალხებისათვის. მათ მიერ თავისუფლად გამოთქმული ნება-სურვილის შესაბამისად, ყოველგვარი პირობებისა თუ დათქმების გარეშე, მათი რასის, რელიგიისა თუ კანის ფერის მიუხედავად, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ სრული დამოუკიდებლობითა და თავისუფლებით ისარგებლონ;

6. ყოველგვარი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ ნაწილობრივ ან მთლიანად გამოეთხაროს ძირი ეროვნულ ერთიანობასა და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებთან და პრინციპებთან;

7. ყველა სახელმწიფომ ზუსტად და განუხრელად უნდა დაიცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დებულებანი ყველა სახელმწიფოს თანასწორობის, მათი საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ყველა ხალხის სუვერენული უფლებების და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე.

საერთაშორისო სასამართლო გაეროს მთავარი სასამართლო ორგანოა. იგი მოქმედებს სპეციალური სტატუსის მიხედვით. ის შეიქმნა 1945 წელს ერთა ლიგასთან არსებული საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის ნაცვლად.

სასამართლოს ორგანიზაციას, კომპეტენციასა და პროცედურას განსაზღვრავს საერთაშორისო სასამართლოს სტატუ-

სი, რომელიც გაეროს წესდების განუყოფელი ნაწილია, ამიტომ სტატუსის ყველა წევრი ავტომატურად ითვლება სასამართლოს სტატუსის მონაწილედ.

გაეროს წესდების 94-ე მუხლის თანახმად, ორგანიზაციის თითოეული წევრი ვალდებულია შეასრულოს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებანი იმ საქმეზე, რომელშიც იგი მხარეს წარმოადგენს.

საერთაშორისო სასამართლო შედგება 15 მოსამართლისაგან, რომლებსაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ირჩევს გაეროს ასამბლეა და უშიშროების საბჭო 9 წლის ვადით. ყოველ სამ წელიწადში სასამართლოს ერთი მესამედი უნდა განახლდეს.

მოსამართლეებს ირჩევენ არა მათი მოქალაქეობის, არამედ კვალიფიკაციის მიხედვით, პირველ რიგში მხედველობაში მიიღება კანდიდატის მეცნიერული და პრაქტიკული კვალიფიკაცია და ავტორიტეტი. ერთსა და იმავე სახელმწიფოს არ შეუძლია სასამართლოში ჰყავდეს ორი მოსამართლე. გათვალისწინებულია ისიც, რომ სასამართლოში წარდგენილი უნდა იყოს მსოფლიოში არსებული მთავარი სამართლებრივი სისტემები. „სასამართლო შედგება დამოუკიდებელ მოსამართლეთა კოლეგიისაგან, — ნათქვამია საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში, — რომელნიც არჩეული არიან, მათი მოქალაქეობისაგან დამოუკიდებლად, მაღალ მორალურ თვისებათა მქონე პირების რიცხვიდან. ისინი აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც მათ ქვეყნებში მოეთხოვებათ უმაღლეს სასამართლო თანამდებობებზე დასანიშნად და საერთაშორისო სამართლის დარგში აღიარებული ავტორიტეტის იურისტები არიან"[1].

საერთაშორისო სასამართლოს ძირითადი ამოცანაა იურიდიული ხასიათის საკამათო სიტუაციების განხილვა. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მომჩივნის პოზიცია ეწინააღმდეგება

---

1. საერთაშორისო სასამართლოს წესდება, იხ. წიგნში: „საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები", 1949, გვ. 266.

სასამართლოს გადაწყვეტილებას, მას შეუძლია კასაციისთვის მიმართოს სასამართლო დარბაზს საბოლოო განაჩენისათვის.

ორგანიზაციის თითოეული წევრი ვალდებულია შეასრულოს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებანი იმ საქმეებზე, რომლებშიც იგი მხარეს წარმოადგენს.

გაეროს წესდების 94-ე მუხლის თანახმად, „იმ შემთხვევაში, თუ საქმის მონაწილე რომელიმე მხარე არ შეასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს უშიშროების საბჭოს, რომელსაც შეუძლია, თუ ამას საჭიროდ ცნობს, მისცეს რეკომენდაციები ან გადაწყვიტოს ღონისძიებათა მიღება გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად“.

გენერალური ასამბლეას ან უშიშროების საბჭოს შეუძლიათ მოსთხოვონ საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე.

სამართლის წყაროები, რომელთაც იყენებს სასამართლო საქმის განხილვის დროს, შემდეგია:

1. საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც მოდავე სახელმწიფოების მიერ აღიარებულ წესებს ადგენენ;

2. საერთაშორისო ჩვეულება, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურება;

3. სამართლის ზოგადი პრინციპები, რომლებიც აღიარებულია ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ;

4. სასამართლო გადაწყვეტილებანი და საერთაშორისო სამართლის ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტების დოქტრინა (შეხედულება, დებულება, სწავლება), როგორც დამხმარე საშუალება სამართლებრივ ნორმის დადგენისათვის.

საერთაშორისო სასამართლო სამი წლით ირჩევს თავმჯდომარეს, ვიცე-თავმჯდომარეს და ნიშნავს მდივანს (შვიდი წლით). სასამართლოს ოფიციალური ენებია: ფრანგული და ინგლისური. მაგრამ სასამართლოს შეუძლია ნება დართოს მხარეებს ისარგებლონ სხვა ენებითაც. სასამართლოს ადგილსამყოფელი ჰააგაშია.

სასამართლოს გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით, ამასთან, კვორუმს უნდა შეადგენდეს არანაკლებ 9 წევრი. სასამართლოს გადაწყვეტილებები საბოლოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თავისი სტატუსის მიხედვით, სასამართლო დამოუკიდებული ორგანოა, რომელიც არ ექვემდებარება გაეროს არც ერთ სხვა ორგანოს. საერთაშორისო სასამართლო, რომელმაც განვლო საკმაოდ რთული გზა, თავის საქმიანობას წარმართავს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ამაღლებს მის საერთაშორისო ავტორიტეტს მთელ მსოფლიოში.

გაეროს წესდების 96-ე მუხლის თანახმად, გენერალურ ასამბლეას ან უშიშროების საბჭოს შეუძლია სთხოვონ საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები ყოველ იურიდიულ საკითხზე. გაეროს სხვა ორგანოებს და სპეციალიზებულ დაწესებულებებს, რომლებისთვისაც გენერალურ ასამბლეას ყოველთვის შეუძლია საამისო ნებართვის მიცემა, აგრეთვე შეუძლიათ სთხოვონ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები იმ იურიდიულ საკითხებზე, რომლებიც მათი საქმიანობის წრის ფარგლებში წამოიჭრება.

სამდივნო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი თანამდებობის პირია გენერალური მდივანი, რომელსაც ფართო ადმინისტრაციული უფლებები აქვს. იგი წარმოადგენს ორგანიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე, უფლებამოსილია უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაქციოს ყველა ისეთ საკითხზე, რომელიც, მისი აზრით, საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას.

გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით, გენერალურ მდივანს ნიშნავს ხუთი წლის ვადით. ამავე ვადით, იგივე პირი, შეიძლება ხელმეორედ აირჩიონ ამ თანამდებობაზე. გენერალური მდივანი ასამბლეას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

1946-1953 წლებში გაეროს გენერალური მდივანი იყო ტრიუმვე ლი (ნორვეგია), 1953-1961 წლებში — დაგ ჰამარშელდი (შვეცია), 1961-1971 წლებში უ ტანი (ბირმა), 1972-1981 წლებში — კურტ ვალდჰაიმი (ავსტრია), 1981-1991 წლებში პერეს დე კუელიარი (პერუ), 1991-1996 წლებში ბუტროს ბუტროს გალი, 1996 წლიდან გაეროს გენერალური მდივანია განის წარმომადგენელი კოფი ანანი.

სამდივნო შედგება გენერალური მდივნის კანცელარიის, ადმინისტრაციის, სამართლის, კადრებისა და კონტროლის ბიუროს, უშიშროების საბჭოსა და პოლიტიკის, ეკონომიკური და სოციალური, მეურვეობისა და დეკოლონიზაციის დეპარტამენტისაგან. სამდივნოს პერსონალს ნიშნავს გენერალური მდივანი, რომელიც სათავეში უდგას უზარმაზარ აპარატს.

სამდივნო ასრულებს გაეროს ადმინისტრაციულ ფუნქციებს. იგი მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს და ემსახურება გაეროს ორგანოებს — ასრულებს მათ მიერ მიღებულ პროგრამებს და ატარებს მათ პოლიტიკას; იღებს, თარგმნის, გამოსცემს და ავრცელებს გენერალური ასამბლეის, მისი კომიტეტებისა და დამხმარე ორგანოების დოკუმენტებს, მოხსენებებსა და გადაწყვეტილებებს; უზრუნველყოფს სხდომებზე წარმოთქმული სიტყვების სინქრონულ თარგმანს; ადგენს, ბეჭდავს და ავრცელებს სხდომების მოკლე ანგარიშებს, ინახავს დოკუმენტებს გენერალური ასამბლეის არქივში.

სამდივნო შედგება დეპარტამენტებისა და ბიუროებისაგან, რომლებსაც მეთაურობენ გენერალური მდივნის მოადგილეები. ესენია: უშიშროებისა და პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტი, ეკონომიკური და სოციალური დეპარტამენტი, არათვითმმართველი ტერიტორიებისა და მეურვეობის დეპარტამენტი, საკონტროლო, კადრების, სამართლის, ინფორმაციის, კონფერენციების, საერთო სამსახურების ბიუროები.

გენერალური მდივნის დასახმარებლად 1997 წლიდან შემოიღეს გაეროს ვიცე-გენერალური მდივნის თანამდებობა, რომელიც ეხმარება გენერალურ მდივანს.

გენერალური მდივანი მონაწილეობს გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოს, ეკონომიკური და სოციალური

საბჭოს, აგრეთვე მეურვეობის საბჭოს სხდომების მუშაობაში და ასრულებს ისეთ სხვა ფუნქციებს, რომლებსაც მას ეს ორგანოები აკისრებენ. გენერალური მდივანი გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს ორგანიზაციის მუშაობის შესახებ (მუხლი 93).

გენერალურ მდივანს, წესდების 99-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვს აცნობოს უშიშროების საბჭოს ყოველი საკითხის შესახებ, რომლებიც მისი აზრით, შეიძლება დაემუქრონ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას.

სამდივნოს თანამშრომელთა რაოდენობა 30 ათასამდეა [1]. მათ საქმიანობას წარმართავს გაეროს გენერალური მდივანი სხვადასხვა კომიტეტისა და კომისიის მეშვეობით.

მსოფლიო საზოგადოება ნახევარ საუკუნეზე მეტია გაეროს მეშვეობით ეძებს მსოფლიო მეურნეობის პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გზებსა და მექანიზმებს. მსოფლიო მეურნეობის ახალი სფეროები და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები გაეროს კვლევის, ანალიზის, გზების ძიებისა და საშუალებების საგანი ხდება. გაეროს ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: 1. გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა; 2. სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებისა და განვითარების ხელშეწყობა; 3. რეგიონული ეკონომიკური განვითარების პრობლემების მოწესრიგება; 4. განვითარებადი ქვეყნებისადმი ეკონომიკური დახმარება.

გაეროს სისტემაში შედიან საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური კომისიები. მათი მნიშვნელობა მეტად თვალსაჩინოა. ეს კომისიებია:

1. ტრანსეროვნული კორპორაციების კომისია. იგი გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დამხმარე ორგანოა, რომელიც 1974 წელს შეიქმნა. კომისია შედგება 48 წევრისაგან, რომლებსაც სამი წლის ვადით ირჩევენ;

2. ევროპის კომისია. იგი 1947 წელს შეიქმნა ომისშემდგომი ევროპის ეკონომიკური აღორძინების ხელშეწყობის მიზნით (შტაბ-ბინა ჟენევაშია). თავისი საქმიანობა გადაიტანა ეკო-

---

1. **Политология; учебник для вузов. отв. редактор В. Д. Перевалов. Москва, 2001. стр. 230.**

ლოგიის, ენერგიის ეფექტიანი გამოყენების, ტრანსპორტის (ეკოლოგიური მიმართულებით) და ტყის რესურსების სფეროში.

3. **აფრიკის ეკონომიკური კომისია.** იგი დაარსდა 1958 წელს, აფრიკის კონტინენტზე განვითარების პრობლემების შესწავლისა და ანალიზის მიზნით. კომისია იკვლევს და ამუშავებს მოცემული რეგიონის ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს (ბრძოლა გვალვასთან, ირიგაციის სფეროში პროექტების შექმნა, კადრების მომზადება და სხვა).

4. **ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ეკონომიკური კომისია.** იგი შეიქმნა 1948 წელს მოცემულ რეგიონში განვითარების პრობლემების შესწავლისა და ანალიზის მიზნით.

5. **აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია.** შეიქმნა 1947 წელს. კომისია უმთავრესად მუშაობს ტექნოლოგიების გადაცემის სფეროში.

6. **დასავლეთ აზიის ეკონომიკური და სოციალური კომისია.** იგი შეიქმნა 1974 წელს. კომისია საქმიანობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა, ეკონომიკურ ურთიერთობათა განმტკიცება.

ამგვარად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნივერსალური და ზოგადი ტიპის სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციაა, უნიკალურია თავისი კომპეტენციითა და სტრუქტურით; იგი არ არის „ზესახელმწიფოებრივი“ დაწესებულება, რაიმე „მსოფლიო მთავრობის“ მსგავსი ინსტიტუტი. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად, გაერო საერთაშორისო ხელშეკრულებით (წესდებით) არის შექმნილი და ამ წესდების ფარგლებში მოქმედებს. ამავე დროს მსოფლიო მშვიდობის დაცვისა და უშიშროების სფეროში წესდებით ნაკისრი ვალდებულებები ამ ორგანიზაციას განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს. გაერო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა ყველა სფეროს მომცველი თანამშრომლობის ცენტრია, ათასი ძაფითაა დაკავშირებული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელნიც ცნობენ მის ხელმძღვანელ როლს და აღიარებენ მის ავტორიტეტს[1].

---

1. ლეონ ალექსიძე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 1985, გვ. 46.

***

ამ ბოლო წლებში გაეროში ბევრი რეფორმა განხორციელდა, თუმცა, ეს რეფორმები, ძირითადად ორგანიზაციის სტრუქტურულ ნაწილს შეეხო. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, თანამედროვე რეალობათა გათვალისწინებით, გარკვეული გადახედვა სჭირდება. მსოფლიო შეიცვალა, გაერო კი თავისი სტრუქტურით ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ცნობილი კონფრონტაციის პერიოდში.

ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს გლობალური საერთაშორისო მართლწესრიგის უზრუნველყოფის საქმეში ყველაზე უფლებამოსილი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფორუმების უუნარობა — თავიანთი წესდებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად დაიცვან ეს წესრიგი.

დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები — გლობალიზაცია და ურთიერთდამოკიდებულება გულისხმობენ კაცობრიობის ბედისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის ამაღლებას. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ეროვნული სახელმწიფოების საზღვრები ველარ იტევენ თანამედროვე საფრთხეთა უმეტესობას — ისინი პლანეტური მასშტაბის და ხასიათისა არიან. ცალკე მათ ვერც ერთი სახელმწიფო გაუმკლავდება. განსაკუთრებით საშიშია გლობალურ საფრთხეთა ის სახეობები, რომლებიც არიან ძალადობის ნიშნის მატარებელნი.

სრულიად აშკარაა, რომ დადგა დრო, როცა ათობით წლის წინათ მიღებული წესები ველარ პასუხობენ რეალობას. ვეტოს ინსტიტუტი გაეროს უშიშროების საბჭოში, რომელიც თავისთავად დადებითი მოვლენაა, იმ ეპოქის პროდუქტია, როდესაც მსოფლიო ორ დაპირისპირებულ ბანაკად, ორ სისტემად იყო გათიშული და უმთავრესი — წონასწორობის დაცვის პრობლემა იყო. არც უშიშროების საბჭოს შემადგენლობაა დღევანდელი სინამდვილის ადექვატური. მისი მუდმივი წევრების რაოდენობის ზრდა გარდაუვალია იმ ქვეყნების ხარჯზე, რომლებიც რეალურად, განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით, მსოფლიო გიგანტებს წარმოადგენენ. ამასთან ერთად, თუკი მომა-

ვალში ვერ მოხერხდა საერთაშორისო თანამეგობრობის გადაწყვეტილებების, მათ შორის, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების დროული და უპირობო შესრულების უზრუნველმყოფი მექანიზმების შემუშავება, დაუსჯელობისა და ანარქიის ატმოსფეროში მსოფლიო მიადგება მიჯნას, საიდანაც დაიწყება ისეთი განუჭვრეტელი პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ კაცობრიობა კატასტროფამდე მიიყვანონ.

ამ შემთხვევაში შესამუშავებელია ახალი მექანიზმები; ამჟამინდელი მექანიზმი ჩამოყალიბდა კონფრონტაციული მსოფლიოსათვის. დღეს საჭიროა ახალი მიდგომა, რომელიც გამოსადეგია „ცივი ომიდან" ახალ მსოფლიო წესრიგზე გარდამავალი ეტაპისათვის, რომელმაც, შესაძლოა, კიდევ ათობით წელიწადს გასტანოს.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დისკუსიის საგანია გაეროს რეფორმა. მაგრამ იგი დასკუსიებს, აზრთა თეორიულ გაცვლა-გამოცვლას ვერ სცილდება. საკმაოდ დიდი დრო დაეთმო დისკუსიებს გაეროს უშიშროებისსაბჭოს გაფართოების, უშიშროების საბჭოს მუდმივ და არამუდმივ წევრთა რაოდენობის გაზრდის, ვეტოს გამოყენების პროცედურისა და ერთობლივი განცხადების მიღების შესახებ. სამწუხაროდ, რაიმე პრაქტიკული შედეგი ჯერ არ მიღწეულა.

გაეროსა და მისი მუდმივი ორგანოების მუშაობა ჯერჯერობით, მთელ რიგ დარგებში, არაეფექტიანია. აფხაზური მხარე 1993 წლიდან მოყოლებული გაეროს უშიშროების საბჭოს 30 რეზოლუციიდან არც ერთს არ ასრულებს. ყურადღების მიღმა რჩება მოცემული სამშვიდობო პროცესის ფუნდამენტური მახასიათებლები:

პირველი. საქართველოს, როგორც მსოფლიო გაერთიანების სრულუფლებიანი წევრის საყოველთაოდ აღიარებული ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია ძალადობისა და ეთნიკურ წმენდაზე დამყარებული არალეგიტიმური, ფსევდოაფხაზური რეჟიმის მიერ. შეუძლებელია რაიმე დადებითი შედეგების მიღწევა ორივე მხარისადმი ერთიანი მიდგომის პირობებში, თუკი ორივეს თანაბარი პასუხისმგებლობა დაეკის-

რება და ორივე მხარისათვის თანაბრად ანგარიშის გაწევის პოლიტიკა გაგრძელდება.

მეორე. ეს არის მშობლიური ადგილებიდან გამოძევებული და ადამიანის ელემენტარული უფლებებჩამორთმეული 300 ათასზე მეტი ლტოლვილისა და იძულებით ადგილნაცვლის დაბრუნება, რის შესახებაც ბოლო 8 წლის განმავლობაში მხოლოდ უშედეგო დასკუსიები მიმდინარეობს [1].

გაეროს წინაშე პრობლემებს აყენებს თვით ცხოვრება, მსოფლიოში არსებული მდგომარეობა.

2000 წლის სექტემბერში მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები ნიუ-იორკში შეიკრიბნენ გაეროს ათასწლეულის სამიტზე. ისინი შეიკრიბნენ, რათა განეხილათ ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დადგა ახალ ასწლეულში. მათ თავიანთი მიზნები ჩამოაყალიბეს ათასწლეულის დეკლარაციაში, ივალდებულეს — იხსნან თავიანთი ხალხები ომის უბედურებისაგან, ადამიანის ღირსების შემლახავი უკიდურესი სიღატაკისა და სულ უფრო კლებადი ბუნებრივი რესურსების მქონე დაბინძურებულ პლანეტაზე ცხოვრების საშიშროებისაგან. მათ ვალდებულება იკისრეს ხელი შეუწყონ დემოკრატიას და განამტკიცონ მართლწესრიგი; იზრუნონ ბავშვებისათვის და მოსახლეობის სხვა დაუცველი ჯგუფებისათვის; აგრეთვე დააკმაყოფილონ აფრიკის განსაკუთრებული მოთხოვნილებანი. გარდა ამისა, ისინი შეპირდნენ მსოფლიოს ხალხებს, რომ გაზრდიან თავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, როგორც მთელი ამ მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ინსტიტუტის, ეფექტიანობას.

გაერომ მსოფლიო ლიდერებს მოუწოდა — შეუდგნენ მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტას: 2015 წლისათვის ორჯერ შეამცირონ იმ ადამიანთა რიცხვი (მაშინ 22%-ს შეადგენდა), რომელთა შემოსავალი დღეში 1 დოლარზე ნაკლებია, აგრეთვე, იმათი წილი, ვისაც (20%) არ მიუწვდება ხელი სასმელი წყლის უსაფრთხო წყაროებზე; უზრუნველყონ, რომ 2015 წლისათვის ყველა ბავშვს ექნეს შესაძლებლობა

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 22 სექტემბერი.

გაიაროს დაწყებითი განათლების სრული კურსი, გააძლიერონ ისეთ დაავადებებთან ბრძოლის ხერხების კვლევა, როგორიც არის მალარია, ტუბერკულოზი, პნევმონია და დიარეა. „ამავე დროს, არსებობს მრავალი სავალალო პრობლემა, რომლებიც გამოსწორებას მოითხოვენ. მიმავალი საუკუნის ბოლო წლები კვლავ აღინიშნა უმოწყალო კონფლიქტებით. შემზარავი სიღატაკე და აშკარა უთანასწორობა დღესაც არის ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებსაც უპრეცედენტო სიმდიდრე აქვთ“ [1].

მსოფლიო ხალხთა ოჯახს არასოდეს ასე მწვავედ არ სჭირდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც დღეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღესთან დაკავშირებით მიმართვაში (2002 წლის 24 ოქტომბერი) კოფი ანანი აღნიშნავდა: „დღეს, როგორც არასდროს წინათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განასახიერებს მთელი მსოფლიოს ხალხთა ოჯახს. დღეს ძალიან ცოტაა ისეთი რამ, რაც ერთ სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ საკუთარი რესურსების გათვალისწინებით გააკონტროლოს. იმავდროულად მსოფლიოს ხალხებს შეუძლიათ მიაღწიონ ბევრს, თუ ჩვენ ერთობლივად ვიმოქმედებთ.

როგორ შეიძლება მივაღწიოთ ამას? ჩვენ ამას შევძლებთ, თუ ვიმუშავებთ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც ჩვენმა ხელმძღვანელებმა — გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა იკისრეს ორი წლის წინ ათასწლეულის სამიტზე.

ეს ვალდებულებანი ეფუძნება ადამიანის ყველაზე არსებითს მოთხოვნილებებს: სიღატაკის დაძლევას, ბრძოლას შიდსის გავრცელების წინააღმდეგ, სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფას. და ამ ვალდებულებებს კონკრეტული ვადა აქვთ — 2015 წელი. ჩვენ მათ ვუწოდებთ ახალი ათასწლეულის განვითარების მიზნებს“[2].

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000 წლის 5 სექტემბერი.
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 24 ოქტომბერი.

თავი მეოთხე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებები

1. სპეციალიზებული დაწესებულების ცნება

ტერმინი გამოყენებულია გაეროს წესდებაში. წესდების 57-ე მუხლის თანახმად, „მთავრობებს შორის შეთანხმებებით შექმნილი სხვადასხვა სპეციალიზებული დაწესებულებანი, რომლებიც აღჭურვილნი არიან მათი დამფუძნებელი აქტებით განსაზღვრული ფართო საერთაშორისო პასუხისმგებლობით ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ამგვარ დარგებში, ორგანიზაციასთან დაკავშირებული იქმნებიან 63-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად. ასეთ დაწესებულებებს, რომლებიც აღნიშნული სახით იქნებიან დაკავშირებულნი, ორგანიზაციასთან... ეწოდებათ „სპეციალიზებული დაწესებულებანი“ [1].

გაეროს წესდების 63-ე მუხლის თანახმად, ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია სპეციალიზებულ დაწესებულებებთან დადოს იმ პირობების განმსაზღვრელი შეთანხმებანი, რომლებითაც შესაბამისი დაწესებულებანი დაკავშირებული იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან. ასეთი შეთანხმებანი დამტკიცებულ უნდა იქნეს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს და გენერალური ასამბლეის მიერ.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია შეათანხმოს სპეცალიზებულ დაწესებულებათა საქმიანობა მათთან კონსულტაციებისა და ასეთ დაწესებულებათათვის რეკომენდაციების მიცემის საშუალებით და გენერალური ასამ-

1. გაეროს წესდება. იხ. წიგნში: ლევან ალექსიძე. გართიანებული ერების ორგანიზაცია. 1985. გვ. 122.

ბლეისა და გაეროს წევრი სახელმწიფოებისათვის რეკომენდაციების მიცემის საშუალებით.

ამჟამად შეთანხმება დადებულია 19 საერთაშორისო სამთავრობათაშორისი სპეციალური კომპეტენციის ორგანიზაციასთან. ესენია:

1. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (World Intellectual Property Organization – WIPO, Всемирная организация интеллектуальной собственности – ВОИС);

2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Labour Organization – ILO, Международная организация труда – МОТ);

3. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია – იუნესკო (United National Educational, Scientific and Cultural Organization – UNESCO, Организация по вопросам образования, науки и культуры – ЮНЕСКО);

4. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (World Health Organization – WHO, Всемирная организация здравоохранения – ВОЗ);

5. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (International Maritime Organization, Международная морская организация – ММО);

6. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Civil Aviation Organization – ICAO, Международная организация гражданской авиации – МОГА);

7. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund – IMF, Международный валютный фонд – МВФ);

8. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (International Bank for Reconstruction and Development – IBRD, Международный банк реконструкции и развития – МБРР);

9. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (International Development Association – IDA, Международная ассоциация развития – МФР);

10. საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (International Finance Corporation – IFC, Международная финансовая корпорация – МФК);

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (United Nations Industrial Development Organization – UNIDO, Организация объединенных наций по промышленному развитию – ЮНИДО);

12. სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (Food and Agricultutal Organization – FAO, Продовольственная и сельскохозяйственная организация – ФАО);

13. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (International Fund for Agricultural Development – IFAD, Международный фонд сельскохозяйственого развития – МФСР);

14. მსოფლიო საფოსტო კავშირი (Universal Postal Union – UPU, Всемирный почтовый союз – ВПС);

15. მსოფლიო მეტეროლოგიური ორგანიზაცია (World Meteorological Organization – WMO, Всемирная метеорологическая организация – ВМО);

16. ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირი (ITV, МСЭ);

17. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (United Nations Development programe – UNDP, Программа развития Организации Объединенных наций – ПРООН);

18. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი (International Trade Center – UNCTAD, Международный торговый центр – ЮНКТАД);

19. ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი (International Telecommunicatio Union – ITU, Международный союз по телекоммуникациям – МСТ).

გაეროს წესდების 64-ე მუხლის შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია;

1. მიიღოს სათანადო ზომები სპეციალიზებული დაწესებულებისაგან რეგულარულ მოხსენებათა მისაღებად;

2. დადოს შეთანხმებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებსა და სპეციალიზებულ დაწესებულებებთან იმ მიზნით, რომ მიიღოს მათგან მოხსენებები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მათ მიიღეს თავად საბჭოს და გენერალური ასამბლეის რეკომენდაციების შესასრულებლად მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

3. აცნობოს გენერალურ ასამბლეას თავისი შენიშვნები ამ მოხსენებათა გამო.

სპეციალიზებული დაწესებულებები დამოუკიდებელი სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებია. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას. გაეროს წესდების 58-ე მუხლის თანახმად „გაერო იძლევა რეკომენდაციებს სპეციალიზებულ დაწესებულებათა პოლიტიკისა და საქმიანობის შესათანხმებლად".

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია გაეროს წევრებს, გენერალურ ასამბლეას და სპეციალიზებულ დაწესებულებებს მისცეს რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე:

1. ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში;

2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვის წახალისების მიზნით;

საბჭო უფლებამოსილია: 1. მოამზადოს გენერალური ასამბლეისათვის წარსადგენად პროექტები კონვენციებისა მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე (პროექტის მომზადებაში მონაწილეობენ სპეციალიზებული დაწესებულებებიც); 2. მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენციები ასევე მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

საბჭოს მხრივ კოორდინაციაში იგულისხმება მეტად მჭიდრო კავშირები ეკონომიკური და სოციალური საბჭოს კომიტეტებს, კომისიებსა და სპეციალიზებულ დაწესებულებებს შორის (ერთობლივად შეიმუშავებენ კონვენციების პროექტებს, რეკომენდაციებს მათს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და სხვა).

თანამედროვე ეტაპზე სპეციალიზებული ორგანიზაციები აქტიურად სწყვეტენ მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს, შეიმუშავებენ პოლიტიკას მსოფლიო ხალხების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ცხოვრების შემდგომი პროგრესისა და განვითარების მიზნით, გეგმავენ მრავალწლიან პოლიტიკას მოცემულ სფეროში.

გენერალური ასამბლეა განიხილავს და ამტკიცებს ნებისმიერ ფინანსურ და საბიუჯეტო შეთანხმებებს სპეციალიზებულ დაწესებულებებთან, ამოწმებს ამ ორგანიზაციების ბიუჯეტებს და აძლევს მათ რეკომენდაციებს.

გაეროს წესდების 59-ე მუხლის თანახმად: „ორგანიზაცია, საჭიროების შემთხვევაში, ინიციატივას იჩენს იმაში, რომ დაინტერესებული სახელმწიფოები შეუდგნენ მოლაპარაკებას ყოველ ახალ სპეციალიზებულ დაწესებულებათა შექმნის თაობაზე, რომლებიც საჭირო გახდებიან 55-ე მუხლში აღნიშნული მიზნების შესასრულებლად". 55-ე მუხლის მიხედვით კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს:

1. ცხოვრების დონის ამაღლებას, მოსახლეობის სრულ უზრუნველყოფას სამუშაოთი და ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და განვითარების პირობებს;

2. საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას ეკონომიკურ, სოციალურ, ჯანმრთელობის დაცვის დარგში და ამგვარი პრობლემების გადაწყვეტას; საერთაშორისო თანამშრომლობას კულტურისა და განათლების დარგში;

3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას ყველასათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და სარწმუნოებისა .

2. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა პარიზის 1883 წლისა და ბერნის 1886 წლის კონვენციების საფუძველზე. კონვენციას, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შექმნის შესახებ, ხელი მოაწერეს 1967 წელს სტოკჰოლმის კონფერენციაზე. იგი ძალაში შევიდა 1970 წელს. ორგანიზაცია 1974 წლის 17 დეკემბერს გახდა გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება.

თანახმად წესდებისა, ორგანიზაციის ფუნქციებში შედის: ე. წ. სამრეწველო საკუთრების დაცვა (უმთავრესად გამოგონებები, სასაქონლო ნიშნები, სამრეწველო ნიშნები), მეცნიერულ აღმოჩენებზე, ლიტერატურულ, სამუსიკო, მხატვრულ

და სხვა ნაწარმოებებზე, საავტორო უფლებების დაცვისთვის ზომების მიღება, აგრეთვე ამ საკითხებთან დაკავშირებით ეროვნულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განვითარება.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიზნებია: მთელ მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის უზრუნველყოფა და დამტკიცება, ამით ხელის შეწყობა სამრეწველო და კულტურული განვითარებისათვის.

ინტელექტუალური საკუთრების ცნებაში იგულისხმება ეგრეთ წოდებული სამრეწველო საკუთრების დაცვის უფლება (უმთავრესად გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები), აგრეთვე საავტორო უფლება, ძირითადად ლიტერატურულ, მუსიკალურ, მხატვრულ, ფოტოგრაფიულ და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე. ორგანიზაცია ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას და უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ თანამშრომლობას 18 სამთავრობათაშორისო ორგანიზაციასთან. ამათგან წამყვანი კავშირებია:

1. პარიზის კავშირი სამრეწველო საკუთრების დაცვის დარგში; 2. ბერნის კავშირი ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის დარგში.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებია: 1. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები, აგრეთვე სამეცნიერო შრომები; 2. მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობა, ფოტოგრამები, ვიდეოგრამები და რადიო (ტელე) გადაცემები; 3. გამოგონებები; 4. სასარგებლო მოდელები და სამრეწველო ნიმუშები; 5. სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიმუშები, საფირმო სახელწოდებები და აღნიშვნები; 6. კომპიუტერული პროგრამები; 7. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა; 8. ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა და კავშირების წევრია 156 სახელმწიფო. ყოფილი სსრ კავშირი (ამჟამად რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა), ბელორუსია და უკრაინა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები იყვნენ.

ორგანიზაციის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც სულ უფრო დაჟინებით მოითხოვენ თანამედროვე ტექნოლოგიას. მათთვის მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი გახდეს საპატენტო ინფორმაცია.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს, ხელს უწყობს სამრეწველო საკუთრების სისტემებისა და საავტორო უფლებების მოდერნიზაციას, შეიმუშავებს საავტორო უფლებათა დარგში სანიმუშო დებულებებს, უნიშნავს ამ ქვეყნების მოქალაქეებს სტიპენდიებს, აწყობს სემინარებს და ა. შ.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სტრუქტურა: უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელშიც შედიან წევრი სახელმწიფოები. უმაღლესი ორგანოა აგრეთვე გენერალური ასამბლეა. მასში გაერთიანებული არიან ის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ აგრეთვე პარიზისა (100 სახელმწიფო) და ბერნის (83 სახელმწიფო) კავშირების წევრ სახელმწიფოებს.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა და კავშირების ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც მართავენ ორგანიზაციას, ატარებენ ერთობლივ სესიებს პოლიტიკის შემუშავებისათვის, თავიანთი პროგრამებისა და ბიუჯეტის დამტკიცებისათვის.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ 1983 წელს საერთაშორისო ბიურო შეცვალა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო გაერთიანებული ბიუროთი. იგი ორგანიზაციის ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს სხდომათა ტექნიკურ მომსახურებას. ბიურო ასრულებს პროექტებს, რომლებიც მიმართულია ინტელექტუალური საკუთრების დარგში წევრ სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისაკენ. ბიუროს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

საკოორდინაციო კომიტეტი — საკონსულტაციო ორგანო, რომელიც განაგებს საყოველთაო ინტერესების შემცველ საკითხებს. ამასთან ერთად იგი არის გენერალური ასამბლეისა და კონფერენციის აღმასრულებელი ორგანო. მას გააჩნია საკუთარი ფუნქციებიც. ამზადებს გენერალური ასამბლეისა და

კონფერენციის დღის წესრიგის პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტებს, იძლევა სხვადასხვა სახის კონსულტაციებს. საკოორდინაციო კომიტეტის წევრებს ირჩევენ ორი წლის ვადით მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები, პარიზისა და ბერნის კავშირები. იგი შედგება 58 წევრისაგან.

პარიზის კავშირი — პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნების მიერ შექმნილი საკუთრების დაცვის კავშირი. კავშირი ქმნის ერთიან ორგანიზაციას. მას გააჩნია სამი ადმინისტრაციული ორგანო: ასამბლეა, აღმასრულებელი კომიტეტი და ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო, რომელსაც სათავეში უდგას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი. კავშირი წარმოადგენს იურიდიულ პირს საერთაშორისო სამართლის სისტემაში, აუცილებელი ორგანოებითა და განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროგრამით. პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის კონვენციაა. იგი მიღებულ იქნა პარიზში 1883 წლის 20 მარტს და მას ხელი მოაწერა თერთმეტმა სახელმწიფომ, ძალაში შევიდა 1884 წლის 7 ივლისიდან. პარიზის კონვენცია რამდენჯერმე გადაისინჯა.

ბერნის კავშირი — ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყნების მიერ შექმნილი საერთაშორისო კავშირი ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების საერთაშორისო დაცვის შესახებ. ბერნის კონვენცია — ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის კონვენციაა. იგი მიღებულ იქნა ბერნში 1886 წლის 9 სექტემბერს.

ბერნის კონვენციის ძირითადი პრინციპებია: 1. დგინდება ე. წ. ეროვნული რეჟიმი; 2. ეროვნული რეჟიმი არაა დამოკიდებული რაიმე ფორმალური ვალდებულებებისაგან, ე. ი. დაცვა მიენიჭება ავტომატურად და იგი არაა დაკავშირებული რეგისტრაციასთან ან სხვა ფორმალობასთან ნაწარმოების პუბლიკაციის დაცვის უზრუნველყოფის საკითხში; 3. დაცვის მინიჭება არაა დამოკიდებული ამ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში მისი დაცვის არსებობის ან მისი მოქმედების ვადასთან. ნაწარმოების დაცვის ხანგრძლივობა გრძელდება ავტორის სიცოცხლის პერიოდში და მისი გარდაცვალების შემ-

დეგ 50 წლის მანძილზე. საქართველო ბერნის კონვენციის წევრია 1995 წლიდან[1].

პარიზისა და ბერნის კონვენციებმა განაპირობეს საერთაშორისო ბიუროს ანუ სამდივნოს შექმნა. მათი გაერთიანება მოხდა 1983 წელს და ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახელწოდებით. ბოლო სახელი იყო „გაერთიანებული საერთაშორისო ბიურო ინტელექტუალური საკუთრების დაცვისათვის", რომლის ფუნქციებიც მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ბიურომ იკისრა.

მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია აკონტროლებს მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია პარიზის 1893 წლის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ და 1886 წლის ბერნის კონვენცია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ინტერესების დაცვას საერთაშორისო დონეზე აწესრიგებს ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულება — სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზისა და ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციები. საქართველო ორივე ამ კონვენციის მონაწილე ქვეყანაა, შესაბამისად მათ ნორმებს საქართველოში სავალდებულო ძალა აქვს.

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ძირითად დებულებებს ყოფენ ოთხ ჯგუფად: პირველი ჯგუფი შეიცავს საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებს, რომლებსაც აწესებს პარიზის კავშირის წევრ ქვეყანათა უფლებებსა და მოვალეობებს და რომლებიც აფუძნებენ თვით კავშირის ორგანოებს; მეორე ჯგუფის შემადგენელი დებულებები ავალებს ან `რთავს ნებას სახელმწიფოებს მიიღონ საკანონმდებლო აქტები სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ; მესამე ჯგუფი შეიცავს სამერწველო საკუთრების დაცვის შესახებ მატერიალური სამართლის ზოგადი წესების მთელ

1. სანდრო ჯორბენაძე. ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი. 1998, გვ. 29.

რიგს, რომლებიც დაკავშირებულია კერძო პირების უფლებამოვალეობებთან იმდენად, რამდენადაც ეს დებულებები მოითხოვს აღნიშნულ პირთა მიმართ კონვენციაში მონაწილე ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას; მეოთხე ჯგუფი მოიცავს მატერიალური სამართლის ნორმებს, რომლებიც ეხება კერძო პირთა უფლებებსა და მოვალეობებს და რომლებიც არ ითხოვს ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას და თავად აწესრიგებს კონკრეტულ ურთიერთობებს [1].

ბერნის კონვენცია ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს — ეროვნული რეჟიმის, ავტომატური დაცვისა და დაცვის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

1. ეროვნული რეჟიმის პრინციპის თანახმად, ნაწარმოები, რომელიც რომელიმე სხვა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე შეიქმნა, ისეთივე დაცვით უნდა სარგებლობდეს მოცემულ ქვეყანაში, როგორითაც სარგებლობს ამავე ქვეყნის მოქალაქეთა მიერ შექმნილი ნაწარმოებები. ეს პრინციპი ანალოგიურია პარიზის კონვენციის ეროვნული რეჟიმის პრინციპისა;

2. ავტომატური დაცვის პრინციპის თანახმად, ეროვნული რეჟიმის პრინციპის განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე ფორმალობების შესრულებაზე, როგორც ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში, ისე სხვა მონაწილე ქვეყნებში;

3. დაცვის დამოუკიდებლობის პრინციპის თანახმად, ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყანაში ნაწარმოების დაცვა დამოკიდებული არ არის წარმოშობის ქვეყანაში იმავე ნაწარმოების დაცვაზე.

კონვენცია ითვალისწინებს საავტორო უფლებათა დაცვის მინიმალურ ნორმებს, რომლებიც უნდა გამოიყენონ მასში მონაწილე ქვეყნებმა. მინიმალური ნორმები ადგენს იმ ნაწარმოებებს, რომლებზედაც უნდა გავრცელდეს საავტორო უფლებათა დაცვა, აწესებს უფლებებს, რომლებითაც უნდა ისარგებლონ ავტორთა, ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებმა და შეიცავს საავტორო უფლებათა დაცვის მინიმალურ უფლებებს.

---

1. დავით ამაუკაშვილი. პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია. თბ., 2000, გვ. 12-13.

კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, ქვეყნები, სადაც გამოიყენება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ავტორთა უფლებების დაცვის მიზნით თავიანთ ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე[1].

ტერმინი „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოები" მოიცავს ყველა ნაწარმოებს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში, როგორი საშუალებითა და ფორმითაც უნდა იყოს გამოხატული: წიგნებს, ბროშურებს და სხვა წერილობით ნაწარმოებებს, ლექციებს, ქადაგებებს და სხვა ამგვარ ნაწარმოებებს (მუხლი 2). „გამოქვეყნებულ ნაწარმოებში" იგულისხმება ნაწარმოები, გამოქვეყნებული მისი ავტორის თანხმობით (მუხლი 3).

3. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა 1919 წელს. იგი იყო ერთა ლიგასთან არსებული ავტონომიური ორგანიზაცია. 1946 წლიდან გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა. ამ ორგანიზაციის წევრია მსოფლიოს 174 სახელმწიფო.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებია: მშრომელთა ცხოვრებისა და შრომის პირობების შესწავლა და გაუმჯობესება; ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობისათვის ხელშეწყობა; სოციალური დაზღვევისა და სრული დასაქმების უზრუნველყოფა; მოზარდთა და ქალთა შრომის დაცვა; ხელფასის დამაკმაყოფილებელი დონისა და თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურების გარანტია; სილატაკის წინააღმდეგ ბრძოლა; დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისაგან მუშათა დაცვა და ა. შ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ამზადებს და შეიმუშავებს საერთაშორისო კონვენციებისა და რეკომენდაციების პროექტებს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე. დაარსების დღიდან ორგანიზაციამ მიიღო 320-ზე მეტი კონვენცია და რეკომენდაცია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აკონტროლებს წევრი ქვეყნების

1. დავით ძამუკაშვილი. პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია. თბ., 2000, გვ. 97.

მიერ კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების მიმ-
დინარეობას.

ორგანიზაციის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მისი ექსპერტები წევრ ქვეყნებს დახმარებას უწევენ ისეთ დარგებში, როგორიცაა პროფესიული მომზადება, მართვის მეთოდები, სამუშაო ძალის დაგეგმვა, დასაქმების პოლიტიკა, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ტექნიკა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, კოოპერატივები და მცირემასშტაბიანი კუსტარული წარმოება.

პროფესიული მომზადებისა და სწავლების შესაძლებლობას ქმნიან ორგანიზაციის შრომითი პრობლემების ინსტიტუტი ჟენევაში და ტექნიკური და პროფესიული მომზადების ცენტრი ტურინში (იტალია). გარდა ამისა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით 1960 წელს შეიქმნა სოციოლოგიურ გამოკვლევათა ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ცხოვრებაში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დამახასიათებელი ნიშანია წევრ სახელმწიფოთა სამმხრივი წარმომადგენლობა. მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მასში მონაწილეობენ ამ ქვეყნების პროფკავშირებისა და მეწარმეთა წარმომადგენლები.

ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა კონვენციებისა და რეკომენდაციების შემუშავება, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა; ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში შემავალი საკითხების შესწავლა და გაცნობა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციები რატიფიკაციას არ საჭიროებს და სახელმწიფოებს არავითარ ვალდებულებებს არ აკისრებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელსაც წელიწადში ერთხელ მაინც იწვევენ. იგი შედგება წევრ სახელმწიფოთა დელეგატებისაგან. მის მუშაობაში მონაწილეობს თითოეული წევრი სახელმწიფოს მთავრობის ორ-ორი დელეგატი, მშრომელთა და მეწარმეთა თითო-თითო დელეგატი.

გენერალური კონფერენციის მთავარი ფუნქციაა საერთაშორისო სოციალური ნორმების შემუშავება კონვენციების, რეკომენდაციებისა და რეზოლუციების ფორმით. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეგლამენტით გათვალისწინებულია გენერალური კონფერენციის სპეციალური სესიების, აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ევროპის წევრი ქვეყნების რეგიონული კონფერენციების მოწვევა.

სესიებს შორის პერიოდში აღმასრულებელი ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც წელიწადში სამ-ოთხჯერ ატარებს სხდომებს ჟენევაში.

ადმინისტრაციული საბჭო ხელმძღვანელობს მუდმივ სამდივნოს — შრომის საერთაშორისო ბიუროს, სხვადასხვა კომისიისა და კომიტეტის მუშაობას, განსაზღვრავს ორგანიზაციის გენერალური კონფერენციისა და ორგანიზაციის სხვა ორგანოთა სესიებისა და თათბირების შემადგენლობასა და დღის წესრიგს. ირჩევს გენერალურ დირექტორს და სხვ.

ადმინისტრაციული საბჭო შედგება 56 წევრისაგან, რომელთაგან 28 — მთავრობათა, 14 მშრომელთა და 14 — მეწარმეთა წარმომადგენელია. საბჭოს ირჩევენ გენერალური კონფერენციის სესიებზე სამი წლის ვადით სამ ცალკეულ კოლეგიაზე, რომლებიც შედგება გენერალური კონფერენციის მთავრობის, მშრომელთა და მეწარმეთა დელეგატებისაგან.

მთავრობათა საარჩევნო კოლეგია ფარული კენჭისყრით ირჩევს საბჭოს 18 წევრს. საბჭოს სამთავრობო ჯგუფში 10 ადგილი დათმობილი აქვთ წამყვან განვითარებულ ქვეყნებს. ეს ქვეყნებია: ბრაზილია, ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ინდოეთი, იტალია, იაპონია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ.

შრომის საერთაშორისო ბიურო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნოა. ბიურო აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას, მთავრობათა თხოვნით უწევს მათ დახმარებას, ხელმძღვანელობს ორგანიზაციის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამებს, ატარებს სპეციალურ გამოკვლევებს.

ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური. სამუშაო ენებია: არაბული, ჩინური, გერმანული, რუსული.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადგილსამყოფელია ჟენევაში (შვეიცარია). მსოფლიოს დიდი ქვეყნების დედაქალაქებში ფუნქციონირებენ შრომის საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენლობები.

4. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო)

გაეროს სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია განათლების, მეცნიერების და კულტურის დარგში — იუნესკო შეიქმნა 1945 წლის 12 ნოემბერს ლონდონის კონფერენციაზე, რომელმაც მიიღო წესდება. წესდების პირველ მუხლში ნათქვამია: „ორგანიზაცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, რისთვისაც განავითარებს ხალხთა თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, ყველა ხალხისათვის გაეროს წესდებით გამოცხადებული სამართლიანობის, კანონიერების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად“.

წესდების თანახმად, სახელმწიფოებში შექნილია ეროვნული კომისიები იუნესკოს საკითხებზე. საკონსულტაციო სტატუსი აქვს 250-ზე მეტ არასამთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციას, ხოლო საქმიანი კონტაქტი — 400 ასეთსავე საერთაშორისო ორგანიზაციას. ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტი დგება მასში შემავალი სახელმწიფოების საწევრო გადასახადებისაგან. წლიური ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 350 მილიონ აშშ დოლარს.

1946 წლის 4 ნოემბერს 20-მა სახელმწიფომ მოახდინა წესდების რატიფიკაცია. ამ დროიდან 4 ნოემბერი აღიარებულია იუნესკოს შექმნის თარიღად. თავისი არსებობის მანძილზე ორგანიზაციამ დიდი წვლილი შეიტანა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით ადამიანმა მიიღო შესაძლებლობა ზიარებოდა ცოდნას. იუნესკოს ხელშეწყობით ბევრი რამ გაკეთ-

და ხალხების თავისთავადი კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებისა და პროპაგანდისათვის.

ამჟამად იუნესკოს წევრია 190 სახელმწიფო. გარდა ამისა, ჰყავს ორი ასოცირებული წევრი: ნამიბია და ბრიტანეთის სახელმწიფოში მყოფი კუნძულები, განლაგებული კარიბის ზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველო იუნესკოს 171-ე წევრია — 1992 წლიდან.

იუნესკოს შტაბ-ბინა პარიზშია. მას უკავია მრავალსართულიანი, საკმაოდ კარგი შენობები პარიზის ცენტრალურ ნაწილში, ფონტენუას მოედანზე, იუნესკოს შენობათა კომპლექსი პარიზის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილია. იუნესკოს ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული და ესპანური.

იუნესკოში მუდმივად თანამშრომლობენ გამოჩენილი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. იუნესკოს ხშირი სტუმრები არიან სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, მინისტრები, სხვა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები.

იუნესკოს შტაბ-ბინაში ყოველდღიურად ტარდება სამიხუთი საერთაშორისო კონფერენცია და შეხვედრა, სისტემატურად ეწყობა გამოფენები, კონცერტები, კინოფილმების განხილვა და სხვ.

აქვე, მთავარ შენობაში, იკრიბება იუნესკოს უმაღლესი ორგანო — გენერალური კონფერენცია მასში შემავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით. გენერალური კონფერენცია განსაზღვრავს იუნესკოს საქმიანობის პოლიტიკას და ძირითად მიმართულებებს, ამტკიცებს მის პროგრამებსა და ბიუჯეტს, ირჩევს აღმასრულებელ საბჭოს და იუნესკოს სხვა ხელმძღვანელ ორგანოებს, აღმასრულებელ საბჭოს წარდგინებით ნიშნავს იუნესკოს გენერალურ დირექტორს, წყვეტს სხვა საკითხებს.

გენერალური კონფერენციის სესიებზე დელეგაციებს ხელმძღვანელობენ უმთავრესად მინისტრები. დელეგაციები შედგება მეცნიერების, განათლების, კულტურის დარგის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თვალსაჩინო მოღვაწეებისაგან. სესიების მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე მეთვალ-

ყურეები იმ სახელმწიფოებიდან, რომლებიც იუნესკოს წევრები არ არიან, სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები.

გენერალური კონფერენციის სესიები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ. საჭიროების მიხედვით იკრიბება რიგგარეშე კონფერენციები. იუნესკოს არსებობის მანძილზე მოეწყო ოთხი ასეთი სესია. გენერალური კონფერენციის სესიები უმთავრესად ტარდება შტაბ-ბინაში (პარიზი), ზოგჯერ კი — სხვადასხვა მონაწილე ქვეყნის დედაქალაქებსა და სხვა ქალაქებშიც. მაგალითად, მესამე სესია გაიმართა ბეირუთში (1948 წ.), მეხუთე — ფლორენციაში (1950 წ.), მერვე — მონტევიდეოში (1954 წ.), მეცხრე — დელიში (1956 წ.). ბოლო წლებში გენერალური კონფერენციის სესიები ჩატარდა ბელგრადში, სოფიასა და სხვა ქალაქებში.

გენერალური კონფერენციის სესიებს შორის პერიოდში ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება 51 წევრისაგან. საბჭოს ირჩევს გენერალური კონფერენცია 4 წლის ვადით. საბჭო იწვევს სესიებს წელიწადში ორჯერ (ჩვეულებრივ, მაისსა და სექტემბერში). საბჭოს ფუნქციები ფართო და მრავალფეროვანია. გენერალური კონფერენციის სესიებს შორის პერიოდში ხდება აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობის სანახევროდ განახლება.

იუნესკოს წესდების შესაბამისად, გენერალური დირექტორი მისი მთავარი თანამდებობის პირია. მას ნიშნავს გენერალური კონფერენცია ექვსი წლის ვადით, ამასთან, კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიძლება გენერალური მდივნის ახალი ვადით დანიშვნა. იუნესკოს პირველი გენერალური დირექტორი იყო გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი-ბიოლოგი ი. ჰაქსლი (1946-1948 წწ.), ამ პოსტზე ის შეცვალა მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხ. ტორეს-ბოდიმ (1948-1952 წწ.), შემდეგ გენერალური დირექტორები იყვნენ ამერიკელი ლ. გ. ევანსი (1953-1958 წწ.), იტალიელი ვ. ვერონეზე (1959-1961 წწ.), ფრანგი რ. მაიო (1962-1974 წწ.), 1974-1986 წლებში — სენეგელი ამად მბოუ, 1987-1998 წლებში იუნესკოს გენერალური დირექტორი

იყო ესპანელი ფედერიკო მაიორ სარაგოსი, ამჟამად გენერალური დირექტორია იაპონელი კოიშორო მაცუურა.

გენერალური დირექტორის მოადგილეებს ნიშნავენ გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით. იუნესკოს გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს იუნესკოს სამდივნოს; ნიშნავს სამდივნოს მოსამსახურეებს; იგი პასუხისმგებელია ორგანიზაციის პროგრამების შესრულებაზე.

იუნესკოს თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი თავმოყრილია მის შტაბ-ბინაში — პარიზში. სამდივნოს ყველაზე მსხვილი დანაყოფებია სექტორები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გენერალური დირექტორის მოადგილეები. ეს სექტორებია: განათლების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, კულტურის, კომუნიკაციის, საგარეო კავშირებისა და ინფორმაციის, საერთო პროგრამებისა და პროგრამების შესრულების უზრუნველყოფის, ადმინისტრაციისა და სხვა სექტორები. თითოეულ სექტორს აქვს სხვადასხვა ფუნქციური დანაყოფი (დირექცია, განყოფილებები, ბიურო, სამსახურები და ა. შ.).

იუნესკოს მთავარი შტაბ-ბინა, მართალია, პარიზშია, მაგრამ ორგანიზაციას აქვს რეგიონული ბიუროები და ინსტიტუტები ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, არაბულ ქვეყნებსა და ლათინურ ამერიკაში. იუნესკოს თანამშრომელთა რაოდენობა აღემატება ორი ათას ხუთას კაცს.

იუნესკო ყოველწლიურად აწყობს 150-ზე მეტ საერთაშორისო ღონისძიებას (კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სხდომებს, სემინარებს, სასწავლო კურსებს). მათში ასობით სპეციალისტი მონაწილეობს.

იუნესკო ყოველწლიურად გამოსცემს 300-ზე მეტ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს, საერთაშორისო მიმოხილვებს, პედაგოგიურ და ტექნიკურ დამხმარე სახელმძღვანელოებს, კატალოგებს, მონოგრაფიებს, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინფორმაციის პრობლემებზე ალბომებს, სტატისტიკურ და სხვა კრებულებს, იუნესკოს მთავარი ჟურნალია „კურიერ იუნესკო“, რომელიც ამჟამად 50 ენაზე გამოდის.

იუნესკოს პროგრამები ითვალისწინებს ახალგაზრდობის აღზრდას მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერ-

თგაგების სულისკვეთებით, ეროვნული კადრების მომზადების ხელშეწყობას. გარდა ამისა, ორგანიზაცია შეისწავლის სხვადასხვა ეროვნული კულტურის, ოკეანოგრაფიის, ბიოსფეროს, გეოლოგიის, სოციალურ მეცნიერებათა, ინფორმაციისა და სხვა პრობლემებს. იუნესკო აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო მნიშვნელობის თარიღების აღმნიშვნელ კამპანიებში. ბევრ განთავისუფლებულ ქვეყანაში იუნესკოს რეკომენდაციები საფუძვლად დაედო ეროვნულ კანონმდებლობებს განათლების, კულტურისა და მეცნიერების საკითხებში, იუნესკოს რეკომენდაციებს ითვალისწინებენ განვითარებულ ქვეყნებშიც.

როგორია ურთიერთობა გაეროსა და იუნესკოს შორის? მათ შორის ურთიერთობა რეგულირდება შეთანხმებებით, რომლებიც დამტკიცებულია გენერალური კონფერენციის მიერ 1946 წლის 6 დეკემბერს და გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წლის 14 დეკემბრის სესიაზე. ამ შეთანხმებათა შესაბამისად, იუნესკო გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა, რომელიც საქმიანობს თავისი წესდების საფუძველზე.

გაეროს წარმომადგენლები ესწრებიან გენერალური კონფერენციის, აღმასრულებელი საბჭოსა და მათი ორგანოების სხდომებს, ხოლო იუნესკოს წარმომადგენლები — გენერალური ასამბლეის სესიებს „განათლების, მეცნიერების და კულტურის საკითხებში კონსულტანტთა სტატუსით". გარდა ამისა, იუნესკოს წარმომადგენლები მონაწილეობენ გენერალური ასამბლეის მთავარი კომიტეტების სხდომების, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიების მუშაობაში.

იუნესკოს გენერალური კონფერენციისა და აღმასრულებელი საბჭოს სესიების დღის წესრიგში შეაქვს საკითხები, რომლებსაც გაერო სთავაზობს. ამასთან, იუნესკო გაეროს წარუდგენს მოხსენებებს თავისი საქმიანობის შესახებ, გაეროს თხოვნით ამზადებს სპეციალურ მოხსენებებს ან გამოკვლევებს.

უკანასკნელ წლებში იუნესკომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია განათლების, როგორც განუხრელი პროცესის, დაგეგმვის საკითხებს, წარმოების სფეროსთან განათლების კავ-

შირის განმტკიცებას, სასწავლო პროცესში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვას და ა. შ.

ორგანიზაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან. დღეისათვის მსოფლიოში 850 მილიონი ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია. წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი საკმაოდ დიდია განვითარებულ ქვეყნებშიც. ამიტომ იუნესკო 80-მდე ქვეყანას უწევს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევაში. ორგანიზაციას აქვს სპეციალური პროგრამა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

იუნესკოს საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა განათლების დარგში პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ორგანიზაციის პროგრამები ითვალისწინებს პედაგოგიკურ მეცნიერების განვითარებას, სასწავლო პროცესის სრულყოფას, ინფორმაციის სისტემის გაფართოებას. პედაგოგიკის ინდუსტრია მოიცავს განათლების კომპიუტერიზაციას.

წევრი სახელმწიფოები სულ უფრო მწვავედ სვამენ საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების საკითხებს, შრომასთან განათლების კავშირის განმტკიცების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოების პრობლემებს. ამ საკითხებს ეძღვნება მრავალი საერთაშორისო კონფერენცია და შეხვედრა, სამეცნიერო გამოკვლევა, საგამომცემლო საქმიანობა, ამასთან, ვითარდება სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი.

იუნესკო შეიმუშავებს და ღებულობს კონვენციებსა და რეკომენდაციებს განათლების დარგში დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, რეკომენდაციებს მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ, მოზრდილთა განათლების განვითარების შესახებ და სხვ. დიდი მუშაობა მიმდინარეობს განათლების დარგში დადებითი გამოცდილების გაზიარების სფეროში; იუნესკო დახმარებას უწევს განთავისუფლებულ ქვეყნებს სასწავლო დაწესებულებების მშენებლობაში, სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში და ა. შ.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია საკმაო ყურადღებას უთმობს საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხებს. მზარდ ინტერესს იწვევს მსოფლიოში სამთავრობათაშორისო პროგრამები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია: მსოფლიო ოკეანის გამოკვლევა, საერთაშორისო ჰიდროლოგიური პროგრამა, საერთაშორისო გეოლოგიური პროგრამა, სამთავრობათაშორისო პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო", ინფორმატიკის დარგში სამთავრობათაშორისო პროგრამა.

მსოფლიო ოკეანის გამოკვლევის მიზნით, 1960 წელს, იუნესკოსთან შეიქმნა სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისია, რომელმაც მალე დაიწყო ინდოეთის, წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების სისტემატური გამოკვლევები. მსოფლიოს სახელმწიფოები სისტემატურად ღებულობენ ინფორმაციას მსოფლიო ოკეანეებში მდგომარეობის შესახებ. ამ მონაცემებს აქვს დიდი პრაქტიკური მნიშვნელობა კლიმატის შესწავლისათვის, სანაოსნო რუკების დაზუსტებისათვის, თევზჭერისთვის და ა. შ.

იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე (1986 წ.) მიიღეს „დეკლარაცია საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ", ხოლო 1970 წელს ვენეციის სამთავრობათაშორისო კონფერენციამ (კულტურის მინისტრების მონაწილეობით) შეიმუშავა კულტურის დარგში იუნესკოს პოლიტიკური კურსი. ამ კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გაიმართა კულტურის მინისტრების რეგიონული კონფერენციები. მათი დასკვნები და რეკომენდაციები დაედო საფუძვლად საერთაშორისო კონფერენციას კულტურის დარგში, რომელიც გაიმართა მეხიკოში 1982 წელს. ამ ფორუმზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა 129 წევრი სახელმწიფო, მიიღეს 181 რეკომენდაცია. ისინი წარმოადგენენ კაცობრიობის „კულტურის კოდექსს".

იუნესკომ შეიმუშავა კულტურის განვითარების პროგრამა, ამასთან, წამოაყენა ოთხი მთავარი ამოცანა: განვითარების კულტურული ასპექტის აღრიცხვა; კულტურული თავისთავადობის დამკვიდრება; კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეო-

ბის გაფართოება; საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის გაღრმავება.

დიდი პოპულარობა მოიპოვა იუნესკოს ისეთმა გამოცემებმა, როგორიცაა „მეცნიერებისა და კულტურის განვითარების მსოფლიო ისტორია", „აფრიკის ქვეყნების ისტორია", „ცენტრალური აზიის ცივილიზაციის ისტორია" და სხვ.

იუნესკომ შეიმუშავა და მიიღო კონვენციები და რეკომენდაციები, რომელთა მიზანია მსოფლიო ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ეს დოკუმენტებია: კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურულ ღირებულებათა დაცვის შესახებ, რეკომენდაციები არქეოლოგიური გათხრების საერთაშორისო რეგლამენტაციის პრინციპების შესახებ, მუზეუმების საყოველთაო მისაწვდომობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ, კულტურულ ღირებულებათა საერთაშორისო გაცვლის შესახებ და ა. შ. იუნესკო ბევრს აკეთებს მსოფლიოს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის, ეხმარება ქვეყნებს ეროვნული კულტურის განვითარებაში.

საქართველო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში თანამშრომლობს ევროპის საბჭოსა და იუნესკოსთან. ეს თანამშრომლობა ეფუძნება იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე პარიზში 1972 წელს მიღებულ კონვენციას მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების დაცვის შესახებ. ამ კონვენციის რატიფიკაცია განხორციელდა 1975 წელს. დღეისათვის 118 ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურისა და ბუნების 630 ძეგლი ირიცხება მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში[1]. ამ ნუსხაში საქართველოდან შეტანილია მცხეთა-ქალაქი მუზეუმი, ბაგრატის საკათედრო ტაძარი, გელათის სამონასტრო კომპლექსი და ზემო სვანეთი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ვარძიისა და ისტორიული თბილისის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანაზე.

იუნესკოს მოღვაწეობა დღეს მიმართულია ეროვნული ტრადიციების — ფოლკლორის აღდგენა-განვითარებისაკენ

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 24 ოქტომბერი.

(ეროვნული სიმღერები, მუსიკალური ინტრუმენტები, სახალხო დღესასწაულები და სხვა).

ამჟამად, იუნესკოს საქმიანობის დიაპაზონი მოიცავს საკითხთა ფართო წრეს. უწიგნურობასთან ბრძოლა, განათლების დაფინანსება, დაგეგმვა, განვითარებად ქვეყნებში საინჟინრო-ტექნიკური კადრების მოსამზადებელი ცენტრების შექმნა, მეცნიერების დარგში თანამშრომლობის განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები, ადამიანის უფლებათა და მშვიდობის განმტკიცების პრობლემების კვლევა, განათლების მიზნით კოსმოსური კავშირგაბმულობის გამოყენება, მსოფლიო მნიშვნელობის თარიღების აღნიშვნა, კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების ჩამონათვლის შედგენა.

5. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შეიქმნა 1946 წელს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ინიციატივით. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებაა, რომლის წესდება მიიღეს 1946 წელს და ძალაში შევიდა 1948 წლის 7 აპრილს, როდესაც გაეროს წევრმა 26 სახელმწიფომ მოახდინა მისი რატიფიკაცია.

ეპიდემიური დაავადებებისგან ადამიანთა დაცვის წესებს საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ სახელმწიფოები. საზღვაოსადგურო ქალაქებმა პირველებმა გამოსცადეს ამის აუცილებლობა. ვენეციამ, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ახლო აღმოსავლეთთან, 1348 წელს დანიშნა „ჯანმრთელობის დაცვის სამი ინსპექტორი". მათ დაევალათ მიეღოთ ზომები შავი ჭირის ახალი ეპიდემიის გავრცელების შესაჩერებლად. ამ მიზნით 1403 წელს შეიქმნა საკარანტინო ლაზარეთი. ვენეციას მიბაძა გენუამ.

მარსელში 1467 წელს კონსულებმა მიიღეს მითითება, შემოეღოთ ლეპროზორიუმის რეჟიმი შავი ჭირის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ხოლო 1527 წელს ამ ქალაქში შეიქმნა საფრანგეთის პირველი ლაზარეთი [1].

---

1. **К. Кольяр. Международные организации и учреждения. 1972, стр. 460.**

ნავსადგურებში გემების შესვლისას გამოყენებული იყო მკაცრი საკარანტინო რეჟიმი. მაგალითად, მარსელში მეზღვაურები გემებზე რჩებოდნენ რამდენიმე დღეს, ხოლო შემდეგ მათ ათავსებდნენ ლაზარეთში სულ ცოტა ერთი კვირით. ნაპოლეონ ბონაპარტი, რომელიც ეგვიპტიდან დაბრუნდა სფრანგეთში, კინაღამ დააპატიმრეს იმისათვის, რომ არ უნდოდა დამორჩილებოდა ამ წესებს.

ტექნიკურმა რევოლუციამ XIX საუკუნეში წარმოშვა ურთიერთობის უფრო სწრაფი საშუალებები (რკინიგზა, გემები, სუეცის არხის გახსნა 1869 წელს და სხვ.), ამან უფრო დააჩქარა ადამიანთა და სხვადასხვა საქონლის გადაადგილება, შესაბამისად ხელი შეუწყო გადამდები დაავადებების გავრცელებას.

მასობრივმა ეპიდემიებმა, განსაკუთრებით ქოლერამ, მოიცვა ევროპა, რამაც გამოიწვია ადამიანთა უზარმაზარი დანაკარგები. დამცავი ღონისძიებები ერთი ქვეყნის მასშტაბით არასაკმარისი აღმოჩნდა. აუცილებელი გახდა საერთაშორისო მასშტაბით ღონისძიებათა გატარება.

პირველი საერთაშორისო სანიტარიული კონფერენცია გაიმართა 1851 წელს პარიზში ლუი ნაპოლეონის ინიციატივით. ამ კონფერენციის უშუალო შედეგები უმნიშვნელოა, მაგრამ მან გაუხსნა გზა ამ დარგში საერთაშორისო თანამშრომლობას. 1853, 1854 და 1855 წლებში ქოლერის ეპიდემიებმა წამოჭრა ახალი კონფერენციების მოწვევის საკითხი. კონფერენციები გაიმართა 1859 წელს პარიზში, 1866 წელს – კონსტანტინეპოლში, 1877 წელს – ვენაში, 1881 წელს – ვაშინგტონში, 1885 წელს – რომში. პირველ საერთაშორისო სანიტარიულ კონვენციას ხელი მოაწერეს 1892 წელს ვენეციაში. იგი ითვალისწინებდა ღონისძიებებს, რომლებიც ევროპას იცავდა ქოლერისაგან.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1893 წელს დრეზდენის კონფერენციის გადაწყვეტილებას რომელიმე ქვეყანაში ქოლერის პირველი შემთხვევის შეტყობინების აუცილებლობის შესახებ. ამგვარად, საერთაშორისო რეგლამენტაცია განვითარდა, მაგრამ გადასაწყვეტი დარჩა საერთო ხასიათის მუდმივ დაწესებულებათა შექმნის საკითხი.

1892 წელს ვენეციის კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიქმნა ეგვიპტის საკარანტინო საბჭო. სხვა მსგავსი საბჭოები უკვე არსებობდა თეირანში, კონსტანტინეპოლში და სხვ. მათი საქმიანობა ადგილობრივი ხასიათის იყო, მაგრამ ევროპის ქვეყნების სამედიცინო პერსონალის მიზნები საბჭოებს საერთაშორისო მნიშვნელობას აძლევდა.

პირველი საერთაშორისო ორგანო რომის კონფერენციის (1907 წლის 9 დეკემბერი) ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო 1908 წელს პარიზში საზოგადოებრივი ჰიგიენის საერთაშორისო ბიუროს სახელწოდებით. ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა საერთაშორისო ადმინისტრაციულ კავშირს, რომელიც 55 სახელმწიფოს აერთიანებდა. მისი მთავარი ორგანო იყო მუდმივი კომიტეტი, რომელსაც იწვევდნენ წელიწადში ორჯერ და თავის ფუნქციებს ასრულებდა რამდენიმე კომისიის დახმარებით. მუდმივმოქმედი აღმასრულებელი ორგანო — ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობდა დირექტორი, ამზადებდა საერთაშორისო კონფერენციებს, ავრცელებდა ინფორმაციას ეპიდემიურ დაავადებათა შესახებ, ახორციელებდა გამოკვლევებსა და გამოკითხვებს, მისი როლი მეტად დიდი იყო.

მეორე საერთაშორისო ორგანო შექმნა ერთა ლიგამ წესდების 23-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა: „ღონისძიებას გაატარებენ, რათა მიიღონ საერთაშორისო ხასიათის ზომები დაავადებათა თავიდან ასაცილებლად და მათთან საბრძოლველად“[1].

1920 წელს შეიქმნა დროებითი კომისია ეპიდემიების დარგში. მას დაევალა შეემუშავებინა ტიფის ეპიდემიასთან ბრძოლის ღონისძიებები, აგრეთვე მოემზადებინა ჰიგიენის პრობლემებზე საერთაშორისო ორგანოს წესდების პროექტი. მალე ეპიდემიების დარგში კომისია გარდაიქმნა ერთა ლიგის ფარგლებში ჰიგიენის პრობლემების კომიტეტად. 1936 წელს ერთა ლიგის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია მოიცავდა სამ

1. საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები. 1949, გვ. 93.

ორგანოს: 1. ჰიგიენის პრობლემების კომიტეტს, რომელიც შედგებოდა 12 წევრისაგან; 2. საკონსულტაციო საბჭოს; 3. სამდივნოს.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ერთგვარად შეიზღუდა ამ ორგანოების საქმიანობა. 1944 წლის დეკემბერში ნაწილი ფუნქციებისა გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაციას.

წინადადება საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ ახალი საერთაშორისო სანიტარიული ორგანიზაციის შექმნის მიზნით, გამოითქვა სან-ფრანცისკოს 1945 წლის აპრილ-ივნისის კონფერენციაზე. 1946 წლის 15 თებერვალს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს პირველ სესიაზე შეიქმნა მოსამზადებელი კომისია (მასში შევიდნენ ჯანმრთელობის დაცვის დარგის ექსპერტები), რომელსაც დაევალა შეემუშავებინა დოკუმენტები საერთაშორისო კონფერენციისათვის. კომისიის სხდომები გაიმართა პარიზში 1946 წლის 18 მარტიდან 5 აპრილამდე, ხოლო კონფერენცია გაიხსნა ნიუიორკში 1946 წლის 19 ივნისს. 22 ივლისს კონფერენციამ მიიღო ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდება, რომელიც ძალაში შევიდა 1948 წლის 7 აპრილს. 7 აპრილი გამოცხადდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო დღედ. ჯანმრთელობის დაცვის პირველი მსოფლიო ასამბლეა გაიხსნა იმავე წლის 24 ივნისს.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების თანახმად, მისი მიზნებია: ყველა ხალხმა მიაღწიოს ჯანმრთელობის უმაღლეს დონეს, კოორდინაცია გაუწიოს საერთაშორისო თანამშრომლობას ჯანმრთელობის დაცვის საქმეში და დაეხმაროს სახელმწიფოებს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაში. ამჟამად მსოფლიო ორგანიზაციის წევრია 190-მდე სახელმწიფო. 1992 წელს ამ ორგანიზაციის წევრი გახდა საქართველო.

ორგანიზაცია განაგებს დაავადებებთან ბრძოლისა და მათი ლიკვიდაციის საქმეს, ატარებს საერთაშორისო ღონისძიებებს კარანტინისა და ეპიდემოლოგიის მეთვალყურეობის დარგში, აწესებს კონტროლს სამკურნალო პრეპარატების ხარისხზე, ნარკოტიკებზე, ამუშავებს წამლების საერთაშორისო სტან-

დარტებს და სხვ. მისი თაოსნობით გაშლილია მალარიისა და ყვავილის ლიკვიდაციის საერთაშორისო კამპანია.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აგროვებს და განაზოგადებს სტატისტიკურ მონაცემებს შობადობის, დაავადებების, ეპიდემიების შესახებ, დახმარებას უწევს წევრ სახელმწიფოებს განსაკუთრებით საშიში დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხელმძღვანელობს და ატარებს სამეცნიერო გამოკვლევებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, განაგებს სამედიცინო მუშაკების მომზადებისა და დახელოვნების საქმეს, ეხმარება განვითარებად ქვეყნებს ჯანმრთელობის დაცვის განვითარებასა და ეროვნული კადრების მომზადებაში.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში შედის ექვსი რეგიონული ორგანიზაცია. ესენია: ევროპის (კოპენჰაგენში), ამერიკის (ვაშინგტონში), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (დელიში), აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღისპირეთის (ალექსნდრიაში), წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილის (მანილაში), აფრიკის (ბრაზავილეში) ორგანიზაციები.

ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ასამბლეა, რომელშიც წარმოდგენილია ორგანიზაციის ყველა წევრი. ასამბლეა წარმართავს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქმიანობას, ნიშნავს გენერალურ დირექტორს, ამტკიცებს გეგმებს, ბიუჯეტს და ა. შ. ასამბლეის სესიებს იწვევენ ყოველწლიურად ორგანიზაციის პოლიტიკის, პროგრამებისა და ბიუჯეტის დარგში გადაწყვეტილებათა მისაღებად.

ასამბლეა სამი წლის ვადით ირჩევს აღმასრულებელ საბჭოს 30 წევრის შემადგენლობით. საბჭო ასამბლეის აღმასრულებელი ორგანოა, რომელსაც იწვევენ წელიწადში ორჯერ მაინც. აღმასრულებელ საბჭოს უფლება აქვს გადაუდებელ შემთხვევაში (ეპიდემია, სტიქიური უბედურება და სხვ.), მიიღოს განსაკუთრებული ზომები. ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოა სამდივნო, რომელსაც სათავეში უდგას გენერალური მდივანი.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბიუჯეტს შეადგენს წევრი სახელმწიფოების საწევრო შენატანები.

მას აფინანსებს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ნებაყოფილობითი ფონდი, რომელიც დაფუძნებულია 1960 წლიდან, გაეროს განვითარების პროგრამის ფონდი და გაეროს ბავშვთა ფონდი.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გამოსცემს ორგანიზაციის ქრონიკას, ბიულეტენებს, აქვეყნებს ტექნიკურ მოხსენებებს, მონოგრაფიების, სტატისტიკური კრებულების სერიებს.

სამუშაო ენებია: ინგლისური და ფრანგული. ადგილსამყოფელია ჟენევაში (შვეიცარია).

6. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამთავრობათაშორისო სპეციალიზებული დაწესებულებაა. კონვენცია საზღვაო ორგანიზაციის შექმნის შესახებ შეიმუშავეს 1948 წელს ჟენევაში გაეროს საზღვაო კონფერენციაზე. კონვენცია ძალაში შევიდა 1958 წლის 17 მარტს მასშემდეგ, რაც იგი რატიფიცირებული იყო 21 სახელმწიფოს მიერ. ორგანიზაციამ ფუნქციონირება დაიწყო 1959 წლიდან.

1982 წლის 22 მაისამდე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას ეწოდებოდა სამთავრობათშორისო საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაცია. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრია 156 სახელმწიფო.

ORგანიზაციის მიზანია: ხელი შეუწყოს ნაოსნობის დარგში სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას, აგრეთვე ზღვაოსნობის მაქსიმალურად შესაძლო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. კონვენციის თანახმად, მან ხელი უნდა შეუწყოს ზღვაოსნობის პრაქტიკაში ყოველგვარი დასკრიმინაციის აღკვეთას, მსოფლიოს საჭიროებისათვის არსებული ტონაჟის თავისუფალ გამოყენებას, კონტროლი უნდა გაუწიოს საერ თაშორისო საზღვაო კონვენციების შესრულებას.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ კონვენციებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებთან ერთად მიიღო ასო-

ბით რეკომენდაცია მეტად აქტუალურ საკითხებზე. ეს ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა საზღვაო სახიფათო ტვირთები, სიგნალები, მეთევზეთა და თევზსაჭერი გემების, ატომური სავაჭრო გემების უსაფრთხოება. მართალია, ამ რეკომენდაციებს არა აქვთ სავალდებულო იურიდიული ძალა, მაგრამ მათი მნიშვნელობა მეტად დიდია. ისინი ხელს უწყობენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს საზღვაო საკითხებზე ეროვნული წესების დამუშავებაში.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. თავისი უფლებამოსილების სხვადასხვა სფეროში კონვენციების შემუშავება და მიღება;

2. უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კომიტეტებთან ერთად რეკომენდაციების შემუშავება და მიღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ტვირთების გადატანა; ტექნოლოგია; გარემოს დაცვა, რადიოკავშირი; კადრების მომზადება.

3. მთავრობებისათვის ხელშეწყობა კონვენციებისა და რეკომენდაციების რეალიზაციაში ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამების განხორციელების გზით.

4. სამეცნიერო და სასწავლო ცენტრების საქმიანობის ორგანიზაცია: 1. მსოფლიო საზღვაო უნივერსიტეტი (შვეცია); 2. საზღვაო ტრანსპორტის აკადემია (იტალია); 3. საზღვაო ტრანსპორტის აკადემია (მალტა); 4. საზღვაო სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტი (მალტა).

5. თანამშრომლობა სამთავრობათაშორის ორგანიზაციებთან: დუნაის კომისია; ევროპის საბჭო; ერთა თანამეგობრობა; ევროპის კავშირი; არაბეთის ქვეყნების ლიგა დასხვა.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სტრუქტურა: უმაღლესი ორგანოა ასამბლეა, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, იწვევენ ორ წელიწადში ერთხელ. ასამბლეა განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკას, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს, ირჩევს საბჭოსა და ზღვაზე უსაფრთხოების კომიტეტის წევრებს.

სესიებს შორის პერიოდში მუშაობას ხელმძღვნელობს საბჭო, რომელიც შედგება 32 სახელმწიფოს წარმომადგენლე-

ბისაგან. საბჭოს ირჩევენ ორი წლის ვადით. ზღვაზე უსაფრთხოების კომიტეტს ირჩევენ 4 წლით. ის შედგება 16 სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან. კომიტეტი იძლევა რეკომენდაციებს ზღვაოსნობის უსაფრთხოების წესების შემოღების შესახებ.

საბჭო შედგება ოთხი მთავარი კომიტეტისაგან: 1. ზღვაზე უსაფრთხოების კომიტეტის; 2. სამართლებრივი საკითხების კომიტეტის; 3. ზღვის გარემოს დაცვის კომიტეტის; 4. ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტისაგან. კომიტეტები საბჭოს წარუდგენენ მოხსენებებს ან რეკომენდაციებს .

ორგანიზაციის შიგნით ადმინისტრაციულ-ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს სამდივნო. მას სათავეში უდგას გენერალური მდივანი, რომელსაც ნიშნავს საბჭო ასამბლეის თანხმობით.

ოფიციალური ენებია: რუსული, ინგლისური და ესპანური. სამუშაო ენებია: ინგლისური და ფრანგული.

ადგილსამყოფელი ლონდონშია (დიდი ბრიტანეთი).

7. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებაა, რომელიც შეისწავლის სამოქალაქო ავიაციის სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობის საკითხებს. ორგანიზაცია შეიქმნა 1944 წელს ჩიკაგოში 52 ქვეყნის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელმაც მიიღო კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ. საქმიანობა დაიწყო 1947 წლის 4 აპრილიდან 26 ქვეყნის მიერ ამ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ. ამჟამად ამ ორგანიზაციის წევრია 185 სახელმწიფო.

სამოქალაკო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებია: მთელ მსოფლიოში სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო და გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფა; მშვიდობიანი მიზნით თვითმფრინავების კონსტრუქციე-

ბის შექმნა და მათი ექსპლოატაციის წახალისება, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციისათვის ავიახაზების, აეროპორტებისა დ აერონავიგაციის მოწყობილობათა შექმნა; უსაფრთხო, რეგულარული, ეფექტიანი და ეკონომიკური საჰაერო გადაყვანით მსოფლიოს მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ორგანიზაცია სწავლობს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის პრობლემებს. ამუშავებს ფრენის, თვითმფრინავების ექსპლოატაციის, ავიასადისპეტჩერო სამსახურის, სააეროდრომო მომსახურების წესებისთვის რეკომენდაციებსა და სტანდარტებს, აგრეთვე ეკონომიკური და იურიდიული ხასიათის საკითხებს.

ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საერთაშორისო ავიახაზებზე ფრენის უსაფრთხოების ხელშეწყობა. იგი განვითარებად ქვეყნებს უწევს ტექნიკურ დახმარებას სამოქალაქო ავიაციის შექმნაში. მის მიერ შემუშავებულია საერთაშორისო კონვენციები საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. საჰაერო ფრენის ეფექტიანობის ამაღლება და უსაფრთხო გადაზიდვების მიზნით საერ თაშორისო სტანდარტების, რეკომენდაციებისა და პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება;

2. ფრენის წესების, აგრეთვე აერონავიგაციის რუკების შემუშავება, რომლებიც გამოყენებული იქნება აერონავიგაციაში მთელ მსოფლიოში;

3. საავიაციო ელექტროკავშირის სისტემისადმი ხელმძღვანელობა;

4. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის პრობლემების შესწავლა; ამ მიზნით საერთაშორისო ნორმებისა და წესების დადგენა;

5. საერთაშორისო საჰაერო კონვენციების პროექტების მომზადება;

6. სამოქალაქო ავიაციის აფრიკის, ლათინური ამერიკის და ევროპის რეგიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

7. ხელშეწყობა განვითარებადი ქვეყნებისადმი სამოქალაქო ავიაციის განვითარების დარგში.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურა: უმაღლესი ორგანოა ასამბლეა, რომელიც აერთიანებს ყველა წევრ ქვეყანას, იკრიბება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. იგი განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკას, ამტკიცებს ბიუჯეტს და იხილავს ყველა საკითხს, რომელიც განსახილველად არ გადაეცემა საბჭოს.

ასამბლეა ირჩევს აღმასრულებელ ორგანოს — საბჭოს, რომელიც შედგება 33 ქვეყნის წარმომადგენლებისაგან. ეს ის ქვეყნებია, სადაც კარგად არის განვითარებული სამოქალაქო ავიაცია. საბჭოს არჩევის დროს ითვალისწინებენ აგრეთვე გეოგრაფიულ პრინციპს. იგი იკრიბება ასამბლეის სესიებს შორის პერიოდში. საბჭოს შემადგენლობაშია 7 კომიტეტი: 1. საჰაერო ტრანსპორტის; 2. ფინანსთა; 3. კადრების; 4. სამართლებრივი; 5. საერთაშორისო საავიაციო გადაზიდვებში უსამართლო ჩარევისადმი კონტროლის; 6. ტექნიკური თანამშრომლობის; 7. სამოქალაქო ავიაციის სამსახურებისადმი ერთობლივი მხარდაჭერის დარგში.

სამუშაო ორგანოებია: აერსანაოსნო კომისია, ავიასატრანსპორტო და იურიდიული კომიტეტები, უკანონო ჩარევის საწინააღმდეგო კომიტეტი, ედუარდ უორნერის — პირველი პრეზიდენტის — პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტი და სხვ.

საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. საბჭო ნიშნავს გენერალურ მდივანს, რომელიც ხელმძღვანელობს ორგანიზაციის მთავარ ადმინისტრაციულ ორგანოს — სამდივნოს, გენერალური მდივანი ნიშნავს მოსამსახურეებს და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას. ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედებს რეგიონული ბიურო.

საქართველო შეუერთდა ამ ორგანიზაციას 1993 წელს.

ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური და რუსული. შტაბ-ბინა მონრეალშია (კანადა).

8. საერთაშორისო სავალუტო ფონდი

სერთშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები.

მათი მოღვაწეობა საშუალებას იძლევა: 1. მოწესრიგდეს მსოფლიოს მეურნეობაში შექმნილი სიძნელეები და წინააღმდეგობები; 2. გაუმჯობესდეს და შემდგომ განვითარდეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები; 3. შემუშავდეს რეკომენდაციები სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის დარგში; 4. ცალკეულმა ქვეყნებმა დააღწიონ თავი ეკონომიკის სიდუხჭირეს და დაადგნენ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების გზას.

თანამედროვე მსოფლიოში ფუნქციონირებენ მსოფლიო, რეგიონული და ეკონომიკის კონკრეტული პროფილის საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებაა. წესდების თანახმად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნებს შორის სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მოწესრიგება, მასში მონაწილე ქვეყნების საგადამხდელო, ბალანსების წონასწორობა და მათი ვალუტების კურსების რეგულირება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითადი კაპიტალი შედგება მონაწილე ქვეყნების შენატანებისაგან. კვოტის ოდენობას ადგენენ მსოფლიო ვაჭრობაში ქვეყნის ეკონომიკური როლის გათვალისწინებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეიქმნა 1944 წლის ივლისში ბრეტონ-ვუდსში 44 ქვეყნის წარმომადგენელთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავალუტო-ფინანსური კონფერენციის სამთავრობათშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. ეს ხელშეკრულება იქცა ფონდის წესდებად, ხელშეკრულება სამჯერ გადასინჯეს — 1969, 1978 და 1992 წლებში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის და განვითარების საერთაშორისო ბანკის რესურსები ყალიბდება ძირითადი კაპიტალისა და დაგროვების ხარჯზე. კაპიტალს კი განსაზღვრავს კვოტა — წევრი ქვეყნების შენატანები. კვოტა გულისხმობს: ა) საწესდებო კაპიტალში შენატანის სიდიდეს; ბ) მართვის ორგანოებში ქვეყნის ხმების რაოდენობას;

გ) რესურსების გამოყენების ლიმიტს. ოქროს დემონსტრაციამდე (1978 წ.) ყველა წევრი ქვეყანა ვალდებული იყო შენატანის 25% უზრუნველეყო ოქროთი. დღეისათვის ეს მოთხოვნა გაუქმებულია. დღევანდელ პირობებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ფუნქციები არ შემოისაზღვრება მარტოოდენ სავალუტო პოლიტიკით. ისინი იქცნენ მსოფლიოში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტებად.

ფონდის თავდაპირველი მიზანი იყო საგადასახადო ბალანსის დეფიციტის დაფარვა და სავალუტო ურთიერთობების მოწესრიგება მოკლევადიანი და საშუალოვადიანი (3-5 წლიანი) კრედიტების გაცემის გზით. ბანკისა კი — წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით კი ომისაგან დანგრეული ევროპისა და იაპონიისათვის, გრძელვადიანი კრედიტების გაცემა, ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა და სამხედრო ეკონომიკის კონვერსია.

50-იანი წლებიდან კი, როცა დასავლეთ ევროპის მდგომარეობა სტაბილური გახდა და დასრულდა დეკოლონიზაციის პროცესი, მსოფლიო ბანკი გადაიქცა განვითარებადი ქვეყნების დახმარების ძირითად საშუალებად. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ მან შეაღწია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, რომელთა უმეტესობა, იქ კომუნისტური რეჟიმის დამხობამდე, იყო აღნიშნულ ორგანიზაციათა წევრი.

80-იანი წლებიდან ფონდი ბანკთან ერთად სამი მიმართულებით წყვეტს საერთაშორისო დავალიანების კრიზისის რეგულირების საქმეს: ა) ფონდი და ბანკი სამთავრობათაშორისო დონეზე ასრულებენ მსოფლიო ფორუმის როლს ვალების რეგულირებასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებაში. მათ სესიებზე წარმოადგინეს ისეთი ცნობილი და გლობალური პროგრამები, როგორიცაა „ბეიკერის გეგმა“ (1985 წ.) და „შვიდეულის“ გადაწყვეტილება განვითარებადი ქვეყნების ვალების ნაწილობრივი ჩამოწერის შესახებ; ბ) მევალე ქვეყნებში უცხოური ფინანსების მოზიდვა, განვითარებადი სამყაროს საგარეო დაფინანსების კოორდინატორისა და კატალიზატორის ფუნქციები; გ) ეროვნული მთავრობებისადმი ხელ-

შეწყობა სტაბილიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამების განხორციელებაში.

ფონდი მთავრობებთან სისტემატური კონტაქტებისა და კონსულტაციების შედეგად ადგენს სტაბილიზაციის პროგრამებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის სავალუტო სისტემისა და ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების ამოქმედებას; სამეურნეო-პოლიტიკური მიზნებისა და მაკროეკონომიკური პროგნოზების ურთიერთშესაბამისობას; ეროვნული პროგრამების განხორციელების შედეგებს.

წესდების თანახმად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნებს შორის სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მოწესრიგება, მასში მონაწილე ქვეყნების საგადასახადო ბალანსების წონასწორობა და მათი ვალუტის კურსის რეგულირება; ხელი შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობასა და საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას, თვალი ადევნოს სავალუტო შეთანხმებების დაცვას, ხელი შეუწყოს ფონდში შემავალი ქვეყნების ვალუტის სტაბილურობას, მისცეს მათ მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და ნაწილობრივ გრძელვადიანი სესხები.

ამ მიზნის მიღწევისათვის ფონდი უზრუნველყოფს იმ წევრ სახელმწიფოთა დაფინანსებას, რომელნიც საგადასახადო ბალანსის სიძნელეებს განიცდიან, აღმოუჩენს მათ ტექნიკურ დახმარებას მეურნეობრიობის მეთოდების გაუმჯობესების საქმეში.

ფონდის ძირითადი კაპიტალია წევრი სახელმწიფოების კვოტების შენატანების ჯამი. მათი სიდიდე განისაზღვრება თითოეული ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით და პერიოდულად ხდება მისი გადასინჯვა. საწევროების 25%-ს შეადგენს ოქრო ან აშშ-ის დოლარი, ხოლო 75%-ს — ეროვნული ვალუტა. კრედიტების რაოდენობა, რომელიც შეიძლება ავტომატურად მიიღოს თითოეულმა ქვეყანამ, შეეფარდება მის „ოქროს წილს". ფონდში ამ რაოდენობაზე მეტი თანხის მიღება შეზღუდულია. კრედიტებს აძლევენ წევრ ქვეყანას მისთვის საჭირო უცხოური ვალუტის მიყიდვის გზით, რაშიც ვალდებულია გადაიხადოს ეროვნული ვალუტა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში გადამწყვეტ როლს ასრულებს „ათთა ჯგუფი“ – აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, კანადა, ბელგია, ჰოლანდია და შვეცია, რომლებიც ხმების უმრავლესობით განსაზღვრავენ საერთაშორისო სავალუტო პოლიტიკას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებებს ღებულობენ ხმების უბრალო უმრავლესობით, უმნიშვნელოვნესი საკითხების გადაწყვეტისას საჭიროა ხმების 85% მაინც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი პრობლემაა უზრუნველყოს საერთაშორისო ლიკვიდურობა, ე. ი. ქვეყნებმა შეუფერხებლად განახორციელონ საგარეო-სავაჭრო და სხვა ოპერაციები და საგადასახადო ბალანსის აქტიური სალდო თავისუფლად გადააქციონ საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის საჭირო ვალუტად. საერთაშორისო სალიკვიდაციო საშუალებებად მიღებულია ოქრო და დოლარი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში, ფილიალებით პარიზში, ჟენევასა და ნიუიორკში. სამუშაო ენაა ინგლისური.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში გაერთიანებულ სახელმწიფოთა რიცხვი თანდათან იზრდება. 1982 წელს მათი რიცხვი 144 იყო, 1990 წელს – 177, 1998 წელს – 180, 2003 წელს – 181. წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც შეასრულებს ფონდის წესდებას.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის შეთანხმება თავდაპირველად მიზნად ისახავდა სავალუტო კურსების მერყეობის შერბილებისა და სტაბილიზაციის პრობლემების მოგვარებას. ახლა ფონდი სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციაა, რომელიც არეგულირებს სავალუტო ოპერაციების მიმდინარეობას, ამასთან ერთად, საგადამხდელო ბალანსისა და სავაჭრო ანგარიშსწორების მოსაგვარებლად მონაწილე ქვეყნებს აძლევს მოკლევადიან (1 წლამდე) და საშუალოვადიან (3-5 წლამდე) კრედიტებს.

საერთშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭოს შემადგენლობაში წარმომადგენელთა რაოდენობის მიხედვით,

ყველა ქვეყანას თანაბარი პირობები აქვს. იგი დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სათათბირო ორგანიზაციაა.

თუმცა გაეროსგან განსხვავებით (მისი პრინციპია „ერთი ქვეყანა — ერთი ხმა") ხმების რაოდენობა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერებასა და სავალუტო შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ხმებიც ფონდში შეტანილი კვოტების მიხედვით იყოფა. კვოტების გაანგარიშება ქვეყნის ეროვნულ შემოსავლებზე, სავალუტო რეზერვების სიდიდესა და საგარეო ვაჭრობის მოცულობაზეა დამოკიდებული. კვოტები ყოველ ხუთ წელიწადში გადაიანგარიშება. თავიდან ყველა ქვეყანას თანაბარი რაოდენობა — 250 ხმა აქვს. მაგრამ ყოველ შეტანილ 100 ათას დოლარზე დამატებით კიდევ ერთ ხმას იძენს. ეს შეთანხმებაც ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე დაიდო. ამ მდგომარეობის შედეგად, საერთო რაოდენობის ხმებიდან 50%-ზე მეტი „დიდი შვიდეულის" ქვეყნებზე მოდის, აქედან 20%-ს აშშ ფლობს.

1970 წლიდან ფონდი უშვებს ახალ საერთაშორისო საკრედიტო საშუალებებს — ე. წ. ვალუტის „სასესხო სპეციალურ უფლებებს". იგი ნაწილდება ფონდის წევრებს შორის მათი კვოტების პროპორციულად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი უმთავრესად მარეგულირებელ, კონსულტაციურ და საფინანსო ფუნქციებს ასრულებს. მარეგულირებელ საქმიანობაში იგულისხმება წევრი ქვეყნების იმ პოლიტიკის ზედამხედველობა, რომელსაც კონკრეტული ქვეყანა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებით იღებს. სავალუტო ფონდი ზედამხედველობას ორი მიმართულებით ახორციელებს:

1. შემუშავებული და დადგენილი სტანდარტის მიხედვით (წევრი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების წარდგენა-შემოწმება);

2. წევრი ქვეყნების სავალუტო კურსების ცვლილებების კონტროლი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების გამოყენება განსაზღვრული, ძალზე მკაცრი პირობებით შეიძლება. აქ გასათვალისწინებელია ორი ერთმანეთთან დაკავშირებული მომენტი:

1. საჭიროა ქვეყანამ ფონდს მიმართოს არგუმენტირებული დასაბუთებით საგადამხდელო ბალანსის ფინანსირებისათვის; 2. სავალუტო ფონდი უნდა დარწმუნდეს შესაბამისი ქვეყნის ვალებულებების შესრულებისა და დავალიანებების დაფარვის შესაძლებლობაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობებია: 1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნის ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური ზრდა და მყარი საგადამხდელო ბალანსის მიღწევა; 2. წევრმა ქვეყანამ განახორციელოს სტრუქტურული გარდაქმნები (აუცილებლობის პირობებში).

დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მთავრობის მეთაურთა დონეზე გლობალური ფინანსური და სავალუტო საკითხების განხილვის მიზნით 1975 წელს დაფუძნდა „შვიდთა ჯგუფი". მასში შედიან: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, კანადა, აშშ, საფრანგეთი, იაპონია. „დიდი შვიდეულის" ლიდერთა შეხვედრები სახელმწიფოთა ან მთავრობის მეთაურთა დონეზე ტარდება ყოველწლიურად; ხოლო ფინანსთა მინისტრებისა და მათი თანაშემწეების — სისტემატურად. 1997 წელს „დიდი შვიდეულის" ჯგუფში შევიდა რუსეთის ფედერაცია და ჯგუფს ეწოდა „რვათა ჯგუფი". „რვათა ჯგუფის" შეხვედრებზე განიხილავენ საერთო ეკონომიკური კურსის, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის კოორდინაციის აქტუალურ საკითხებს.

ხმის მიცემის სისტემა განსაზღვრულია ფონდში ქვეყნის მიერ შეტანილი საწევროს ხვედრითი წილის მიხედვით. 1993 წელს აშშ-ზე მოდიოდა ხმების 18,2%, დიდ ბრიტანეთზე — 5,1%, გერმანიაზე — 5,6%, საფრანგეთზე — 5,1%, იტალიაზე — 3,1%, იაპონიაზე — 5,6%, კანადაზე — 2,9%, ევროკავშირზე — 26,7%. 22 განვითარებულ ქვეყანაზე მოდიოდა ხმების 60,3% [1]. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის თითქმის ასეთივე მდგომარეობაა.

1997 წლის 30 აპრილისათვის კვოტის საერთო რაოდენობამ შეადგინა 145 მილიარდი დოლარი.

---

1. Международные экономические организации. Москва, 2002. стр. 115.

საქართველოში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მოღვაწეობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჯერ კიდევ 1991 წლიდან იწყება, როდესაც ქვეყანას ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია. ეს იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის პირველი სტუმრობა საქართველოში, რომლის მიზანსაც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლა და სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებების განსაზღვრა წარმოადგენდა. ასეთი თანამშრომლობა განსაკუთრებით 1992 წლის 5 მაისის, საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდში გაწევრიანების შემდეგ გააქტიურდა. ამასთან, იგი სულ უფრო მრავალმხრივ ხასიათს იძენდა, დაწყებული მემორანდუმების, რეკომენდაციების, მოხსენებითი ბარათების, ხელშეკრულებების მომზადებით და დამთავრებული, საქართველოს მთავრობისადმი მიზნობრივი სესხების გაცემით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ყველაზე მთავარი დადებითი შედეგი ის არის, რომ საქართველოში შეიქმნა საფინანსო სისტემა და მიღწეულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ამაში იგულისხმება:

1. ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პროცესებს არეგულირებს;

2. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გზით ჰიპერინფლაციის მოთოკვა, რამაც ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა შექმნა;

2. პურზე ფასების განთავისუფლებით ფასების ლიბერალიზაციის პროცესის პრაქტიკულად დასრულება;

3. 1995 წლიდან მოყოლებული, წლის დასაწყისიდან დამტკიცებული ქვეყნის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობა;

4. ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება, რომლითაც გამიჯნულია ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ფუნქციები; ამასთან კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკის მხრიდან დამტკიცებული აქვს მარეგულირებელი ნორმატიული პარამეტრები, რომელთა საშუალები-

თაც საბანკო სისტემაზე სახელმწიფოებრივი კონტროლი ხორციელდება;

5. ყოფილი სახელმწიფო ბანკების პრივატიზაციის დასრულება;

6. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;

7. უცხოური ვალების რესტრუქტურიზაციის მიღება და ამ გზით საქართველოსათვის საგარეო ვალების მომსახურებისა და ზოგადად გადახდისუნარიანი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შექმნა[1].

1991 წელს საქართველოს პირველად ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, ამას მოჰყვა 1992 წლის მარტისა და 1993 წლის იანვრის მისიები. უცხოელმა ექსპერტებმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობები შეისწავლეს და სპეციალური მემორანდუმი მოამზადეს, რომლის განხორციელებითაც შესაძლებელი იყო თავიდან აგვეცილებინა ეკონომიკური კრიზისის შემდგომი გამწვავება. ეს იყო პირველი ცდა, პირველი ნაბიჯი პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციის რღვევისა, იმ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა, რამაც მსოფლიოს არა ერთი ქვეყნის ეკონომიკას მისცა ბიძგი წარმატებისაკენ.

ფონდის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო. იგი განსაზღვრავს ფონდის პოლიტიკას. მასში შედიან წევრი სახელმწიფოების მიერ 5 წლის ვადით არჩეული მმართველი და მისი მოადგილეები, წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრები ან ცენტრალური ბანკის მმართველები. მმართველთა საბჭოს სესია იკრიბება წელიწადში ერთხელ, სადაც ამტკიცებენ ფონდის საქმიანობის წლიურ ანგარიშს, განიხილავენ განცხადებებს ახალი წევრების მიღებისა თუ გარიცხვის შესახებ, საწესდებო კაპიტალის ცვლილებების საკითხებს და სხვ.

ფონდის ყოველდღიურ მუშაობას წარმართავს აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც მეთაურობს თავმჯდომარე, იგი განმკარგულებელია, აღნიშნულ საბჭოში შედის 22 დირექტორ-აღმასრულებელი. მათგან 6-ს ნიშნავენ უდიდესი კვო-

---

1. ვლადიმერ პაპავა. საერთაშორისო საკალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, 2000, გვ. 29-30

ტის მქონე ქვეყნები (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, საუდის არაბეთი), 16-ს — დანარჩენი წევრი ქვეყნები გეოგრაფიული წარმომადგენლობების პრინციპის მიხედვით. არჩევნები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.

დირექტორ-განმკარგულებელი დირექტორატის თავმჯდომარე და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამდივნოს მთავარი ადმინისტრაციული პირია.

9. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამთავრობათაშორისი სპეციალიზებული დაწესებულებაა. მისი დაარსების იდეა იშვა გაერთიანებული ერების სავალუტო-ფინანსურ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1945 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-ჰემფშირის შტატის ქალაქ ბრეტონ-ვუდში. ამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ 44 ქვეყნის მთავრობათა წარმომადგენლები. ეს საფინანსო-საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც შემოკლებით „მსოფლიო ბანკს" უწოდებენ, 1946 წლის 25 ივნისიდან ამოქმედდა. წესდება მრავალჯერ შეიცვალა.

გაეროსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის ურთიერთობას განსაზღვრავს გაერთიანებული ერების ორგანზაციის გენერალური ასამბლეის 1947 წლის 15 ნოემბრის სპეციალური ხელშეკრულება. ამ დოკუმენტში გათვალისწინებულია. გაეროს გენერალურ ასამბლეაში, ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში, რეგიონულ ეკონომიკურ კომისიებში, მისი განვითარების პროგრამაში ბანკის წარმომადგენლობა. ხელშეკრულების თანახმად, ბანკის პრეზიდენტი გაეროს კოორდინაციის დარგში ადმინისტრაციული კომიტეტის წევრია. ამასთან, ბანკი გაეროს წინაშე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კონსულტაციებსა და კონფერენციებში.

საერთაშორისო ბანკის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილე სახელ-

მწიფოები. ამჟამად საერთაშორისო ბანკის წევრია 180 სახელმწიფო.

ბანკმა თავიდანვე მიზნად დაისახა ხელი შეეწყო განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური წინსვლისათვის. მსოფლიო ბანკმა საგანგებოდ გამოყო ფულადი სახსრები და გრძელვადიანი სესხები განვითარებადი ქვეყნების მსხვილ კაპიტალდაბანდებათა დასაფინანსებლად. ეს პროექტები ითვალისწინებდა ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტებისა და საკომუნიკაციო საშუალებების მშენებლობას, როგორიცაა ავტომაგისტრალები, ელექტროსადგურები, სკოლები, ირიგაციული სისტემები და ა. შ. გარდა ამისა, ბანკის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტთა მომზადებისა და ჩვილბავშვიანი დედების სურსათით უზრუნველყოფის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა დღესაც ძალზე მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში.

მსოფლიო ბანკი არა მარტო ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროს საქმიანობის გასაჯანსაღებლად იძლევა კრედიტებს, არამედ მთელ რიგ ქვეყნებს შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს ახალი, უფრო ეფექტიანი და მოქნილი ეკონომიკური სტრუქტურების შექმნაშიც. ამ მიზნით ბანკში შექმნილია ექსპერტთა საკონსულტაციო სამსახური, რომელიც წინასწარ ეცნობა ფინანსურ კრიზისში მყოფ სახელმწიფოებში არსებულ მდგომარეობას, შესაბამის რჩევა-დარიგებებს აძლევს ამ ქვეყნების მთავრობებს და შემდეგ სესხების გამოყოფის საკითხებს იხილავს. მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელები ამას „ტექნიკური დახმარების" გაწევას უწოდებენ. პირველად, ასეთი დახმარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თითქმის მთლიანად დანგრეულ და მიწასთან გასწორებულ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს აღმოუჩინეს. ამჟამად ისინი გრძელვადიანი სესხებით ინტენსიურად აფინანსებენ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ბევრ სახელმწიფოს.

წესდების თანახმად, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მოვალეობაა დახმარება აღმოუჩინოს

წევრ სახელმწიფოებს ეკონომიკის აღდგენის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საქმეში, წაახალისოს კერძო უცხოური კაპიტალდაბანდებანი, გასცეს გარანტიები გრძელვადიან სესხებზე. სესხის გაცემა ემყარება ეკონომიკურ დასაბუთებას. ამასთან, სესხის მიმღები ქვეყნის მთავრობამ აუცილებელია გასცეს გარანტიები სესხების დაბრუნებაზე.

საერთაშორისო ბანკის წესდებაში ჩამოყალიბებულია საბანკო ოპერაციების ჩატარების ძირითადი პრინციპები. სესხის ძირითადი ნაწილი გაიცემა განვითარებად ქვეყნებზე. იგი გამოიყენება საწარმოო, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, გზების განვითარების მიზნებისა და კადრების მომზადებისთვის.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი გამოუყოფს საშუალოვადიან და გრძელვადიან სესხებს წევრი ქვეყნების მთავრობებს. უმთავრესად განვითარებად ქვეყნებს ან კერძო ორგანიზაციებს მთავრობათა შესაბამისი გარანტიებით და აკონტროლებს მათ გამოყენებას. ბანკის წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან შეასრულონ ბანკის რეკომენდაციები, წარუდგინონ მას ანგარიშები და ინფორმაციები სესხის გამოყენების შესახებ.

ბანკის საკრედიტო რესურსები შედგება ძირითადი კაპიტალისა და ობლიგაციური სესხებისაგან, რომლებიც გავრცელებულია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე. საწესდებო კაპიტალი ბანკის აქციებზე სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილი თანხის ჯამია. აქციები ძირითადად ნაწილდება ქვეყნების წილის პროპორციულად. იგი განისაზღვრება მათი მთლიანი ეროვნული შემოსავლით. ხელმოწერილი თანხის 82%-ს სახელმწიფო იხდის ოქროთი და აშშ-ის დოლარებით, 18 პროცენტს — ეროვნული ვალუტით.

ხელმოწერის 80% საგარანტიო ფონდია და წევრი სახელმწიფოები მას იხდიან მხოლოდ ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში. ბანკის სესხები ეძლევათ მთავრობებს.

მხოლოდ განსაზღვრული და ბანკის მიერ მოწონებული მიზნებისათვის სესხის გაცემის მიზანშეწონილობის დასადგენად, საერთაშორისო ბანკი ამა თუ იმ ქვეყანაში აგზავნის თავის მისიებს. სესხების გაცემის საკითხის გადაწყვეტა მნიშ-

ვნელოვნად დამოკიდებულია სესხის მიღებით დაინტერესებული ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე.

ბანკი თავის გადაწყვეტილებას ღებულობს ხმების უბრალო უმრავლესობით. თითოეული ქვეყნის ხმების რაოდენობა განისაზღვრება მის მფლობელობაში არსებული ბანკის აქციების რაოდენობით. თითოეულ წევრ სახელმწიფოს აქვს 250 ხმა + 1 ხმა ყოველ ასი ათას დოლარზე. განვითარებული ქვეყნები, რომლებიც შედიან „ათთა ჯგუფში", ფლობენ ხმების უმრავლესობას.

ეკონომიკურ სტაბილიზაციაზე პასუხისმგებელ 400-ზე მეტ სამთავრობათაშორის ორგანიზაციას შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი სუპერგიგანტების რიგს განეკუთვნებიან. მათი მძლავრი ფინანსური ბაზა აღემატება გაეროს ყველა დანარჩენი სპეციალიზებული ორგანიზაციისა და რეგიონული ბანკების ფინანსურ რესურსებს ერთად აღებულს.

საერთაშორისო ბანკის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. წარმომადგენელი აუცილებლად უნდა იყოს იმ მთავრობის წევრი, რომელსაც მსოფლიო ბანკში თვითონ წარმოადგენს. მას თავის ქვეყანაში მინისტრის ან ამ რანგის სხვა თანამდებობა უნდა ეკავოს. მმართველთა საბჭო და საერთაშორისო სავალუტო ფონდი იწვევენ წელიწადში ერთხელ ერთობლივ სესიებს. მმართველთა საბჭოს კომპეტენციაში შედის: ბანკის საერთო პოლიტიკის შემუშავება; ახალ წევრთა მიღება; წმინდა შემოსავლების განაწილება; აქტუალურ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღება.

მმართველთა საბჭო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს განმკარგულებელ დირექტორთა მცირე ჯგუფის საშუალებით. ეს არის დირექტორთა საბჭო, რომელიც მთელ საბანკო პოლიტიკას აკონტროლებს; იძლევა კრედიტებს, ამტკიცებს სასესხო ხელშეკრულებებს და სხვ. დირექტორატი, ანუ დირექტორთა საბჭო შედგება 24 დირექტორ-განმკარგულებლისაგან. მათგან ხუთს ნიშნავენ ის სახელმწიფოები, რომელთაც ყველაზე მეტი აქციები აქვთ, ხოლო ცხრამეტს ირჩევენ წევრი სახელმწიფოები. მმართველთა საბჭომ დაა-

კისრა მათ მოვალეობა — განახორციელონ ბანკის უფლებამოსილება, გარდა ზოგიერთი საკითხისა, რომელთა გადაწყვეტა მმართველთა საბჭოს ფუნქციაა.

დირექტორთა საბჭოს უშუალოდ ბანკის პრიზიდენტი განაგებს. მას ირჩევს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მმართველთა საბჭო. პრეზიდენტი ამავე დროს არის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე. იგი ხელმძღვანელობს ბანკის ადმინისტრაციას, ახორციელებს მიღებულ დადგენილებებს. ბანკის 12 ათასზე მეტ თანამშრომელს ყოველდღიურად აუცილებელი საქმე და საზრუნავი აქვს.

რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებას სამი უმძლავრესი ფილიალი აქვს: განვითარების საერთაშორისო ასოციაცია; საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია და საინვესტიციო გრანტიების მრავალპროფილიანი სააგენტო. მათი შტაბ-ბინები, ისევე როგორც მსოფლიო ბანკისა, განლაგებულია ვაშინგტონში. მსოფლიო ბანკი ყოველ ექვს თვეში ერთხელ ამოწმებს, აზუსტებს და აწესებს განვითარებადი ქვეყნებისათვის მისაცემი კრედიტების საერთო პროცენტულ მაჩვენებლებს. დღეს ეს ციფრი 7,73%-ს შეადგენს. ვალის გადახდას ესა თუ ის სახელმწიფო ხუთი წლის შემდეგ იწყებს. იგი ვალდებულია თხუთმეტ-ოც წელიწადში მთლიანად დაფაროს თანხა. 1991 წელს მსოფლიო ბანკის კრედიტთა საერთო მოცულობა 16,4 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ეს თანხა მოხმარდა 42 ქვეყნის 126 სხვადასხვა ეკონომიკური პროექტისა და პროგრამის განხორციელებას. ბანკის ძირითადი შემოსავლის წყაროა იმ აქციებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული თანხა, რომლებსაც ეს საფინანსო-საკრედიტო დაწესებულება მსოფლიოს ფინანსურ ბაზარზე ყოველწლიურად ყიდის, გარდა ამისა, ფულის ნაწილი საწევრო გადასახადების სახით მსოფლიო ბანკის წევრი ქვეყნებიდანაც შედის.

მსოფლიო ბანკისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მიერ გაწეულმა დახმარებამ და საკრედიტო ვალდებულებებმა 1996 წელს სარეკორდო მაჩვენებელს — 33,7 მილიარდ დოლარს მიაღწია. მსოფლიო ბანკმა 122 პროექტის განსახორციელებლად 21,9 მილიარდი დოლარი დახარჯა, ხოლო

განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ 123 პროექტზე — 6,8 მილიარდი დოლარი[1].

მსოფლიო ბანკი იმ ქვეყნებს აძლევს კრედიტს, სადაც ერთობლივი ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 600 დოლარზე ნაკლებია წელიწადში. იგი კრედიტს გასცემს ძალიან ხელსაყრელ პირობებში, ვალის დაბრუნება დაიწყება 10 წლის შემდეგ. უღარიბესი ქვეყნები ვალის გადახდას იწყებენ 40 წლის შემდეგ. ეს კრედიტები გაიცემა შვიდ პროცენტიანი განაკვეთით 5-15 წლით და ნულოვანი განაკვეთით 2-5 წლის განმავლობაში.

მსოფლიო ბანკის მეორე სახის საქმიანობა დაკავშირებულია 34 მდიდარი ქვეყნებიდან ფულის მოგროვებასთან. ეს ქვეყნები სამ წელიწადში ერთხელ იკრიბებიან, რათა მიიღონ გადაწყვეტილება განვითარების საერთაშორისო ასოციაციისათვის ფულის გადაცემის თაობაზე. დაგროვილი თანხები შემდეგ კრედიტის სახით გაიცემა.

მსოფლიო ბანკი ამჟამად 100-ზე მეტ ქვეყანას ეხმარება და აქვს გრძელვადიანი პროგრამები.

მსოფლიო ბანკის ჯგუფს მიეკუთვნებიან აგრეთვე: 1. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც შეიქმნა 1960 წელს ყველაზე ღარიბი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით; 2. საინვესტიციო-საგარანტიო მრავალმხრივი სააგენტო, რომელიც ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში საერთაშორისო ინვესტიციების განთავსებას; შეიქმნა 1988 წელს; 3. საინვესტიციო უთანხმოების მოწესრიგების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც კონფლიქტში მრჩეველისა და არბიტრის ფუნქციებს ასრულებს, შეიქმნა 1966 წელს.

მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალეტო ფონდი თითქმის ერთდროულად შეიქმნა. მათი მიზნებიც თითქმის ერთნაირია. მაგრამ მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდში ამა თუ იმ სახელმწიფოს გაწევრიანება ეტაპობრივად ხდება. სანამ რომელიმე ქვეყანა რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში შესვლის სურვილს გამოთქვამს, მანამდე იგი აუცილებლად უნდა გახდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის

1. გურამ ჯოლია. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები. 1998. გვ. 141.

წევრი. გარდა ამისა, განსხვავებაა იმაშიც, რომ მსოფლიო ბანკი გრძელვადიან კრედიტებს იძლევა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის გასაჯანსაღებლად და სიღატაკის აღმოსაფხვრელად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი მსოფლიო სავალუტო სისტემებს აკონტროლებს და თუ საჭიროდ ჩათვლის, სესხს მისცემს ამ დაწესებულებაში გაერთიანებულ ნებისმიერ სახელმწიფოს. ეს უმეტესად მაშინ ხდება, როცა სავალუტო ფონდის წევრი ესა თუ ის ქვეყანა უცხოური ვალუტის სიმცირეს განიცდის და კრედიტორთა მოკლევადიანი სესხების გასასტუმრებლად სასწრაფოდ სჭირდება ფული.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი ყოველწლიურად ორასზე მეტ საკრედიტო პროექტს იხილავს და ამტკიცებს. დასამტკიცებლად წარდგენილი პროექტი უნაკლო უნდა იყოს. ამიტომ იგი მომზადების დროს ხუთ სტადიას გადის: განსაზღვრას, მომზადებას, ღირებულების შეფასებას, განხილვას და მმართველთა საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემას, ყველა ამ საფეხურის გავლის შემდეგ პროექტი საბოლოო სახეს იღებს. მსოფლიო ბანკი ანაწილებს და ამტკიცებს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ წარდგენილ პროექტებს.

მსოფლიო ბანკში შემავალ მსესხებელ ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ სახალხო მეურნეობისა თუ კულტურის ნებისმიერი დარგის პროექტი წარუდგინონ მმართველთა საბჭოს. ბანკი აფინანსებს: სოფლის მეურნეობის, განათლების, ენერგეტიკის, ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის, ჯანმრთელოის დაცვის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და სხვა ნებისმიერი სფეროს პერსპექტიულ პროექტს.

ყოველწლიურად მსოფლიო ბანკი 50-60 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულების სხვადასხვა პროექტს აფინანსებს. კრედიტების გაცემა და მიღება ოპერატიულად ხდება. თუ ყველა პირობა დაცულია და ყველაფერი მოგვარებულია, სესხი ათი დღის განმავლობაში ადრესატის განკარგულებაში გადადის. ბანკი კრედიტს იმ ფულის ნიშნებით გასცემს და იბრუნებს, რომელსაც ხელშეკრულება ითვალისწინებს. საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს 40 სხვადასხვაგვარი ვალუტით აწარმოოს სასესხო-ფინანსური ოპერაციები.

ბანკის სამუშაო ენაა ინგლისური; ადგილსამყოფელი ვაშინგტონშია, განყოფილებები პარიზსა და ტოკიოში.

საქართველო 1992 წლის მაისში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წევრი გახდა.

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვლო გზა სრული საერთაშორისო იზოლაციიდან მსოფლიო სტრუქტურებში სრულფასოვან ინტეგრაციამდე. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა. მსოფლიო ბანკმა გამოყო დიდი და მრავალმხრივი „საკრედიტო პორტფელი". ბანკის ვალდებულებების მთლიანი მოცულობა 649 მილიონ აშშ დოლარს აღემატება [1].

მსოფლიო ბანკი ეხმარება საქართველოს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში, კონკრეტული ინვესტიციური პროექტების დაფინანსებაში, სოციალური სექტორის გაძლიერებასა და სილატაკის აღმოფხვრაში, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში, გარემოს დაცვისა და კერძო სექტორის განვითარებაში. ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1995 წლის შემდეგ. ამასთან ყოველწლიურად მატულობს მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები ძირითად კაპიტალში: თუ 1996 წელს იგი 13,7 მლნ აშშ დოლარი იყო, 2000 წელს მან 67,1 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ანუ თითქმის ხუთჯერ გაიზარდა [2].

10. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია — სამთავრობათაშორისი ორგანიზაცია — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებაა. იგი დაფუძნდა 1956 წელს, როგორც რეკონსტრუქციისა და განვითარების საერ-

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 16 ოქტომბერი.
2. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. 2001, გვ. 449.

თაშორისო ბანკის ფილიალი. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია 170-ზე მეტი სახელმწიფო. ურთიერთობას საფუძვლად უდევს ხელშეკრულება, რომელიც დამტკიცებულია 1957 წელს. ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წევრი სახელმწიფო.

საერთაშორსო საფინანსო კორპორაცია შეიქმნა განვითარებადი ქვეყნების კერძო ეკონომიკურ სექტორში კაპიტალდაბანდებათა მიზნით. კორპორაცია ხელშეკრულებებს უშუალოდ კერძო კლიენტებთან დებს. ქვეყნის ხელისუფლება მის საქმიანობაში არ ერევა, კრედიტების ოდენობასა და ვადებს კორპორაცია თვითონ არეგულირებს. მას უფლება აქვს, შეიძინოს იმ კომპანიათა აქციები, რომლებსაც ყველასგან დამოუკიდებლად აფინანსებს, 1991 წელს ამ საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებას 2,9 მილიარდი დოლარის ღირებულების 152 კერძო ეკონომიკური პროექტი და გეგმა დაუფინანსა მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენლებს.

КОРПОРАЦІІІС ОТАВАРІ АОЦАНАА: კერძო კაპიტალდაბანდებათა დაფინანსება, უმთავრესად განვითარებად ქვეყნებში; იგი სამთავრობო გარანტიებს არ მოითხოვს. თუმცა კრედიტის გაცემის აუცილებელი პირობაა ფინანსირებულ პროექტში ადგილობრივი ან საზღვარგარეთის კერძო კაპიტალის მონაწილეობა 50 პროცენტის მოცულობით. კრედიტის გაცემის ვადაა 7-დან 12 წლამდე. წლიური პროცენტის განაკვეთის სიდიდე — 5-დან 10 პროცენტამდე.

კორპორაციას აქვს სარეზერვო ფონდი, რომელიც მოგების ხარჯზე იქმნება. იგი უშვებს და ავრცელებს ობლიგაციებს.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის მართვის ორგანოებია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ხელმძღვანელი ორგანოები. მისი ადგილსამყოფელია ვაშინგტონში.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ტექნიკური დახმარების პროგრამა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მიზნად ისახავს ე. წ. კერძო საწარმოებთან პარტნიორობით უფრო მეტი ინვესტიციების მოზიდვას, მცირე და საშუალო ბიზნესის გაზ-

რდას, ასევე, მთავრობებსა და სხვადასხვა კომპანიებს ეხმარებიან, რათა მათ შეძლონ, გახდნენ სანდო პარტნიორები მსხვილი ინვესტორებისათვის.

საქართველო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის წევრი 1995 წელს გახდა. იმ დღიდან დაწყებული კორპორაციამ 60 მილიონ აშშ დოლარზე მეტი თანხების ინვესტირება მოახდინა შვიდ პროექტში, რომლებიც მოიცავენ აგრობიზნესის, საწარმოო, ენერგეტიკის და ფინანსური მომსახურების სექტორებს[1].

განვითარებადი ქვეყნების კერძო კაპიტალდაბანდებათა და ინვესტიციათა დაფინანსებით დაინტერესებულია საინვესტიციო გარანტიების მრავალპროფილიანი სააგენტოც. იგი 1982 წელს დაარსდა და დღეისათვის 70-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს.

სააგენტო იძლევა არაკომერციული რისკისგან (იგულისხმება ომი, ნაციონალიზაცია და სხვ.) კომერსანტთა დაცვის სრულ გარანტიებს. იგი განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელებს საკონსულტაციო სამსახურს სთავაზობს კერძო კაპიტალდაბანდებების ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავრცელებასთან დაკავშირებით. 1991 წელს სააგენტომ 422 მილიონი დოლარის ღირებულების 11 საინვესტიციო პროექტის კომერციული რისკის სრული გარანტია მისცა შვიდ განვითარებად სახელმწიფოს.

11. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია

გაეროს სპეციალიზებული სამთავრობათაშორისი ორგანიზაცია შეიქმნა 1960 წელს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან. ასოციაცია ბანკის ფილიალია, მისი წევრობა შეუძლიათ მხოლოდ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წევრ სახელმწიფოებს. ასოციაცია აერთიანებს 140 ქვეყანას (ყოფილი სსრ კავშირი არ შევიდა ასოციაციაში).

ასოციაციის მიზნებია: განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშეწყობა შელავათიანი სეს-

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 20 ნოემბერი.

ხების მიცემის გზით. ნაკლებად განვითარებადი ქვეყნებისათვის სესხების გაცემის ვადაა 40 წელი. დანარჩენი წევრი ქვეყნებისათვის — 35 წელი.

ასოციაციის ძირითადი კაპიტალი შედგება წევრი ქვეყნების საწევროებისაგან. მთელი შესატანი თანხის 75%-ს იხდიან ოქროთი ან შექცევადი ვალუტით. განვითარებად ქვეყნებს საერთო თანხის 25% შეაქვთ ძირითადად ეროვნული ვალუტით.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია სესხებს გასცემს, მისი შეფასებით, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მიზნების განსახორციელებლად, აგრეთვე ცალკეული პროექტების დასაფინანსებლად, აღსანიშნავია ისიც, რომ სესხები გაიცემა მხოლოდ მაშინ, როდესაც, ასოციაციის დასკვნით, ქვეყანას არ შეუძლია მიიღოს თანხები სხვა წყაროებიდან.

განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან სესხის მიღებისათვის აუცილებელია: 1. ქვეყანა იყოს საკმაოდ ღარიბი; ეკონომიკურად ჩამორჩენილი; 2. ქვეყანაში უნდა იყოს ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური სტაბილურობა; ამით დასაბუთდება ქვეყნის განვითარების მიზნისთვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემის მიზანშეწონილობა; 3. ქვეყანა უნდა განიცდიდეს საგადასახადო ბალანსის სიძნელეებს და ჰქონდეს სათანადო პერსპექტივები საკმარისი რაოდენობის უცხოური ვალუტის დაფარვისათვის; 4. ქვეყანა უნდა ისწრაფოდეს განვითარებისკენ, რათა გამართლებული იყოს საკმარისი რაოდენობის საშუალებების მიცემა შელავათიან პირობებში.

განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოებია: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მმართველთა საბჭო, დირექტორატი პრეზიდენტის მეთაურობით. ასოციაციის ადგილსამყოფელი ვაშინგტონშია.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია უპროცენტო სესხებს აძლევს ჩვენი პლანეტის უღატაკეს სახელმწიფოებს, სადაც ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი არ აღემატება 1195 დოლარს. მსესხებელი ქვეყანა ვალის გასტუმრებას

მისი მიღებიდან ათი წლის შემდეგ იწყებს და ვალდებულია ეს თანხა 35-40 წელიწადში მთლიანად დაფაროს. 1996 წელს განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ 21,3 მილიარდი დოლარის საერთო მოცულობის სესხი მისცა მსოფლიოს 40 სახელმწიფოს.

ასოციაციის ძირითად შემოსავალს მისი წევრი ქვეყნების სავალდებულო საწევრო გადასახადები შეადგენენ. ამას ემატება გასესხების შემდეგ დაბრუნებული ფული და ზოგჯერ მსოფლიო ბანკის მიერ საგანგებო მიზნებით გამოყოფილი თანხაც.

12. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი შეიქმნა ჟენევაში, 1964 წლის მარტში. მისი დამაარსებელი იყო ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების საბჭო. მისი მთავარი მიზანია: განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის გაფართოების ხელშეწყობა.

1974 წლის დეკემბერში საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი ფორმალურად სცნეს, როგორც ტარიფებისა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების ერთობლივი სუბსიდიალური ორგანო. 1984 წელს გახდა გაეროს განვითარების პროგრამის აღმასრულებელი ორგანო. სამუშაო და ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული და ესპანური.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია დაარსდა 1956 წლის 24 ივლისს, ვაშინგტონში, წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. ორგანიზაციის მიზნებია: დაეხმაროს წევრ ქვეყნებს (პირველ რიგში ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს) ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარებაში; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში; ხელი შეუწყოს ეროვნული ეკონომიკისა და მისი შიდა ბაზრების გაფართოებასა და სრულყოფას; სტიმული მისცეს კერძო კაპიტალის საერთაშორისო დინებას.

საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია გაეროს სისტემის სპეციალიზებული დაწესებულებაა და იგი ექვემდებარება გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს. სამუშაო ენაა: ინგლისური.

მსოფლიო ბანკის ჯგუფი

მსოფლიო ბანკის ჯგუფი ჩამოყალიბდა იმ მიზნით, რომ ერთმანეთთან დაეკავშირებინა საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები. ეს არის გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომელიც ფუნქციონირებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან. ამ ჯგუფში შემავალი ოთხივე ორგანიზაცია (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი, საფინანსო კორპორაცია და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია) მას განსახილველად გადასცემს საერთო ანგარიშს. ურთიერთობა მსოფლიო ბანკსა და გაერთიანებულ ერებს შორის წარიმართება მათი შეთანხმების საფუძველზე (1947 წლის სექტემბერი, 1947 წლის ნოემბერი).

მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიზნებია: ცხოვრების პირობების ამაღლება შედარებით ჩამორჩენილ განვითარებად ქვეყნებში, განვითარებული ქვეყნებიდან ფინანსური რესურსების გადაცემის გზით.

სამუშაო და ოფიციალური ენებია: არაბული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური.

13. გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია

გაეროს ეს სპეციალიზებული სამთავრობათშორისო ორგანიზაცია დაფუძნდა გენერალური ასამბლეის სესიაზე 1966 წლის 17 ნოემბერს. თავდაპირველად იგი შეიქმნა, როგორც გენერალური ასამბლეის ორგანო, სამრეწველო განვითარების წახალისებისა და განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებისათვის, აგრეთვე ამ დარგებში გაეროს მთელი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით. ორგანიზაციამ ფუნქციონირება დაიწყო 1967 წლის 1 იანვარს. 1979 წლის

აპრილში გაეროს კონფერენციამ მიიღო ამ ორგანიზაციის წესდება სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის სპეციალიზებულ დაწესებულებად გარდაქმნის შესახებ. წესდების ძალაში შესვლის შემდეგ (1985 წელი), გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია გახდა გაეროს სპეციალიზებული სამთავრობათაშორისო დაწესებულება.

ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები არიან გაეროს, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წევრები ან გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები. ორგანიზაციის მიზნებია: ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებს სამრეწველო განვითარებასა და ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესების დამკვიდრებაში. ორგანიზაციის წევრია 180-მდე სახელმწიფო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია შეიქმნა განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო განვითარების მიზნით, განსაკუთრებით გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში; განვითარებად ქვეყნებში ცალკეული პროექტის დაფინანსების, ეროვნული კადრების მომზადების, ამ მიმართულებით საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობის, აგრეთვე გაეროს ფარგლებში განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო განვითარებისათვის დახმარების კოორდინაციის მიზნით. ორგანიზაცია აწყობს საერთაშორისო თემატურ სემინარებს, სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, ატარებს გამოცდილების გაზიარებისა და ინფორმაციის გაცვლის ღონისძიებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის სტრუქტურა: ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევენ. გენერალური კონფერენცია შეიმუშავებს ორგანიზაციის მიზნების მიღწევის პრინციპებს და პოლიტიკას, იხილავს და იღებს ორგანიზაციის ოპერატიული საქმიანობის პროგრამებს, აწესებს კონტროლს არსებული რესურსების გამოყენებაზე, თვალყურს ადევნებს ორგანიზაციას, როგორც გაეროს განვითარების პროგრამების აღმსრულებელს, განვითარებადი ქვეყნების დახმარების აღმოჩენის დარგში.

სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის მიზნები: 1. ხელი შეუწყოს განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო განვითარებას, დაამყაროს ახალი საერთაშორისო წესები; 2. გაეროს სისტემის ქვეყნების სამრეწველო განვითარების სფეროს მაკორდინებელი როლის განხორციელება; 3. ხელი შეუწყოს სამრეწველო განვითარებასა და თანამშრომლობას გლობალურ, ეროვნულ და დარგობრივ დონეებზე; 4. ხელი შეუწყოს განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას, მათ შორის ბუნებრივი რესურსების დამუშავებისა და განვითარების ინფრასტრუქტურის დარგში; 5. აღმოუჩინოს დახმარება გარდამავალი ეკონომიკისა და განვითარებად ქვეყნებს მრეწველობის რესტრუქტურიზაციასა და პრივატიზაციაში; 6. აღმოუჩინოს განვითარებად ქვეყნებს ტექნიკური დახმარება კონკრეტული პროექტების რეალიზაციის გზით.

სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებებია:

1. განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციაში მონაწილეობა; ამ დარგში პრიორიტეტულია აფრიკის ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია; 2. ხელშეწყობა პროგრამირებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვაში; ტექნიკური ინფორმაციის გავრცელებაში; ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში; ეროვნული კადრების მომზადებაში; კონკრეტულ სამრეწველო პროექტებისათვის ფინანსური საშუალებების მოზიდვაში; 3. განვითარებადი ქვეყნებისათვის მრავალმხრივი ტექნიკური დახმარების განხორციელება სამრეწველო მოწყობილობათა, მატერიალური და ფიზიკური რესურსების გადაცემის გზით; საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება და ტექნოლოგიები; ტექნიკურ-ეკონომიკურად დასაბუთებული პროექტების მომზადება; 4. საერთაშორისო სამრეწველო თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელისშეწყობა ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გადაცემის გზით; 5. სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში ტექნიკური დახმარების აღმოჩენა ექსპერტებისა და კონსულტანტების გაგზავნის გზით; 6. საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენა კონფერენციების, თათბირების და მრეწველობის, პროფკავშირების, მომხმარებელთა წარმომადგენელთა შეხვედრების ჩატარების გზით.

ტექნიკური ხელშეწყობის მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 100 მილიონი დოლარი[1].

ხელმძღვანელი ორგანოა სამრეწველო განვითარების საბჭო, რომელიც შედგება 53 წევრისაგან,. მას ირჩევს გენერალური კონფერენცია. საბჭოს 33 წევრი წარმოადგენს განვითარებად ქვეყანას, 15 — განვითარებული ეკონომიკის ქვეყანას (დასავლეთის ქვეყნები) და 5 — ყოფილი ცენტრალიზებული დაგეგმვის ეკონომიკის ქვეყანას (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები). საბჭოს წევრთა ნახევარს ირჩევენ 4 წლის, დანარჩენებს — 2 წლის ვადით. საბჭო სხდომებს ატარებს წელიწადში ერთხელ.

ორგანიზაციის დამხმარე ორგანოა პროგრამებისა და ბიუჯეტის კომიტეტი, რომელიც შედგება 27 წევრისაგან. მას ირჩევს გენერალური კონფერენცია ორი წლის ვადით.

. ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს სამდივნო გენერალური დირექტორის მეთაურობით. სამდივნოს ირჩევენ 4 წლის ვადით.

ორგანიზაციის შტაბ-ბინა ვენაშია (ავსტრია).

14. სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია

სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია გაეროს სპეციალიზებული სამთავრობათშირისო ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა 1945 წლის 16 დეკემბერს კვებეკის კონფერენციაზე. სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის წევრია 170 სახელმწიფო. ყოფილი სსრ კავშირი არ იყო ამ ორგანიზაციის წევრი, მაგრამ მონაწილეობდა მისი ცალკეული პროექტების განხორციელებაში გაეროს განვითარების ხაზით.

ორგანიზაციის მიზნებია: კვების სრულყოფა, ცხოვრების დონის ამაღლება; სოფლის მეურნეობის, მეტყეევეობის და მეთევზეობის პროდუქციისა და საერთოდ სურსათის წარმოება, გადამუშავების, გასაღებისა და განაწილების გაუმჯობესება; სოფლის რაიონების განვითარებისა და სოფლის მოსახლე -

1. И. Герчикова. Международные экономические организации. 2002, стр. 78.

ობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის ხელშეწყობა, სიღატაკის ლიკვიდაცია, მისი მთავარი ამოცანაა: სოფლის მეურნეობის საკითხებზე სამთავრობათშორისი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია და სურსათით მსოფლიოს მოსახლეობის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების უზრუნველყოფა, მისი დახმარება, როგორც მატერიალურ (სასურსათო პროდუქტებით), ისე არამატერიალურ (ტექნიკური დახმარება, კადრების მომზადება და სხვა) ხასიათს ატარებს.

ამ მიზნებისა და ამოცანების განხორციელების დროს ორგანიზაცია ხელს უწყობს კაპიტალდაბანდებებს სოფლის მეურნეობაში, ნიადაგისა და წყლის რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებას, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას, განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნოლოგიების შემუშავებასა და გადაცემას, ამ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო გამოკვლევათა განვითარებას; ბუნებრივი რესურსების დაცვას; სასუქებისა და ჰერბიციდების რაციონალურ გამოყენებას; ეწევა ბრძოლას ცხოველთა დაავადებებთან.

გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რაც ხორციელდება 1950 წლიდან. ორგანიზაცია აგროვებს, სწავლობს და ავრცელებს ინფორმაციას კვების, სურსათისა და სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის საკითხებზე; ხელს უწყობს სოფლის მეურნეობისა და კვების დარგებში სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის სამუშაოების ჩატარებას. ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებობს აფრიკის, ევროპის, აზიისა და შორეული აღმოსავლეთის, ახლო აღმოსავლეთის, ლათინური და ჩრდილო ამერიკის რეგიონული განყოფილებები.

ორგანიზაცია გაეროს წამყვანი დაწესებულებაა სოფლის რაიონების განვითარების საკითხებში.

გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის სტრუქტურა: უმაღლესი ორგანოა კონფერენცია. იგი ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება პოლიტიკის განსაზღვრის, ბიუჯეტისა და ორგანიზაციის მუშაობის პროგრამების დამტკიცების მიზნით. კონფერენცია შედგება წევრი სახელმწიფოებისაგან.

კონფერენციის სესიებს შორის პერიოდში ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა საბჭო, რომელიც ადგენს მსოფლიოში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის მიმოხილვებს; კოორდინაციას უწევს სამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, მოხმარებისა და განაწილების საკითხებში. საბჭო შედგება 49 წევრი სახელმწიფოსაგან, რომლებსაც ირჩევს კონფერენცია, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს.

საბჭოს გააჩნია თავის შემადგენლობაში სამი მთავარი კომიტეტი (პროგრამების დარგში, ფინანსების დარგში, კანონმდებლობისა და სამართლის დარგში) და ხუთი სპეციალიზებული კომიტეტი (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის, მეტყეევობის, მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში).

ფაოს გააჩნია ხუთი რეგიონული განყოფილება: აფრიკისათვის, ევროპისათვის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზისათვის, მახლობელი აღმოსავლეთისათვის.

ორგანიზაციას სათავეში უდგას გენერალური დირექტორი, რომელსაც კონფერენცია ირჩევს. იგი ხელმძღვანელობს საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობას, ადგენს ყოველწლიურ ანგარიშებს ორგანიზაციის მუშაობის შესახებ და შეაქვს კონფერენციაზე განსახილველად.

სამუშაო ენა ინგლისურია. ორგანიზაციის ადგილსამყოფელი რომშია (იტალია).

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (ფაო) ხელმძღვანელობს ლოზუნგით: „სასურსათო ურთირთობის გარეშე არ არსებობს საერთო უსაფრთხოება". საერთაშორისო ორგანიზაცია ამ მიმართულებით თავისი საქმიანობის მასშტაბებს ზრდის და ეროვნული სტრატეგიიდან აქცენტი რეგიონულ სტრატეგიაზე გადააქვს. ამ თვალსაზრისით რეგიონული პროგრამების შემუშავება უკვე დაწყებულია. შემდგომი ეტაპი კი არის კონკრეტული რეგიონული დაჯგუფებების მსოფლიო ბაზართან ურთიერთობის განსაზღვრა.

ფაოს სჭირდება ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორები. ამ მიმართულებით უაღრესად საინტერესოა მისი თანამშრომლობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასა და მსოფლიო ბანკთან.

მნიშვნელოვანია ის დახმარება, რომელსაც საქართველო იღებს გაეროს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისა (JFAD)-ის და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მეშვეობით. მათი ხელშეწყობით და უშუალო მონაწილეობით ხორციელდება სოფლად ადგილობრივი წარმოების განვითარების და სურსათით უზრუნველყოფის კომპლექსური პროგრამა, შექმნილია გლეხთა საკრედიტო კავშირები.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგებიდან პრიორიტეტს ანიჭებს წყლის მეურნეობისა და ირიგაციის სისტემის განვითარებას. ფაოს ეგიდით უკვე დაწყებულია ირიგაციის სისტემის სარემონტო სამუშაოები. სწორედ წყალზე კეთდება აქცენტი სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის პირველ ეტაპზე. პროგრამის ფარგლებში სამუშაოების შესრულება 20-30 პუნქტს მოიცავს.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მისაქციელსა (მცხეთის რაიონი) და პატარა ფოთში მიმდინარეობს სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია. ეს ობიექტები საჩვენებელი იქნება სწავლებისა და კადრების აღზრდისთვის. დაარსდა წყალმომხმარებელთა ასოციაციები, გათვალისწინებულია საჩვენებელ მეურნეობათა მოწყობა.

15. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი

ფონდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამთავრობათშორისო სპეციალიზებული დაწესებულებაა. იგი შეიქმნა მსოფლიო სასურსათო კონფერენციისა (1974 წ., რომი) და გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. შეთანხმება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის შექმნის შესახებ ძალაში შევიდა 1977 წლის 30 ნოემბერს. ფონდი თავის საქმიანობას შეუდგა 1978 წლის დამდეგს.

ფონდი აფინანსებს პროექტებსა და პროგრამებს განვითარებადი ქვეყნებისათვის სასურსათო პროდუქტების წარმოების გადიდების მიზნით.

დღეისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის წევრია 160 სახელმწიფო. ყოფილი სსრ კავშირი არ მონაწილეობდა ფონდში.

ფონდში შეიძლება მონაწილეობდნენ გაეროს წევრი ქვეყნები, მისი სპეციალიზებული დაწესებულებანი და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში შემავალი სახელმწიფოები. ფონდის წევრი სახელმწიფოები იყოფა სამ კატეგორიად: ა) 22 განვითარებული სახელმწიფო—დონორი (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები); ბ) 12 განვითარებადი ქვეყანა—დონორი (ალჟირი, ვენესუელა, გაბონი, ინდონეზია, ერაყი, ირანი, კატარი, ქუვეითი, ლიბია, ნიგერია, ეგვიპტე, საუდის არაბეთი); გ) 126 განვითარებადი ქვეყანა. პირველ და მეორე კატეგორიის ქვეყნების სესხები ხორციელდება კონვერტირებული ვალუტით; იგი შეადგენს ფონდის ვალუტის 99%-ს. მესამე კატეგორიის ქვეყნებს უფლება ეძლევათ სესხების გადახდა ეროვნული ვალუტით.

ფონდის ძირითადი მიზანია: განვითარებად ქვეყნებში სურსათის წარმოების გაფართოებისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა, დამატებითი რესურსების მობილიზაცია შეღავათიან პირობებში მათთვის გადასაცემად.

ფონდი დახმარებას უწევს მხოლოდ იმ ქვეყნებს ან სამთავრობათშორის ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობენ ამ ორგანიზაციის საქმიანობაში.

ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევის საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში იღებენ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, აგრეთვე სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპს. პროექტები ხორციელდება მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დაბალი შემოსავალია.

ფონდის ძირითადი დონორებია: აშშ, გერმანია, იაპონია, ირანი, ვენესუელა, ქუვეითი და სხვა ქვეყნები.

ფონდის ამოცანებია: განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და კვების დონის ამაღლებაში, ამ მიზნით დამატებითი საშუალებების მობილიზაცია. უმთავრესია სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა, პროდუქტების გადამუშავება და შენახვა. მთელი ყურადღება გადატანილია სოფლის რაიონებზე, სადაც ცხოვრობს და მუშაობს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა.

ფონდის მიერ გაცემული პროექტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადიდებაზე. ისინი იცავენ სოფლის მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენის ინტერესებს. წვრილ ფერმერებსა და უმიწო გლეხებს აბამენ განვითარების პროცესში.

პროექტები შეიცავს რწყვას და კონტროლს წყლის რესურსებზე, სოფლის რაიონების კომპლექსურ განვითარებას; სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა სრულყოფას, სასუქების მიწოდებასა და განაწილებას, წვრილი ფერმერებისათვის სესხების გაცემას, მეცხოველეობის განვითარებას დ ა. შ.

ფონდის სტრუქტურა: სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოებისაგან. სამი კატეგორიის წევრთაგან თითოეულს აქვს ხმათა თანაბარი რაოდენობა. მმართველთა საბჭო ხელმძღვანელობს ფონდის ოპერაციებს, მსოფლიო სასურსათო საბჭოს პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას თავისი პროგრამების შესრულების შესახებ.

ფონდის მიმდინარე საქმიანობას ახორციელებს აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება 18 წევრისაგან — თითოეული კატეგორიისაგან 6 წევრი. საბჭოს ირჩევს მმართველთა საბჭო სამი წლის ვადით. ფონდის თავმჯდომარეს ნიშნავს მმართველთა საბჭო ოთხი წლის ვადით. დასაშვებია მისი ხელმეორედ არჩევა. იგი ერთდროულად საბჭოს თავმჯდომარე და ფონდის ოფიციალური წარმომადგენელია.

სამუშაო ენებია: ინგლისური, ესპანური და ფრანგული. ფონდის ადგილსამყოფელი ქალაქ რომშია (იტალია).

1997 წელს ამოქმედდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი, რისთვისაც მსოფლიო ბანკმა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა გამოყვეს შესაბამისად, 15 მლნ და 6,5 მლნ აშშ დოლარი. პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს საკრედიტო ხაზი, რომლის მეშვეობით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაფინანსდა 48 აგროსამრეწველო საწარმო, საერთო თანხით 8,6 მლნ აშშ დოლარი.

16. მსოფლიო საფოსტო კავშირი

დაფუძნდა 1874 წლის 9 ოქტომბერს ბერნის ხელშეკრულებით, რომელიც მოიწონა 22 სახელმწიფომ ბერნში (შვეიცარია). ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1875 წლის 1 ივლისიდან. 1878 წლამდე მას ეწოდებოდა „საყოველთაო საფოსტო კავშირი". 1947 წლიდან მსოფლიო საფოსტო კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებაა.

მსოფლიო საფოსტო კავშირის წევრია 190 სახელმწიფო. წესდების მიხედვით, კავშირის მიზნებია: საფოსტო სამსახურის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, საფოსტო სამსახურის ორგანიზაცია და სრულყოფა; ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების წახალისება, ტექნიკური დახმარების აღმოჩენა განვითარებადი ქვეყნებისათვის საფოსტო სამსახურის სრულყოფისა და ორგანიზაციის სფეროში.

1959 წლის 1 აპრილიდან მსოფლიო საფოსტო კავშირის საქმიანობა რეგულირდება მსოფლიო საფოსტო კონვენციით, რომელიც მიღებულია საფოსტო კონგრესზე ოტავაში 1957 წლის 3 ოქტომბერს.

კონვენციამ მონაწილე ქვეყნების ტერიტორიები „ერთიან საფოსტო ტერიტორიად" გამოაცხადა და საფოსტო გზავნილებისთვის დააწესა ტრანზიტის თავისუფლება, ერთიანი კლასიფიკაცია და ტარიფები. ამის შედეგად ისინი იგზავნება უმოკლესი გზით და მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა წევრი

ქვეყნისათვის ერთიანი წესებით. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად კონვენციის დამატებით მიღებულ რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმებასაც.

მსოფლიო საფოსტო კავშირი აზიის, ამერიკის განვითარებად ქვეყნებს უგზავნის ექსპერტებს, კონსულტანტებს, ეხმარება ტექნიკური პროექტების შემუშავებაში, კადრების მომზადებაში, უწევს ტექნიკურ დახმარებას.

მსოფლიო საფოსტო კავშირის თანამშრომლობის ტექნიკური პროექტები მოიცავს დაგეგმვას, ორგანიზებას, მართვას, ოპერაციებს, კადრების მომზადებას და ფინანსურ სამსახურს.

საფოსტო კავშირის მთავარი ორგანოებია: მსოფლიო საფოსტო კონგრესი, აღმასრულებელი საბჭო, საფოსტო გამოკვლევების საკონსულტაციო საბჭო და საერთაშორისო ბიურო.

მსოფლიო საფოსტო კონგრესი, რომელიც შედგება ყველა წევრი სახელმწიფოსაგან, კავშირის უმაღლესი ორგანოა. კონგრესს იწვევენ ხუთ წელიწადში ერთხელ მსოფლიო საფოსტო კონვენციის გადამუშავებისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვის მიზნით. კავშირის წევრ სახელმწიფოთა ორი მესამედის მოთხოვნით ან თანხმობით შეიძლება საგანგებო კონგრესის მოწვევა.

კონგრესებს შორის მოქმედებს კონგრესის მიერ არჩეული 40 წევრისაგან შედგენილი აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც იწვევენ წელიწადში ერთხელ.

საფოსტო გამოკვლევების საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც კონგრესი ირჩევს 35 წევრის შემადგენლობით, ახორციელებს გამოკვლევებს და აძლევს რეკომენდაციებს საფოსტო მომსახურების ტექნიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე. საბჭო სხდომებს წელიწადში ერთხელ მართავს.

მსოფლიო საფოსტო კავშირის მუდმივი სამდივნოა მისი საერთაშორისო ბიურო. იგი საფოსტო ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფს კავშირს, ინფორმაციას, კონსულტაციებს და ზოგიერთ ფინანსურ მომსახურებას, ამასთან, საფოსტო მომსახურების დარგში კოორდინაციას უწევს და ახორციელებს ტექნიკური თანამშრომლობის ღონისძიებებს.

მსოფლიო საფოსტო კავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან რეგიონული საფოსტო კავშირები. ამჟამად არსებობს 5 რეგიონული საფოსტო კავშირი.

კავშირი გამოსცემს ჟურნალს „საფოსტო კავშირი". ოფიციალური ენაა ფრანგული, სამუშაო ენებია ინგლისური, ესპანური, რუსული. მუდმივი ორგანოების ადგილსამყოფელია ბერნში (შვეიცარია).

17. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია

საერთაშორისო სამთავრობათშორისი ორაგინიზაცია გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია შეიქმნა ადრე არსებული საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ბაზაზე; იგი დაარსდა 1873 წელს. 1939 წელხ მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ მიიღო დადგენილება „მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის" სახელწოდებით სამთავრობათშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ. ამ ორგანიზაციის კონვენცია შეიმუშავა 1947 წელს გაშინგტონის კონფერენციამ, რომელიც ძალაში შევიდა 1950 წლის 23 მარტს. ამჟამად მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის წევრია 179 სახელმწიფო.

გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციის მიზანია უზრუნველყოს საერთაშორისო თანამშრომლობა მეტეოროლოგიური სადგურების ქსელის შექმნისა და მეტეოროლოგიური დაკვირვებების ერთიანი ნორმების შემუშავებაში, ინფორმაციის სწრაფი გაცვლის სისტემის ჩამოყალიბებაში, ხელი შეუწყოს მეტეოროლოგიის მიღწევების გამოყენებას ავიაციაში, საზღვაო ნავიგაციაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში, წაახალისოს მეტეოროლოგიის სფეროში გამოკვლევების ჩატარება, მეტეოროლოგების მომზადება.

მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული ამინდის მსოფლიო სამსახური ემყარება მიწისზედა, მეტეოროლოგიური თანამგზავრების, საერთაშორისო სისტემებისა და რეგიონულ მეტეოროლოგიური ცენტრების დაკვირვებებს. ეს სისტემები, თანამგზავრები და ცენტრები ფუნქციონირებენ

წევრ სახელმწიფოთა ამინდის ეროვნული სამსახურების დახმარებით. ამ ბოლო დროს, როდესაც კოსმოსიდან მიღებული მონაცემები ატმოსფეროსა და ოკეანეებში მიმდინარე პროცესების შესახებ, სწრაფად ხდება ამინდის პროგნოზის საფუძველი მთელ მსოფლიოში, მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ მთავარი ყურადღება დაუთმო დაკვირვებათა კოსმოსურ სისტემებს.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია ახორციელებს სამეცნიერო მუშაობას. მისი კვლევის ობიექტებია: გლობალური ატმოსფერული პროცესები, გამოყენებითი მეტეოროლოგიისა და კლიმატური პროგრამები, ოპერატიული ჰიდროლოგია, კადრების მომზადება, ტექნიკური თანამშრომლობის საკითხები.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა კონგრესი. მასში წარმოდგენილია წევრი სახელმწიფოები მათი მეტეოროლოგიური სამსახურების სახით. კონგრესი იკრიბება 4 წელიწადში ერთხელ.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის კონგრესი განსაზღვრავს ამ ორგანიზაციის საერთო პოლიტიკას თავისი მიზნების განხორციელების საქმეში, ამტკიცებს ორგანიზაციის ამინდის სამსახურის პროგრამასა და ბიუჯეტს; ადგენს მეტეოროლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ წესებს; იხილავს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის კონვენციებსა და სხვა აქტებში ცვლილებების შეტანის საკითხებს, ირჩევს პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს, აგრეთვე აღმასრულებელი საბჭოს წევრებს.

კონგრესიდან კონგრესამდე მუშაობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც იწვევენ წელიწადში ერთხელ. აღმასრულებელი კომიტეტი ახორციელებს კონტროლს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გადაწყვეტილებებისა და ტექნიკური წესების შესრულებაზე.

აღმასრულებელი კომიტეტი შედგება 36 წევრისაგან; მათ შორის არიან პრეზიდენტი და სამი ვიცე-პრეზიდენტი, 6 რეგიონული ასოციაციის პრეზიდენტი და წევრ სახელმწიფოთა მეტეოროლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახუ-

რების 24 დირექტორი. საბჭოს წევრებს ირჩევენ მსოფლიო ორგანიზაციის კონგრესზე, გარდა რეგიონული პრეზიდენტებისა, რომელთაც ირჩევენ შესაბამის ასოციაციებში.

მსხვილი გეოგრაფიული რაიონების მეტეოროლოგიური სამსახურების საქმიანობას კოორდინაციას უწევს 6 რეგიონული ასოციაცია. ესენია: აფრიკის, აზიის, სახრეთ ამერიკის, ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის, წყნარი ოკეანის, სამხრეთ-დასავლეთის, ევროპის ასოციაციები. თითოეული ასოციაცია შედგება მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისი რეგიონის წევრი სახელმწიფოებისაგან. ამ ასოციაციათა ამოცანაა რეგიონში მეტეოროლოგიური სამსახურების კოორდინაცია.

შეიქმნა 8 ტექნიკური კომისია, რომელთაგანაც თითოეული შედგება წევრი სახელმწიფოების მიერ დანიშნული ექსპერტებისაგან. კომისია პასუხისმგებელია საავიაციო, მეტეოროლოგიის, ჰიდრომეტეოროლოგიის, დაკვირვების მეთოდების, კლიმატოლოგიისა და მეტეოროლოგიის დარგების გამოყენების შესწავლაზე.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მუდმივმოქმები ორგანოა სამდივნო, რომელსაც სათავეში უდგას კონგრესის მიერ დანიშნული გენერალური მდივანი.

ოფიციალური და სამუშაო ენებია: ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული. ორგანიზაციის მთავარი გამოცემაა „მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ბიულეტენი". მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ადგილსამყოფელი ჟენევაშია (შვეიცარია).

18. ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირი

კავშირი შეიქმნა 1865 წელს პარიზში. მისი თავდაპირველი სახელწოდება იყო „საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირი". 1947 წელს მადრიდში მიიღეს ელექტროკავშირგაბმულობის კონვენცია, რომელიც საფუძვლად დაედო მის საქმიანობას. 1934 წლიდან მისი სახელწოდებაა „ელექტროკავშირგაბმულობის კავშირი". 1947 წელს განხორციელდა მისი რე-

ორგანიზაცია და იგი გახდა გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება.

კავშირის წევრია 188 სახელმწიფო. ყოფილი სსრ კავშირი წევრი სახელმწიფო იყო 1952 წლიდან.

ELECTROKAVSHIRGABMULOBIS SAERTASHORISO KAVSHIRIS MTAVARI MIZANIA: საერთაშორისო წესების დადგენა სატელეფონო, სატელეგრაფო და რადიოკავშირებისთვის კავშირგაბმულობის ამ დარგების შემდგომი განვითარებისა და მათი ფართოდ გამოყენების მიზნით მაქსიმალურად შესაძლებელი დაბალი ტარიფით. იგი ხელს უწყობს ელექტროკავშირგაბმულობის ყველა საშუალების რაციონალური გამოყენებისა და გაუმჯობესებისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას; ტექნიკურ საშუალებათა განვითარებისა და მათი ექსპლოატაციის ეფექტიანობის ამაღლებას; ელექტროკავშირგაბმულობის სარგებლიანობის გადიდებას და მის გადაქცევას მოსახლეობის კუთვნილებად.

კავშირი ცდილობს განვითარებად ქვეყნებში შექმნას თანამედროვე ელექტროკავშირგაბმულობის ქსელი, სრულყოს მოწყობილობანი. ამ მიზნით ამუშავებს წესებს და რეკომენდაციებს, აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას ელექტროკავშირგაბმულობის საკითხებზე.

ელეტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირის მთელი საქმიანობა ემსახურება აღნიშნული მიზნების მიღწევას. მისი მუშაობის მთავარი მიმართულებებია: 1. საერთაშორისო კონფერენციებისა და თათბირების ორგანიზაცია; 2. ტექნიკური ინფორმაციის გავრცელება; 3. ტექნიკური თანამშრომლობა.

კავშირის უმაღლესი ორგანოა: უფლებამოსილი კონფერენცია, რომელიც იკრიბება ექვს წელიწადში ერთხელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებათა დასკვნების შემუშავების საკითხთა განსახილველად და ადმინისტრაციული საბჭოს არჩევის მიზნით. უფლებამოსილი კონფერენცია განსაზღვრავს კავშირის საერთო პოლიტიკას, საჭიროების შემთხვევაში გადასინჯავს კონვენციას, ამტკიცებს ბიუჯეტს, ირჩევს ადმინისტრაციულ საბჭოს გენერალურ მდივანსა და მის მოადგილეებს.

ადმინისტრაციური საბჭო მეთვალყურეობს და კოორდინაციას უწევს ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო

კავშირის ოთხ მუდმივ ორგანოს: გენერალურ სამდივნოს, სიხშირეთა რეგისტრაციის საერთაშორისო კომიტეტს, ტელეგრაფისა და ტელეფონის საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის და რადიოს საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის მუშაობას. გენერალური სამდივნო ეწევა ადმინისტრაციულ მუშაობას. მას ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელსაც ირჩევს უფლებამოსილი კონფერენცია ხუთი წლის ვადით. ადმინისტრაციული საბჭო შედგება 43 წევრისაგან. მას იწვევენ წელიწადში ერთხელ.

კავშირის სამუშაო ენებია: ინგლისური, ესპანური და ფრანგული. ადგილსამყოფელი ჟენევაშია (შვეიცარია).

19. გაეროს განვითარების პროგრამა

განვითარებადი ქვეყნებისადმი ეკონომიკური, საბაჟო-ტექნოლოგიური, ტექნიკური დახმარების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამას. 1950 წელს მიღებულია გაეროს ტექნიკური დახმარების პროგრამა. 1959 წელს — ტექნიკური დახმარების გაფართოებული პროგრამა და გაეროს სპეციალური ფონდი; 1966 წელს ეს სამი პროგრამა გაერთიანდა ერთიან გაეროს განვითარების პროგრამად. განვითარების პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე წამყვან საერთაშორისო პროგრამას განვითარებადი ქვეყნებისადმი ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის საქმეში. თუ 1950 წელს ტექნიკური დახმარების პროგრამას გააჩნდა 50 მილიონი დოლარის ბიუჯეტი, 1984 წელს მან შეადგინა 75 მილიონზე მეტი დოლარი, დღეისათვის — ერთი მილიარდი აშშ დოლარია.

გაეროს განვითარების პროგრამა — განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორებში საინვესტიციო და მრავალმხრივი ტექნიკური დახმარების საერთაშორისო პროგრამაა. იგი ემსახურება 175 ქვეყანასა და ტერიტორიას. მას მსოფლიოს 132 ქვეყანაში გააჩნია თავისი განყოფილებები. ამჟამად ხორციელდება 6500 პროგრამა.

გაეროს განვითარების პროგრამის საქმიანობა ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: 1. სიღარიბესთან ბრძოლა; 2. მმართველობითი საქმიანობის განვითარება; 3. განვითარებად ქვეყნებს შორის ტექნიკური თანამშრომლობა; 4. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

განვითარების პროგრამა ტექნიკურ დახმარებას უწევს მხოლოდ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მთავრობებს. ყოველწლიური რესურსები ფორმირდება ნებაყოფილობითი საწევროების შეტანის საფუძველზე. იგი შეადგენს ყოველწლიურად ერთ მილიარდ აშშ დოლარს. პროგრამის ძირითადი დონორი ქვეყნებია: აშშ (199,5 მლნ დოლარი), იაპონია (98,1 მლნ დოლარი), ნიდერლანდები (97,4 მლნ დოლარი), დანია (92,8 მლნ დოლარი), შვეცია (79,2 მლნ დოლარი), გერმანია (61,5 მლნ დოლარი) და ნორვეგია (75,2 მლნ დოლარი). განვითარებადი ქვეყნებიდან ყველაზე მეტი შეაქვთ ინდოეთს (5,1 მლნ დოლარი), ჩინეთს (2,8 მლნ დოლარი), საუდის არაბეთს (2,0 მლნ დოლარი) და ტაილანდს (2,8 მლნ დოლარი) [1].

განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო (Executive Board), რომელიც შედგება 36 სახელმწიფოსაგან. საბჭოს ირჩევენ სამი წლის ვადით გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სხდომაზე. გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. ყოველწლიურად ტარდება საბჭოს სესიები, სადაც იხილავენ და ამტკიცებენ ადმინისტრატორის ანგარიშებს, აგრეთვე ბიუჯეტსა და საქმიანობის პროგრამებს.

მთავარი თანამდებობის პირია ადმინისტრატორი, რომელსაც ნიშნავს გაეროს გენერალური მდივანი საბჭოს წევრებთან შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ. მისი დამტკიცება ოთხი წლის ვადით ხდება გენერალური ასამბლეის მიერ.

აღმასრულებელი საბჭო წარადგენს მოხსენებებს გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში და მისი მეშვეობით გენერალური ასამბლეის სესიებზე.

---

1. **И. Герчикова. Международные экономические организации. 2002, стр. 73.**

ეკონომიკური და სოციალური საბჭო განიხილავს და ამტკიცებს პროექტებსა და პროგრამებს, ანაწილებს სახსრებს, შეიმუშავებს საერთო სახელმძღვანელო პრინციპებს და დირექტივებს.

გაეროს განვითარების პროგრამამ თავისი საქმიანობა საქართველოში ქვეყნისათვის უაღრესად რთულ პირობებში დაიწყო და ამ წლების განმავლობაში განახორციელა და აგრძელებს სიღატაკის დაძლევის, ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მართვის სრულყოფის, გარემოს დაცვის და სხვა პროგრამებს. მათი ხორცშესხმისათვის მხოლოდ 1997-2003 წლებში გაეროს განვითარების პროგრამამ გამოყო 30 მილიონ 700 ათასი აშშ-ის დოლარი[1].

ამ პროგრამების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებასა და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ეს ფინანსური სახსრები მოხმარდა ტელეკომუნიკაციებს, მრეწველობას, ტრანსპორტს, დემოკრატიული მმართველობის სისტემის სრულყოფას, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას, მოსახლეობის უმწეო ფენების დახმარებას, ცალკეულ საწარმოთა მოდერნიზებას, ჯანმრთელობის დაცვას, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობას, ეროვნული ვალუტის მხარდაჭერას, სასამართლო რეფორმას, ანტიკორუფციულ ღონისძიებებს, მიწის რეფორმას და მიწის კადასტრის შემუშავებას, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების დახმარებას, სხვადასხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული შედეგების დაძლევას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გაეროს განვითარების პროგრამის როლი ხელისუფლების მმართველი ორგანოების სტრუქტურული რეორგანიზაციისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის ხაზით; აგრეთვე, მის მიერ განხორციელებული ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციის პროექტი, რამაც ხელი შეუწყო ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს.

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წლის 20 აპირილი.

20. გაეროს ბავშვთა ფონდი

სერთაშორისო დოკუმენტებმა ბავშვთა უფლებების შესახებ უზარმაზარი გავლენა მოახდინეს მსოფლიოს მასშტაბით არასრულწლოვანთა უფლებების დაცვაზე, მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დადებითია პროგრამებიც, მაგრამ პრობლემები ძალზე ბევრია, მწვავე და გადასაწყვეტი, მთელ რიგ ქვეყნებში ირღვევა ბავშვთა და მოზარდთა უფლებები. აი, ზოგიერთი მონაცემი:

1. განვითარებად ქვეყნებში 5-დან 14 წლამდე ასაკის 250 მილიონზე მეტი ბავშვი მუშაობს. თითქმის ყოველი მეოთხე; ბევრი მათგანი განიცდის სასტიკ ექსპლუატაციას;

2. განვითარებადი ქვეყნების 140 მილიონი არასრულწლოვანი არ სწავლობს დაწყებით სკოლებში; ამასთან 60%-ს გოგონები შეადგენენ. მსოფლიოში თითქმის 90 მილიონი წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვიდან ორი მესამედი გოგონებია;

3. განვითარებად ქვეყნებში ხუთ წლამდე ასაკის დაახლოებით 174 მილიონი ბავშვი შიმშილობს. მსოფლიოში 1,3 მილიარდი ადამიანი სიღარიბეში ცხოვრობს. მათი 70% ქალები და გოგონების არიან;

4. ყოველწლიურად განვითარებად ქვეყნებში უმნიშვნელო ავადმყოფობით იღუპება ხუთ წლამდე ასაკის 12 მილიონი ბავშვი. ე. ი. ყოველდღიურად 33 ათასი;

5. მრავალმილიონიან არალეგალურ სექსუალურ ბაზარზე ყოველწლიურად შემოდის 1 მილიონი ბავშვი. მათი უმრავლესობა აზიის ქვეყნებიდანაა[1].

ბავშვთა უფლებების დეკლარაცია და კონვენცია ბევრ ქვეყანაში არ ხორციელდება, ანდა დღემდე არ ამოქმედებულა მთელი მასშტაბით. არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან გაერთიანებული ერების

1. ვახტანგ ქარუმიძე. საერთაშორისო ორგანიზაციები. 1999, თბ., გვ. 63-65.

ორგანიზაცია და მისი სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციები: იუნესკო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, გაეროს ბავშვთა ფონდი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროსაბჭო და სხვა.

გაეროს ბავშვთა ფონდი გაეროს სისტემის ერთადერთი ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობა მთლიანად ბავშვებს ეძღვნება. იგი დაარსდა 1946 წელს.

ბავშვთა ფონდი ნახევრად ავტონომიური ორგანიზაციაა, რომელიც წარმოადგენს გაეროს სისტემის განუყოფელ ნაწილს. მისი ხელმძღვანელი ორგანოა — აღმასრულებელი საბჭო. საბჭო 36 წევრის შემადგენლობით განსაზღვრავს ბავშთა ფონდის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, აანალიზებს პროგრამებს და ამტკიცებს ბიუჯეტს.

ბავშვთა ფონდის სამდივნო, რომლის შტაბ-ბინა ნიუიორკშია, მუშაობას ატარებს მრავალრიცხოვანი ბიუროების (2000-ზე მეტი) მეშვეობით. ბიუროები განლაგებულია მსოფლიოს 160-ზე მეტ ქვეყანაში. გარდა ამისა, ბავშვთა ფონდს გააჩნია წარმომადგენლობა ჟენევაში, კოპენჰაგენსა და ტოკიოში, ხოლო სამეცნიერო-კვლევის ცენტრი — ფლორენციაში. ბავშვთა ფონდი ნაყოფიერ მუშაობას ატარებს მთავრობებთან შეთანხმებით.

მუშაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვთა ფონდის საქმეთა ეროვნული კომიტეტები განვითარებულ ქვეყნებში, მათი რაოდენობა 40-მდეა, კომიტეტები — კერძო ორგანიზაციებია, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა ფონდთან ერთად ბავშვთა ინტერესებისათვის მისალოცი ღია ბარათების გაყიდვის ხარჯზე და სხვა ღონისძიებათა ჩატარებით.

ბოლო წლებში ბავშვთა ფონდმა გააფართოვა მოკავშირეთა წრე. ბავშვთა გავლენიან და აქტიურ მეგობართა რიგებში არიან მერები, პარლამენტარები და რელიგიური მოღვაწეები. მათ უკავიათ მნიშვნელოვანი ადგილი ბავშვთა უფლებებისათვის ბრძოლაში.

ბავშვთა ფონდის ყურადღების ცენტრში მოექცა ბავშვთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, სასმელი წყლის, ჰუმანური დახმარების და სხვა საკითხები.

2002 წლის მაისში ნიუ-იორკში გაიმართა გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია, რომელიც მიეძღვნა ბავშვთა საკითხებს. სესიას ესწრებოდა საქართველოს დელეგაცია. გაეროს სამიტზე 71 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურმა ხელი მოაწერა ბავშვთა სიცოცხლის დაცვისა და განვითარების მსოფლიო დეკლარაციას. მიიღეს ათი წლისათვის (2002–2012 წლები) გაანგარიშებული სამოქმედო პროგრამა შესაბამისი ადამიანური და ეკონომიკური რესურსების მობილიზაციის მიზნით.

ბავშვთა საკითხებისადმი მიძღვნილი გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია უპრეცედენტო იყო როგორც შესაბამისი საკითხის განხილვის მასშტაბურობით, ისე მის მონაწილეთა რიცხვით. ამ ფორუმში მონაწილეობა მიიღო 71 ქვეყნის მეთაურმა.

საგანგებო სესიის მიზნები ჩამოყალიბდა მისი დასრულების შემდეგ მიღებულ დეკლარაციაში, რომელიც ბავშვებისათვის გლობალური მოძრაობის ერთგვარ პლატფორმად იქცა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ბავშვების ინტერესებისათვის გლობალური საქმიანობა ათ პრინციპს ეყრდნობა, რომელთაგან უმთავრესი გულისხმობს ვალდებულებებს ბავშვთა სიღატაკის აღმოფხვრის, მათი განათლების უზრუნველყოფის, ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის, აგრეთვე ბავშვების შეიარაღებული კონფლიქტებისაგან არიდებისათვის.

საგანგებო სესიის ძირითადი ნაწილი პლენარული სხდომისა და სამი „მრგვალი მაგიდის" ფორმით გაიმართა. სესიის ფარგლებში მოეწყო აგრეთვე 145-მდე თანმდევი ღონისძიება, რომელიც ორგანიზებული იყო გაეროს ბავშვთა ფონდისა და არასამთავრობო ორგანზაციების მიერ.

სესიაზე აღინიშნა, რომ დღევანდელ მსოფლიოში ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების მრავალფეროვნება საგან გე-

ბო მასშტაბს იძენს. ამ მხრივ გამოიკვეთა ბავშვის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფაქტორები: ჯანმრთელობისა და ხარისხიანი საბაზო განათლების უზრუნველყოფა.

ბავშვთა ფონდის საქმიანობის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვებისადმი მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. ბავშვთა კეთილდღეობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მას 1965 წელს ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის სფეროში. მის სტრატეგიას გაეროს წევრი ქვეყნები განსაზღვრავენ და ამა თუ იმ ქვეყნებში მოღვაწეობის საგანგებო მანდატს ანიჭებენ.

საქართველო ბავშვთა უფლებათა კონვენციის (1989 წ.) მონაწილე ქვეყანაა.

იუნესკოს წარმომადგენლობა საქართველოში 1993 წელს გაიხსნა, რათა დახმარებოდა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში მყოფ ქვეყანას. თავდაპირველად ეს დახმარება ჰუმანიტარული იყო, შემდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური რომ გახდა, მის ძირითად მიმართულებად ბავშვთა უფლებების დაცვა და განვითარების პროგრამების შემუშავება გახდა.

პირველი პროგრამა საქართველოში 1996-2000 წლებში ოთხ ძირითად მიმართულებს აერთიანებდა; ესენია: დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის ფარგლებში; ბავშვის განვითარება ადრეულ ასაკში და დაწყებითი განათლება, ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ და ბავშვთა უფლებები; გამოკვლევა-მონიტორინგი და სიტუაციის ანალიზი.

იუნესკოს აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს მთავრობისა და იუნესეფის ახალი პროგრამა, რომელიც 2001-2005 წლებს მოიცავს. იგი მრავალ პროგრამას აერთიანებს.

თავი მეხუთე

გაეროს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციები

1. გაეროს სისტემის ორგანიზაციები

გაეროს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციები უმთავრესად სპეციალური კომპეტენციის მქონე ორგანიზაციებია, რომლებიც ემსახურებიან სპეციალური დანიშნულების საკითხების მოწესრიგებას. ამ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ქვეყნები დამოუკიდებელი, სუვერენული, თანასწორუფლებიანი სახელმწიფოებია. საერთაშორისო ორგანიზაცია დაფუძნებულია მისი ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპზე.

გაეროს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივმოქმები სახელმწიფოთაშორისო დაწესებულებანია, რომლებიც ხანგრძლივი ვადით ან უვადოდ იქმნება პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების განსახორციელებლად.

მსოფლიოს ქვეყნებს შორის ყოველწლიურად ფართოვდება პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სავაჭრო, სოციალური, კულტურული, ტურისტული, სპორტული და სხვა ურთიერთკავშირები.

გაეროს წესდების 63-ე მუხლის შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია ყოველ დაწესებულებასთან დადოს იმ პირობების განმსაზღვრელი შეთანხმებანი, რომლებითაც შესაბამისი დაწესებულებანი იქმნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან. ასეთი შეთანხმებანი დამტკიცებული უნდა იქნეს გენერალური ასამბლეის მიერ.

გაეროს სისტემის ორგანიზაციები, გარდა სპეციალური დაწესებულებებისა, დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციებია. გაერო კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას, აძლევს რეკომენდაციებს საბიუჯეტო და საფინანსო საკითხებზე, სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციების

პოლიტიკისა და საქმიანობის ურთიერთშეთანხმებების საფუძველზე და სხვა.

გაეროს სისტემის 200-მდე სამთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობების განვითარებაში.

2. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია (World Trade Organisation - WTO, Всемирная торговая организация - ВТО)

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), რომელიც ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების (GATT) ბაზაზე 1995 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებს, ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით ძირითადი ორგანიზაციაა. ამ ორგანიზაციის წევრია მსოფლიოს 144 ქვეყანა. 28 სახელმწიფოს დამკვირვებლის სტატუსი აქვს. 1999 წლის ოქტომბერში საქართველო გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. WTO-ს შტაბ-ბინა ჟენევაშია (შვეიცარია). თანამშრომელთა რაოდენობა 500-მდეა. ორგანიზაციის ბიუჯეტი 80 მილიონ დოლარს აჭარბებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ხელმძღვანელობს 30-მდე შეთანხმებით, 25 სხვადასხვა დამატებითი დადგენილებითა და განმარტებით.

გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე — ეს მრავალმხრივი სამთავრობათაშორისი შეთანხმებაა ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის რეჟიმზე. საერთაშორისო შეთანხმება ვაჭრობის პირობების შესახებ ხელმოწერილია ჟენევაში 1947 წლის 30 ოქტომბერს 23 სახელმწიფოს მიერ. ძალაში შევიდა 1948 წლის 1 იანვარს ხელმომწერი 23 განვითარებული ქვეყნისათვის. შეთანხმებაში სხვადასხვა ეტაპზე მონაწილეობდა 150-ზე მეტი სახელმწიფო.

გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, დასაბამს იღებს 1960 წლიდან, როდესაც შეიქმნა მისი მუდმივმოქმედი ორგანოები: საბჭო და სამდივნო შტაბ-ბინით ჟენევაში.

შეთანხმების მონაწილენი ვალდებულნი არიან ურთიერთვაჭრობა ააგონ გარკვეულ წესებზე დაყრდნობით: უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი, იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვის გაუქმება, თუ ის ზიანს არ აყენებს ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას; საბაჟო ტარიფების კონვენციური დაწესება და სრულყოფა. სადავო საკითხების გადაჭრა ურთიერთკონსულტაციების გზით ითვალისწინებს შეთანხმებების მონაწილე ქვეყნების ურთიერთინტერესებს სხვადასხვა ზომის მიღებით (საბაჟო შეღავათები, ბარიერები და სხვ.).

შეთანხმების მოქმედების პერიოდში განხორციელდა მასში მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების გარკვეული შემცირება. მიღებულია აგრეთვე ზომები ვაჭრობის პრობლემების ლიბერალიზაციისათვის.

გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე შეიცავს შეთანხმებას სავაჭრო პოლიტიკის პრინციპების შესახებ, რომელთაც საგარეო ვაჭრობაში უნდა იცავდეს წევრი სახელმწიფო, აგრეთვე ურთიერთობათა სიას, რის საფუძველზე ხდება წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივ ხელშეკრულებათა გაფორმება.

ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება 1948 წლიდან მოქმედებს და მიზნად ისახავს საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას.

ШЕТАНХМЕБИС ЖИРИТАДИ ПРИНЦИПЕБИА:

1. ВАЧРОБА ДИСКРИМИНАЦИИС БАРЕШЕ. იგი გულისხმობს წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისათვის „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" მინიჭებას, ხოლო მეორე მხრივ, იმპორტული და ადგილობრივი საქონლისათვის თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას;

ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების პირველ მუხლში ნათქვამია: „რაც შეეხება საბაჟო გადასახადებსა და ყველა სახის მოსაკრებლებს, რომლებიც დაწესებულია საქონლის ექსპორტზე ან იმპორტზე, ან მათთან დაკავშირებით, ან და იმ იმპორტთან ან ექსპორტთან დაკავშირებულ საერთაშორისო სატრანსფერო გადასახადზე, აგრეთვე ამ საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფის მეთოდს და ექსპორტთან ან იმპორტთან დაკავშირებულ ყველა მარეგუ-

ლირებელ წესს და ფორმალობას — ნებისმიერი უპირატესობა, ხელშეწყობა, პრივილეგია ან იმუნიტეტები, რომელიც შეთანხმების მონაწილე სხვა ქვეყანაში შექმნილ, ან რომელიმე სხვა ქვეყნისათვის განკუთვნილ ნებისმიერ საქონელს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა მიენიჭოს ყველა დანარჩენი ქვეყნის ტერიტორიებზე წარმოშობილ ან შეთანხმების მონაწილე ყველა დანარჩენი მხარის ტერიტორიებისათვის განკუთვნილ მსგავს საქონელს"[1].

2. საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის განვითარების დაგეგმვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე;

3. კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება ურთიერთ დათმობის განხორციელების გზით, დავის გადაწყვეტა კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით;

4. შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად სატარიფო მეთოდების გამოყენება; ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარების ხელშეწყობა.

თავისი არსებობის მანძილზე გენერალურ შეთანხმებას ტარიფებსა და ვაჭრობაზე ჰქონდა მრავალმხრივი მოლაპარაკების რვა რაუნდი, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ურუგვაის რაუნდი (1986-1994). აქ მიღწეულ იქნა ახალი შეთანხმება, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი შეთანხმება, შეთანხმება საქონლით ვაჭრობაზე. დანარჩენი შეთანხმებები მოიცავენ საბაჟო შეფასებას, წარმოშობის წესებს, იმპორტის ლიცენზირების პროცედურებს და გადაზიდვების წინა ინსპექტირებას.

ამგვარად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად, ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების გარდაქმნას, საფუძველი ჩაეყარა მერვე ურუგვაის რაუნდზე. იგი დაფიქსირდა მარაკეშის დეკლარაციით 1994 წლის 14 აპრილს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის არსებითი ფუნქციებია: მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების მართვა და შესრულება; გამოვიდეს ფორუმის როლში — მრავალმხრივი სავაჭრო მო -

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული, (ორ წიგნად), წიგნი II, 2002, გვ. 143.

ლაპარაკებებისათვის; მოახდინოს სავაჭრო დავების მოგვარება; ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა და იმ სხვა საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, რომლებიც ჩართული არიან გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მანდატის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს თანამშრომლობა საერთაშორისო სავაჭრო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა მრავალმხრივ ინსტიტუტებთან, რათა მიღწეულ იქნეს უფრო მეტი შეთანხმებულობა გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

გენერალური შეთანხმების წესები გამოიყენება საქონლით ვაჭრობაზე. საქონელთა დამატებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ითვალისწინებს მომსახურებით ვაჭრობას და ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების ასპექტებს. ამასთან დავების გადაწყვეტის სისტემა უფრო სწრაფი და ქმედითია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას დიდი როლი ეკისრება გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საქმეში. ᲘᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲒᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ:

1. ადგილობრივი წარმოების დაცვა მხოლოდ საიმპორტო ტარიფების მეშვეობით; 2. ტარიფებს უნდა ჰქონდეთ ტენდენცია შემცირებისაკენ და არ უნდა იქნან გაზრდილი შემდგომში; 3. ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, თითქმის 50 წლის განმავლობაში გენერალური შეთანხმების უმთავრესი დებულებები კრძალავენ ვაჭრობაში დიკრიმინაციას წევრებს შორის და იმპორტირებულ და თვით ქვეყანაში წარმოებულ საქონელზე არათანაბარი პირობების არსებობას; 4. ბაზარზე პროგნოზირებადი და მზარდი დაშვება. უსაფრთხო და პროგნოზირებად ბაზარზე დაშვების არსებობა დიდად არის განსაზღვრული ტარიფებისა და საბაჟო გადასახადების გამოყენებით; 5. სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა (წახალისება); 6. განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების წახალისება [1].

---

1. ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 1998, გვ. 17.

ამგვარად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) დაფუძნდა 1995 წლის 1 იანვარს, მას შემდეგ, რაც ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) წევრმა ქვეყნებმა 1994 წლის 14 აპრილს მაროკოს ქალაქ მარაკეშში ხელი მოაწერეს „მარაკეშის დეკლარაციას".

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულება 29 დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება. იგი მოიცავს საკითხებს — დაწყებული სოფლის მეურნეობის ნაწარმით და დამთავრებული სამთავრობო შესყიდვებით. ასევე, მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საერთაშორისო ბაზარზე გასვლა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სატარიფო და საბაჟო სისტემაზე. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში აკრძალულია კვოტირების სისტემის გამოყენება, მაგრამ გამორიცხული არ არის ტარიფების არსებობა შიდა პროდუქციის დაცვისა და შემოსავლების გაზრდის მიზნით.

ტარიფების გამოყენება მხოლოდ განსაზღვრული პირობებითაა დაშვებული. ის მიმართული უნდა იყოს იმპორტის დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნები ვალდებულებას კისრულებენ, გარკვეულ საქონელზე არ გაზარდონ სატარიფო განაკვეთი ძირითად სავაჭრო პარტნიორთან სათანადო კომპენსაციის გარეშე.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია უნივერსალური გაერთიანებაა. მის წევრ ქვეყნებზე მსოფლიო საგარეო ვაჭრობის 90% მოდის.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია: თავისუფალი და კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში ყველა ქვეყნის მეწარმესათვის ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნა. ამიტომ იგი თანმიმდევრულად ატარებს არასატარიფო ბარიერების მოხსნისა და ტარიფების თანდათანობით შემცირების პოლიტიკას. ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობაა საბაჟო ტარიფების შემცირებისა და არასატარიფო ბარიერების შემსუბუქების თაობაზე მოლაპარაკებათა რაუნდებისა (კონფერენციების) და ტურების ჩატარება.

მიღებულია მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხუთ სფეროში: 1. სამრეწველო სტანდარტები. იგი იმპორტულ საქო-

ნელზე სამამულო საქონლის მსგავს დამოკიდებულებას ითვალისწინებს; 2. სახელმწიფო შესყიდვები, რაც გულისხმობს საზღვარგარეთული ფირმების განცხადების არადისკრიმინაციულ განხილვას; 3. სუბსიდიები და კომპენსაციური ბაჟები. იგი ითვალისწინებს პილიტიკის ინსტრუმენტად სუფსიდიების გამოყენებას; 4. ლიცენზირება; ლიცენზირება ქვეყნებს ლიცენზიების წესის მნიშვნელოვან გამარტივებას ავალდებულებს; 5. საბაჟო შეფასება. იგი აწესებს ქვეყნებს შორის ერთიანი მეთოდიკის გამოყენებას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია მინისტრების დონეზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება და იღებს გადაწყვეტილებებს ძირითადად სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების შესახებ. კონფერენციებს შორის პერიოდში ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია მინისტრთა კონფერენციის წინაშე.

გენერალურ საბჭოში ორი სტრუქტურაა: 1. დავების გადაწყვეტის ორგანო, რომელიც ზედამხედველობს სადავო საკითხების მოგვარების პროცედურას; 2. სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანო, რომელიც რეგულარულად განიხილავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სავაჭრო პოლიტიკას.

გენერალური საბჭოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში არის მრავალი კომიტეტი, საბჭო და კომისია. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გადაწყვეტილებებს იღებენ არა კენჭისყრით, არამედ კონსენსუსის წესით. არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილებებს იღებენ კენჭისყრის გზით.

სესიებს შორის პერიოდში ხელმძღვანელი ოპერატიული ორგანოა წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში დაახლოებით ათჯერ. საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებებს, როგორც ყოველდღიურ, ისე გადაუდებელ საკითხებზე. ორგანიზაციულ და ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს სამდივნო.

1999 წლის 28 ივლისს, ჟენევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შედგა მრავალმხრივი შეხვედრა, რომლითაც დამთავრდა ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებები და გაწევრიანების ოქმზე მუშაობა. იმავე წელს, 6 ოქტომბერს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდო-

მამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მიერთების შესახებ. ეს ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. ამის შედეგად საქართველო ბიზნესის საერთაშორისო წესების თანამონაწილე გახდა. ქართულმა პროდუქციამ მოიპოვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე შეღავათიანი პირობით გასვლის შესაძლებლობა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მნიშვნელოვანი ბერკეტია საერთაშორისო ბაზარზე ქართული სასაქონლო ნიშნების დაცვის თვალსაზრისითაც. გაწევრიანებამ არსებითად გაზარდა მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრირების დონე, ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკური და საკანონმდებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებთან. ამან გზა გაუხსნა ქართულ ექსპორტს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 144 ქვეყნის ბაზარზე და უფლება მოგვცა, სრულფასოვნად ჩავრთულიყავით როგორც მრავალმხრივ მოლაპარაკებებში, ასევე წამოგვეყენებინა მოთხოვნები მათ ბაზარზე ქართული საქონლის და მომსახურებისათვის კარგი პირობების უზრუნველსაყოფად. სწორედ WTO-ში გაწევრიანების გამო მოგვიხსნა აშშ-მა შეზღუდვები ვაჭრობაში (საქართველო გამოირიცხა ე. წ. „ჯექსონ-ვენიკის შესწორების" მოქმედებიდან) და მოგვანიჭა პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) სავაჭრო შეღავათები. ასეთივე შეღავათებით 2002 წლიდან ვსარგებლობთ პოლონეთსა და თურქეთთან ვაჭრობაში. აღნიშნული სრულიად ახალ შესაძლებლობებს აძლევთ ქართულ ექსპორტიორებს და მთლიანად მეწარმეებს, რომლებიც ამასთანავე დაცულნი იქნებიან უსამართო კონკურენციისაგან.

3. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (International Atomic Energy Agency - IAEA, Международное агентство по атомной энергии - МАГАТЭ)

ეს სააგენტო ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ხელშემწყობი საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორ-

განიზაციაა. იგი შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1954 წლის გადაწყვეტილებით. 1956 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკის 81 ქვეყნის საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო წესდება, რომელიც ძალაში შევიდა 1957 წლის 29 ივლისს. ორგანიზაცია საქმიანობას შეუდგა 1957 წლის ოქტომბრიდან, როდესაც ვენაში გაიმართა მისი პირველი გენერალური კონფერენცია.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხებში. მასში გაერთიანებულია 124 სახელმწიფო. ორგანიზაცია შედის გაეროს სისტემაში.

ATOMURI ENERGIIS SAERTASHORISI SAAGENTO TAVIS SAQMIANOBAS AXORCIELEBS SEMDEGI ZIRITADI MIMARTULEBEBITI: სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა და გავრცელება, ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მიზნით განვითარებადი ქვეყნებისთვის ეროვნული კადრების მომზადება, მათთვის ტექნიკური დახმარების გაწევა; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩატარება; უსაფრთხოების ნორმებისა და წესების შემუშავება; განვითარებადი ქვეყნებისთვის ბირთვული მასალების მიწოდება.

სააგენტოს შუამავლობით წევრი სახელმწიფოები ერთმანეთს აწვდიან ატომური ენერგიის წარმოების ზრდისა და მშვიდობიანი გამოყენებისთვის საჭირო მასალებსა და ტექნიკურ მოწყობილობას, ცვლიან სამეცნიერო-კვლევით ინფორმაციას და სხვა. ატომური ენერგიის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გამოყენების საგარანტიოდ სააგენტო ცალკეული სახელმწიფოების თანხმობით აწესებს კონტროლს ამ ქვეყნების ატომურ რეაქტორებზე. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო უშუალოდ გაეროს გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ.

სააგენტოს წესდებაში აღნიშნულია, რომ ის თავის საქმიანობას ახორციელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად, მიზნად ისახავს

მშვიდობის განმტკიცებას და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას.

სააგენტო ხელს უწყობს მშვიდობიანი მიზნებისათვის ატომური ენერგიის გამოყენების გაფართოებას, ადგენს უსაფრთხოების ნორმებსა და წესებს, იუნესკოსთან ერთად სააგენტო ხელმძღვანელობს თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრს ტრიესტში (იტალია).

სააგენტოს სტრუქტურაა: სააგენტოს პოლიტიკისა და პროგრამების ხელმძღვანელობას ახორციელებენ გენერალური კონფერენცია და მმართველი საბჭო. გენერალური კონფერენცია აერთიანებს ყველა წევრ სახელმწიფოს. იგი ყოველწლიურად იკრიბება თავის მორიგ ან რიგგარეშე სპეციალურ სესიებზე.

სესიებსშორის პერიოდში პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებენ მმართველი საბჭო და სამდივნო, საბჭოს შემადგენლობაშია 35 ქვეყანა. სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. იგი სამდივნოს მთავარი ადმინისტრაციული პირია. გენერალურ დირექტორს 4 წლის ვადით ნიშნავს მმართველი საბჭო და ამტკიცებს გენერალური კონფერენცია. გენერალური დირექტორი ნიშნავს სააგენტოს თანამშრომლებს და ორგანიზებას უკეთებს მათს საქმიანობას. იგი თავის მუშაობაში ექვემდებარება მმართველთა საბჭოს.

მმართველ საბჭოსთან არსებობს სამეცნიერო-საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც შედგება ატომური ენერგიის დარგში 15 ავტორიტეტული მეცნიერისგან. კომიტეტი შეიმუშავებს გენერალური დირექტორისთვის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დარგში სააგენტოს საქმიანობის რეკომენდაციებს.

სააგენტო სცემს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბიულეტენს, ჟურნალს „ბირთვული სინთეზი", მიმოხილვებს ატომური ენერგიის დარგში.

ოფიციალური ენებია: რუსული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური, ჩინური. სამუშაო ენებია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური და რუსული. შტაბ-ბინა ვენაშია (ავსტრია).

4. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია

1960 წლის 14 სექტემბერს ბაღდადში გამართულ კონფერენციაზე ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია შეიქმნა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხუთმა ქვეყანამ — ვენესუელამ, ერაყმა, ირანმა, ქუვეითმა და საუდის არაბეთმა. კონფერენცია მიზნად ისახავდა ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებს შორის კოორდინირებული პოლიტიკის წარმართვას. ამ კონფერენციაზე პირველად წარმოიშვა იდეა იმის შესახებ, რომ ქვეყნები ნავთობ-მომპოვებელი კომპანიებისაგან ფასების სტაბილურობის მხარდაჭერას მოითხოვდნენ და დაიწყებდნენ ნავთობის მოპოვების საკითხების რეგულირებას.

ოპეკის წესდება დამტკიცდა მეორე კონფერენციაზე 1961 წლის იანვარში, კარაკასში. ოპეკ ის ქვეყნებზე მოდის მსოფლიო ნავთობ ის წარმოების დაახლოებით 40%[1]. 1962 წელს ოპეკა აღიარა გაერომ, როგორც სრულუფლებიანი სამთავრობათაშორისი ორგანიზაცია. 1965 წელს ოპეკმა დაამყარა ურთიერთობები გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მონაწილე გახდა.

ამჟამად ოპეკში 11 ქვეყანა შედის — ალჟირი, ინდონეზია, ირანი, ერაყი, ქუვეითი, ლიბია, ნიგერია, კატარი, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბეთის ემირატები და ვენესუელა.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის მიზნებია: წევრი ქვეყნების ნავთობის პოლიტიკის კოორდინაცია და უნიფიკაცია; მონაწილე ქვეყნების ინტერესების დაცვის, ინდივიდუალური და კოლექტიური ყველაზე ეფექტიანი საშუალებების განსაზღვრა; ნავთობის ბაზარზე საერთაშორისო სტაბილური ფასების უზრუნველყოფის გზებისა და საშუალებების ძიება, რათა არ იყოს დაშვებული მისი მერყეობა; მონაწილეთა მყარი შემოსავლების უზრუნველყოფა.

ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელსაც წელიწადში ორჯერ იწვევენ. კონფერენცია განსაზ-

---

1. ჟურნალი „მაკრო, მიკრო ეკონომიკა", 2001, №6, გვ. 36.

ღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკას, ამტკიცებს დირექტორებს, რომლებსაც თითოეული ქვეყანა 2 წლის ვადით ნიშნავს, ირჩევს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით. კონფერენციის გადაწყვეტილებებს ღებულობენ ერთხმიანობის პრინციპით.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა დირექტორთა საბჭო, აღმასრულებელი — სამდივნო, რომელსაც სათავეში უდგას გენერალური მდივანი. სამდივნოსთან შექმნილია ეკონომიკური კომისია, რომელიც აანალიზებს ნავთობის ბაზრის მდგომარეობას, ფასების დონეს და ამზადებს რეკომენდაციებს ნავთობმომპოვებელი ქვეყნების პოლიტიკის საკითხებზე.

ოფიციალური ენაა ინგლისური. ორგანიზაციის ადგილსამყოფელი ვენაშია (ავსტრია).

5. მსოფლიო სასურსათო საბჭო

მსოფლიო სასურსათო საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ორგანოა, რომელიც შეიქმნა 1974 წლის ნოემბერში მსოფლიო სასურსათო კონფერენციის (რომი, 1974 წელი) რეკომენდაციით. საბჭოს ამოცანაა მსოფლიოში სასურსათო მდგომარეობის შეფასება; განვითარებად ქვეყნებში სასურსათო წარმოების ზრდისთვის ხელშეწყობა; სასურსათო დახმარების გაწევა; სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება.

მსოფლიო სასურსათო საბჭო რეკომენდაციებს აძლევს განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს იმაზე, თუ როგორ მოიზიდონ საგარეო რესურსები ქვეყნის შიგნით, როგორ დააჩქარონ მოლაპარაკება საგანგებო დახმარებისთვის საჭირო ხორბლის მარაგის საერთაშორისო სისტემის შესაქმნელად. წევრი ქვეყნები წარმოდგენილი არიან საბჭოში მინისტრების ან ქვეყნების სრულუფლებიანი წარმომადგენლების დონეზე.

საბჭო ანგარიშვალდებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინაშე. საბჭოს მოხსენებები წარედგინება გენერალურ ასამბლეას გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ.

საბჭოს საქმიანობის წრეში შედის მსოფლიო სასურსათო პრობლემის ყველა ასპექტის განხილვა: სასურსათო წარმოების განვითარების, სასურსათო მარაგის შექმნის, ვაჭრობის, კვების პროდუქტების ჩათვლით; სასურსათო პრობლემების დარგში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაციის საკითხები.

საბჭოს წევრი 100-მდე სახელმწიფოა. ამ სახელმწიფოთა ერთ მესამედს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეკომენდაციით ყოველწლიურად სამი წლით ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა.

მსოფლიო სასურსათო საბჭოს ადგილსამყოფელი რომში (იტალია).

6. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

(Organisation for Economic Cooperation and Development - OECD, Организация экономического сотрудничества и развития - ОЭСР)

ეკონომიკურ თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია — საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაციაა. იგი 1961 წელს შეიქმნა. მასში გაერთიანებულია ინდუსტრიულად განვითარებული 29 ქვეყანა: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, კორეის რესპუბლიკა, აშშ, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი, შვეიცარია, შვეცია, იაპონია.

ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციებია წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია მსოფლიო მეურნეობის სისტემაში წარმოქმნილი წინააღმდეგობების შემსუბუქების მიზნით. მისი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებია: საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების საკითხები, სავალუტო-საკრედიტო სისტემის სტაბილიზაცია, განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემები.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიზანია: დაეხმაროს წევრ ქვეყნებს ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ამაღლებაში. იგი აერთიანებს 200-ზე მეტ კომიტეტს, რომლებიც ეკონომიკური პრობლემებით არიან დასაქმებულნი. მათ შორის სამი კომიტეტი: ვაჭრობის კომიტეტი, აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური სესია და განვითარების დახმარების კომიტეტი — უშუალოდ ვაჭრობის კონკრეტულ პრობლემებს და მიმართულებებს განიხილავს[1].

ვაჭრობის კომიტეტი გრძელვადიან სავაჭრო პოლიტიკას ამუშავებს და მიმდინარე საკითხებს სწავლობს; სპეციალური სესიის საქმიანობის სფეროა ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია; ხოლო განვითარების დახმარების კომიტეტი — განვითარებადი ქვეყნების საფინანსო რესურსების ტრანსფერის (უცხოური ვალუტის ან ოქროს გადაგზავნა ერთი ქვეყნიდან მეორეში) პრობლემითაა დაკავებული.

გაერო და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია მრავალეროვნული ინსტიტუტებია, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკისა და ვაჭრობის პრობლემებთან ერთად, ფართო წრის საკითხებსაც იკვლევენ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ევროპის თანამეგობრობის კომისიის წარმომადგენლები, აგრეთვე ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია. 1974 წლიდან ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედებს საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო, რომელშიც შედის 21 სახელმწიფო (ყველა წევრი ქვეყანა, გარდა საფრანგეთის, ფინეთისა და ისლანდიისა). სააგენტოს წევრები უმთავრესად ნავთობის ძირითადი მომხმარებელი ქვეყნებია.

ორგანიზაციას კავშირი აქვს გაეროს სასურსათო ორგანიზაციასთან.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა საბჭო, რომელშიც გა-

---

1. გურამ ჯოლია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. 2002, გვ. 130.

ერთიანებული არიან ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს წარმომადგენლები. საბჭო ყოველწლიურად ირჩევს თავმჯდომარეს და ორ ვიცე-თავმჯდომარეს, ნიშნავს გენერალურ მდივანს.

საბჭოს ექვემდებარება აღმასრულებელი კომიტეტი 14 კაცის შემადგენლობით. მისი სხდომები სისტემატურად, კვირაში ერთხელ, ტარდება. კომიტეტი ამზადებს მასალებს, გადაწყვეტილებათა პროექტებს. მიმდინარე სამუშაოებს ასრულებენ მრავალრიცხოვანი დარგობრივი კომიტეტები და ჯგუფები (მათი რიცხვი 100-ზე მეტია), დარგობრივი კომიტეტები და ჯგუფები განსაზღვრავენ წევრი ქვეყნების საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას, ახორციელებენ მეთვალყურეობას მათ ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაზე, ამზადებენ ცალკეული წევრი ქვეყნების ყოველწლიურ ეკონომიკურ მიმოხილვებს, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. კომიტეტების ამოცანაა, აგრეთვე, წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს გაუწიონ კონსულტაციები განვითარებად ქვეყნებისთვის სესხების, სუბსიდიების გაცემისა და სხვა ფინანსურ საკითხებზე, აგრეთვე მათდამი ტექნიკური დახმარების პრობლემებზე.

ადმინისტრაციულ და ოპერატიულ მუშაობას ახორციელებს სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით. გენერალურ მდივანს საბჭო ნიშნავს 5 წლის ვადით. სამდივნო ამზადებს სტატისტიკურ და საკვლევ მასალებს, გამოსცემს მოხსენებებსა და ცნობებს სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ საკითხზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია აქვეყნებს მოხსენებებს ცალკეული ქვეყნების საქმიანობის შესახებ, ეკონომიკურ მიმოხილვებს, სცემს ჟურნალებს, სხვადასხვა ინფორმაციებს, ტექნიკურ და სტატისტიკურ ბიულეტენებს, სპეციალურ მონოგრაფიებსა და მოხსენებებს ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა მრავალ საკითხზე.

სამუშაო ენებია: ინგლისური და ფრანგული, ორგანიზაციის ადგილსამყოფელი პარიზშია (საფრანგეთი).

7. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია
(World Tourism Organisation - WTO, Всемирная организация по туризму - ВОТ)

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციები კვალიფიცირდება შემდეგი ნიშნებით:

1. ეროვნულ-ტერიტორიული: საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული ორგანიზაციები. მათ საქმიანობას გააჩნია მსოფლიო, რეგიონული და ეროვნული ხასიათი;

2. საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი: სამთავრობო, საზოგადოებრივი, კერძო;

3. საქმიანობის სახეების მიხედვით: მარეგულირებელი, მიმწოდებელი, საბაზრო აგენტები, კონსულტანტები, საპროექტო ორგანიზაციები, სასწავლო ორგანიზაციები, გამომცემლობები, პროფესიული ასოციაციები, სავაჭრო და სამომხმარებლო ორგანიზაციები;

4. საქმიანობის სფეროს მიხედვით: სატრანსპორტო (საჰაერო, საავტობუსო, სარკინიგზო, საავტომობილო და საკრუიზო), ტურისტული აგენტები, ტუროპერატორები, პროფკავშირები.

საერთაშორისო ტურისტული გაცვლა-გამოცვლის მუდმივმა გაფართოებამ განაპირობა მისი საერთაშორისო-სამართლებრივი რეგლამენტაციის აუცილებლობა: სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტების შემუშავება და სპეციალიზებული საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების შექმნა.

თანამედროვე პირობებში ტურიზმი გახდა მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების მძლავრი საშუალება. ტურიზმმა, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთმა ფორმამ, მიიღო უდიდესი მასშტაბები: იგი ახდენს ძირეულ გავლენას სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კავშირებზე. ერთი მხრივ, იზრდება საქმიანი ტურიზმის მასშტაბები, ფართოვდება შემეცნებითი მოგზაურობები, მეორე მხრივ, ხდება სატრანსპორტო საშუალებათა სრულყოფა და მათი პარკის გაფართოება. ეს იწვევს მგზავრობის გაიაფებას. უცხოური ვალუტის გატანაზე დადებით როლს თამაშობს შეზღუდვების შემცირება და სასაზღვრო ფორმალობების გამარტივება.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ტურიზმი გახდა მსოფლიო ეკონომიკის უმსხვილესი დარგი, საგადასახადო შემოსავლებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება.

ტურიზმს XX საუკუნის ფენომენს უწოდებენ. იგი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომლის საბრუნავი კაპიტალი 3,5 ტრილიონი აშშ დოლარია. ტურიზმის გლობალიზაციის პროცესი აღინიშნება 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც დაიწყო ტრანსკონტინენტალური გადაფრენები; ტურიზმი არის მომხმარებელზე მთლიანად ორიენტირებული და ეკონომიკის ყველაზე განვითარებადი დარგი, რომელშიც დასაქმებულია 127 მილიონი კაცი, მსოფლიოში მომუშავეთა ყოველი მეთხუთმეტე[1].

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის კლასიფიკაციით გამოყოფენ ქვეყნებს, რომლებიც გვევლინებიან ტურისტების მიმწოდებელ ქვეყნებად და ქვეყნებს, რომლებიც წარმოადგენენ მიმღებს (მასპინძელს). ტურისტების მიმწოდებელი ქვეყნებია: აშშ, ბელგია, დანია, გერმანია, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, შვეცია, კანადა, ინგლისი. მასპინძელ ქვეყნებს კი მიეკუთვნება: ავსტრალია, იტალია, საფრანგეთი, კვიპროსი, საბერძნეთი, მექსიკა, პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი და სხვა.

საქართველოს აქვს დიდი შესაძლებლობები გახდეს ტურისტების მასპინძელი ქვეყანა. მაგრამ ტურისტს, თანაც ცივილიზებული ქვეყნებიდან ჩამოსულს, მაღალი კლასის სასტუმროები და ძლიერი ინფრასტრუქტურა ესაჭიროება.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (WTO) დღეისათვის ყველაზე ცნობილი და აღიარებულია ტურისტულ სამყაროში. იგი დაფუძნდა 1975 წლის 2 იანვარს ოფიციალური ტურისტული ორგანიზაციების საერთაშორისო არასამთავრობათაშორისი გაერთიანების მსოფლიო ტურისტულ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის გზით. საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებდა გაეროს პატრონაჟით (პატრონობით).

---

1. ტური'ზმი და საქართველოს მომავალი, მოხსენებათა თეზისები. 2000, გვ. 17.

დღეისათვის ტურისტული ორგანიზაციის ნამდვილი წევრია 130 ქვეყანა, რამდენიმე ასოცირებული და 329 მიერთებული წევრი (ტურისტული ფირმები, ავიაკომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა)[1].

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის წესდება მიღებულია 1975 წლის 27 სექტემბერს. ეს თარიღი 1980 წლიდან აღინიშნება როგორც ტურიზმის საერთაშორისო დღე. ყოველწლიურად ტურიზმის მსოფლიო დღე ტარდება განსაკუთრებული დევიზით. ყოველ ორ წელიწადში WTO იწვევს გენერალური ასამბლეის სესიებს. სესიებს შორის პერიოდში მუშაობას წარმართავს აღმასრულებელი კომიტეტი. შტაბ-ბინა იმყოფება მადრიდში (ესპანეთი). ოფიციალური ენებია: ინგლისური, ესპანური, რუსული და ფრანგული.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის სტრუქტურაში მოქმედებს ექვსი რეგიონული კომისია: ევროპისათვის, აფრიკისათვის, ამერიკისათვის, სამხრეთ აზიისათვის, ახლო აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის რაიონებისათვის. რეგიონული კომისიის სხდომები რეგულარულად ტარდება თავმჯდომარის და ორი ვიცე-თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. მათ ირჩევს შესაბამისი კომისია ორი წლის ვადით. ფუნქციონირებს უმაღლესი სასწავლო ცენტრი მექსიკაში. მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციასთან შექმნილია რამდენიმე ფონდი.

WTO-ს რეგიონული ორგანიზაციებია: არაბეთის ტურისტული ასოციაცია; ტურისტული სააგენტოების ამერიკული საზოგადოება; წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების ტურისტული ასოციაცია; ლათინური ამერიკის ქვეყნების ტურისტულ სააგენტოთა კონფერენცია; ბრიტანეთის ტურისტულ სააგენტოთა ასოციაცია; ევროპის ტურისტული კომისია.

სტრუქტურა: მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა. სესიები იმართება ორ წელიწადში ერთხელ.

გენერალური ასამბლეის ფუნქციებია:

1. პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების არჩევა; 2. აღმასრულებელი საბჭოს წევრების არჩევა; 3. გენერალური მდივ-

---

1. **И. Герчикова. Международные экономические организации. 2002, стр. 88.**

ნის დანიშვნა (აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაციით); 4. რევიზორების არჩევა; 5. WTO-ს ფინანსური რეგლამენტის დამტკიცება; 6. საერთო მიმართულებების განსაზღვრა; 7. WTO-ს სამდივნოს პერსონალის შესახებ დებულების დამტკიცება; 8. WTO-ს მუშაობის საერთო პროგრამის დამტკიცება; 9. ორგანიზაციის ბიუჯეტის დამტკიცება; 10. ორგანიზაციისა და მისი ორგანოების საქმიანობის შესახებ ანგარიშების განხილვა და დამტკიცება და სხვა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომელიც გენერალური ასამბლეის სესიებს შორის პერიოდში იღებს აუცილებელ გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ საკითხებზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 4 წლით. ყოველ 2 წელიწადში ხელახლა ირჩევენ საბჭოს წევრთა ნახევარს. აღმასრულებელი საბჭო იკრიბება თავის სესიებზე წელიწადში ორჯერ. საბჭოს შემადგენლობიდან ყოველ წელს ირჩევენ თავმჯდომარეს და ორ მოადგილეს.

სამდივნო შედგება თანამშრომელთა შტატებისაგან (30 ქვეყნის დაახლოებით 90 წარმომადგენელი). მას ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი.

ორგანიზაციის ბიუჯეტი ყალიბდება წევრ-სახელმწიფოთა საწევრო შენატანებისაგან. შემოსავლების ნახევარი ნაწილდება თანაბრად წევრ-სახელმწიფოთა შორის, ხოლო მეორე ნახევარი — მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის საწევროების სკალით.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის დამოკიდებულება გაეროსთან განისაზღვრება ორივე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული შეთანხმებით (1977 წელი).

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა მანილის (ფილიპინები) საერთაშორისო კონფერენცია ტურიზმის შესახებ. იგი გაიმართა 1980 წლის 27 სექტემბერს — 10 ოქტომბერს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელი. კონფერენციამ განიხილა საკითხები: სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა ტურიზმის განვითარებისათვის; ადამიანი

თავისი დასვენების ორგანიზატორი; მოთხოვნილებებისა და წინადადებების რეგულირება; სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა ტურიზმის დარგში; კადრების მომზადება ტურიზმის ინდუსტრიისათვის და სხვა. დასკვნით დოკუმენტში ასახვა ჰპოვა განხილვის დროს ერთობლივად შემუშავებულმა რეკომენდაციებმა. ამ დოკუმენტმა მიიღო სახელწოდება: მსოფლიო ტურიზმის მანილის დეკლარაცია.

მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჰააგის დეკლარაცია ტურიზმის შესახებ (1989 წლის აპრილი). ჰააგის დეკლარაციის ძირითადი დებულებებია:

1. ტურიზმი — თავისუფალი დროის გატარების ფორმა;

2. ტურიზმი — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ხელისშეწყობის ეფექტიანი საშუალება;

3. ტურიზმი ატარებს ჰუმანურ ხასიათს;

4. ყოველ ადამიანს აქვს თავისუფალი მოგზაურობის უფლება;

5. მგზავრობის ფორმალურობების გამარტივება — ტურიზმის განვითარების საფუძველი;

6. ტურისტთა უსაფრთხოება და დაცვა, მათი ღირსების პატივისცემა — ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა;

7. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ტერორიზმთან ბრძოლაში, სრულყონ ტურისტული მომსახურების ხარისხი, დაგეგმონ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

8. ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური გარემო — ტურიზმის განვითარების ძირითადი პირობა [1].

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲢᲘᲐ, ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე (1985 წლის სექტემბერი) მიღებულ იქნა ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი, რომელიც აღიარეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა.

საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა რა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების დიდი მნიშვნელობა, საქართველოში ტურიზმის განვითარების

---

1. К. Г. Борисов. Международный туризм и право. Москва. 2001.

დაჩქარებისათვის 1994 წლის 27 იანვარს მიიღო დადგენილება მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ქარტიისა და ტურისტის კოდექსის აღიარების შესახებ.

ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებებია. მათში გამოკვეთილია ტურიზმის განვითარების ტენდენციები და ნაჩვენებია ტურიზმის ადგილი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ცხოვრებაში. ორივე დოკუმენტი 14 მუხლისაგან შედგება; ეს მუხლები მოიცავენ ტურიზმის ყველა მიმართულებასა და ტურისტის ქცევის წესებს.

ტურიზმის ქარტია შედგება 9 მუხლისაგან. მთელ მსოფლიოში აღიარებულია თითოეული ადამიანის უფლება დასვენების, თავისუფალი დროის გამოყენებისა და სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა, პერიოდული ხელფასიანი შვებულების ჩათვლით; აგრეთვე უფლება თავისუფალი, შეუზღუდავი გადაადგილებისა. ამ უფლების გამოყენება სოციალური თანასწორობის, ეროვნული და საყოველთაო ცნობიერების ამაღლების ფაქტორია.

ამ უფლების თანახმად, თითოეული სახელმწიფო მოვალეა შეიმუშავოს და განახორციელოს შიდასაქვეყნო და საერთაშორისო ტურიზმის ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფისაკენ მიმართული პოლიტიკა, აგრეთვე იღვწოდეს იმ ადამიანთა დასვენების ორგანიზაციისათვის, ვინც ამით სარგებლობს.

ტურიზმის ქარტიის მიხედვით, ამ მიზნით თითოეული სახელმწიფო მოვალეა:

1. იზრუნოს როგორც შიდასაქვეყნო, ისე საერთაშორისო ტურიზმის მოწესრიგებული და ჰარმონიული განვითარებისათვის;

2. შეუფარდოს ტურიზმის პოლიტიკა საერთო განვითარების პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, გააფართოოს თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფფუძველზე და ამ მიზნით გამოიყენოს საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის შესაძლებლობებიც;

3. ტურიზმის დარგში თავისი პოლიტიკის, გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისას, სადაც ეს მიზანშეწონილია, ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად და საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობის პროგრამის ჩარჩოებში სათანადო ყურადღება დაუთმოს მსოფლიო ტურიზმის შესახებ მანილის დეკლარაციის პრინციპებს და აკაპულკოს დოკუმენტს;

4. იზრუნოს ღონისძიებათა გატარებისათვის იმ მიზნით, რომ თითოეულ ადამიანს მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს შიდასაქვეყნო და საერთაშორისო ტ ურიზმში, განსაკუთრებით სამუშაო და თავისუფალი დროის რეგულირებით, ყოველწლიური ხელფასიანი შვებულებების სისტემის გაუმჯობესებით და ამ შვებულებათა დღეების თანაბარზომიერი განაწილებით მთელი წლის მანძილზე, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდული, ხანდაზმულთა და ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანთა ტურიზმის განვითარებას;

5. დაიცვას დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის ტურისტული გარემო, რომელიც აერთიანებს ადამიანს, ბუნებას, საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და კულტურას და მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა.

ტურიზმის ქარტიის თანახმად, სახელმწიფოები მოვალენი არიან:

1. ფორმალურ მხარეთა გამარტივების მიზნით ხელი შეუწყონ ტურისტებს — თავიანთი ქვეყნის მოქალაქეებს და უცხოელებს მოიძიონ საზოგადოებრივი მონაპოვრები მოგზაურობის ადგილებში;

2. ხელი შეუწყონ ტურისტული შეგნების ამაღლებას და დამთვალიერებელთა კონტაქტებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთგაგების გაღრმავებისა და ზნეობრივი ურთიერთგამდიდრების მიზნით;

3. უზრუნველყონ დამთვალიერებლებისა და მათი ქონების უსაფრთხოება პრევენტული და დაცვითი ღონისძიებების მეშვეობით;

4. შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყონ ტურისტები საუკეთესო ჰიგიენური პირობებით და სამედიცინო მომსახურებით, დაიცვან ისინი ინფექციური დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისაგან;

5. აღკვეთონ პროსტიტუციის მიზნით სხვათა ექსპლუატაციისათვის ტურიზმის გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა;

6. გააძლიერონ ღონისძიებანი ნარკოტიკების არალეგალური გამოყენების თავიდან ასაცილებლად ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის მიზნით;

7. მისცენ ტურისტებს — თავიანთი ქვეყნის მოქალაქეებსა და უცხოელებს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების საშუალება ისე, რომ არ დაირღვეს ცალკეული რაიონების მიმართ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით დაწესებული შეზღუდვები;

8. არ დაუშვან რაიმე დისკრიმინაციული ზომები ტურისტთა მიმართ;

9. მისცენ ტურისტებს საშუალება შეუფერხებლად დაუკავშირდნენ ადმინისტრაციულ და იურიდიულ სამსახურებს თუ საკონსულოთა წარმომადგენლებს, ისარგებლონ კავშირის ადგილობრივი თუ საგარეო საზოგადოებრივი საშუალებებით;

10. ხელი შეუწყონ ტურისტთა ინფორმირებას ტრანზიტის თუ დროებითი გაჩერების ადგილებში მკვიდრი მოსახლეობის ადათ-წესების გასაცნობად პირობების შექმნის მიზნით.

ქარტიის თანახმად, ტრანზიტისა და ტურისტთა დროებითი გაჩერების ადგილებში მკვიდრ მოსახლეობას, რომელიც თავისი ქცევით უნდა უზრუნველყოფდეს მზრუნველ დამოკიდებულებას ბუნებრივი თუ კულტურული გარემოს მიმართ, უფლება აქვს თავისუფლად მიუწვდებოდეს ხელი საკუთარ ტურისტულ რესურსებზე. ადგილობრივ მოსახლეობას ამავე დროს უფლება აქვს ტურისტებისაგან მოელოდეს თავისი ადათ-წესების, რელიგიის თუ კულტურის სხვა სფეროების — კაცობრიობის მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილის გაგებასა და პატივისცემას.

ტურიზმის ქარტია მოითხოვს, რომ ამგვარი გაგებისა და მზრუნველი დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ტურისტებს ჰქონდეთ ინფორმაცია, როგორია:

1. ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-წესები, წმინდა ადგილები თუ სალოცავები, ხალხში გავრცელებული აკრძალვები, რომლებსაც პატივს უნდა ვცემდეთ;

2. ადგილობრივ მკვიდრთა ?' ისტორული, არქეოლოგიური, კულტურული ფასეულობანი, რომლებიც არ უნდა დაიკარგოს;

3. ფაუნა, ფლორა და სხვა ბუნებრივი რესურსები, რაც დაცული უნდა იყოს.

ქარტიის მეშვიდე მუხლის შესაბამისად, ტრანზიტისა და დროებითი გაჩერების ადგილებში ადგილობრივი მოსახლეობა მოვალეა ტურისტებს შეხვდეს სტუმართმოყვრულად, მოექცეს თავაზიანად და პატივისცემით, რაც აუცილებელია ჰარმონიული ადამიანური და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებისათვის.

ტურიზმის განვითარებაში თავიანთი დადებითი წვლილი შეაქვთ ტურიზმის სფეროს მუშაკებსა და ტურიზმისა და მოგზაურობებისათვის მომსახურების გამწევთ. ქარტიის თანახმად, ისინი მოვალენი არიან უზრუნველყონ ტურისტული პროდუქციის მაღალი ხარისხი ტურიზმის ჰუმანური ბუნების დამკვიდრებისათვის ხელშეწყობის მიზნით. „ისინი, კერძოდ, მოვალენი არიან არ დაუშვან სხვა ადამიანთა ყოველგვარი ექსპლუატაციის მიზნით ტურიზმის გამოყენების წაქეზება“ [1].

ტურიზმის ქარტიის მეცხრე მუხლის თანახმად, აუცილებელია ტურიზმის სფეროს მუშაკებსა და ტურიზმისა და მოგზაურობებისათვის გამწევთ, შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობების მეშვეობით, შეუქმნან სათანადო პირობები, რაც მათ საშუალებას მისცემს:

1. აკეთონ თავიანთი საქმე ხელსაყრელ პირობებში, ყოველგვარი დაბრკოლებისა და დისკრიმინაციის გარეშე;

2. გამოიყენონ საერთო და ტექნიკური პროფესიული მომსახურება როგორც თვით ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ ადამიანთა კვალიფიციური რესურსებით უზრუნველყოფისათვის;

3. ითანამშრომლონ ერთმანეთთან, აგრეთვე საზოგადოებრივ ხელისუფლებასთან ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით მათი საქმიანობის უკეთ კოორდინაციისა და მათ მიერ შეთავაზებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წლის 1 თებერვალი.

ტურისტის კოდექსი შედგება ხუთი მუხლისაგან (10-14 მუხლები). კოდექსის მიხედვით, ტურისტები თავიანთი ქცევით უნდა განამტკიცებდნენ ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და მეგობრულ ურთიერთობებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, რითაც ხელს შეუწყობენ მშვიდობის შენარჩუნებას.

მეათე მუხლის მიხედვით, ტრანზიტისა და დროებითი გაჩერების ადგილებში ტურისტები პატივს უნდა სცემდნენ არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ თუ რელიგიურ წყობილებას და ემორჩილებოდნენ იქ მოქმედ კანონებსა და წესებს. ეს კოდექსის მთავარი მოთხოვნაა. ამავე ადგილებში ტურისტები მოვალენი არიან:

1. განსაკუთრებული გაგებით მოეკიდონ მოსახლეობის ადათწესებს, რწმენასა და საქციელს, გამოიჩინონ განსაკუთრებული პატივისცემა ადგილობრივ მკვიდრთა ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების მიმართ;

2. თავი შეიკავონ მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სხვაობის ხაზგასმისგან;

3. გამოიჩინონ განსაკუთრებული გულისყური ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის მიმართ, რომელიც კაცობრიობის საერთო მონაპოვრის განუყოფელი ნაწილია;

4. არ დაუშვან სხვა პირთა ექსპლუატაცია პროსტიტუციის მიზნით;

5. თავი შეიკავონ ნარკოტიკებით თუ სხვა აკრძალული პრეპარატებით ვაჭრობისაგან, მათი გადატანისა და გამოყენებისაგან.

კოდექსის მიხედვით (მუხლი 12) ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობის დროს და მასპინძელი ქვეყნის ფარგლებში შესაბამისი სამთავრობო ღონისძიებების საფუძველზე ტურისტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება ისარგებლონ:

1. ადმინისტრაციული და საფინანსო კონტროლის შემსუბუქებით;

2. საუკეთესო პირობებით ტრანსპორტის მხრივ და მასპინძელ ქვეყანაში ყოფნის მანძილზე ტურისტული მომსახურების გამწევთა შესაძლებლობის ფარგლებში.

ტურისტებს უნდა შეეძლოთ თავისუფლად მოინახულონ მათთვის საინტერესო ადგილები და ცალკეული რაიონები როგორც თავიანთ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ და მიეცეთ თავისუფალი გადაადგილების საშუალება არსებული წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

ტურისტები, მათთვის საუკეთესო ადგილებსა და ცალკეულ რაიონებში ჩასვლისას, აგრეთვე მთელი ტრანზიტისა და დროებითი გაჩერების ადგილზე, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ:

1. ობიექტური, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციით იმ პირობებისა და შესაძლებლობების თაობაზე, რასაც მათ მოგზაურობასა და დროებითი გაჩერების მანძილზე სთავაზობენ ოფიციალური ტურისტული ორგანიზაციები და ტურისტული მომსახურების გამწევნი;

2. პირადი ხელშეუხებლობისა და საკუთარი ქონების უსაფრთხოების, აგრეთვე მათი, როგორც მომხმარებლების უფლებათა დაცვის გარანტიით;

3. შესაბამისი საზოგადოებრივი ჰიგიენით, განსაკუთრებით განთავსების, საზოგადოებრივი კვების ადგილებში და ტრანსპორტში, ინფორმაციით ინფექციურ დაავადებათა და უბედურ შემთხვევათი თავიდან აცილების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სამსახურთან შეუფერხებლად დაკავშირების შესაძლებლობით;

4. სწრაფი და ეფექტიანი საზოგადოებრივი კავშირის დამყარების შესაძლებლობით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარე სამყაროსთან;

5. მათი უფლებების დასაცავად აუცილებელი ადმინისტრაციული და იურიდიული პროცედურებითა და გარანტიებით;

6. საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის შესაძლებლობით და ამ მიზნისთვის აუცილებელი შესაბამისი პირობებით.

ტურისტის კოდექსის მეთოთხმეტე მუხლის თანახმად: „თითოეულ ადამიანს უფლება აქვს საკანონმდებლო ორგანოებს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს აცნობოს თავისი მოთხოვნები, რათა სრულყოფილად განახორციელოს დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების

უფლება, ისარგებლოს ტურიზმის უპირატესობით რაც შეიძ-ლება ხელსაყრელ პირობებში, ხოლო იქ, სადაც ეს მიზანშე-წონილია და კანონს არ ეწინააღმდეგება, ამ მიზნით სხვას შეუერთდეს".

საერთაშორისო ტურიზმის აღიარებული დოკუმენტები — ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი — საფუძვლად და-ედო ეროვნულ კანონმდებლობებს ტურიზმის დარგში და მათ მნიშვნელოვანი დადებითი როლი შეასრულეს. ეს დოკუმენ-ტები ახლაც სახელმძღვანელოა ტურისტული ორგანიზაციე-ბისა და საწარმოებისათვის.

***

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გარდა, მსოფ-ლიოში 200-ზე მეტი საერთაშორისო ტურისტული ორგანი-ზაციაა[1].

საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (International Air Transport Assotiation - IATA). IATA — საერთაშო-რისო ავიაგადამყვანთა მსოფლიო ორგანიზაციაა. შეიქმნა 1919 წელს. 1945 წელს იგი რეორგანიზებულ იქნა პროფესიულ სა-ერთაშორისო ავიაკომპანიების ასოციაციად. მისი მთავარი ფუნ-ქციაა საერთაშორისო კომერციული საავიაციო მიმოსვლის მოწესრიგება, ყველა წევრისათვის ერთნაირი წესებისა და პრო-ცედურების შემოღება, საერთაშორისო მარშრუტებზე მგზავ-რთა გადაყვანის შეთანხმებული ტარიფების დაწესება.

IATA-ს უმაღლესი ორგანოა ყოველწლიური გენერალური ასამბლეა. აქ ხდება პრეზიდენტისა და აღმასრულებელი კო-მიტეტის არჩევა.

საჰაეროს ტრანსპორტის საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია: სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცი-ის პოლიტიკის რეალიზაცია. მისი წევრია 259 ავიაკომპანია, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ფრენებს. ამ ავია-კომპანიებზე მოდის საერთაშორისო რეგულარული მიმოს-ვლის დაახლოებით 95%.

---

1. **И. В. Зорин, В. А. Квартальнов. Энциклопедия туризма. Москва. 2000. стр. 28.**

თავისი საქმიანობის მიხედვით IATA საჰაერო ტერიტორიას ყოფს სამ დიდ რეგიონად ან კონფერენციად. ამასთან ცდილობს დააწესოს გადაყვანაზე შეთანხმებული ტარიფები და მომსახურების ერთიანი სტანდარტები როგორც თითოეული კონფერენციის ფარგლებში, ისე ერთმანეთს შორის.

ეს რეგიონებია:

1. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, წყნარი ოკეანის რეგიონის ნაწილი; 2. ევროპა, აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი; 3. აზია, ავსტრალია და წყნარი ოკეანის ნაწილი.

ტურისტული სააგენტოები მონაწილეობენ IATA-ს საქმიანობაში სპეციალური განყოფილების — ავიაკომპანიების აგენტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით.

IATA აკონტროლებს ტურისტულ სააგენტოთა საქმიანობას წესების, სტანდარტებისა და ერთიანი მოთხოვნების დაცვის დარგში. იგი თვალყურს ადევნებს იმ სააგენტოთა საქმიანობას, რომლებიც ყიდიან საერთაშორისო ავ იარეისების ბილეთებს.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (UCO) შეიქმნა 1946 წელს მრეწველობის, ვაჭრობის, ტურიზმისა და სამეცნიერო საქმიანობისათვის სტანდარტიზაციისა და სტანდარტების განსაზღვრის მიზნით.

სარეკლამო სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაცია (ASA) დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა და ფინანსირდება სარეკლამო ინდუსტრიის მიერ. ძირითადი ამოცანა — თვალისდევნა იმაზე, რომ სარეკლამო ბიზნესი მუშაობდეს საზოგადოების საკეთილდღეოდ, იყოს ლეგალური და მართალი, არ დაა რღვიოს საზოგადოებრივი მორალის ნორმები.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organisation for Economic Cooperation and DEvelopment _ OECD). ორგანიზაცია შეიქმნა 1960 წლის 14 დეკემბერს პარიზში. დადგენილების მიხედვით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია დაფუძნდა შემდეგი მიზნების განხორციელებისათვის:

1. განუწყვეტელი ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპების, აგრეთვე წევრი—ქვეყნების მოსახლეობის დასაქმების, ცხოვრების დონის ამაღლების მიღწევისათვის;

2. კეთილსაიმედო გავლენა ეკონომიკური განვითარების მთლიანობაზე;

3. მსოფლიო ვაჭრობის განვითარება არადისკიმინაციულ საფუძველზე საერთაშორისო ვალდებულებათა შესაბამისად.

წევრი-ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, იაპონია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ტურისტული კომიტეტი ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას წევრ-ქვეყნებში ტურიზმის პრობლემების შესწავლის გზით. ტურისტული კომიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტატისტიკისა და ყოველწლიური ბიულეტენის „ტურისტული პოლიტიკა და საერთაშორისო ტურიზმი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების წევრ-ქვეყნებში" შედგენისათვის სტანდარტული განსაზღვრებებისა და მეთოდების დაცვას.

რეგიონული ტურისტული ორგანიზაციები : აზია–წყნარი ოკეანის ტურისტული ასოციაცია (Pacific Asia Travel Association - PATA). ასოციაცია შეიქმნა 1951 წელს. იგი აერთიანებს აზია–წყნარი ოკეანის რეგიონის 34 ქვეყანას. ეს ქვეყნები გაერთიანდნენ ასოციაციაში ერთიანი მიზნის მიღწევისათვის: ამ უზარმაზარ რეგიონში მიაღწიონ წარმატებებს ტურიზმისა და მოგზაურობების განვითარებაში.

ორგანიზაციის წევრები ერთმანეთს უზიარებენ იდეებს, ეძებენ აზია–წყნარი ოკეანის რეგიონში ტურიზმის პრობლემების გადაწყვეტის გზებს.

დაარსების დღიდან ასოციაცია გახდა თავისი წევრებისათვის ზუსტი და დროული ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო მარკეტინგის, გამოკვლევების, განათლების და საქმიანობის სხვა სახეების დარგში, რომელიც დაკავშირებულია ტურიზმთან. ასოციაციის საქმიანობა და მისი გრძელვადიანი გეგმები მოწმდება და ფასდება ყოველწლიურ კონფერენციებზე.

საგამომცემლო განყოფილება აქვეყნებს ანგარიშებს, კვლევის მასალებს და პერიოდულ გამოცემებს. ძირითადი გამოცემაა „წყნარი ოკეანის ტურისტული სიახლენი". ის ყოველთვიური ჟურნალია სამი რეგიონული გამოცემით. გამოდის 58 ათასი ტირაჟით. ძირითად ნაწილს შეადგენს ანალიტიკური ციფრობრივი მონაცემები და ფოტომასალა.

ტურიზმის დარგში კვლევითი მუშაობა ჯამდება ყოველწლიურ კონფერენციებზე, აგრეთვე ყოველწლიურ სტატისტიკურ ანგარიშებში.

ასოციაციის სამდივნო მდებარეობს სან-ფრანცისკოში (აშშ, კალიფორნია). ძირითადი ოფისები: აზიის რეგიონის მომსახურებისათვის სინგაპურშია, წყნარი ოკეანის რეგიონის — სიდნეიში, ამერიკა—ევროპული ნაწილისათვის — სან-ფრანცისკოში.

რეგიონული ორგანიზაციების ჩამონათვალი:

1. ამერიკის რეგიონი: ლათინურ-ამერიკული ეკონომიკური სისტემის ტურიზმის კომიტეტი, ლათინური ამერიკის ტურისტული ორგანიზაციების კონფერენცია, სოციალური ტურიზმის ლათინურ-ამერიკული ფედერაცია, ამერიკათაშორისო სასტუმრო ასოციაცია და ცენტრალური ამერიკის ტურიზმის საბჭო.

2. არაბეთის რეგიონი: არაბული სასტუმრო კავშირი და არაბეთის ტურისტული კავშირი.

3. აფრიკის რეგიონი: აფრიკაში ტურიზმის განვითარების ორგანიზაცია, პანაფრიკული ტურისტული ორგანიზაცია.

4. ევროპის რეგიონი: ევროპის თანამეგობრობის სასტუმროებისა და რესტორნების ინდუსტრიის კომიტეტი, „საერთო ბაზრის" ტურისტული ასოციაცია, სკანდინავიის ტურისტული კავშირი.

5. ტრანსნაციონალური ასოციაციები და კავშირები: ესპანეთ—ლუსო—ამერიკა—ფილიპინების ტურიზმის ასოციაცია, ტრანსნაციონალური სასტუმრო კორპორაცია, სატრანსპორტო კორპორაციები და სხვა.

რეგიონული ტურისტული ორგანიზაციები იყენებენ რეგიონულ გეოგრაფიულ პირობებს, ხალხთა და ეროვნულ უმცირესობათა ტრადიციებს, ჩვეულებებს, აგრეთვე ტურისტუ-

ლი მომსახურების ფორმირებისას სატრანსპორტო კავშირებისა და მგზავრობათა მარშრუტების თავისებურებებს. ერთმანეთს უთანხმებენ ტურისტული რეკლამისა და ინფორმაციის ფორმებს, სატრანსპორტო ტარიფებისა და სატრანსპორტო საშუალებათა სტანდარტებს.

6. მოგზაურობათა ევროპული ქსელი (European Travel Network - ETN). ეს არის ევროპის 250 დამოუკიდებელი სატრანსპორტო სააგენტოს მსოფლიო კონსორციუმი, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული მომსახურების მაღალ დონეს. ETN სისტემა აერთიანებს 10 ათასზე მეტ ოტელს, რესტორანს, ავტოსერვისს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ემსახურებიან ტურისტულ მოგზაურობებს 175 ქვეყანაში [1].

მოგზაური, რომელსაც ექნება ETN-ს ბარათი, შეუმცირდება გადასახადი 20-50%-ით; მსოფლიოს ბევრ ქვეყნებში მას მიეცემა შესაძლებლობა შეიძინოს ავია და რკინიგზის ბილეთები შეღავათიან ფასებში. ბარათის მფლობელის ეკონომია ერთი მგზავრობის დროს შეადგენს 100-დან 1000-მდე დოლარს.

7. ევროპაში ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირებაში საყურადღებო მნიშვნელობა აქვს ტურიზმისა და მოგზაურობების მსოფლიო საბჭოს (WTTC), რომელიც შეიქმნა 1990 წელს. მის წევრებს წარმოადგენენ საავიაციო, სანაოსნო, რკინიგზის ტრანსპორტის, ავტოსერვისის, ევროპის ქვეყნების საერთაშორისო სასტუმრო გაერთიანებების 60-ზე მეტი კომპანია. ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაუმტკიცოს მთავრობებს ტურისტული ინდუსტრიიის ეკონომიკური ეფექტიანობა.

საბჭოს აზრით, მთავრობებმა დღემდე ვერ გააცნობიერეს, რომ მსოფლიოში ტურისტული ინდუსტრია წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან დარგს. აღმასრულებელი საბჭო შედგება 10 წევრისაგან. მას ხელმძღვანელობს „ამერიკენ ექსპრესს"-ის კომპანიის თავმჯდომარე.

საქართველოს ბუნებრივი და გეოპოლიტიკური მდგომარეობა ქმნის ტურიზმის განვითარების ფართო შესაძლებლობას. ამას ემატება აბრეშუმის გზის აღდგენა.

---

1. **К. Г. Борисов. Международный туризм и право, 1999. стр. 147.**

დიდი აბრეშუმის გზა კაცობრიობის გამაერთიანებელი პირველი საკომუნიკაციო პროექტი იყო. იგი წარმატებით ფუნქციონირებდა საუკუნეთა მანძილზე. უდიდესი ტრანსკონტინენტალური სავაჭრო-საქარავნო გზა ჩინეთს აკავშირებდა შავი და ხმელთაშუა ზღვების ნაპირებს, ევროპასა და აზიას. აბრეშუმის გზა უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალი იყო აზიასა და ევროპას შორის, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში სათავეს ჩინეთში იღებდა და XVIII საუკუნის ბოლომდე ფუნქციონირებდა. იგი იყო არა მხოლოდ სავაჭრო გზა, არამედ კულტურათა, რელიგიათა, ფილოსოფიათა დიალოგი, მოგზაურთა შეხვედრების სარბიელი.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური მდივნის ფრანჩესკო ფრანჯიალის მიხედვით: „თქვენს ქვეყანაში არსებული პრობლემების მიუხედავად, ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას დიდი პერსპექტივები აქვს, ამის წინასწარი შედეგებიც უკვე ცხადია"[1]. მარტო თბილისში სამი წლის განმავლობაში აშენდა 300 სასტუმრო. ამ სფეროში ინვესტირებულია 200 მილიონზე მეტი აშშ-ს დოლარი, დასაქმებულია 51 ათასი კაცი.

8. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია
(Всемирная таможенная организация - ВТО)

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და მისი ორგანოები დღენიადაგ ხელმძღვანელობენ საბაჟო კოდექსის დებულებებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია შესაბამის მუხლებში (მუხლი 1, მუხლი 155). აი, ეს დებულებებიც: „საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. საქართველო საბაჟო პოლიტიკის სფეროში ესწრაფვის აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობას (მუხლი1)".

„საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს მხარეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომ-

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 11 სექტემბერი.

ლებიც მუშაობენ საბაჟო საკითხებზე — საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას საქარ თველოს საბაჟო დეპარტამენტი მოქმედებს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებულად (მუხლი 155)".

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ საბაჟო საკითხებზე (მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია — საბაჟო თანამშრომლობის საბჭო, გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, საერთაშორისო საზღვაო და სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციები, სავალუტო ფონდი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და სხვ.). ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ეხება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლის შემუშავების, შეცვლის, დამატების, განმარტებისა და გამოყენების საკითხებს.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო (ამჟამად მსოფლიო სასაბაჟო ორგანიზაცია) შეიქმნა 1950 წელს საბაჟო კონვენციის შესაბამისად (ძალაში შევიდა 1952 წლის ნოემბერში), საბჭომ მუშაობა დაიწყო 1953 წლიდან 17 წევრი სახელმწიფოს შემადგენლობით. ამჟამად მასში გაერთიანებულია 141 სახელმწიფო.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ამოცანები მკაფიოდაა განსაზღვრული კონვენციაში მისი შექმნის შესახებ. ეს ამოცანებია:

1. შესწავლა ყველა იმ საკითხისა, რომლებიც შეეხება საბაჟო საქმის პრობლემებზე ქვეყნების თანამშრომლობას;

2. იმ ტექნიკური ასპექტებისა და ეკონომიკური ფაქტორების შეფასება, რომლებიც ახასიათებთ საბაჟო სისტემებს და რომლის მიზანია საბჭოს წევრებისათვის წინადადებების შემუშავება ჰარმონიზაციის მაღალი დონის პრაქტიკული მიღწევისათვის;

3. კონვენციების (შეთანხმებების), კონვენციებში დამატებების შეტანის პროექტების მომზადება და დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ მათი მიღება;

4. ინფორმაციების გაცვლის უზრუნველყოფა საბაჟო რეგულირებისა და პროცედურების შესახებ;

5. მთავრობებისათვის ინფორმაციების, რჩევების და რეკომენდაციების წარდგენა საბაჟო საკითხებზე თავისი ინიციატივით ან სახელმწიფოთა თხოვნით;

6. საბაჟო მოთხოვნათა შეთანხმება და უნიფიკაცია, საბაჟო ოპერაციათა სრულყოფა; საბაჟო პროცედურების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება.

საბაჟოს მუშაობის ძირითადი სამართლებრივი ფორმებია საბაჟო თანამშრომლობის საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების, კონვენციებისა და შეთანხმებების პროექტების შემუშავება.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო შეიქმნა, როგორც მუდმივი, დამოუკიდებელი, საერთაშორისო ორგანიზაცია. საბჭოში ფუნქციონირებდა სამი ორგანო — ნომენკლატურული კომიტეტი, ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტი და ტექნიკური კომიტეტი.

ნომენკლატურული კომიტეტის ფუნქციებია: საქონლის ერთგვაროვანი კლასიფიკაციის უზრუნველყოფა; საბაჟო ტარიფების გამარტივება; ტარიფების შესახებ მოლაპარაკებათა წარმართვა; ეროვნული საბაჟო ორგანიზაციების პოზიციების შეთანხმება; უნიფიკაციის გზით საქონლის შესაფასებლად საგარეო-სავაჭრო სტატისტიკური ბაზის გამარტივება. კომიტეტი პერიოდულად აქვეყნებს გამოცემებს, რომელთა მეშვეობითაც საქონლის საბაჟო შეფასების პრაქტიკულ რჩევებს იძლევა.

ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია: საქონლის აღწერისა და კოდირების სისტემის დამუშავება. იგი ითვალისწინებს კომერციული და საბაჟო დოკუმენტების გამარტივებას; მათი ტექნიკური დამუშავების შემსუბუქებას, მიმოწერის ხარჯების შემცირებას; ინფორმაციის შეგროვებას, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის ოპერატიულობას.

ტექნიკური კომიტეტი საერთაშორისო საბაჟო ტერმინოლოგიის უზრუნველსაყოფად საბაჟო ნორმებისა და გლოსარების (ლექსიკონების) დ ამუშავებას ახორციელებს.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო მიზნად ისახავდა:

1. ხელი შეეწყო საბაჟო პროცედურების ჰარმონიზაციისა და გამარტივებისათვის, განემტკიცებინა ურთიერთობა საბაჟო ადმინისტრაციებს შორის;

2. გაეუმჯობესებინა, განევითარებინა და სისრულეში მოეყვანა საბაჟო კონტროლი;

3. გაეუმჯობესებინა ორგანიზაცია და საბაჟო ადმინისტრაციის მმართველობითი სისტემა.

ეს მემკვიდრეობა გადაეცა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციას.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭომ თავისი არსებობის მანძილზე მიიღო 18 საერთაშორისო კონვენცია და 60-მდე სარეკომენდაციო დოკუმენტი[1].

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს შექმნის შესახებ კონვენციის მიღების დროს ხელი მოაწერეს 2 დოკუმენტს:

1. კონვენციას საბაჟო მიზნით საქონლის შეფასების შესახებ;

2. კონვენციას საბაჟო ნომენკლატურის შესახებ.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის საქმიანობის პროგრამა მოიცავს აღნიშნულ კონვენციათა შესრულების რეკომენდაციების შემუშავებას. რეკომენდაციებს ღებულობენ სპეციალური კომიტეტები. ეს კომიტეტებია: ნომენკლატურის კომიტეტი, საბაჟო მიზნით საქონლის შეფასების კომიტეტი, საბაჟო საქმის საკითხების მუდმივი ტექნიკური და სხვ. საბაჟო თანამშრომლობის საბჭოსა და მისი კომიტეტების საქმიანობა ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, საბაჟო ურთიერთობათა სრულყოფას და გაფართოებას.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს საბჭო, რომელიც შედგება თავმჯდომარის, 6 ვიცე-თავმჯდომარის (რომლებიც ერთდროულად რეგიონების წარმომადგენლები არიან), პოლიტიკური კომისიის, ფინანსური კომიტეტისა და ტექნიკური კომიტეტებისაგან.

საბჭოს უმაღლესი ორგანოა წევრი-ქვეყნების საბაჟო სამსახურების მეთაურთა ყოველწლიური სესია, სადაც განიხი-

---

1. **Таможенное право, учебник для вузов, отв. редактор проф. Б. Н. Габричидзе, 2001, стр. 414.**

ლავენ მასალებს, რომლებსაც ამზადებენ პოლიტიკური კომისია და ფინანსური კომიტეტი. სესიებზე იღებენ საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს წევრი-ქვეყნების რეგიონალური განვითარების მიხედვით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოები შედიან ევროპის რეგიონში. იგი აერთიანებს 43 სახელმწიფოს. თანამეგობრობის ქვეყნები აქტიურად ატარებენ ევროპის რეგიონის შემადგენლობაში თავიანთ საკუთარ ხაზს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სპეციფიკას, ეროვნულ თავისებურებებს, ეკონომიკურ და ენობრივ ერთობას.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული. ზოგიერთი კომიტეტის საქმიანობაში გამოყენებულია ესპანური. საბჭოს ბიუჯეტს ქმნის წევრსახელმწიფოთა საწევრო შესატანები.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა საბაჟო საკითხებზე საერთაშორისო კონვენციათა გავრცელება და რეკომენდაციების მომზადება მათი გამოყენების შესახებ, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით კონვენციათა გადასინჯვა და განახლება საბაჟო საქმის შემდგომი სრულყოფის მიზნით. თანამედროვე პირობებში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია კოორდინაციას უკეთებს 20-მდე კონვენციისა და საბაჟო საქმის ცალკეულ საკითხებზე 60-მდე რეკომენდაციის ფარგლებში მიმდინარე მუშაობას.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ადგილსამყოფელი ბრიუსელშია (ბელგია); **საბჭომ 28 იანვარი დააწესა საბაჟო სამსახურის საერთაშორისო დღედ**, რომელიც ყოველ წელს აღინიშნება მთელი რიგი ქვეყნების საბაჟო სამსახურების მიერ. საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრია 1994 წლიდან.

ამრიგად, საბაჟო თანამშრომლობის საბჭო, ამჟამად მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, უნივერსალური და უნიკალური საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო წესებისა და პროცედურების ჰარმონიზაციას

და უნიფიკაციას. მის აღიარებას ნათელყოფს ქვეყნებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ შერქმეული სახელი „საბაჟო საქმის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია".

***

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი საქმიანობა საბაჟო თანამშრომლობის სფეროში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ საქმიანობას. მასზე იხარჯება ორგანიზაციის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი. ეკონომიკური კავშირების მთავარი არხებია — საგარეო ვაჭრობა და საბაჟო საქმე. გაეროს სამუშაო ორგანოების (გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამდივნო და სხვ.) მუდმივი ყურადღების ცენტრში დგას საბაჟო თანამშრომლობის საკითხები.

1970 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიამ მიიღო „განვითარების საერთაშორისო სტრატეგია", რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო ხასიათის რიგ ღონისძიებათა განხორციელებას. ეს ღონისძიებები მიმართული იყო განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და მათი საბაჟო ურთიერთობების უნიფიკაციისაკენ. უნიფიკაცია და უნიფიცირება — საერთო ნორმაზე დაყვანა, გაერთიანება, — გაერთგვარება.

9. საერთაშორისო კავშირი საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების დარგში

კავშირი დაფუძნდა 1890 წელს. მის ძირითად მიზანს შეადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საბაჟო ტარიფებისა და მათში შეტანილი ცვლილებების ოპერატიული გამოქვეყნება.

ამ მიზნით ბრიუსელში შეიქმნა სხვადასხვა ქვეყნების საბაჟო წესებისა და ტარიფების თარგმნისა და გამოქვეყნების საერთაშირისო ბიურო. მის ფუნქციებში შედის საბაჟო ტარიფების, აგრეთვე, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დადგენილებების თარგმნა და გამოქვეყნება.

საბაჟო ტარიფები და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები ქვეყნდება „საერთაშორისო საბაჟო ბიულეტენში" (საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების საერ თაშორისო კავშირის ორგანო) გერმანულ, ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე.

საერთაშორისო ბიუროს პერსონალს ნიშნავს ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელსაც თანამშრომელთა შენახვისათვის გამოეყოფა საჭირო სახსრები. იგი ახორციელებს კონტროლს საერთაშორისო ბიუროს ნორმალურ მუშაობაზე.

წევრ-სახელმწიფოებს ყოველწლიურად ეგზავნებათ ანგარიშები საერთაშორისო ბიუროს საქმიანობისა და საფინანო მდგომარეობის შესახებ. ბიუროს წლიური ბიუჯეტია 125 ათასი ბელგიური ფრანკი[1].

სახელმწიფოები ვალდებულნი არიან საერთაშორისო ბიუროს ყოველწლიურად გაუგზავნონ (ორ ეგზემპლარად) სპეციალური დოკუმენტები: 1. ქვეყნის ეროვნული საბაჟო კანონები და საბაჟო ტრიფები; 2. საბაჟო დაწესებულებების ინსტრუქციები, დებულებები, აქტები, ცირკულარები საბაჟო ტარიფებისა და საქონლის კლასიფიკაციის გამოყენების შესახებ; 3. დადგენილებები ეროვნულ საბაჟო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ; 4. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების, კონვენციებისა და შეთანხმებების ტექსტები; აქ იგულისხმება ის დოკუმენტები, რომლებიც პირდაპირ ეხება საბაჟო ტარიფებს და კანონმდებლობას.

ბიულეტენის ტექსტები ქვეყნდება იმ ენაზე, რომელსაც საერთაშორისო ბიურო ქვეყნისათვის უფრო სასარგებლოდ მიიჩნევს.

10. საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები

სპორტული ოგანიზაციების სახეებია:

1. ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით: საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული ორგანიზაციები. მათ საქმიანობას აქვს საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული ხასიათი;

1. **К. Сандровский. Международное таможенное право. Киев, 2001. стр. 163.**

2. საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ნიშნის მიხედვით: სამთავრობო, საზოგადოებრივი, კერძო;

3. საქმიანობის სახეების მიხედვით: სპორტის სახეობები, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები, კლუბები, გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებები; სპორტული ნაწარმისა და აღჭურვილობის საწარმოები, სავაჭრო და სამომხმარებლო ორგანიზაციები.

საერთაშირისო სპორტული მოძრაობის გაფართოებამ, ოლიმპიურმა თამაშებმა და შეჯიბრებებმა, სპორტის სფეროში ორმხრივმა და მრავალმხრივმა ხელშეკრულებებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა, სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისა და სპეციალიზებული საერთაშორისო სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ორგანიზაციების შექმნა. დღის წესრიგში დადგა სპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების, კონვენციების, შეთანხმებების მიღება. ისინი არეგულირებენ ქვეყნებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სპორტის სახეობებში საერთაშორისო ფედერაციებს, ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციებს შორის სპორტულ-სამართლებრივ ურთიერთობებს.

ამჟამად მსოფლიოში 250-ე მეტი საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციაა სპორტის სხვადასხვა სფეროში, ამასთან 20 საერთაშორისო ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს მასობრივი სპორტის სფეროში [1].

სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებია: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი; ეროვნული სპორტული ორგანიზაციების საერთაშორისო ასამბლეა; სპორტის სახეების მიხედვით საერთაშორისო ფედერაციები; ფიზიკური აღზრდის საერთაშორისო ფედერაცია; სპორტის მეცნიერებისა და ფიზიკური აღზრდის საერთაშორისო საბჭო; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში ქალთა საერთაშორისო ასოციაცია; საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია; საერთაშორისო ფედერაცია — „სპორტი ყველასათვის", ფიზიკური მომზადების კვლევის

1. ჟურნალი „Наука в олимпийском спорте", 2000 წლის სპეციალური ნომერი, გვ. 42.

საერთაშორისო საბჭო; სპორტისა და ფიზიკური აღზრდის დარგში კათოლიკური ფედერაცია; სპორტისა და კულტურის დარგში საერთაშორისო ასოციაცია; სპორტის პოპულარული სახეობების საერთაშორისო ფედერაცია; ორგანიზაციის „სპორტი ყველასათვის" საერთაშორისო საკოორდინაციო ცენტრი და სხვა.

სპორტის და ფიზიკური აღზრდის რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები და კონფერენციები: სპორტის განვითარებაზე პასუხისმგებელი მინისტრების ევროპული კონფერენცია; ევროპის არასამთავრობათაშორისი სპორტული ორგანიზაციები; ევროპის საბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტი; ევროპის კავშირი „სპორტი ყველასათვის", ევროპის კონფედერაცია „სპორტი და ჯანმრთელობა", ევროპის სპორტული კონფერენცია; სპორტული კომპანიების ევროპის ფედერაცია; ევროპის აკადემია „სპორტი ყველასათვის" და სხვა.

საერთაშორისო სპორტულ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობას, რომელიც ამჟამად ფართო და მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს, მიეკუთვნება სამი ჯგუფი:

1. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია სამთავრობათაშორისო დაწესებულებებთან; ისეთი, როგორიცაა იუნესკო, ევროპის საბჭო და სხვა.

2. საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაციები სპორტის სახეობების მიხედვით), რომლებიც უმაღლესი მიღწევების სპორტის განვითარებასთან ერთად, ატარებენ თანმიმდევრულ მუშაობას მასობრივი სპორტის ხელშეწყობისათვის;

3. სპეციალიზებული საერთაშორისო და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ორგანიზაციები.

პირველი ჯგუფის ორგანიზაციებს ეკუთვნით წამყვანი როლი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოძრაობის „სპორტი ყველასათვის" განვითარებაში. მათ მიერ არის ფუძემდებლური პროგრამული დოკუმენტები შემუშავებული და დანერგილი. ამ დოკუმენტებში განსაზღვრულია საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურაში „სპორტი ყველასათვის" როლი და ადგილი. ეს დოკუმენტებია:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო ქარტია (იუნესკო);

2. მოსახლეობის ჯანმრთელობის გამტკიცების ხელშეწყობის ქარტია (ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ოტავა, კანადა, 1986).

3. ევროპის სპორტული ქარტია (ევროპის საბჭო, 1992) და სხვა.

მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებაა ევროპის სპორტის ქარტია[1]. იგი 13 მუხლისაგან შედგება და სავალდებულოა შესასრულებლად სპორტული ორგანიზაციებისა და სპორტსმენებისათვის. ქარტიის ძირითადი მოთხოვნებია: მიეცეს თითოეულ ადამიანს საშუალება — იმეცადინოს სპორტში; დავიცვათ და განვავითაროთ სპორტის მორალური და ეთიკური საფუძვლები; განვავითაროთ საზოგადოებრივ საწყისებზე მოძრაობა სპორტში, განსაკუთრებით მხარი დავუჭიროთ ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციების მუშაობას; შევქმნათ სპორტული ბაზები; ავამაღლოთ სპორტული ოსტატობა; ხელი შევუწყოთ სპორტსმენებს მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები და მიაღწიონ თვალსაჩინო სპორტულშედეგებს; მხარი დავუჭიროთ დიდ და პროფესიულ სპორტს; სპორტის ყველა დარგში ხელი შევუწყოთ სამეცნიერო გამოკვლევების შექმნას; განვავითაროთ თანამშრომლობა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე.

სპორტის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. იგი არის საერთაშორისო არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, განუსაზღვრელი ვადით, როგორც ასოციაცია იურიდიული სტატუსით. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიზანია ოლიმპიური მოძრაობა წარმართოს ოლიმპიური ქარტიის საფუძველზე.

საერთაშორისო ფედერაციები არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციებია სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში. თითოეული საერთაშორისო ფედერაცია ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას და ავტონომიას სპორტის თავისი სახეობის მართვაში .

---

1. **Европейская хартия спорта. журн." Наука в олимпийском спорте". 2000. стр. 70.**

მასობრივი სპორტის განვითარებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია საერთაშორისო ფედერაციას „სპორტი ყველასათვის“ (FISPT). იგი ევროპის საბჭოს დახმარებით დაფუძნდა სტრასბურგში (საფრანგეთი) 1982 წლის 3 აპრილს. ამჟამად ამ ორგანიზაციის წევრია ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის და ოკეანიის 70 ქვეყანა. ფედერაციის წევრებია ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც ავითარებენ მოძრაობას „სპორტი ყველასათვის“; აგრეთვე ოფიციალური სამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც დამტკიცებულები არიან პასუხისმგებლებად თავიანთ ქვეყნებში მოძრაობის — „სპორტი ყველასათვის“ განვითარებისათვის.

უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელიც იწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ. ფედერაციის ორგანოებია — გამგეობა, აღმასრულებელი ბიურო, კონტინენტური და რეგიონული კავშირები და სამუშაო ჯგუფები.

ფედერაციის ძირითადი ამოცანებია:

1. „სპორტი ყველასათვის“ მიმართულებით საერთაშორისო შეხვედრების ორგანიზაცია (სიმპოზიუმები, კონფერენციები, სემინარები, საინფორმაციო და სპორტული გამოსვლების შაბათობები და სხვა);

2. საერთაშორისო შეხვედრების, ფესტივალების, საერთაშორისო მოგზაურობების ორგანიზაცია;

3. სასწავლო და საწვრთნელი კურსების ორგანიზაცია;

4. ფედერაციის სოციალურად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის დოკუმენტებისა და მასალების მომზადება, პუბლიკაცია და გავრცელება და სხვა.

ევროპის სპორტული კონფერენცია (ESC) საკონსულტაციო სათათბიროა, რომელიც დამტკიცებულია ევროპის 23 ქვეყნის (ავსტრია, უნგრეთი, ესტონეთი, ფინეთი, საბერძნეთი, ნიდერლანდები, რუსეთი, სლოვაკია, შვედეთი, შვეიცარია, გერმანია, ბელარუსი, ჩეხეთი, დანია, ისრაელი, ლატვია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, ლიტვა, უკრაინა, ბულგარეთი, საფრანგეთი, რუმინეთი) ეროვნული სპორტული ორგანიზაციებისა და სამთავრობო სპორტული დაწესებულებების მიერ. კონფერენცია 1973 წლიდან ყოველ 2 წელიწადში ერთხელ იკრიბება.

მოგზაურობებისა და ფიტნესის საერთაშორისო ასოციაცია (TAELSA) აერთიანებს 110-ზე მეტ ქვეყანას. იგი მიზნად ისახავს სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მასობრივი სპორტის განვითარებას. TAELSA-ს საქმიანობას მხარს უჭერს იუნესკო. ასოციაციის ადგილსამყოფელია ფრანკფურტში (გერმანია).

გამაჯანსაღებელი და სპორტული კლუბების საერთაშორისო ასოციაცია (LHRSA) შეიქმნა 1981 წელს. ადგილსამყოფელი ბოსტონშია (აშშ). იგი აერთიანებს დაახლოებით 5 ათას ფიტნეს-კლუბს და ამ დარგში წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს. ასოციაცია სცემს ჟურნალს „Club Bussines International", რომელშიც გაშუქებულია ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბების მენეჯმენტის საკითხები.

1995 წელს ევროპის ქვეყნების ხუთი ფიზკულტურული ასოციაციის ინიციატივით, ევროპის სპორტის ქარტიის (1993) შესაბამისად, შეიქმნა ევროპის კონფედერაცია „სპორტი და ჯანმრთელობა" (CESS). კონფედერაციის ნამდვილი წევრია ევროპის 23 ქვეყნის 40 ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაცია. CESS-ის საქმიანობის ამოცანებია:

1. ერთიანი ევროპის კანონმდებლობის დამკვიდრება დასვენებისა და თავისუფალი დროის სპორტის საკითხებზე;
2. ფიზკულტურული განათლების სფეროს განვითარება;
3. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცებისაკენ მიმართული საქმიანობის სრულყოფა;
4. სპორტის საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურების შექმნა და განვითარება;
5. კონცეფციის — „სპორტი და ჯანმრთელობა" — განვითარება.

კონფედერაციის ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, აღმასრულებელი კომიტეტი, კომისიები.

11. იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

პროდუქციის, მომსახურებისა და საქმიანი ინფორმაციის იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (EAN) შეიქმნა 1977 წელს. მისი შტრიხ-კოდების სტან-

დარტები ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და კომპანიების აუცილებელი ელემენტი გახდა. მსოფლიოს 600 ათასამდე კომპანია იყენებს ამ სტანდარტებს (1993 წლის ცნობით). იგი ეკონომიკის დარგებში (მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, ჯანდაცვა და ფარმაკოლოგია, მშენებლობა და სხვ.) საქონელბრუნვის სრული ციკლის განსაზღვრისა და პარტნიორებს შორის საქმიანი ინფორმაციის გასაცვლელად გამოიყენება.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით ნუმერაციის ეროვნული ორგანიზაცია — „ეან — საქართველო" ჩამოყალიბდა. იგი 1996 წლის 16 მაისს ქალაქ ლისაბონში გენერალურ ასამბლეაზე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად მიიღეს.

შტრიხ-კოდი ნაწარმის მაღალი ხარისხის დამადასტურებელი ერთგვარი სიმბოლოა. იგი მეწარმეებს საშუალებას აძლევს საწარმოო პროცესში განახორციელონ პროდუქციის კონტროლი, დახარისხება, აღრიცხვა, გადატვირთვის ავტომატიზაცია და სხვა. შტრიხ-კოდის საშუალებით შესაძლოა ნაწარმის დაცვა ფალსიფიკაციისაგან.

„ეან — საქართველოში" 11 ორგანიზაციაა გაერთიანებული. მათთვის საწევრო გადასახადი დაწესებულია: პირველ წელს 600 აშშ დოლარის, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის 400 დოლარის ოდენობით.

შტრიხ-კოდების გარეშე გაძნელებულია ნაწარმის ექსპორტი. საერთაშორისო ორგანიზაცია არ იღებს საქონელს (ან თუ მიიღებს გაცილებით დაბალ ფასში), რომელსაც არა აქვს შტრიხ-კოდი[1].

***

ამგვარად, ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კონფერენციებს, მათ ღონისძიებებს, ამ ორგანიზაციების მიერ მიღებულ საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებს.

---

1. გურამ ჯოლია, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები. 1998, გვ. 198.

თავი მეექვსე

საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციები

1. გაეროს წესდება რეგიონული ორგანიზაციების შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, დასაშვებია „რეგიონალურ შეთანხმებათა ან ორგანიზაციების შექმნა გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით". ეს ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. ასეთი ორგანიზაციების წევრები უნდა ცდილობდნენ თავიანთი დავები რეგიონალური ორგანიზაციების მეშვეობით გადაწყვიტონ და მხოლოდ ყველა სხვა საშუალებათა ამოწურვის შემდეგ ეს დავა უნდა გადასცენ უშიშროების საბჭოს, თუ მანამდე თვითონ საბჭომ არ ჩათვალა საჭიროდ კონფლიქტში ჩარევა.

გაეროს წესდების 52-ე მუხლის მიხედვით:

1. ეს წესდება ოდნავადაც არ უშლის ხელს იმას, რომ არსებობდეს რეგიონალური შეთანხმებანი ან ორგანოები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც რეგიონალურ მოქმედებას შეესაბამებიან, იმ პირობით, რომ ასეთი შეთანხმებანი ან ორგანოები და მათი მოქმედებანი შეესაბამება ორგანიზაციების მიზნებს და პრინციპებს.

2. ორგანიზაციის წევრებმა, რომლებმაც ასეთი შეთანხმებები დადეს ან რომლებიც ასეთ ორგანოებს წარმოადგენენ, ყოველი ძალა უნდა იხმარონ ადგილობრივ დავათა მშვიდობიანი გადაწყვეტის მისაღწევად ასეთ რეგიონულ შეთანხმებათა ან ასეთ რეგილნალურ ორგანოთა მეშვეობით, ვიდრე ეს დავები უშიშროების საბჭოს გადაეცემოდეს.

3. უშიშროების საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ განვითარდეს გამოყენება ადგილობრივ დავათა მშვიდობიანი გადაწყვეტისა ასეთ რეგიონალურ შეთანხმებათა ან

ასეთ რეგიონალურ ორგანოთა მეშვეობით, ან დაინტერესებულ სახელმწიფოთა ინიციატივით, ან თავისი საკუთარი ინიციატივით.

რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ დათმობილი გაეროს წესდებასა და სხვა დოკუმენტებში. მას ეძღვნება გაეროს წესდების მერვე თავი „რეგიონალური შეთანხმებანი".

უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ისეთი ორგანიზაციები, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხის მოწესრიგება მსოფლიოს ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით.

რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები მოიცავენ გარკვეული გეოგრაფიული რეგიონის სახელმწიფოებს და ამ რეგიონის უშიშროების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების გადაწყვეტის მიზნებს ემსახურებიან.

რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კომპეტენციის მიხედვით. ზოგად უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციას მიეკუთვნება ის ორგანიზაცია, რომლის მიზანია საკითხთა ფართო სპექტრის რეგლამენტაცია, ხოლო სპეციალური კომპეტენციის მქონე ორგანიზაცია ვიწრო, სპეციალური დანიშნულების საკითხების მოწესრიგებას ემსახურება.

გაერო ფართო თანამშრომლობას ეწევა რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. გაეროს წესდების თანახმად: „უშიშროების საბჭო ყოველთვის სრულად უნდა იყოს ინფორმირებული რეგიონალურ შეთანხმებათა ძალით ან რეგიონალური ორგანოების მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად წამოყენებული ან დასახული მოქმედების შესახებ" (მუხლი 54).

რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები წყვეტენ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სავაჭრო, სამეცნიერო, საბაჟო და სხვა ურთიერთობების გაფართოებისა და განვითარების საკითხებს.

მსოფლიო საზოგადოებრიობამ აღიარა ისეთი რეგიონული ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის უშიშროებისა და

თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, აფრიკის ქვეყნების კავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და მრავალი სხვა.

რეგიონულ ორგანიზაციას არა აქვს უფლება გამოიყენოს შეიარაღებული ძალა, თუ ამას არ მოითხოვს გაეროს უშიშროების საბჭო (მუხლი 53). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის წევრები სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული აგრესიის ობიექტები გახდებიან, მათ უფლება აქვთ გამოიყენონ ორგანიზაციის მთელი ძალა აგრესორის უკუსაგდებად, რის შესახებაც ატყობინებენ უშიშროების საბჭოს. გაეროს წესდებაში ნათქვამია: „უშიშროების საბჭო გამოიყენებს, სადაც ეს მართებული იქნება, ასეთ რეგიონალურ შეთანხმებებს ან ორგანოებს იძულებითი მოქმედებისთვის თავისი ხელმძღვანელობით, მაგრამ უშიშროების საბჭოს რწმუნებულთა გარეშე არავითარი იძულებითი მოქმედებისადმი მიმართვა არ დაიშვება ამ რეგიონალურ შეთანხმებათა ძალით ან რეგიონალური ორგანოების მიერ".

რეგიონული ორგანიზაცია მოცემული რეგიონის ეროვნული სახელმწიფოების სამთავრობათაშორისი და არასამთავრობათაშორისი საზოგადოებების, ასოციაციების გაერთიანებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს დამფუძნებელი აქტი (წესდება, პროგრამა და სხვა). წესდება განსაზღვრავს საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციის მიზნებს, კომპეტენციას, მუშაობის ძირითად მიმართულებებს, ხელმძღვანელ ორგანოთა სისტემის ფორმირების წესებს და სხვა.

რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები იყოფა ორ ჯგუფად — სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციებად. მათი მიზნები შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს.

მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების რეგიონული ორგანიზაციების გარდა, შექმნილია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტურისტული, სპორტული, კულტურული და სხვა ხასიათის საერთაშორისო ორგანზაციები. ამათგან აღსანიშნავია:

გაეროს სისტემის რეგიონული ორგანიზაციები: 1. გაეროს ევროპის ეკონომიკური ორგანიზაცია (ЕЭК/ООН); 2. გაეროს ეკონომიკური კომისია ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზისათვის (ЭКЛАК); 3. გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომისია აზიისა და წყნარი ოკეანისათვის (ЭСКАТО); 4. გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომისია დასავლეთ აზიისათვის (ЭСКЗА); 5. გაეროს ეკონომიკური კომისია აფრიკისათვის (ЭКА).

დასავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონული ორგანიზაციები: 1. ევროპის კავშირი (ЕС); 2. თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია (ЕАСТ); 3. ევროპის ეკონომიკური სივრცე (ЕЭП); 4. ბალტიის ზღვის სახელმწიფოთა საბჭო (СТВМ); 5. ტრანსპორტის მინისტრების ევროპის კონფერენცია (ЕКМТ); 6. სამოქალაქო ავიაციის ევროპის კონფერენცია (ЕКТА); 7. ევროპის კოსმოსური სააგენტო (ЕАК); 8. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპის ბანკი (ЕБРР); 9. ევროპის საბჭო (ЕС); 10 ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE); 11. ნატო — ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO); 12. დასავლეთ ევროპის კავშირი (WEU) და სხვა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონული ორგანიზაციები: 1. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (СНГ); 2. ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ОЭС); 3. შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა (ЧЭС); 4. ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკი (МБЭС); 5. საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი (МИБ).

ამერიკის სახელმწიფოთა რეგიონული ორგანიზაციები: 1. ამერიკის სახელმწიფოთა რეგიონული ორგანიზაცია (ОАТТ, OAS); 2. ამერიკათაშორისი განვითარების ბანკი (МАБР); 3. ამერიკათაშორისი საინვესტიციო კორპორაცია (МАИК); 4. ლათინურამერიკული ეკონომიკური სისტემა (СЕЛА); 5. ლათინურამერიკული ინტეგრაციის ასოციაცია (ЛАИ); 6. კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი (КАРИКОМ); 7. განვითარების კარიბის ბანკი (КБР ან КАРИБАНК); 8. აღმოსავლეთკარიბის სახელმწიფოთა ორგა-

ნიზაცია (ОВКТ); 9. ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა (НАФТА); 10. ცენტრალურ-ამერიკული საერთო ბაზარი (ЦАОР); 11. ცენტრალურ-ამერიკული ეკონომიკური ინტეგრაციის ბანკი (ЦАБЭИ); 12. ლათინურ-ამერიკული ენერგეტიკის ორგანიზაცია (ЛАОЭ).

აზიისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოთა რეგიონული ორგანიზაციები: 1. აზია—წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა (АТЭС); 2. სამხრეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ასოციაცია (АСЕАН); 3. სამხრეთ—წყნარი ოკეანის ფორუმი (ЮТФ); 4 სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია (СААРК); 5. აზიის განვითარების ბანკი (АзБР).

არაბულ სახელმწიფოთა რეგიონული ორგანიზაციები: 1. არაბულ სახელმწიფოთა ლიგა (ЛАТ, LAS); 2. არაბეთის ეკონომიკური ერთობის საბჭო (САЕФ); 3. სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭო (ССАТПЗ); 4. ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბეთის ფონდი (АФЭСТ); 5. არაბეთის სავალუტო ფონდი (АФР); 6. აფრიკის ეკონომიკური განვითარების არაბული ბანკი (АБЭРА);

აფრიკის სახელმწიფოთა რეგიონული ორგანიზაციები: 1. აფრიკის ქვეყნების კავშირი (САТ); 2. ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი; 3. ცენტრალური აფრიკის ქვეყნების განვითარების ბანკი; 4. დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობა (ЭКОВАС); 5. სამხრეთაფრიკის განვითარების თანამეგობრობა (САДК); 6. აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზარი (КОМЕСА); 7. დასავლეთაფრიკის განვითარების ბანკი (БОАД); 8. აფრიკის განვითარების ბანკი (АФР); 9. აღმოსავლეთაფრიკის განვითარების ბანკი (ВАБР).

XXI საუკუნის დამდეგს მსოფლიო ბანკის ჯგუფს (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, საინვესტიციო-საგარანტიო მრავალმხრივი სააგენტო, საინვესტიციო უთანხმოების მოწესრიგების საერთაშორისო ცენტრი) მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ განვითარების რეგიონული ბანკები (Region Banks), კერძოდ:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; განვითარების ამერიკული ბანკი; განვითარების აფრიკული ბან-

კი; ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის განვითარების ბანკები და სხვ. ამ ბანკების შესახებ ცნობები შეიძლება აიღოთ წიგნში: И. Герчикова. Международные экономические организации, მოსკოვი, 2002 წელი.

დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებას ხელს უწყობენ ევროკავშირის ჩარჩოებში შექმნილი სავალუტო–საკრედიტო და საფინანსო რეგიონული ინსტიტუტები:

1. ევროპის სავალუტო ინსტიტუტი (შტაბ-ბინა ქ. მაინის ფრანქფურტში), რომლის უმთავრესი ამოცანაა ევროპაში ერთიანი ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებული წესების და პროცედურების სრულყოფა; 2. ევროპის საინვესტიციო ბანკი, რომელიც კომპანიებს, სახელმწიფო ორგანოებსა და ეროვნულ საფინანსო ინსტიტუტებს ინფრასტრუქტურისათვის გრძელვადიან კრედიტებსა და გარანტიებს აძლევს; 3. ევროპის განვითარების ფონდი ევროკავშირთან ასოცირებულ განვითარებად ქვეყნებს გრძელვადიან კრედიტებს დაბალი პროცენტული განაკვეთებით აძლევს და ყურადღებას რეგიონული დისპროპორციების აღმოფხვრას უთმობს; 4. ევროპის სოფლის მეურნეობის ორიენტაციისა და გარანტიების ფონდი, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა ევროკავშირის ქვეყნების აგრარული სექტორის განვითარების ხელშეწყობა (ფერმერებისათვის კომპენსაციებისა და სუბსიდიების მიცემა და სხვა); 5. ევროპის სოციალური ფონდი მოსახლეობის დასაქმების გაუმჯობესებისათვის არის შექმნილი და სხვა.[1].

ამ თავში ნაჩვენებია რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის მასშტაბები, მათი ადგილი და მნიშვნელობა საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემაში.

2. ევროპის საბჭო

საზღვარგარეთის ევროპა მსოფლიო ეკონომიკის უმსხვილესი ცენტრია. მისი შიდა ერთობლივი პროდუქტი 7 ტრილიონ დოლარს აჭარბებს და პირველი ადგილი უკავია მსოფ-

1. გურამ ჯოლია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი, 2002, გვ. 102.

ლიო ვაჭრობაში (52%), იგი ლიდერია სავალუტო რეზერვებითა და საზღვარგარეთული ინვესტიციებით.

80-იანი წლების დასასრულს და 90-იანი წლების დასაწყისში საზღვარგარეთის ევროპაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მის დასავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ევროკავშირის 12 ქვეყანა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის 7 ქვეყანა. 1995 წლამდე ერთიან ეკონომიკურ სივრცეში შედიოდა 19 ქვეყანა 380 მლნ მოსახლეობით, შემდეგ მას შეუერთდა კიდევ 3 ქვეყანა. საზღვარგარეთის ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში ქვეყნებმა შეიცვალეს საზოგადოებრივი წყობილება, სახელმწიფოები გეგმური ეკონომიკიდან გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე[1].

***

ევროპის საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში, სტატუსით, რომელიც ხელმოწერილი იქნა ათი ევროპული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ. ეს სახელმწიფოებია: ბელგია, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვეცია, დიდი ბრიტანეთი.

90-იან წლამდე ევროპის საბჭოს წევრები, ძირითადად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები იყვნენ, ხოლო პოსტსაბჭოურმა პროცესებმა მის წევრობაზე დიდი გავლენა იქონია. წევრთა რიცხვი შემდეგნაირად გაიზარდა: უნგრეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, სლოვენია, ჩეხეთი, სლოვაკეთი და რუმინეთი. 1995 წლის მარტში ევროპის საბჭოში უკვე 34 წევრი სახელმწიფო იყო[2].

დღეს ევროპის საბჭოში გაერთიანებულია 43 სახელმწიფო: ანდორა, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერ-

1. ვ. პ. მაქსაკოვსკი. მსოფლიოს გეოგრაფიული სურათი, რეგიონული მიმოხილვა. თარგმანი რუსულიდან, თბილისი, 2002, გვ. 6.
2. ლევან ბოძაშვილი. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა. 1998, გვ. 14.

ძნეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლატვია, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სან-მარინო, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, მოლდოვა, ალბანეთი, მაკედონიის რესპუბლიკა, უკრაინა, რუსეთი, ხორვატია. სპეციალური სტუმრის სტატუსით სარგებლობენ შემდეგი ქვეყნები: ბელორუსია, ბოსნია-ჰერცეგოვინა.

ევროპის საბჭოს წესდების თანახმად, ამ ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, რომელიც ცნობს კანონის უზენაესობას, სადაც დაცული და გარანტირებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ევროპის საბჭოს ფუნქციების ძირითადი სფეროებია: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ჰუმანიტარული და ეკონომიკური თანამშრომლობა, კულტურისა და ეკოლოგიის საკითხები.

ევროპის საბჭოს წესდება ძალაში შევიდა 1949 წლის 3 აგვისტოს, შვიდი სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის შემდეგ. სტატუსს დართული აქვს ადამიანის უფლებების კონვენცია, რომელიც 1950 წელს მიიღო ევროპის საბჭომ. საქართველოსათვის წესდება ძალაშია 1999 წლის 27 აპრილიდან.

წესდების ძირითადი დებულებებია:

ევროპის საბჭოს მიზანი. მუხლი 1. ევროპის საბჭოს მიზანია მიაღწიოს უფრო დიდ ერთობას მის წევრებს შორის იმ იდეალებისა და მიზნების დაცვისა და განხორციელების მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას და ხელს უწყობენ მათ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. ეს მიზანი უნდა იქნეს მიღწეული საბჭოს ორგანოების მიერ საერთო საკითხების განხილვით, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებზე შეთანხმებით და საერთო ზომების მიღებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შენარჩუნებითა და შემდგომი განხორციელებით [1].

---

1. ევროპის საბჭოს წესდება. იხილეთ: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი II, 2000 წლის №1, გვ. 5-12.

წესდების თანახმად, ევროპის საბჭოს წევრობამ არ უნდა შეუშალოს ხელი მის წევრთა თანამშრომლობას გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ან კავშირების საქმიანობაში, რომელთა წევრებიც ისინი არიან.

 წევრობა. ევროპის საბჭოს ყოველმა წევრმა უნდა აღიაროს კანონის უზენაესობისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა პირის ადამიანის უფლებებით და ძირითად თავისუფლებებით სარგებლობის პრინციპები და ითანამშრომლოს კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად ევროპის საბჭოს მიზნის განხორციელებისათვის.

წესდების მეათე მუხლის თანახმად, ევროპის საბჭოს ორგანოებია: ა) მინისტრთა კომიტეტი; ბ) საკონსულტაციო ასამბლეა. ორივე ორგანოს ემსახურება ევროპის საბჭოს სამდივნო.

ევროპის საბჭო განლაგებულია ქ. სტარსბურგში. ევროსაბჭოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. მინისტრთა კომიტეტისა და საკონსულტაციო ასამბლეის პროცედურული წესები განსაზღვრავენ, თუ რა პირობებში და რა გარემოებებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ენები.

მინისტრთა კომიტეტი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც მოქმედებს ევროპის საბჭოს სახელით. ყველა წევრი უფლებამოსილია ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი მინისტრთა კომიტეტში და თითოეულ წარმომადგენელს აქვს ერთი ხმის უფლება. კომიტეტში წარმომადგენლები უნდა იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრები. თუ ეს ვერ მოხერხდა, მისი მოვალეობების შესასრულებლად შეიძლება დასახელებულ იქნეს სხვა პირი, რომელიც შეძლებისდამაგვარად უნდა იყოს მთავრობის წევრი.

საკონსულტაციო ასამბლეის რეკომენდაციის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, მინისტრთა კომიტეტი განიხილავს ევროპის საბჭოს მიზნის მიღწევისათვის საჭირო ზომებს, კონკრეტულ საკითხებზე კონვენციათა და შეთანხმებათა დადების და მთავრობათა საერთო პოლიტიკის მიღების ჩათვლით. მისი გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობებათ წევრებს გენერალური მდივნის მეშვეობით. შესაბამის შემთხვევაში კომიტეტის გადაწყვეტილებებს შეიძლება მიეცეთ სახელმწიფო-

ების მთავრობებისათვის რეკომენდაციების ხასიათი და კომიტეტს უფლება აქვს მოსთხოვოს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს შეატყობინონ მას იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გაატარეს.

მე-19 მუხლის მიხედვით, საკონსულტაციო ასამბლეის ყოველ სესიაზე მინისტრთა კომიტეტი წარუდგენს ასამბლეას ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

საკონსულტაციო ასამბლეა ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოა. იგი განიხილავს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს წესდების თანახმად და თავის დასკვნებს რეკომენდაციების სახით წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს (მუხლი 22).

საკონსულტაციო ასამბლეა შედგება თითოეულ წევრთა წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ირჩევს ქვეყნის პარლამენტი პარლამენტის წევრებიდან ან ნიშნავს ქვეყნის პარლამენტი პარლამენტის წევრებიდან, იმ ფორმით, როგორც ის გადაწყვეტს. თითოეული წარმომადგენელი უნდა იყოს იმ წევრის მოქალაქე, რომელსაც იგი წარმოადგენს და იმავდროულად არ უნდა იყოს მინისტრთა კომიტეტის წევრი. ყოველ წარმომადგენელს შეიძლება ჰყავდეს თავისი შემცვლელი, რომელსაც მისი არყოფნის შემთხვევაში შეუძლია დაესწროს სხდომას, გამოვიდეს სიტყვით და მისცეს ხმა.

საკონსულტაციო ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს და ირჩევს თავისი წევრებიდან თავმჯდომარეს, რომელიც თანამდებობაზე რჩება მომავალ პლენარულ სესიამდე. თავმჯდომარე კონტროლს უწევს პროცესუალურ საქმიანობას, მაგრამ არ იღებს მონაწილეობას დებატებში ან კენჭისყრაში. თავმჯდომრის შემცვლელს შეუძლია დაესწროს სხდომას, სიტყვით გამოვიდეს და ხმა მისცეს მის მაგივრად.

საკონსულტაციო ასამბლეა იკრიბება პლენარულ სესიაზე წელიწადში ერთხელ, რომლის თარიღი და ხანგრძლივობა განისაზღვრება ასამბლეის მიერ, ისე რომ შესაძლებლობის ფარგლებში არ დაემთხვეს წევრთა საპარლამენტო სესიებს და გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებს. არც ერთ შემთხვევაში პლენარული სესიის ხანგრძლივობამ არ უნდა გადაა-

ჭარბოს ერთ თვეს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასამ-ბლეა და მინისტრთა კომიტეტი შეთანხმდება ამაზე).

საკონსულტაციო ასამბლეა შეიძლება შეიკრიბოს საგან-გებო სესიაზე, როგორც მინისტრთა კომიტეტის, ასევე ასამ-ბლეის თავმჯდომარის ინიციატივით მათ შორის შეთანხმების შემდეგ.

სამდივნო შედგება გენერალური მდივნის, გენერალური მდივნის მოადგილისა და საჭირო რაოდენობის თანამშრომლე-ბისაგან. გენერალური მდივანი და გენერალური მდივნის მო-ადგილე ინიშნებიან საკონსულტაციო ასამბლეის მიერ მინის-ტრთა კომიტეტის რეკომენდაციით. სამდივნოს დანარჩენი თა-ნამშრომლები ინიშნებიან გენერალური მდივნის მიერ, ადმი-ნისტრაციული ნორმების შესაბამისად.

წესდების 36-ე მუხლის თანახმად, სამდივნოს არც ერთი წევრი არ უნდა მსახურობდეს რომელიმე მთავრობის ანაზღა-ურებად თანამდებობაზე ან იყოს ასამბლეის წევრი, ან ეროვ-ნული საკანონმდებლო ხელისუფლების წევრი, ან ეწეოდეს მის მოვალეობასთან შეუთავსებელ რომელიმე საქმიანობას.

სამდივნოს თითოეული თანამშრომელი საჯაროდ აცხა-დებს ევროპის საბჭოს ვალდებულებების მიღებას და თავისი საქმიანობის კეთილსინდისიერად განხორციელებას, ეროვნულ ინტერესებთან მიუკერძოებლობას, და რომ არ მიიღებს და არ მოიძიებს ევროპის საბჭოსათვის ნებისმიერი უცხო მთავ-რობისაგან ან ხელისუფლებისაგან თავისი საქმიანობის წარ-მოებასთან დაკავშირებულ მითითებებს და სხვა. გენერალუ-რი მდივანი ან გენერალური მდივნის მოადგილე ასეთ განცხა-დებას აკეთებენ მინისტრთა კომიტეტის წინაშე, სხვა წევრები კი გენერალური მდივნის წინაშე.

სამდივნო განლაგებულია საბჭოს ადგილსამყოფელ ად-გილას. გენერალური მდივანი პასუხისმგებელია მინისტრთა კომიტეტის წინაშე სამდივნოს საქმიანობაზე სხვა საქმიანო-ბასთან ერთად.

ევროპის საბჭოში მოქმედებენ ექსპერტთა კომიტეტები, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან მინისტრთა კომიტე-ტის წინაშე განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის, ადა-მიანთა უფლებების, სოციალური პროგრამების განვითარე-

ბის და სხვა საკითხებში და თავის დასკვნებს რეკომენდაციების სახით წარადგენენ მინისტრთა კომიტეტის წინაშე. ასამბლეა მსჯელობს და რეკომენდაციებს ადგენს ნებისმიერ საკითხზე, ევროპის საბჭოს მიზნებისა და შესაძლებლობების ფარგლებში. იგი აგრეთვე განიხილავს და რეკომენდაციებს ადგენს ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა მინისტრთა კომიტეტის მიერ მისი შეხედულებისამებრ[1].

ევროპის საბჭო სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტია. ის იღებს გადაწყვეტილებებს, კონვენციებს და მათ კანონის ძალას აძლევს იმ ქვეყნებში, სადაც ხდება მათი რატიფიცირება.

ევროპის საბჭომ მიიღო 150-ზე მეტი კონვენცია. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია (1950), ევროპის კულტურის კონვენცია (1957.), ევროპის სოციალური ქარტია (1961), წამების, არაადამიანური მოპყრობისა და უკანონოდ მსჯავრის დადებისაგან დაცვის ევროპის კონვენცია (1987) და სხვა.

ევროპის საბჭოს დღევანდელი სტრუქტურაა:

მინისტრთა კომიტეტი, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან. სხდომები ტარდება წელიწადში ორჯერ სტრასბურგში, ხოლო ყოველთვიურად — ევროპის საბჭოსთან აკრედიტებული მუდმივი წარმომადგენლობების დონეზე. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კონსენსუსის საფუძველზე.

საპარლამენტო ასამბლეა ეროვნული პარლამენტების 236 წევრისაგან შედგება და წარმოადგენს სათათბირო ორგანოს. ასამბლეა იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და იღებს გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით. საპარლამენტო ასამბლეა თავისუფალი საქმიანობისას ეყრდნობა სხვადასხვა კომიტეტის მუშაობის შედეგად მიღებულ მონაცემებს. მინისტრთა კომიტეტსა და საპარლამენტო ასამბლეას მუშაობაში ეხმარება გენერალური სამდივნო.

---

1. ევროპის საბჭოს სტატუსი, 1949 წლის 5 მაისი. იხ. წიგნი: „საერთაშორისო ორგანიზაციები", წიგნი I, გვ. 48-60.

ევროპის საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ევროპის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში რეფორმების პროცესის მხარდაჭერა და მათი დაჩქარება.

ამ მიმართულებით ევროპის საბჭოში შეიქმნა მნიშვნელოვანი დაწესებულებები: 1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კომისიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს ნაცვლად, 1994 წლის 29 აპრილს, შეიქმნა მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლო; 2. ევროპის ახალგაზრდობის ცენტრი; 3. წამების, არაადამიანური მოპყრობისა და უკანონო მსჯავრის დადებისაგან დაცვის კომისია.

ევროპის საბჭოს 1961 წლის კონვენციის თანახმად, შეიქმნა კულტურული თანამშრომლობის საბჭო. იგი აერთიანებს კულტურის სფეროში ექსპერტებს და კულტურის ფონდის ადმინისტრაციულ აპარატს. ეს ორგანოები ევროპის საბჭოს დაქვემდებარებაში 1959 წელს გადავიდნენ.

კულტურული თანამშრომლობის საბჭოს საქმიანობა ემყარება განათლების ერთიანი სისტემის განვითარებას, ეროვნული განათლების სისტემათა დემოკრატიზაციის გზით. იგი შედგება ევროპის საბჭოს წევრი თვრამეტი მხარისა და ფინეთის, პორტუგალიის, ესპანეთისა და ვატიკანისაგან. მის დაქვემდებარებაშია სამი მუდმივმოქმები კომიტეტი. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ კონფერენციაზე იკრიბებიან წევრი სახლმწიფოების განათლების მინისტრები ერთიანი პოლიტიკის, პრობლემებისა და უპირატესობების შესამუშავებლად. სისტემა ითვალისწინებს განათლებისა და კულტურის სფეროში ინფორმაციის, დოკუმენტაციისა და ევროპაში არსებული გამოცდილების გაცვლა-გაზიარებას.

ევროპის საბჭოში 1962 წელს შეიქმნა ბუნებისა და გარემოს დაცვის სპეციალური კომიტეტი. მისი ამოცანებია: 1. ბუნების დაცვა; ბუნებრივი რესურსების მართვა; 2. თანამშრომლობა რეგიონულ დაგეგმვაში; 3. ევროპის არქიტექტორული მემკვიდრეობის დაცვა და ქალაქების დაგეგმვის უზრუნველყოფა.

ევროპის საბჭოსთან შექმნილია ევროპის ახალგაზრდობის ცენტრი და ევროპის ახალგაზრდობის ფონდი, ევროპის ინფორმაციული ცენტრი; ჯანმრთელობის დაცვის ევროპული

კომიტეტი; ევროპის ფარმაკოლოგთა კომისია; მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი; ევროპის მეცნიერულ ურთიერთობათა გაერთიანებული კომიტეტი და სხვა. მათი შტაბ-ბინები სტრასბურგშია.

1997 წლის 10-11 ოქტომბერი. საფრანგეთის ერთ-ერთ ულამაზეს და მყუდრო ქალაქ სტრასბურგში გაიმართა ევროსაბჭოს წევრი და სპეციალური სტუმრის სტატუსის მქონე ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების უმაღლესი დონის შეხვედრა.

სტრასბურგის შეხვედრა იმ გადაწყვეტილებათა ლოგიკური გაგრძელება იყო, რომლებიც ვენის სამიტზე მიიღეს, თუმცა, დოკუმენტის თვისებრივი მასშტაბურობითა და სიღრმით, სტრასბურგის ფორუმი მაინც ახალი დონე, ახალი ეტაპი იყო.

სამიტზე აშკარად გამოჩნდა, რომ ევროპაში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სტანდარტების გარკვეული დონე დამკვიდრდა. ამის დასტურია, ევროპის საბჭოს ინიციატივით სრულიად უპრეცედენტო ინსტანციის — ევროპის ადამიანის უფლებათა მუდმივმოქმები ერთიანი სასამართლოს დაფუძნება. იგი სრულიად პასუხობს ევროპაში დემოკრატიული სივრცის ზრდით გამოწვეულ ამოცანებს. არა მარტო დეკლარირების თვალსაზრისით, არამედ გარანტიების დაცვით ევროპა დგება ადამიანის უფლებების დაცვის ავანგარდში[1].

ევროპის საბჭოს მეორე სამიტმა მიიღო შემაჯამებელი დეკლარაცია. სამიტმა მთლიანად დაუჭირა მხარი ევროპის საბჭოს, რომელიც ზრდის თავის წვლილს ევროპის შეკავშირების, სტაბილურობისა და უშიშროების საქმეში. მიესალმება, რა ევროსაბჭოს თანამშრომლობის განვითარებას სხვა ევროპულ და ტრანსატლანტიკურ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ევროპის კავშირთან და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, განაცხადა შემდეგი: 1. ევროპაში სტაბილურობას ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვა და პლურალისტური დემოკრატიის განმტკიცება; 2. ვიღებთ გადაწყვეტილებას უფრო მტკიცედ დავიცვათ ადამი-

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 16 ოქტომბერი.

ანის უფლებები, უზრუნველყოთ ჩვენი ინსტიტუტების უნარი, ქმებითად იცავდნენ პიროვნების უფლებებს ევროპის მასშტაბით; 3. მოვუწოდებთ, ყველგან გაუქმდეს სიკვდილით დასჯა და ამის მოლოდინით დაბეჯითებით მოვითხოვთ ევროპაში სიკვდილის განაჩენის აღსრულებაზე მოქმედი მორატორიუმების შენარჩუნებას; 4. გამოვთქვამთ ჩვენს გადაწყვეტილებას, განვამტკიცოთ წამებისა და არაადამიანური, ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მექანიზმები; 5. მოვუწოდებთ გააქტიურდეს ბრძოლა რასიზმის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ; 6. ვაცხადებთ, რომ გადაწყვეტილი გვაქვს გავაძლიეროთ თანამშრომლობა ყველა იმ პირის დაცვის საქმეში, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან; 7. ვაღიარებთ ადგილობრივი დემოკრატიის ინსტიტუტების ფუნდამენტურ როლს ევროპაში სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში; 8. ვიღებთ გადაწყვეტილებას, კვლავაც აქტიურად დავუჭიროთ მხარი ყველა წევრ სახელმწიფოში დემოკრატიულ განვითარებას და გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა ევროპის მასშტაბით საერთო სამართლებრივი სტანდარტების სივრცის შესაქმნელად; 9. ვიღებთ გადაწყვეტილებას, გამოვნახოთ საშუალება, საერთო ძალით გავცეთ პასუხი კორუფციის, ორგანიზებული დამნაშავეობის და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ზრდით გამოწვეულ სირთულეებს მთელი ევროპის მასშტაბით; 10. ვიღებთ გადაწყვეტილებას, გავააქტიუროთ თანამშრომლობა ბავშვების სამართლებრივი დაცვის გაძლიერების მიზნით; 11. ვადასტურებთ ჩვენს გადაწყვეტილებას, ვიბრძოლოთ ქალების მიმართ ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ [1].

1997 წლის 10-11 ოქტომბერს სტრასბურგში შეკრებილმა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა დასახეს წევრ ქვეყნებში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცებისათვის გათვალისწინებული „მოქმედების გეგმა“ და ამ მიზნით განსაზღვრეს ოთხი ძირითადი მიმართულება, სადაც შეიძლება პროგრესის მიღწევა და პრაქტიკული ზომების მიღება,

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 14 ოქტომბერი.

აგრეთვე მეხუთე მიმართულება — სტრუქტურული რეფორმები. ეს მიმართულებებია: 1. დემოკრატია და ადამიანის უფლებები; 2. სოციალური შეკავშირება; 3. მოქალაქეთა უსაფრთხოება; 4. დემოკრატიული ღირებულებანი და კულტურული მრავაფეროვნება.

1996 წლის 14 ივლისს საქართველომ გააკეთა განაცხადი ევროპის საბჭოში გაწევრიანების თაობაზე. 1996 წლის 11 სექტემბერს მინისტრთა კომიტეტმა თხოვნით მიმართა საპარლამენტო ასამბლეას, რათა მას გამოეთქვა მოსაზრება ამ განაცხადთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტმა მიმართა საგანგებო სტუმრის სტატუსის მოსაპოვებლად საპარლამენტო ასამბლეას 1993 წლის 4 მარტს და 1996 წლის 26 მაისს მიიღო ეს სტატუსი.

1996 წლიდან საქართველო მონაწილეობს ევროპის საბჭოს სამთავრობათაშორისო თანამშრომლობისა და დახმარების პროგრამების ჩარჩოებში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებაში, ხოლო 1996 წლიდან სპეციალური სტუმრის სტატუსით საქართველოს დელეგაცია მონაწილეობდა საპარლამენტო ასამბლეის და მისი კომიტეტების მუშაობაში.

1999 წლის 27 იანვარს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებას. იმავე წლის 27 აპრილს სტრასბურგში, ევროპის სასახლეში გაიმართა საზეიმო ცერემონიალი საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა.

3. ევროპის კავშირი

ევროპის კავშირის ფესვები პარიზის 1952 წლის ხელშეკრულებაში ძევს, რომელმაც ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება დააფუძნა. ასევე შესაბამისად, რომის 1957 წლის ორ ხელშეკრულებაში, რომელთა საფუძველზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება შეიქმნა. 1993 წლის 1 ნოემბერს, ეკონომიკური კავშირის ხელშეკრულების ძალაში შესვლამ, ეს ორი გაერთიანება ევროპის კავშირად გარდაქმნა. 1995 წლის 1 იან-

ვრიდან ევროპის კავშირი 15 წევრს აერთიანებს: საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი (ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პირველი წევრები), ინგლისი, ირლანდია, დანია (1973), საბერძნეთი (1981), ესპანეთი, პორტუგალია (1986), შვეცია, ფინეთი და ავსტრია (1995).

ევროპის კავშირის თხუთმეტივე წევრი-სახელმწიფო (8 რესპუბლიკა, 7 კონსტიტუციური მონარქია) დემოკრატიული ქვეყანაა.

ჰოლანდიის ქ. მაასტრიხტში, 1992 წლის 7 თებერვალს, ევროსაბჭოს სხდომაზე ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების საგარეო და ფინანსთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ევროპის კავშირის შესახებ. იგი ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს. მასში ნათქვამია: „ამ ხელშეკრულების თანახმად, მონაწილე მხარეები აარსებენ ევროპის კავშირს... ეს ხელშეკრულება ევროპის ხალხების მჭიდრო ურთიერთობების ახალი საფეხურია. კავშირის მიერ გადაწყვეტილებების მიღება შეძლებისდაგვარად მოქალაქეთა სურვილის გათვალისწინებით უნდა მოხდეს... კავშირის ამოცანაა თანასწორუფლებიანობისა და სოლიდარობის საფუძველზე განახორციელოს წევრი სახელმწიფოებისა და მათი მოსახლეობის ურთიერთობები“[1].

ევროპის კავშირი განვითარების თანამედროვე ეტაპზე 25 დამოუკიდებელი ქვეყნის კავშირია თავიანთი კონსტიტუციებით, კანონებით, საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით.

ამ ქვეყნებმა მიღებული ხელშეკრულების საფუძველზე დაადგინეს, რომ ევროკავშირის ნებისმიერი წევრი-სახელმწიფო პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ ევროკავშირის სხვა დანარჩენ სახელმწიფოებთან მოლაპარაკების საფუძველზე.

ევროპის კავშირის ფულადი სახსრების შევსების ერთ-ერთი წყაროა შემოსავლები საბაჟოებიდან და მსგავსი საკონტროლო პუნქტებიდან, რომლებშიც ბეგარის აკრეფა ხდება იმ საქონლის მიმოსვლის დროს, რომელიც ევროპის კავშირის

1. ანდრო რევამიჩავა. ევროკავშირი XXI საუკუნის მიჯნაზე. 1998, გვ. 20.

არაწევრი სახელმწიფოებიდან მოედინება (საბაჟოების მსგავს პუნქტებად იგულისხმება აგრარული პროდუქტის საკონტროლო პუნქტები).

ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოებში 1995 წლის 26 მარტიდან ძალაში შევიდა კავშირის შიდა საზღვრების თავისუფალი გადალახვის კანონი. გერმანიის, საფრანგეთის და ბენელუქსის სამი ქვეყნის მთავრობებმა 1995 წელს ხელი მოაწერეს შენგენის ხელშეკრულებას. მოგვიანებით ამ ხელშეკრულებას შეუერთდა ავსტრია.

1993 წლის დასაწყისიდან შეიქმნა შიდა ბაზარი. შიდა ბაზარი ის სფეროა, სადაც მთელი ეკონომიკური ცხოვრება მნიშვნელოვანწილად ერთიანი წესებითა და თანაბარი პირობებით მიმდინარეობს.

ერთობლივი შიდაბაზარი არ წარმოიქმნება მხოლოდ იმით, რომ რამდენიმე სახელმწიფო ერთმანეთთან საბაჟოებს გააუქმებს და თავისუფალი ვაჭრობის ზონას ან საბაჟოების კავშირს შექმნის. მათი საზღვრები ასეთ შემთხვევაშიც სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ რჩება და საქონელს, მომსახურებას, კაპიტალსა და პიროვნებებს ერთი სახელმწიფოდან მეორეში თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის, ხოლო ხელოსნებსა და მეწარმეებს თავისუფალი დაფუძნების უფლება არა აქვთ. როდესაც რამდენიმე სახელმწიფო საერთო შიდა ბაზარს ქმნის, ყველა ეს შეზღუდვა უქმდება. ევროკავშირის შიდა ბაზარი 25 სახელმწიფოს მოიცავს.

შიდა ბაზარი არ შემოიფარგლება ევროპის კავშირის საზღვრებით, არამედ მოიცავს ისლანდიას, ნორვეგიასა და ლიხტენშტეინს. ევროკავშირმა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპულმა ასოციაციამ 1994 წლის 1 იანვრიდან შექმნეს ევროპის ეკონომიკური სივრცე. შიდა ბაზარი, 400-ზე მეტი მილიონი ადამიანისათვის, თავისი მსყიდველობითი უნარის მიხედვით უდიდესია მსოფლიოში.

თანდათანობით ხორციელდებოდა საერთო ბაზრის შექმნის შემდეგი შეთანხმებები:

1. უნდა გაუქმებულიყო ყველა საბაჟო და რაოდენობრივი შეზღუდვები (თავისუფალი ვაჭრობის ზონა);

2. ამავე დროს იმ ქვეყნებთან ვაჭრობის სფეროში, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის ზონებს არ მიეკუთვნებიან, უნდა შემოღებულიყო ერთიანი საბაჟო ტარიფი (ასე წარმოიქმნა საბაჟო კავშირი). საბაჟო კავშირი შეიქმნა 1968 წლის 1 ივნისს;

3. უნდა გაუქმებულიყო ყოველგვარი წინააღმდეგობები პიროვნების საქმიანობისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების სფეროში და ყოველივე ამის მარეგულირებელი კანონები, იმდენად უნდა მისადაგებულიყო ერთმანეთთან, წევრი-სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივ — სამართლებრივ ნორმებთან, რამდენადაც ეს საერთო ბაზრისთვის იქნებოდა საჭირო.

1986 წელს შემუშავდა შიდა ბაზრის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამართლებრივი ნორმატული საფუძვლები და დადგინდა შიდა ბაზრის ამოქმედების თარიღი: 1992 წლის 31 დეკემბერი. შიდა ბაზრის პირობებში ხორციელდება „ოთხი თავისუფლება": საქონლის, პიროვნების, მომსახურების, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

საერთო ბაზრის შესაქმნელად საჭირო იყო, ჯერ ერთი, თვალსაჩინო ბარიერების გაუქმება (შლაგბაუმების, სასაზღვრო გადასასვლელების, იმ შენობების, სადაც პასპორტებსა და ნივთებს ამოწმებენ); მეორე, სახელმწიფოებს შორის არსებული უხილავი ზღუდეების დაძლევა.

ევროპის კავშირის მინისტრთა კომიტეტმა, 1964 წლის 9 მაისი — ევროპის საბჭოს დაარსების დღე, გამოაცხადა ევროპის დღედ. იგი ყოველწლიურად აღინიშნება მთელ მსოფლიოში.

ევროპის კავშირი — საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია. იგი აფართოებს საერთაშორისო კავშირებს სხვა ორგანიზაციებთან; სახელმწიფოებთან ხელშეკრულებებში, შეთანხმებებში წარმოადგენს მხარეს; აქვს 100-ზე მეტი საზღვარგარეთული წარმომადგენლობა.

საქართველო 1999 წლის 27 იანვარს გახდა ევროპის საბჭოს წევრი. ეს ქვეყანას უხსნის გზას ევროპის კავშირისაკენ.

ევროკავშირის ქვეყნების წილი მსოფლიო ეკონომიკაში დაახლოებით 40%-ს შეადგენს, ამერიკის შეერთებული შტა-

ტებისა — 30%-ს[1]. მასზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის 21%, აშშ-ზე — 20%[2].

რომის ხელშეკრულება, ხელმოწერილი 1957 წლის 25 მარტს ბელგიის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მიერ, არის ევროპული გაერთიანების ბიბლია, უზენაესი ავტორიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანების გადაწყვეტილებებსა და პასუხისმგებლობას. იმავე დღეს, იმავე პირების მიერ, კიდევ ერთი ხელშეკრულება იყო ხელმოწერილი, რომელიც ევროპული ატომური ენერგიის გაერთიანებას აფუძნებდა. მანამდე კი, 1951 წლის 18 აპრილს პარიზში ამავე ექვსმა ქვეყანამ დააფუძნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება.

რომის ხელშეკრულება ვეებერთელა დოკუმენტია, რომელიც შეიცავს 248 მუხლსა და კიდევ დამატებების, პროტოკოლების და შეთანხმებების 160 გვერდს[3]. მუხლი 2. „გაერთიანება მიზნად ისახავს საერთო ბაზრის დაარსებითა და წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შეჯერებით გაერთიანების სივრცეში ჰარმონიული ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტი და გაწონასწორებული გაფართოების, სტაბილურობის ამაღლების, ცხოვრების დონის გაუმჯობესების და გაერთიანების წევრ-ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების უზრუნველყოფას".

ხელშეკრულების თანახმად, გაერთიანების მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას უზრუნველყოფს შემდეგი ინსტიტუციები (მუხლი 4): ასამბლეა, საბჭო, კომისია, სასამართლო.

ხელშეკრულება, რომელმაც მოახდინა სამი ევროპული გაერთიანების შერწყმა, ხელმოწერილ იქნა 1965 წლის 8 აპრილს. მას ეწოდება ევროპის კავშირის ხელშეკრულება.

ევროპის კავშირის ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია მაასტრიხტის ხელშეკრულების სახელით, შეთანხმებულ იქნა 1991 წლის დეკემბერში და ხელმოწერილი 1992 წლის იანვარში.

---

1. ჟურნალი „სარკე", 1999, 20-27 იანვარი, გვ. 45.
2. **И. Герчикова. Международные экономические организации, 2002. стр. 286.**
3. დიკ ლეონარდი. ევროკავშირის სახელმძღვანელო. თბ., 2002, გვ. 49.

რომის ხელშეკრულების ძალით, მისი მიზნების განსახორციელებლად დაარსდა ოთხი ძირითადი ორგანოა. მათი ფუნქციების მარტივი განსაზღვრა ასეთია:

1. ევროკომისია წარადგენს პოლიტიკურ ინიციატივას და აამოქმედებს პოლიტიკას, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია;

2. მინისტრთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ან კანონს კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე;

3. ევროპარლამენტს ძირითადად ჰქონდა მრჩევლის ფუნქცია, თუმცა შემდგომ მისი უფლებამოსილება საკმაოდ გაიზარდა;

4. ევროპის სასამართლო განიხილავს კომისიის გადაწყვეტილებებსა და ხელშეკრულების პირობებს საკამათო შემთხვევაში[1].

ევროპული კომისია წარმოადგენს გაერთიანების აღმასრულებელ ორგანოს. კომისია შედგება ოცი წევრისაგან. ხუთი უდიდესი ქვეყანა (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი) წარმოდგენილია ორ-ორი წევრით, ათი შედარებით პატარა ქვეყანა (ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საბერძნეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, შვედეთი) კი თითო-თითო წევრით. თანამდებობებზე დანიშვნა ხდება მინისტრთა საბჭოს მიერ 5 წლის ვადით ეროვნულ მთავრობათა წარდგენით. 1995 წლამდე ვადა განისაზღვრებოდა 4 წლით.

პრეზიდენტის პოსტი. თავდაპირველად კომისიის პრეზიდენტის არჩევა ხდებოდა ორი წლის ვადით. 1995 წლიდან კომისიისა და პრეზიდენტის ვადა ხუთ წლამდე გაიზარდა.

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, შეიცვალა ვიცე-პრეზიდენტის დანიშვნის განმსაზღვრელი დებულება. მანამდე მინისტრთა საბჭო ვიცე-პრეზიდენტებად ნიშნავდა ექვს კომისარს. ახლა ხელშეკრულების თანახმად „კომისიას შეუძლია თავად დანიშნოს ერთი ან ორი ვიცე-პრეზიდენტი კომისიის წევრებიდან“.

---

1. დიკ ლეონარდი. ევროკავშირის სახელმძღვანელო. თბ., 2002, გვ. 55.

მინისტრთა ან კომისიის საბჭო უფლებამოსილია გამოსცეს: კანონები, დირექტივები, გადაწყვეტილებები; რეკომენდაციები, შეხედულებები.

მინისტრთა საბჭო. იგი შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან. საბჭოს თავმჯდომარის ანუ პრეზიდენტის პოსტი როტაციულია. ამ პოსტს ექვსი თვით მორიგეობით იკავებენ წევრი ქვეყნების მინისტრები. კონკრეტული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრს ენიჭება მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის ტიტული და საბჭოს სამდივნოს დახმარებით მისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო სათავეში უდგას საბჭოს საქმიანობას ექვსი თვის განმავლობაში. ასეთ პერიოდებს უწოდებენ საფრანგეთის პრეზიდენტობის, ფინეთის პრეზიდენტობის ვადას და სხვა.

საკანონმდებლო როლი. ეროვნული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც პარლამენტი ასრულებს საკანონმდებლო ფუნქციებს, ეს როლი ევროპულ გაერთიანებაში ეკუთვნის მინისტრთა საბჭოს. გაერთიანების კანონმდებლობა, ცნობილი როგორც დირექტივები და წესები, შეიძლება განსახილველად შეტანილ იქნას მხოლოდ კომისიის მიერ.

1990 წლის შემდეგ მთავრობების მეთაურების შეხვედრები იმართება წელიწადში სამ-ოთხჯერ. შეხვედრები ტარდება იმ წევრ სახელმწიფოში, რომელსაც მოცემულ მომენტში უკავია პრეზიდენტის პოსტი მინისტრთა საბჭოში, ხოლო მისი პრემიერ-მინისტრი (საფრანგეთის შემთხვევაში კი მისი პრეზიდენტი) ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას და პასუხს აგებს სხდომების ორგანიზაციაზე.

ევროპარლამენტის მიზანია მოახდინოს ევროპის გაერთიანების სხვადასხვა ინსტიტუტების დემოკრატიული კონტროლი და დააკისროს მათ პასუხისმგებლობა. ევროპის პარლამენტი წარმოადგენს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ასამბლეის მემკვიდრეს, რომელიც დაარსდა სტრასბურგში, როგორც მრჩეველთა ორგანო. 1952 წლის სექტემბერში მასში შედიოდა 78 წევრი, ყველა მათგანი იყო ეროვნული პარლამენტის წევრი, რომლის ძირითად ფუნქციას ემატებოდა ასამბლეაზე დასწრების მოვალეობა. ახლანდელი პარლამენტის შემადგენლობა გაიზარდა 626-მდე. ევროპარლამენტის წევრების არჩევა ხდება 5 წლიანი ფიქსირებული ვა-

დით. მორიგი არჩევნები დანიშნულია 2004 წლისათვის. 1979 წლის შემდეგ ევროპარლამენტის არჩევნები ხდება ყველა წევრ სახელმწიფოში ხუთი წლის ვადით. მეექვსე, ბოლო არჩევნები ჩატარდა 1999 წლის 10-13 ივნისს. 25 ქვეყნის დაახლოებით 350 მილიონი ამომრჩეველიდან არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 155 მილიონმა, ანუ 44,2%-მა მიიღო. ამომრჩეველთა აქტიურობა კიდევ უფრო დაბალი იყო იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ევროკავშირს 1 მაისიდან შეუერთნენ.

ევროპარლამენტის უფლებამოსილება. მას აკისრია კომისიისა და საბჭოს ზედამხედველობის მოვალეობა, საკანონმდებლო პროექტში განაწილების უფლება და საბიუჯეტო ძალაუფლებანი. მაასტრიხტის ხელშეკრულებით პარლამენტს მიეცა უფლება დაენიშნა ევროპის ომბუდსმენდი, რომელიც განიხილავდა საჩივრებს ევროკავშირის ინსტიტუციების არასათანადო ფუნქციონირების თაობაზე, განსხვავებულს უზენაესი სასამართლოსაგან.

ყოველთვიური პლენარული სესიები ტარდება სტრასბურგში (დამატებითი სხდომები ეწყობა ბრიუსელში), კომიტეტების უმრავლესობის სხდომები იმართება ბრიუსელში, ხოლო სამდივნოს ძირითადი ნაწილი განთავსებულია ლუქსემბურგში.

ხელშეკრულების თანახმად, გაერთიანების მასშტაბით კანონის მოქმედების შემოწმების ამოცანას ასრულებს სასამართლო, რომელიც განთავსებულია ლუქსემბურგში. სასამართლო შედგება 15 მოსამართლისაგან (თითოეული ყოველი წევრ-სახელმწიფოდან) და 9 გენერალური ადვოკატისაგან. მოსამართლეთა არჩევებს ახდენს მინისტრთა საბჭო, წევრსახელმწიფოთა წარდგენის საფუძველზე. მათი დანიშვნა ხდება ექვსწლიანი განახლებადი ვადით.

სასამართლოს ან მისი პალატების წინაშე ხდება ძირითადად ექვსი ტიპის საქმის წარდგენა: 1. კამათი წევრ ქვეყნებს შორის; 2. კამათი ევროგაერთიანებასა და წევრ ქვეყნებს შორის; 3. კამათი ინსტიტუციებს შორის. 4. კამათი ფიზიკურ პირთა, ან კორპორაციულ ორგანოთა და გაერთიანებას შორის; 5. მოსაზრებები საერთაშორისო შეთანხმებებზე. 6. ევროპული სასამართლოების მიერ გამოცემულ საქმეებზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღება.

გარდა აღნიშნული ძირითადი ევროპული ინსტიტუციებისა, შექმნილია მრავალი სპეციალიზებული ბიურო, ფონდი და ცენტრი შექმნილი ევროკომისიის ან ევროსაბჭოს გადაწყვეტილების ძალით. ევროკავშირის სხვა ორგანოებია:

1. სამედიცინო პროდუქტების შეფასების ევროპის სააგენტო; 2. ევროპის გარემოს დაცვის სააგენტო; 3. ევროპის პროფესიული დახელოვნების ფონდი; 4. პროფესიული დახელოვნების განვითარების ევროპული ცენტრი; 5. ევროპის ნარკოტიკებთან და ნარკომანიასთან ბრძოლის ცენტრი; 6. ცხოვრების დონისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების ევროპული ცენტრი; 7. შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ოფისი; 8. ევროპული გაერთიანების მცენარეთა სელექციის უფლებების ოფისი; 9. სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ევროპული სააგენტო; 10. ევროკავშირის დაწესებულებების თარგმნის ცენტრი და სხვა.

ევროკავშირის სამიტზე (2002 წლის ნოემბერი) მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის გაფართოების შესახებ. 2004 წლის მაისში ევროკავშირის ახალი წევრები გახდნენ პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, კვიპროსი და მალტა.

ურთიერთობას ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის საფუძველი 1991 წლიდან ჩაეყარა, როდესაც საქართველოში განხორციელება დაიწყო TACIS-ის პროგრამებმა.

1992 წლის 22 მარტს ევროგაერთიანებამ სცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. იმავე წლის 21 დეკემბერს საფუძველი ჩაეყარა დიპლომატიურ ურთიერთობებს ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის. ბრიუსელში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ, ხოლო პარალელურად თბილისში მუშაობა დაიწყო ევროკავშირის დელეგაციამ.

საქართველოსთან მოლაპარაკებების პროცესი ევროკომისიამ 1994 წლის ივნისში დაიწყო. 1994 წლის 15 დეკემბერს ბრიუსელში გაიმართა საქართველო—ევროპის კავშირის ერთობლივი კომიტეტის სხდომა. შეხვედრაზე ევროკომისიას გა-

დაეცა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ქართული ტექსტი, განხილულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები. შეხვედრას ევროკომისიის ოცდაათზე მეტი ექსპერტი ესწრებოდა.

1995 წლის 15 დეკემბერს ბრიუსელში პარაფირება გაუკეთდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას. 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელმოწერილ იქნა ისტორიული შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელმაც დააკანონა პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის, საფუძველი ჩაეყარა საკაკონმდებლო, ეკონომიკურ, სავაჭრო, სოციალურ, ფინანსურ, სამეცნიერო, ტექნოლოგიურ და კულტურულ თანამშრომლობას. შეთანხმება შედგება 105 მუხლისაგან, საბაჟო საკითხებში თანამშრომლობის ოქმისაგან, 5 დანართისაგან, ერთობლივი დეკლარაციებისაგან და სხვა.

შეთანხმების ძირითადი ნაწილები:

1. ПРЕАМБУЛА. მასში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. შეანხმებაში ნათქვამია: „სჯერათ, რომ პარტნიორობისა და თანამშრომლობის ამ შეთანხმების სრული განხორციელება, ერთი მხრივ, დამოკიდებულია და მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების გაგრძელებას და დასრულებას;

... გამოთქვამენ სურვილს და მხარს უჭერენ საქართველოს მისწრაფებას დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა ევროპულ ინსტიტუტებთან“[1].

2. ზოგადი პრინციპები. მხარეების საშინაო და საგარეო პოლიტიკის და პარტნიორობის, და ამ შეთანხმების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს დემოკრატიის, საერთაშორისო სამართლის ნორმების და ადამიანის უფლებების პატივისცემა.

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წლის 18 ივლისი.

შეთანხმება შედგება თერთმეტი კარისაგან: ზოგადი პრინციპები, პოლიტიკური დიალოგი, სასაქონლო ვაჭრობა, ბიზნესსა და ინვესტიციებთან დაკავშირებული დებულებანი, სამართლებრივი თანამშრომლობა, ეკონომიკური თანამშრომლობა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობა, ფინანსური თანამშრომლობა ტექნიკური დახმარების სფეროში; ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებანი.

3. შეთანხმების მიხედვით, იქმნება თანამშრომლობის საბჭო, რათა მეთვალყურეობა გაუწიოს პარტნიორობის შეთანხმების შესრულებას. საბჭოს სხდომები იმართება წელიწადში ერთხელ მინისტრების დონეზე. საბჭო განიხილავს ნებისმიერ ძირითად საკითხს. იგი შედგება, ერთი მხრივ, ევროპის კავშირის საბჭოს წევრებისა და ევროპის გაერთიანების კომისიის წევრებისაგან, და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის წევრებისაგან.

საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 4 სექტემბერს რატიფიკაცია გაუკეთა შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.

1997 წლის 17 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მიმართ ევროკავშირის სტრატეგიის შესახებ, რომლითაც მოუწოდა ევროკავშირს გააქტიუროს თავისი როლი სამხრეთ კავკასიაში, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში. დაისახა ევროკავშირის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები:

1. რეგიონის სამი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცება; 2. რეგიონში არსებული კრიზისების მოგვარება; 3. სამივე ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება, კანონიერების განმტკიცება, ადამიანის უფლებების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება; 4. რეგიონის სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშეწყობა.

1997 წლის 13 მარტს ევროპარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა ევროკავშირსა და საქართველოს შორის 1996 წლის 22 აპრილს დადებულ შეთანხმებას, რამაც შესაძლებლობა

შექმნა მთელი ძალით ამოქმედებულიყო შეთანხმების დებულებები.

1999 წლის 22 ივნისს ნიდერლანდების სამეფოში გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ინაუგურაცია. ამ დღეს – ევროკავშირის პრეზიდენტმა ჟაკ სანტერმა – „კავკასიის დღე" უწოდა. ამ დღეს გამართული საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ლიდერთა დიალოგი ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან იმის დადასტურება იყო, რომ ჰუმანიტარულ დახმარებას და მხარდაჭერას ცვლის კავკასიის სახელმწიფოებთან პარტნიორული ურთიერთობა, ასევე მკაფიოდ გამოხატული სტრატეგია. მისი არსია: რეგიონში კონფლიქტების მოგვარება – მთელ ევროპულ სივრცესა და მთელ მსოფლიოში სტაბილურობისა და განვითარების აუცილებელი პირობა.

ლუქსემბურგში 1999 წლის 22 ივნისს მიღებულია ევროკავშირის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკის ერთობლივი დეკლარაცია. ევროკავშირმა ხაზი გაუსვა სამხრეთ კავკასიასთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობას. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობის სფეროს გაფართოების მიზნით, ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ეტაპობრივ ინტეგრაციას ევროპასა და მეზობელ რეგიონებში. დეკლარაციაში აღნიშნულია: „ჩვენ ვაღიარებთ, რომ კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში აფერხებენ ამ რეგიონების სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას. ჩვენ ხელს შევუწყობთ პარტნიორობისა და შესაბამისი ორგანიზაციების ეგიდით მომუშავე საერთაშორისო შუამავლების ყოველგვარ ძალისხმევას, რათა მიაღწიონ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას იმ მიზნით, რომ მოხდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალიზაცია და შეიქმნას უსაფრთხო პირობები ლტოლვილთა დასაბრუნებლად. ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ, რომ კონფლიქტები მოგვარდეს მშვიდობი -

ანი მოლაპარაკებების გზით და არსებულ შეთანხმებათა საფუძველზე"[1].

ევროკავშირის TACIS-ის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რეგიონული მასშტაბის ისეთი გრანდიოზული პროექტები, როგორებიცაა ტრასეკა, ინოგეიტი. ეს პროექტები ითვალისწინებენ სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას, რომელიც ევროპიდან შავი ზღვით, სამხრეთ კავკასიის და კასპიის ზღვის გავლით მივა შუა აზიამდე და ჩინეთ—იაპონიამდე. ამ პროექტში მონაწილეობენ საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, მონღოლეთი და სხვა.

ევროკავშირის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა ეხება შიდა კონფლიქტებით დაზარალებული რეგიონების რეაბილიტაციის საქმეში ევროკავშირის დახმარების სხვადასხვა ასპექტებს. საქართველოსთან დაკავშირებით პროგრამის მიზანია: მხარი დაუჭიროს ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მონაწილე მხარეთა შერიგებას, ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების პროცესს კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში. აგრეთვე, დაეხმაროს ეკონომიკის აღორძინებასა და დარღვეული ეკონომიკური კავშირურთიერთობების აღდგენაში, კონფლიქტების შედეგად ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფილობით დაბრუნებაში თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, ევროკავშირთან ურთიერთობას მიიჩნევს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად. პარლამენტის დადგენილებით, პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველომ პირველმა დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან, რაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებისათვის უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს.

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1999 წლის 24 ივნისი.

საქართველო ახლა უფრო მკვეთრად გამოხატავს თავის მისწრაფებას გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი.

ევროკავშირი, თავისი უპრეცენდენტოდ ღრმა და მჭიდრო ინტეგრაციული სისტემებით, ქმნის კოოპერაციული უშიშროების უნიკალურ მოდელს.

ევროკავშირმა საქართველოს უდიდესი მატერიალური დახმარება და პოლიტიკური თანადგომა გაუწია, რამაც საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას ჯერ გამოსულიყო კრიზისული მდგომარეობიდან, შემდეგ კი განეხორციელებინა სახელმწიფო მმართველობის სისტემის რეფორმა, განევითარებინა სამხედრო ეკონომიკა და დემოკრატიული ინსტიტუტები, თავიდან აეცილებინა სოციალური კატაკლიზმები. საქართველოს სვლა ევროკავშირისაკენ აგრეთვე ეტაპობრივად, მაგრამ მიზანმიმართულად ხორციელდება. საქართველოში წარმატებით მოქმედებს ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭო.

საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პერიოდში დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური დახმარების შედეგად, საქართველოში თითქმის მთლიანად დასრულდა საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან. საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში მიღებული ყველა ახალი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის სამართლებრივ ნორმებს.

4. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მომავალ მონაწილეთა შორის ორმხრივი კონსულტაციების შემდეგ, ფინეთის მთავრობის ინიციატივით, ჰელსინკში 1972 წლის 22 ნოემბრიდან 1973 წლის 8 ივნისამდე მიმდინარეობდა მრავალმხრივი კონსულტაციები. შეთანხმდა

რეკომენდაციები თათბირის დღის წესრიგის, პროცედურისა და სხვა საკითხებზე. თათბირის პირველი ეტაპი გაიმართა ჰელსინკში 1973 წლის ივლისში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ 35 სახელმწიფოს წარმომადგენლები, მათგან ევროპის 33 ქვეყნის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლები. გაიმართა აზრთა გაზიარება მომავალი უმაღლესი დონის თათბირის მომზადებისა და დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი პრობლემების თაობაზე. თათბირის მეორე ეტაპი მიმდინარეობდა ჟენევაში (1973 წლის 18 სექტემბერი — 1975 წლის 25 ივლისი) მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციებისა და ექსპერტების დონეზე. მომზადდა დოკუმენტი უმაღლესი დონის თათბირისთვის.

თათბირის მესამე, დამამთავრებელი ეტაპი, ჩატარდა ჰელსინკში, 1975 წლის ივლის—აგვისტოში, მონაწილე 35 სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკური და სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონეზე. აქ ხელი მოაწერეს თათბირის დასკვნით აქტს, რომელიც შეიცავდა დღის წესრიგის ყველა პუნქტზე მიღწეულ მორიგებას და ასახავდა ყველა მონაწილე სახელმწიფოს ინტერესთა ყურადღებით აწონილ-დაწონილ ბალანსს. დასკვნითი აქტი იწყება მონაწილე სახელმწიფოთა განცხადებით, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სრული ქმედითობა მიანიჭონ თათბირის შედეგებს, უზრუნველყონ ამ შედეგების ნაყოფის გამოყენება თავიანთ სახელმწიფოებს შორის და მთელ ევროპაში, რათა გააფართოვონ, გააღრმაონ და განამტკიცონ დაძაბულობის შენელების პროცესის წინსვლა.

დასკვნითი აქტის პირველი ნაწილი ეხებოდა ევროპის უშიშროების საკითხებს. თათბირმა შეიმუშავა დეკლარაცია იმ პრინციპებისა, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობაში. ეს პრინციპებია: სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტის დამახასიათებელ უფლებათა პატივისცემა; ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენლობა; საზღვრ ების ურ-

ღვეობა; სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა; დავის მშვიდობიანი მოწესრიგება; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემა; ხალხთა თანასწორუფლებიანობა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლება; სახელმწიფოთა თანამშრომლობა; საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

დასკვნითი აქტი შეიცავს მორიგებებსა და დებულებებს ეკონომიკის, აგრეთვე ჰუმინიტარულ და სხვა დარგებში თანამშრომლობის შესახებ. მასში ჩამოყალიბებულია საკითხები, რომლებიც ეხება დასახელებული პრინციპების განხორციელებას. დასკვნით აქტში აღნიშნულია, რომ თათბირის მონაწილე სახელმწიფოები მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ იმას, რომ მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით გადაწყვიტონ ერთმანეთს შორის ყოველგვარი დავა, რომლის განგრძობაც საფრთხეს შეუქმნიდა საერთაშორისო მშვიდობისა და ევროპის უშიშროებას, ეცდებიან დავა გადაწყვიტონ გაეროს წესდების 33-ე მუხლში აღნიშნული მშვიდობიანი საშუალებებით; თავს შეიკავებენ ყოველგვარი მოქმედებისგან, რომელმაც შეიძლება გააძნელოს მონაწილე სახელმწიფოთა შორის დავის მშვიდობიანი მოწესრიგება.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ზოგადი მოსაზრებანი და განხილულია საკითხები, რომლებიც განიარაღებას ეხება. მონაწილე ქვეყნებმა აღიარეს, რომ ისინი დაინტერესებული არიან მცდელობით, რომელიც მიზნად ისახავს განიარაღების ხელშეწყობას, რაც განაპირობებს ევროპაში პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას და განამტკიცებს უშიშროებას.

ჰელსინკის უმაღლესი დონის ფორუმი ისტორიაში შევიდა, როგორც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი. დასკვნითი აქტის საფუძველზე იმართება თათბირები მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების საკითხებზე. ჩატარდა ბელგრადის (1974), მადრიდის (1980), ვე-

ნის (1986), კოპენჰაგენის (1990), პარიზის (1990), ჰელსინკის (1992), ბუდაპეშტის (1994), ლისაბონის (1996), სტამბოლის თათბირები.

1990 წლის 21 ნოემბერს პარიზში ევროპის 32 ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და ევროპის გაერთიანებათა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „პარიზის ქარტიას ახალი ევროპისათვის". ამ დოკუმენტის შექმნა იყო იმ პროცესების ლოგიკური გაგრძელება, რომელსაც დასაბამი მისცა ევროპის უშიშრობებისა და თანამშრომლობის 1975 წლის ჰელსინკის თათბირმა. ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტისგან განსხვავებით, პარიზის ქარტიას ხელი მოაწერა ევროპის არა 33, არამედ 32 ქვეყნის წარმომადგენელმა; გამოაკლდა გაუქმებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სახელმწიფოთა ერთობლივ დეკლარაციაში (1990 წლის 19 ნოემბერი) მონაწილე სახელმწიფოებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ ახალ ეპოქაში, რომელიც იწყება ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში, ისინი აღარ არიან მოწინააღმდეგენი, აგებენ პარტნიორობის ახალ ურთიერთობას და მეგობრობის ხელს უწვდიან ერთმანეთს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელიც 1992 წლის ივლისში გაიმართა ჰელსინკში. უმაღლესი დონის შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა მიიღეს დეკლარაცია „ცვლილებათა ხანის იმედები და პრობლემები". თათბირის მონაწილეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ ჰელსინკის აქტსა და პარიზის ქარტიაში ჩამოყალიბებულ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც განასახიერებენ სახელმწიფოთა ვალდებულებებს ერთმანეთის წინაშე და მთავრობათა ვალდებულებებს თავიანთი ხალხის წინაშე, არ დაუკარგავს ძალა.

დეკლარაციაში ნათქვამია: „კვლავ ვადასტურებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ერთგულებას, რომელიც გამოაცხადეს ჩვენმა სახელმწიფოებმა, და ვაცხა -

დებთ, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ოთ-ბირი, მიგვაჩნია, რეგიონულ შეთანხმებად. ამ თვალსაზრი-სით იგი უზრუნველყოფს ურთიერთკავშირს ევროპასა და მთელ მსოფლიოში უშიშროების დასაცავად". უშიშროების საბჭოს უფლება-მოვალეობანი უცვლელი რჩება და შენარჩუნებულია სრული მოცულობით. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომ-ლობის თათბირი თავის საქმიანობას განახორციელებს გაერ-თიანებული ერების ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომ-ლობით, განსაკუთრებით კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მოწესრიგების საქმეში.

მონაწილე სახელმწიფოები მიესალმნენ ევროპის უშიშრო-ებისა და თანამშრომლობის თათბირის საპარლამენტო ასამ-ბლეის შექმნას, რომლის პირველი თათბირი გაიმართა 1992 წლის 3-5 ივლისს ბუდაპეშტში.

თათბირის დოკუმენტში განსაზღვრულია ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი, უშიშროების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, აგრეთვე სხვა დარგებში თანამ-შრომლობის მთავარი მიმართულებანი.

თათბირი მთელ თავის მოღვაწეობას წარმართავდა შემ-დეგი ამოცანების გადასაწყვეტად: შეხვედრების, სემინარების, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, სამეცნიერო გა-მოკვლევების ჩატარება, მათი შედეგების გამოქვეყნება და გავ-რცელება, ევროპის ქვეყნების საზოგადოებრიობის სხვადას-ხვა ფენასთან კონტაქტის დამყარება და გაფართოება; თანამ-შრომლობა ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებსაც ანალოგიუ-რი მიზნები აქვთ, გაეროსა და მისი სპეციალიზებული ორგა-ნიზაციების იმ ინიციატივათა მხარდაჭერა, რომლებიც მიმარ-თულია მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში, მშვიდო-ბის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარებისაკენ.

თათბირის საფუძველს წარმოადგენენ ევროპის უშიშრო-ებისა და თანამშრომლობის ეროვნული კომიტეტები და ჯგუ-ფები, რომლებიც ყველა მონაწილე ქვეყანაში იყო შექმნილი და საჭიროების მიხედვით იკრიბებოდნენ ასამბლეაზე.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბი-რის დასკვნითი აქტის ხელმოწერის შემდეგ, საბჭომ სრუ -

ლიად ევროპის თათბირის შედეგებისა და მათი ცხოვრებაში გატარებისთვის შეიმუშავა ევროპული საზოგადოებრიობის მოქმედების პროგრამა. „ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პროცესში ჩვენი ქვეყნების საზოგადოებრიობის აქტიურ ჩაბმას. ცალკეულ პირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო ფართო შესაძლებლობებს შევუქმნით საიმისოდ, რომ შეიტანონ წვლილი ჩვენს მუშაობაში და ითანამშრომლონ ჩვენთან", — ნათქვამია ჰელსინკის თათბირის დეკლარაციაში.

დეკლარაციამ განამტკიცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მნიშვნელობა და გაზარდა მისი ეფექტიანობა ჰელსინკის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

თათბირმა დაავალა საბჭოს განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ამ პროგრამის შესრულებისათვის. ამასთანავე, დეკლარაციამ საბჭოს მიანიჭა უფლება შეიტანოს მასში ნებისმიერი შესწორებები, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს.

ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულების საკითხებს რეგულარულად იხილავენ საბჭოს სესიებზე, რომლებსაც იწვევენ წელიწადში ორჯერ. საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებას.

საბჭომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების შეხვედრების მომზადებასა და ჩატარებაში. ისინი ჩატარდა ბულგარეთში, მადრიდში, ვენაში, კოპენჰაგენში, პარიზსა და ჰელსინკში.

ჰელსინკის თათბირის (1992 წლის ივლისი) მონაწილე იყო საქართველო. თათბირის მუშაობაში პირველად მიიღო მონაწილეობა საქართველოს დელეგაციამ.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი დიალოგის, მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის ფორუმია. იგი განსაზღვრავს ახალი ევროპის ჩამოყალიბების პროცესის მიმართულებას და სტიმულს აძლევს ამ პროცესს.

ბუდაპეშტის თათბირის დეკლარაციაში მითითებულია წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაღრმავებაზე „რეგიონული შეთანხმების“ საფუძველზე.

უფრო ადრე, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიამ (1993 წ.) მოიწონა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის სტატუსი — „რეგიონული შეთანხმების“ ორგანიზაცია. ამავე სესიამ მიანიჭა ორგანიზაციას გაეროსთან მეთვალყურის სტატუსი.

ბუდაპეშტის შეხვედრის გადაწყვეტილებით 1995 წლის 1 იანვრიდან თათბირს შეეცვალა სახელწოდება. იგი გადაკეთდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციად. ამასთან, თათბირის დოკუმენტში ნათქვამია: „სახელის შეცვლა არ ცვლის არც ჩვენი ვალდებულებების ხასიათს, არც ეუთოსა და მისი ინსტიტუტების სტატუსს“ [1]. ორგანიზაცია ინარჩუნებს მემკვიდრეობითობას.

1996 წლის დეკემბერში, ლისაბონში, გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების თათბირი, რომელიც მიეძღვნა ეუთოს სივრცეში მდგომარეობის შეფასებას და საერთო უსაფრთხოებისათვის თანამშრომლობის საფუძვლის შექმნას. „ვუახლოვდებით რა ახალ საუკუნეს, ჩვენთვის, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ეუთო-ს სივრცეში მშვიდობიანი მშენებლობა, სადაც ყველა ხალხი და პიროვნება თავს უსაფრთხოდ იგრძნობს“, — ნათქვამია დეკლარაციაში.

ლისაბონის თათბირმა მიიღო დეკლარაცია 21-ე საუკუნის ევროპისათვის უშიშროების საერთო და ყოვლისმომცველი მოდელის შესახებ, ეუთო-ს სივრცეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გასამაგრებლად.

ლისაბონის თათბირმა კვლავაც დაადასტურა სრული მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. „ჩვენ ვგმობთ აფხაზეთში „ეთნიკურ წმენდას“, რასაც მოჰყვა ძირითადად ქართული მოსახლეობის მასობრივი განად-

1. Международное право. Москва. 1995, стр. 227.

გურება და იძულებითი განდევნა, — ნათქვამია ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრის დეკლარაციაში, — სეპარატისტების დესტრუქციული აქტები, კერძოდ, ლტოლვილებისა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებისათვის ხელის შეშლა და გადაწყვეტილება — გაიმართოს არჩევნები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) ძირს უთხრის პოზიტიურ მცდელობას ამ კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით"[1].

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სტრუქტურა: მინისტრთა საბჭო (ადრე — საბჭო). იგი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოა. მისი უმთავრესი ფუნქციაა გადაწყვეტილებათა მიღება. მინისტრთა საბჭო იკრიბება საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ერთ-ერთი ქვეყნის მინისტრი წლის განმავლობაში ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას. საბჭოს ფარგლებში შექმნილია თავისებური ფორმირება — „სამეული". მასში შედიან: თავმჯდომარე, ყოფილი თავმჯდომარე და იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, სადაც გათვალისწინებულია შემდეგი სხდომის ჩატარება.

ხელმძღვანელ საბჭოს, რომელმაც შეცვალა უმაღლეს ოფიციალურ პირთა კომიტეტი, ფუნქციებია: საბჭოს სხომების მომზადება; კონტროლი მისი გადაწყვეტილებების შესრულებაზე; დამხმარე ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია. საბჭოს სხდომები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე წელიწადში სულ მცირე ორჯერ ტარდება პრაღაში.

მუდმივი საბჭო (ადრე — მუდმივი კომიტეტი) ძირითადი ორგანოა პოლიტიკური კონსულტაციების გამართვისა და მიმდინარე გადაწყვეტილებების მიღებისათვის. გარდა ამისა, იგი განიხილავს საგანგებო სიტუაციებს.

სამდივნო უზრუნველყოფს ძირითად ორგანოთა ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას; აქვეყნებს დოკუმენტებს, განაგებს არქივს. 1992 წელს დაწესდა გენერალური მდივნის

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1996 წლის 7 დეკემბერი.

თანამდებობა. იგი ახდენს სხვადასხვა ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას, ეხმარება თავმჯომარეს, მონაწილეობს „სამეულის“ შეხვედრებში.

ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედებს საბჭო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დარგში, ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის აპარატი, საპარლამენტო ასამბლეა. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ადგილსამყოფელი ბრიუსელშია.

კოლექტიური უშიშროების პირველი სტრუქტურა, რომელშიც საქართველო ჯერ კიდევ 1992 წელს შევიდა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია იყო. სწორედ ეუთოს ფარგლებში შეუერთდა საქართველო ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ხელშეკრულებას, რაც საშუალებას აძლევს ქვეყანას, ამ ყოვლისმომცველ საერთაშორისო ინსტიტუტზე დაყრდნობით, საბოლოოდ გადაწყვიტოს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღების განთავსების საკითხები. ეუთოს სტამბოლის სამიტის დროს გაფორმებული დოკუმენტები (რუსეთის ბაზებთან დაკავშირებით) სწორედ ამ ფართო, მრავალმხრივი შეთანხმებიდან მომდინარეობს. ეუთო აქტიურად მონაწილეობს ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის გადაწყვეტაში.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტა ძირითადად გაერომ იკისრა, ეუთომ ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტების დასკვნით დოკუმენტებში გაცილებით უფრო მკაცრად და ობიექტურად შეაფასა სეპარატისტთა მოქმედება, უწოდა რა მას ეთნოწმენდა. სამწუხაროდ, გაეროს უშიშროების საბჭოს ოცდაათამდე რეზოლუციაში ამ უტყუარი ფაქტის დადასტურება ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეუთომ საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე საერთაშორისო სამხედრო მეთვალყურეები ჩააყენა[1].

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 16 ოქტომბერი.

5. ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. წევრი ქვეყნებია: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია, ისლანდია, პორტუგალია; 1952 წლიდან თურქეთი და საბერძნეთი; 1955 წლიდან — გერმანია; 1982 წლიდან ესპანეთი.

მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება (1949 წლის 4 აპრილი). იგი საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი, სამართლებრივი აქტია (ხელშეკრულება, წესდება). იგი შედგება პრეამბულისა და 14 მუხლისაგან. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ორგანიზაციის ფუნქციები, მიზნები და ამოცანები, კომპეტენცია, ხელმძღვანელ ორგანოთა სტრუქტურა.

როგორც აღვნიშნეთ, 1949 წელს ვაშინგტონში ხელი მოეწერა ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას, რომელმაც დასაბამი მისცა აშშ-ის, კანადისა და დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს (ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, იტალია, ისლანდია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, ნიდერლანდები, საფრანგეთი და პორტუგალია) კოლექტიური უსაფრთხოებისა და პარტნიორობის ახალ მექანიზმს — ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას — ნატო[1].

ნატოს შექმნა განაპირობა მზარდმა საბჭოთა ექსპანსიამ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა და საფრთხე შეუქმნა დასავლეთის სამყაროს.

თავისი არსებობის ხუთ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე ჩრდილო-ატლანტიკურმ ა ალიანსმა ფუნდამენტური როლი შეასრულა დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს კოლექ-

1. 1952 წელს ნატოს შეუერთდნენ საბერძნეთი და თურქეთი, 1955 წელს — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, 1982 წელს — ესპანეთი, ხოლო 1999 წელს — პოლონეთი და უნგრეთი.

ტიური თავდაცვისა და მისი უშიშროების უზრუნველყოფაში. „ცივი ომის“ პერიოდში ამ სამხედრო-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შეძლო შეეჩერებინა ევროპაში საბჭოთა ექსპანსია და დაემყარებინა კონტინენტზე სტრატეგიული ბალანსი.

ნატო იყო და არის თავისი წევრი ქვეყნების თავისუფალი და დემოკრატიული განვითარების გარანტი. იგი ხელს უწყობს ევროპის კონტინენტზე და მის ფარგლებს გარეთ დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას.

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის განვითარების (1990–2002 წლები) ოთხი მნიშვნელოვანი ეტაპი:

პირველ ეტაპზე, 1991 წელს განხორციელდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ჩამოყალიბება (NACC); იმავე წელს რომის 8 ნოემბრის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს უმაღლესი დონის სამიტზე მიიღეს „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრატეგიული კონცეფცია“, რომელმაც შეცვალა 1967 წლის ე. წ. „ჰარმელის კონცეფცია“.

მეორე ეტაპზე, 1994 წელს აშშ-ის პრეზიდენტის ბილ ქლინთონის ინიციატივით შეიქმნა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების ურთიერთობაში, 1995 წელს ნატო პირველად თავის ისტორიაში ახორციელებს დეიტონის ხელშეკრულების საფუძველზე სამშვიდობო ოპერაციას ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე.

მესამე ეტაპზე, 1997 წელს ჩამოყალიბდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC – ეაპსი), რომელიც ამჟამად ახორციელებს ევროატლანტიკური თანამშრომლობის პროცესს. მან შეცვალა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო.

მეოთხე ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული ახალი ეტაპის ფართომასშტაბიანი სამხედრო-ტერორისტული აქციის განხორციელება და ნატოს საბჭოს მიერ ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე მუხლის ამოქმედება. ამ მუხლის მიხედვით კი: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზია-

რებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში განიხილება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ"[1]. ფაქტიურად ეს ნიშნავს კოლექტიური თავდაცვის პრონციპის სრულ ამოქმედებას და კოალიციური ტიპის საომარი მოქმედების დაწყებას, ისეთი ფენომენის წინააღმდეგ, როგორიცაა ტერორიზმი.

ნატოს დაინტერესება კავკასიის რეგიონით დაიწყო 1994 წლიდან „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ამოქმედებით და კიდევ უფრო განვითარდა 1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ჩამოყალიბებით. ამ ორივე სფეროში აქტიურად ჩაერთო სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო.

2004 წლის მარტში ვაშინგტონში გამართულ ცერემონიაზე ნატოში მიიღეს შვიდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკია და სლოვენია. ამით ნატოს „ქოლგის" ქვეშ შევიდა 40 მილიონი ადამიანი, ხოლო მისი ტერიტორია ბალტიის სანაპიროდან რუსეთის დასავლეთ სანაპიროსა და შავ ზღვამდე გაიჭიმა.

ალიანსში ნატოში ახლა 26 ქვეყანაა გაერთიანებული: აშშ, კანადმ, ისლანდია, ბელგია, ჩეხეთი, დანია, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, ესპანეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკია და სლოვენია. გაწევრიანების კანდიდატები არიან ხორვატია, ალბანეთი, მაკედონია. ახალი წევრების მიღებით, აგრეთვე, სამი წლის წინ შესული ჩეხეთის, უნგრეთისა და პოლონეთის ჩათვლით, ნატომ იერსახე შეიცვალა — ახლა ის სრულიად განსხვავდება იმ ორგანიზაციისაგან, რაც „ცივი ომის" დამთავრების დროს იყო.

საქართველოსათვის ნატო-სთან თანამშრომლობა პრიორიტეტულ მიმართულებას შეადგენს. საქართველომ იმთავითვე მართებულად აიღო კურსი ევროატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაციისაკენ, როცა 1992 წელს ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში შევიდა, 1994 წელს ნატო-ს პროგრამას

1. ბიულეტენი, საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, 2001, №61, გვ. 2-3.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ შეუერთდა, ხოლო 1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი გახდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, განსაკუთრებით სამხრეთი კავკასია, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ევროატლანტიკური სივრცისათვის. ამ რეგიონის გავლით მიიღებს მსოფლიო ბაზარი კასპიის ენერგორესურსებს, ცენტრალური აზიის, მათ შორის, ავღანეთის და შორეული აღმოსავლეთის ბუნებრივ სიმდიდრეებთან, ადგილობრივ მუშახელთან და ბაზრებთან დაკავშირებულ უმოკლეს გზებს.

მას შემდეგ, რაც ცივი ომი დამთავრდა, არ წყდება ლაპარაკი იმის თაობაზე, თუ რა უნდა იყოს ნატოს ფუნქცია ახალ ვითარებაში. ზოგიერთი იმასაც კი ამბობდა, რომ ნატომ თითქოს ამოწურა თავისი დანიშნულება და შესაძლოა მისი საჭიროება მომავალში საერთოდ აღარ არსებობდეს. ეს აზრი, ჩვენი შეხედულებით, მთლიანად მცდარია. იგი მომდინარეობს ნატოს როლისა და მისიის ვიწრო გაგებიდან. ნატო, მართლაც შეიქმნა კონკრეტულ ვითარებაში კონკრეტული ამოცანების განსახორციელებლად, მაგრამ მის საფუძველში ჩადებული იყო თავისუფალ საზოგადოებათა დაცვის ზოგადი იდეა, იმისდამიუხედავად, თუ ვინ დაემუქრებოდა მათი არსებობის წესს — იქნებოდა ეს საბჭოთა კავშირი თუ თავისუფლების მოძულე, რელიგიურ ფანატიკოსთა ორგანიზაცია. ასე, რომ სილრმისეული ფუნქციის თვალსაზრისით ნატო არ შეიცვლება, სანამ იარსებებენ თავისუფლების მტრები. ცვლილებებს განიცდის მხოლოდ ახალ მუქარებზე რეაგირების ფორმები[1].

მომწიფდა ნატოს ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ამას კი ორი ძირითადი განზომილება აქვს. პირველი — ნატოს გაფართოებაა. ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა უმეტესობა ისტორიულ უსამართლობად მიიჩნევდა ევროპული ცივილიზაციიდან მათს იძულებით მოწყვეტას და, „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ისინი უმოკლეს დროში შეეცდებოდნენ ამ უსამართლობის გამოსწორებას. ეს ასეც მოხდა. მეორე — ახალ მუქარებთან დაპირისპირებაა. „ცივი ომის“ პერიოდის მსოფლმხედვე

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 22 ნოემბერი.

ლობრივი დაპირისპირება შეიცვალა ახალი ტიპის მსოფ-მხედველობრივი დაპირისპირებით, როდესაც ცივილიზებულ სამყაროს უპირისპირდება რელიგიური ფანატიზმით, აგ-რესიული სეპარატიზმით, ექსტრემისტული ნაციონალიზ-მით ნასაზრდოები იდეოლოგია და მსოფლმხედველობა. სწო-რედ მათი, განსაკუთრებით კი აგრესიული სეპარატიზმის, წყალობით ჩნდება სუვერენულ სახელმწიფოებში არსებუ-ლი უკონტროლო ტერიტორიები, რომლებიც, როგორც წე-სი, იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ტერორიზმის კერებად და თავშესაფარად იქცევიან. სწო-რედ ნატომ უნდა მიიღოს ყველა ამ ბოროტების გამოწვე-ვა, ვინაიდან იგი დედამიწის უზარმაზარ სივრცეზე დემოკ-რატიულ ღირებულებათა და სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიაა.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს 2002 წლის ნოემბრის პრაღის სამიტმა დასაბამი მისცა საქართველო-ნატოს თანამშრომლობის ახალ ეტაპს, რომლის მიზანია გა-წევრიანების პროცესის დაწყება. ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა, რაც, პირველ ეტაპზე, ინდივიდულური პარ-ტნიორობის სამოქმედო გეგმაში მონაწილეობას გულის-ხმობს, უდიდესი სტიმული იქნება საქართველოსათვის, რა-თა მან გაცილებით გაბედულად და სწრაფი ტემპით განა-ხორციელოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო რე-ფორმები.

1994 წლიდან საქართველო ნატოს „პარტნიორობა მშვი-დობისათვის" პროგრამის წევრია. 1995 წლიდან საქართვე-ლოს შეიარაღებულ ძალებს, ამ პროგრამასთან ერთად, შემუ-შავებული აქვს ნატოსთან „ინდივიდუალური თანამშრომლო-ბის" პროგრამაც. 1998 წლიდან მკვეთრად გაიზარდა საქარ-თველოს მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებასა და წვრთნა-ში. 2000-2001 წლებში ქვეყანამ „პარტნიორობა მშვიდობი-სათვის" პროგრამით გათვალისწინებულ 242 ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა[1].

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 16 ოქტომბერი.

საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ქვედანაყოფი მონაწილეობს კოსოვოს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში. სამი წლის განმავლობაში განხორციელდა ამ შენაერთის ხუთი როტაცია.

საქართველოს შეიარაღებული ძალების რეფორმირებაში პოზიტიური როლი შეასრულეს ევროპული სარდლობის მიერ, საქართველოს შეიარაღებულ ძალთა შეფასების საფუძველზე, შემუშავებულმა რეკომენდაციებმა უშიშროების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს რჩევებთან ერთად.

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ, რომელიც ამერიკისა და ევროპის არსებითად დიდმნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია, მიიღო ახალი სტრატეგიული კონცეფცია და განამტკიცა თავისი, როგორც ევროპის უშიშროების შემადგენელი ელემენტის, როლი. ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს შექმნით ამ ორგანიზაციამ განსაზღვრა თანამშრომლობის მექანიზმი იმ ახალ პარტნიორებთან, რომლებიც დაეთანხმებიან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიზნებს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მზად არის პრაქტიკულად დაუჭიროს მხარი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საქმიანობას.

ჩრდილო ატლანტიკის საბჭოს 1991 წლის 7-8 ნოემბრის სხდომაზე რომში მიიღეს სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობების შეთანხმება: „ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრატეგიული კონცეფცია". იგი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც ახალი ვითარების გათვალისწინებით შემუშავებულია ნატოს ახალი სტრატეგია. მასში მითითებულია, რომ „1989 წლიდან ძირეული პოლიტიკური ცვლილებები ხდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რაც იწვევს იმ პირობების რადიკალურ ცვლილებებს, რომელზე დაყრდნობითაც ჩრდილო ატლანტიკის ალიანსი აპირებს თავისი მიზნების მიღწევას"[1].

რა მიზანს ისახავდა ახალი სტრატეგიული კონცეფცია? დოკუმენტის თანახმად იგი „მიზნად ისახავს გარე სამყაროს

1. საერთაშორისო ორგანიზაციები. წიგნი 1, გვ. 18.

უსაფრთხოებას, რომელშიც პოზიტიური ცვლილებები განხორციელებადია. ძირითადად იგი მოიცავს ორივეს, საბჭოთა შეიარაღებული ძალების დაგეგმილ გამოყვანას ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან და 1990 წლის ევროპის შეიარაღებულ ძალებზე შეთანხმებული კონცეფციის განხორციელებას. სტრატეგიული კონცეფციის შესრულება ხდება გარე სამყაროს ევოლუციურად განვითარების და ამ კონცეფციით განსაზღვრული უფლებამოსილებების სრულყოფის შესაბამისად".

კონცეფციის თანახმად, უსაფრთხოების პრობლემები და რისკი, რომლებიც ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის წინაშე დგას, თავისი ბუნებით საკმაოდ მრავალფეროვანია იმასთან შედარებით, რაც ადრე იყო. ერთდროულად მუქარა ხელშეკრულების ორგანიზაციის ყველა ევროპულ ფრონტზე უკვე აცილებულია და ეს საკითხი უკვე აღარ წარმოადგენს მოკავშირეთა სტრატეგიულ ინტერესს. განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპაში, მოულოდნელი თავდასხმის საფრთხე აბსოლუტურად აცილებულია და მოკავშირეთა რისკი, ამ მხრივ მინიმუმამდეა დასული.

სტარტეგიული კონცეფციის შესაბამისად, ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს შეადგენს: მისი წევრების თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით, საზოგადოების დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობაზე დაყრდნობით, ნატო, მისი საქმიანობის დაწყებიდან, მიილტვის ევროპაში მშვიდობის დამყარებისათვის. ალიანსის მიზნები უცვლელი რჩება.

ნატოს უმთავრესი მიზნების მიღწევისათვის, ალიანსის მთავარი ამოცანებია:

1. უზრუნველყოს მყარი საფუძვლის შექმნა ევროპაში უსაფრთხოებისათვის, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და დავის მშვიდობიანი მოგვარების პირობების გაფართოებით, როდესაც არც ერთი ქვეყანა არ იქნება დაშინებული და იძულებული რომელიმე ევროპული ერის მიერ და არ

იქნება განხორციელებული ჰეგემონია ძალის გამოყენების ან დამუქრების გზით.

2. შეაჩერებს და დაიცავს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოსა და მის ტერიტორიას ნებისმიერი აგრესიისაგან.

3. უზრუნველყოფს ევროპაში სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნებას.

ნატოს გადაწყვეტილებები ეფუძნება ერთიან სამხედრო სტრუქტურას, აგრეთვე თანამშრომლობის და კოორდინაციის შეთანხმებებს, მისი მთავარი მახასიათებლებია: შეიარაღების კოლექტიური დაგეგმვა; საერთო საქმიანობის დაგეგმვა; მრავალეროვნული გაერთიანებები; შეიარაღებულ ძალთა დისლოცირება მისი ქვეყნის ტერიტორიის გარეთ; კრიზისების რეგულირება და ამ პროცესების გაძლიერების ღონისძიებები; პროცედურები კონსულტაციებისათვის; საერთო სტანდარტები და პროცედურა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისათვის, ვარჯიშისა და ზურგის გამაგრებისათვის; გაერთიანებული საქმიანობა; ინფრასტრუქტურის, შეიარაღების და ზურგის თანამშრომლობა.

სამხედრო სტრუქტურები მჭიდროდ თანამშრომლობენ და ეხმიანებიან ერთმანეთს. ეს ძალებია: სახმელეთო ძალები, რომლებიც მათთვის დამახასიათებელი ელასტიურობითა და ამტანობით, ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ალიანსის მიერ კრიზისების რეგულირებისას; საჰაერო ძალები, რომელთა დანიშნულებაა, მხარი დაუჭირონ ხმელეთსა და ზღვაზე მოქმედებას, იგი მოითხოვს აპრობირებულ გრძელვადიან საჰაერო გადაზიდვებსა და საჰაერო ძალების საწვავით მომარაგების აუცილებლობას. საჰაერო თავდაცვის ძალები მოითხოვენ საჰაერო თავდაცვის პირობების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციას მჭიდრო ურთიერთობები აქვს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალიზებული დაწესებულებანი; ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგა -

ნიზაცია; ევროპის კავშირი; დასავლეთ ევროპის კავშირი; ევროპის საბჭო და სხვა. გარდა აღნიშნული ორგანიზაციებისა, მნიშვნელოვანია სხვა სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობები.

პირველ რიგში აღსანიშნავია ჩრდილო ატლანტიკის ასამბლეა. იგი წარმოადგენს საპარლამენტთაშორისო ფორუმს და შედგება თექვსმეტი წევრი სახელმწიფოსაგან. ასამბლეა აერთიანებს ევროპულ და ჩრდილო ამერიკის კანონმდებლებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების განსახილველად და გადასაწყვეტად. იგი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელი ორგანოა.

ჩრდილო ატლანტიკის ასამბლეაში დელეგატები ინიშნებიან, მათი ეროვნული პარლამენტების მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, პარლამენტებში წარმოდგენილი პარტიული პროპორციების შესაბამისად. ასამბლეა შედგება 188 პარლამენტარისაგან და დელეგაციის წევრთა რაოდენობა თითოეული ქვეყნიდან დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე. ასამბლეის მიერ ყოველწლიურად ირჩევა ხუთი თანამდებობის პირი პლენარული სესიებისათვის: პრეზიდენტი, სამი ვიცე-პრეზიდენტი და ხაზინადარი. მუდმივმოქმედი კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ ირჩევს გენერალურ მდივანს.

ჩრდილო ატლანტიკის ასამბლეა შედგება ხუთი კომიტეტისაგან. ესენია: პოლიტიკური კომიტეტი; თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი; ეკონომიკის კომიტეტი; მეცნიერებისა და ტექნოლოგიის კომიტეტი; სამოქალაქო ურთიერთობათა კომიტეტი.

კომიტეტები სისტემატურად მართავენ სხდომებს, განიხილავენ სასწავლო პროგრამების შემუშავების საკითხებს, წარუდგენენ მოხსენებებს ასამბლეის პლენარულ სესიებს. ასამბლეის რეკომენდაციები და რეზოლუციები ეგზავნებათ ეროვნულ მთავრობებს, პარლამენტებს, სხვა დაინტერესებულ ორ-

განიზაციებსა და ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორ - განიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც წარადგენს მათ ჩრდილო ატლანტიკის საბჭოში განხილვისათვის.

ასამბლეასა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობები სათავეს იღებს 1990 წლიდან, როდესაც ამ ქვეყნების პარლამენტების წარმომადგენლები მიიწვიეს ასამბლეაზე ასოცირებული წევრების სტატუსით.

ATLANTIKIS ხELშეკრულების ასოციაცია ნებაყოფილობითი ასოციაციების კავშირს წარმოადგენს. იგი ნატოს მხარდამჭერი ორგანიზაციაა და ხელს უწყობს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებით განსაზღვრული მთელი რიგი სფეროების განვითარებას.

ეს სფეროებია:

1. საზოგადოების განათლება და ინფორმირება; 2. ნატოსთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობის განხორციელება; 3. ჩრდილო ატლანტიკის ზონაში ხალხთა სოლიდარობისათვის ხელის შეწყობა; 4. ასოციაციებსა და თავიანთ ეროვნულ კომიტეტებს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის მუდმივი განვითარება.

ატლანტიკის ხელშეკრულების ასოციაციის წევრ ეროვნულ ნებაყოფილობით ორგანიზაციებს წარმოადგენენ: ბელგიაში — ბელგიის ატლანტიკის ასოციაცია; კანადაში — კანადის ატლანტიკის საბჭო; დანიაში — დანიის ატლანტიკის ასოციაცია; საფრანგეთში — საფრანგეთის ატლანტიკის გაერთიანების ასოციაცია; გერმანიაში — გერმანიის ატლანტიკის საზოგადოება; საბერძნეთში — საბერძნეთის ასოციაცია ატლანტიკისა და ევროპაში თანამშრომლობისათვის; ისლანდიაში — დასავლეთის თანამშრომლობის ასოციაცია; იტალიაში — იტალიის ატლანტიკის კომიტეტი; ლუქსემბურგში — ლუქსემბურგის ატლანტიკის ასოციაცია; ნიდერლანდებში — ნიდერლანდების ატლანტიკის კომიტეტი; ნორვეგიაში — ნორვეგიის ატლანტიკის კომიტეტი; პორტუგალიაში — პორტუგალიის ატლანტიკის კომიტეტი; ესპანეთში — ესპანეთის ატლანტიკის ასოციაცია; თურქეთში — თურქეთის ატლანტიკის კომიტეტი; გაერთიანებულ სამეფოში — ბრიტანეთის ატლანტი-

კის კომიტეტი; აშშ-ში — შეერთებული შტატების ატლანტიკის საბჭო.

რეზერვის ოფიცერთა სამოკავშირო კონფედერაცია — არც სამთავრობათაშორისო და არც პოლიტიკურ ორგანიზაციას არ წარმოადგენს. შეიქმნა 1948 წელს ბელგიის, საფრანგეთის და ნიდერლანდების რეზერვის ოფიცერთა ასოციაციების მიერ. დღეისათვის იგი აერთიანებს ნატოს წევრ სახელმწიფოებში არსებულ რეზერვის ოფიცერთა ასოციაციებს. მის რიგებშია 800 ათასი რეზერვის ოფიცერი.

კონფედერაციის მიზანია: ორგანიზაციის წევრთა დაკავშირება და ინფორმირება ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის მიღწევებსა და საქმიანობაზე. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის სარეზერვო ძალების ორგანიზების, ადმინისტრირებისა და წვრთნის საქმეში.

XXსაუკუნის 80-იან და 90-იან წლებში მოხდა უდიდესი გარდაქმნა მსოფლიო ისტორიაში: ორად გახლეჩილი მსოფლიო გაერთიანდა. ამ ეპოქის მთავარი შედეგებია: სოციალიზმის მსოფლიო სისტემისა და საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიის დემონტაჟი, ვარშავის პაქტის დაშლა, ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიისა და ევროპის გაერთიანება, „ცივი ომის" დამთავრება, პოსტსაბჭოურ სივრცეში 15 თავისუფალი, სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა, ტოტალიტარიზმსა და ავტოკრატიაზე დემოკრატიისა და თავისუფლების შეუქცევადად გამარჯვება.

1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში „გარდაქმნის" პოლიტიკის შედეგად შექმნილმა ახალმა ვითარებამ, ნატოს წინაშე დააყენა საკითხი აღნიშნულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების შესახებ. ახალი სტრატეგია მიზნად ისახავდა „ცივი ომის" ეპოქის კონფრონტაციიდან პრაქტიკულ თანამშრომლობაზე გადასვლას, ევროპული სტრუქტურის ახალი არქიტექტურის მშენებლო -

ბას, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა დასავლური ცივილიზაციის ფასეულობები და პრინციპები.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისათვის, რომელიც საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავებისა და დასავლური დემოკრატიიის დაცვას ემსახურებოდა დღიდან მისი დაარსებისა — 1949 წლიდან, ამგვარი ტრანსფორმაციის განხორციელება დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან სიძნელეებთან. უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული მოწინააღმდეგის პარტნიორად აღიარება მოითხოვდა ალიანსის მიზნებისა და ამოცანების ახლებურ კონცეფციურ გააზრებას, ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალობასთან ადაპტირებასა და თანამშრომლობის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირისაკენ ნატოს „დიდი შემობრუნების" ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევენ ალიანსის 1990 წლის 5-6 ივლისის ლონდონის სამიტს. სამიტზე მიღებულ „ლონდონის დეკლარაციაში" ჩამოყალიბებულია ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მთავარი პრინციპები, რომლებიც დაეფუძნა არა ორი დაპირისპირებული ბანაკის ძალთა თანაფარდობას, არამედ თანამშრომლობასა და პარტნიორობას.

აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირის მიმართ ნატოს ახალი პრინციპებისა და პირველი პრაქტიკული ნაბიჯების უფრო დეტალურ განხილვას მიეძღვნა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ნატოს საბჭოს 1991 წლის 6-7 ივნისის სხდომა (კოპენჰაგენში) „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის შესახებ", სხდომაზე მიღებულ განცხადებაში ნათქვამია; „ევროპის დაყოფის ხანგრძლივი ეპოქა დასრულდა. ჩვენ მივესალმებით ალიანსისა და მისი წევრი სახელმწიფოების კონტაქტების მნიშვნელოვან გაფართოებას საბჭოთა კავშირთან და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, თუკი ეს უკანასკნელნი მიესალმებიან ლონდონის შეხვედრაზე ალიანსის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ მეგობრობისათვის გაწვდილ ხელს"[1].

---

1. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 1999 წლის 10 ოქტომბერი.

სხდომაზე გამოჩნდა ახალი ტერმინი „სხვადასხვა დონეზე სამხედრო თანამშრომლობის განვითარების შესახებ". მ ღებულ დოკუმენტში ჩამოთვლილია შემდეგი მიმართულებები:

1. ოფიციალურ პირთა და ექსპერტთა შეხვედრები უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში აზრთა ურთიერთგაცვლისა და ინფორმირების მიზნით (სამხედრო სტრატეგია და დოქტრინები, შეიარაღებისადმი კონტროლი, სამხედრო ინდუსტრიის კონვერსია);

2. ერთი მხრივ, ნატოს სამხედრო ხელმძღვანელებს, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ევროპიდან მათ კოლეგებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარება;

3. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტთა მონაწილეობა ალიანსის ცალკეულ ღონისძიებებში;

4. ნატოს საინფორმაციო პროგრამების განხორციელება რეგიონის ქვეყნებში, უშიშროებისა და დემოკრატიის საკითხებზე დისკუსიების გამართვა, ნატოს შტაბ-ბინაში აღნიშნული ქვეყნების პარლამენტართა, ჟურნალისტებისა და ახალგაზრდული დელეგაციების მოწვევა;

5. თანამშრომლობის გაფართოება ჩრდილო-ატლანტიკურ ასამბლეასა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტარებს შორის.

ნატოს გააჩნია თანამშრომლობისა და კონსულტაციების ახალი ინსტიტუტები, რომლებიც აერთიანებენ ევროატლანტიკური რეგიონის ყველა ქვეყანას — ქვეყნებს, რომლებიც წინათ ერთმანეთს ურიპისპირდებოდნენ. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო და „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამა წარმოადგენენ ინსტრუმენტებს, რომლებიც გულისხმობენ არა მარტო პოზიტიურ მონაწილეობას უშიშროების პრობლემათა გადაჭრაში, არამედ, აგრეთვე, ერთობლივი საქმიანობის ფართო წრის მიმართულებებსაც. ამ შესაძლებლობებით სარგებლობა ყველას შეუძლია.

ნატოს უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენს ნატოს საბჭო, რომელშიც შედიოდა 19 წევრი სახელმწიფო. სხდო-

მები ტარდება ორჯერ-გაზაფხულზე (ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს დ ლაქალაქში) და ზამთარში ბრიუსელში. ᲡᲐᲡᲘᲡ ᲚᲔᲑᲐ გაიმართ ᲜᲝᲡ საგანგებო სესია. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობენ საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე — თავდაცვის, ფინანსების, ეკონომიკის და სხვა დარგის მინისტრები. ხშირად სესიები ტარდება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა დონეზე. ნატოს საბჭო ორგანიზაციის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა.

1952 წლის თებერვალში, ლისაბონში სამოქალაქო სამსახურების რეორგანიზაციის შემდეგ, ჩრდილოატლანტიკის ორგანიზაციის ორგანოებია[1]:

1. ᲡᲐᲑᲭᲝ: შედგება ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. იგი იკრიბება წელიწადში ორ ან სამჯერ და წლის განმავლობაში მუდმივად, მუდმივი წარმომადგენლების დონეზე. საბჭო ორგანიზაციის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა.

2. ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲐ: პოლიტიკური კომიტეტი; თავდაცვის საკითხის შემსწავლელი კომიტეტი; ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლის უმაღლესი დონის სამუშაო ჯგუფი, ალმასრულებელი სამუშაო ჯგუფი; ეკონომიკური კომიტეტი; ინფორმაციისა და კულტურული ურთიერთობების კომიტეტი; ეროვნულ დირექტორთა თათბირი შეიარაღებაზე; შეიარაღების კონტროლის მაკოორდინირებელი კომიტეტი; საგანგებო მდგომარეობის დროს სამოქალაქო სამსახურების გამოყენების დაგეგმვის მთავარი კომიტეტი; ნატოს თათბირი მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელთათვის; სამეცნიერო კომიტეტი, [illegible] ᲐᲔᲠᲝ თავდაცვის კომიტეტი; სტანდარტიზაციის ᲯᲒ [illegible] ᲜᲐᲢᲝᲡ კავშირებისა და ინფორმაციის სისტემათა კომიტეტ [illegible] ᲜᲐᲕᲢᲝᲜᲑᲐᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲝᲑᲐᲗᲐ კომიტეტი; საბჭოს საქმიანობისა და სწავლების კომიტეტი; ინფრასტრუქტურის კომიტეტი; ნატოს უსაფრთხოების კომიტეტი.

---

1. საერთაშორისო ორგანიზაციები, წიგნი I, გვ. 6-15.

3. საერთაშორისო შტაბი: გენერალური მდივანი, გენერალური მდივნის მოადგილეები, კაბინეტის დირექტორი, ფინანსთა დირექტორი, აღმასრულებელი მდივანი, ადმინისტრაციული დირექტორი; ინფორმაციისა და პრესის კაბინეტის დირექტორი.

4. სამხედრო კომიტეტი. იგი შედგება წევრი სახელმწიფოების სამხედრო შტაბის უფროსებისაგან და საფრანგეთის შტაბის უფროსის მიერ დანიშნულ საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლისაგან.

5. ევროპის მოკავშირეთა, ატლანტიკის მოკავშირეთა, ლა-მანშის ყურის მოკავშირეთა და აშშ-კანადის რეგიონული დაგეგმვის ჯგუფები.

ნატოს საბჭოს სესიებზე განიხილება ორგანიზაციის საქმიანობის საკვანძო საკითხები, მიმოიხილავენ სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას სხვადასხვა რეგიონში, ისმენენ ნატოს დაწესებულებათა ხელმძღვანელთა მოხსენებებს.

ნატოს გენერალური მდივანი თავმჯდომარეობს საბჭოს სამუშაო სესიებს, ხოლო ნატოს საბჭოს სესიებს შორის პერიოდში მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს ნატოს მუდმივი კომიტეტი, რომელიც შედგება წევრი ქვეყნების ელჩებისაგან.

მუდმივი საბჭოს სხდომები კვირაში რამდენჯერმე იმართება; იგი აწარმოებს პოლიტიკურ კონსულტაციებს, ახდენს ინფორმაციის გაცვლას, ამზადებს მასალებს ნატოს საბჭოს სესიისათვის, განიხილავს ნატოს კომიტეტებში მომზადებულ დოკუმენტებს, ხელმძღვანელობს კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობას. მუდმივ საბჭოს ხელმძღვანელობს ნატოს გენერალური მდივანი.

ნატოს უმაღლესი სამხედრო ორგანო: სამხედრო კომიტეტი, რომლის წევრებია წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლები. სამხედრო კომიტეტის სხდომებს შორის მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას აკონტროლებს მუდმივი სამხედრო კომიტეტი. მას ევალება ნატოს ორგანოთა საქმიანობის კოორდინაცია.

საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანოა ბირთვული თავდაცვის კომიტეტი, რომელიც განიხილავს ბირთვული იარაღის პრობლემებს და მისი გამოყენების პრინციპებს. იგი შეიქმნა 1966 წელს და მისი სხომები ტარდება წელიწადში ორჯერ. ბირთვული კომიტეტის შემადგენლობაში შედიან თავდაცვის მინისტრები.

ნატოს აღმასრულებელი ორგანოა საერთაშორისო სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით. შეიარაღებულ ძალთა უშუალო ხელმძღვანელობისათვის, ომის შესაძლებელ რაიონში, ინიშნება სტრატეგიული ხელმძღვანელობა ევროპისათვის, ატლანტიკისათვის, ლა-მანშის ზონისათვის, აგრეთვე კანადის რეგიონული სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი.

ევროპაში ნატოს სარდლობას სათავეში უდგას უმაღლესი მთავარსარდალი. მას ემორჩილება ჩრდილო ევროპის ცენტრალური და სამხრეთ ევროპის სამი მთავარი საომარი მოქმედების სფეროს უმაღლესი სარდლობა.

ნატოს შეიარაღებული ძალები იყოფა: გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებად, რომლებიც ნატოს განკარგულებაშია გადაცემული და ეროვნულ დაქვემდებარებაში მყოფ ძალებად. გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში შედის ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, კანადის, გერმანიის, ბელგიის, ნიდერლანდების, იტალიისა და თურქეთის სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების გაერთიანებანი, შენაერთები და ნაწილები, ნორვეგიისა და დანიიის სამხედრო-საჰაერო ძალები. ეროვნულ დაქვემდებარებაშია: ამერიკის შეერთებული შტატების საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სტრატეგიული ავიაცია და ატომური რაკეტმზიდი წყალქვეშა ნავები, წევრი ქვეყნების ზოგიერთი სახმელეთო შენაერთი და ნაწილი.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა ტრადიციულად ამერიკელ გენერალს უჭირავს.

მშვიდობიან პერიოდში უმაღლესი მთავარსარდალი პასუხს აგებს თავის ზონაში თავდაცვის გეგმების შემუშავებაზე, განაგებს მის განკარგულებაში მყოფი ჯარების მომზადების, ორგანიზებისა და მომარაგების საკითხებს. ომის პერიოდში იგი პასუხს აგებს ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ოპერაციების ორგანიზებასა და განხორციელებაზე. უფლებამოსილია გამოიყენოს წევრი ქვეყნების ადამიანთა და მატერიალური რესურსები.

უმაღლეს მთავარსარდალს ყავს ორი მოადგილე — ინგლისელი და გერმანელი გენერლები. გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბი, რომელსაც ასევე ამერიკელი გენერალი უდგას სათავეში, ემორჩილება უმაღლეს მთავარსარდალს.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბ-ბინა ქალაქ ნორდფოლკშია (აშშ) განლაგებული.

ნატოს მთავარი სარდლობა ლა-მანშის სრუტის რაიონში მოიცავს აგრეთვე პა-დე-კალეს სრუტეს. სარდლობის შტაბ-ბინა ნორთვუდშია (დიდი ბრიტანეთი).

სამუშაო ენებია: ინგლისური და ფრანგული. ნატოს ადგილსამყოფელი ბრიუსელშია, ხოლო ევროპის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი კასტოში (ბრიუსელის გარეუბანი).

6. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა — სამთავრობათაშორისო რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციაა. წესდება მიღებულია 1993 წლის 22 იანვარს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს სხომაზე. ამჟამად მასში გაერთიანებულია 12 დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო: ბელორუსია, თურქმენეთი, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიზნებია:

1. პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული, კულტურული და სხვა სფეროში თანამშრომლობის განხორციელება;

2. წევრ–სახელმწიფოთა ყოველმხრივი და შეწონასწორებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება საერთო-ეკონომიკური სივრცის ფარგლებში, სახელმწიფოთაშორისი კოოპერაცია და ინტეგრაცია;

3. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დოკუმენტების შესაბამისად;

4. საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა, შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების შემცირების, ბირთვული და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაციის, საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევის ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება;

5. წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევა თანამეგობრობაში, თავისუფალ ურთიერთობაში, კონტაქტებსა და გადაადგილებაში;

6. ერთმანეთისადმი სამართლებრივი დახმარება და თანამშრომლობა სამართლებრივი ურთიერთობების სხვა სფეროებში;

7. თანამეგობრობის სახელმწიფოთა შორის დავისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრა[1].

დსთ-ს უმაღლესი ორგანოებია სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობათა მეთაურების საბჭოები; ასევე ფუნქციონირებს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, ეკონომიკური საბჭო, ეკონომიკური საკითხების კომისია, ეკონომიკური სასამართლო, საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, აღმასრულებელი კომიტეტი, აგრეთვე დარგობრივი თანამშრომლო-

---

1. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1993 წლის 12 ოქტომბერი.

ბის 55 ორგანო — საგარეო-ეკონომიკური უსაფრთხოების, საბაჟო სამსახურის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში.

თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო. იგი განიხილავს და წყვეტს პრინციპულ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება წევრ სახელმწიფოთა საქმიანობას მათი საერთო ინტერესების სფეროში.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო იკრიბება სხდომებზე წელიწადში ორჯერ. საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ინიციატივით (მუხლი 21).

მთავრობის მეთაურების საბჭო კოორდინაციას უწევს წევრ სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლობას საერთო ინტერესების ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში.

გადაწყვეტილებანი მიიღება საერთო თანხმობით — კონსენსუსით. სხდომებზე თავმჯდომარეობენ რიგრიგობით თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა მეთაურები რუსული ანბანის წესით. სხდომები ეწყობა, როგორც წესი, მოსკოვში.

თანამეგობრობის სამუშაო ენაა რუსული ენა.

ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას დსთ-ს სივრცის სამ რეგიონად წარმოდგენის შესახებ; შედარებით უფრო განვითარებული აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი, შედარებით საშუალოდ განვითარებული სამხრეთ კავკასიის რეგიონი და შედარებით სუსტად განვითარებული ცენტრალური აზიის ქვეყნების რაიონი. აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში (რუსეთი, უკრაინა, ბულორუსი, მოლდოვა) მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 6250 აშშ დოლარს, სამხრეთ კავკასიაში — 4050, შუა აზიაში — 3075 დოლარს ეროვნული ვალუტების მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით.

დსთ-ის შექმნა მიზნად ისახავდა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, კულტურული, სამხედრო თანამშრომლობის განვით არებას, ნებაყოფლობისა და სრული დამოუკიდებლობის პრინცი-

პების საფუძველზე. თანამეგობრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი მიჯნა იყო 1993 წლის სექტემბერში ხელმოწერილი ხელშეკრულება ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ. განისაზღვრა თანამშრომლობის საერთო ვექტორი — ქვეყნებს შორის სამეურნეო ურთიერთობების დაფუძნება საბაზრო საფუძვლებზე, საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებსა და წესებზე. უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ხელშეკრულება (1994 წლის აპრილი) თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის თაობაზე, რომელიც განიხილება როგორც საბაჟო კავშირზე გადასვლის გარდამავალი საფეხური. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იყო მიღებული, აგრეთვე, საწარმოო კოოპერაციის ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობის ხელშეწყობის, სამეცნიერო-ტექნოლოგიური თანამშრომლობის, ტრანსნაციონალური საწარმოო, კომერციული, საკრედიტო-საფინანსო გაერთიანებების შექმნის, საგადასახდელო-ანგარიშსწორების სფეროს მოწესრიგების შესახებ. იმავდროულად ჩამოყალიბდა დსთ-ს ინსტიტუციური სისტემა. შექმნილია 30-ზე მეტი მაკოორდინებელი ორგანო. 1993 წლის 22 იანვარს მიღებული წესდება განსაზღვრავს, რომ დსთ არ არის სახელმწიფო და არა აქვს ზესახელმწიფოებრივი უფლებამოსილებანი, მისი გადაწყვეტილებები მხოლოდ საკონსულტაციო და სარეკომენდაციო ხასიათისაა[1].

არც ერთ ორგანიზაციაში საქართველოს წევრობა არ ყოფილა ისეთი აქტიური განსჯის საგანი, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. ჩვენი აზრით, საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველო ნებისმიერ შემთხვევაში იძულებული იქნებოდა რაღაც ფორმით ეთანამშრომლა პოსტსაბჭოური სახელმწიფოების გაერთიანებასთან. იმავდროულად დსთ-ს შემადგენლობაში საქართველოს არ დაუთმია თავისი სახელმწიფო სუვერენიტეტის მცირე ნაწილიც კი.

---

1. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ. 423-424.

თანამეგობრობა ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოთა შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობის, ეროვნებათაშორის თანხმობის, ნდობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, თანამეგობრობა არ წარმოადგენს „სახელმწიფოს და არა აქვს ზეეროვნული უფლებამოსილებანი".

დსთ-ს წესდება შედგება პრეამბულის, 9 კარისა და 45 მუხლისაგან. მასში, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრულია დსთ-ს მიზნები და ამოცანები, ხელმძღვანელ ორგანოთა სტრუქტურა, საქმიანობის მთავარი მიმართულებანი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურებმა 1994 წლის 15 აპრილს ხელი მოაწერეს ქალაქ მოსკოვში „დეკლარაციას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ". იგი თანამეგობრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტია.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები:

1. უზრუნველყოფენ თავიანთ ურთიერთობებში სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ურღვეობის პრინციპებს;

2. თავს შეიკავებენ სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ან ნებისმიერი სხვა ფორმის ზეგავლენისაგან;

3. გამოთქვამენ რწმენას, რომ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პინციპის დაცვა, არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოებს შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობა.

4. აღკვეთენ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, თავიანთ ტერიტორიაზე ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნასა და საქმიანობას, აგრეთვე ცალკეული პირების მოქმედებას, რომლებიც მიმართულია თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის, ტერიტორიუ-

ლი მთლიანობის წინააღმდეგ ან მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას.

5. ხელს შეუწყობენ დავისა და კონფლიქტების მოწესრიგებას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეთანხმებული მექანიზმების გამოყენების მეშვეობით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნებისათვის დსთ-ს, გაეროს და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული შესაბამისი დოკუმენტებით.

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ (დსთ). დსთ-ს სტრუქტურაში არსებობს ორი სახის ორგანო:

1. ორგანოები, რომელთა შექმნა გათვალისწინებულია დსთ-ს წესდებით;

2. ორგანოები, რომელთა შექმნა ხდება სახელმწიფოსა და მთავრობების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

ᲓᲡᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲐ: სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო, რომელშიც თანამეგობრობის ყველა წევრი სახელმწიფო წარმოდგენილია სახელმწიფოს მეთაურთა დონეზე. აქ იხილავენ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. სხდომები ტარდება წელიწადში ორჯერ.

მთავრობათა მეთაურების საბჭო აწესრიგებს წევრ სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა თანამშრომლობას ეკონომიკური, სოციალური და საერთო ინტერესების სხვა სფეროში. მთავრობათა მეთაურები იკრიბებიან წელიწადში ოთხჯერ.

სახელმწიფოს მეთაურთა და მთავრობის მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, რომელიც წევრ სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობის კოორდინირებას ახორციელებს, ატარებს კონსულტაციებს საერთო ინტერესების მქონე მსოფლიო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

თანამეგობრობის მუდმივმოქმედი, აღმასრულებელი და მაკოორდინირებელი ორგანოა საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც ამუშავებს წინადადებებს თანამეგობრობის ფარგლებში თანამშრომლობის, სოციალურ-ეკო-

ნომიკური კავშირების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. იგი შედგება მუდმივი სრულუფლებიანი წარმომადგენლებისაგან: თითოეული წევრი სახელმწიფოდან ორ-ორი და სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ არჩეული კომიტეტის კოორდინატორი.

საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტში მუშაობს აღმასრულებელი სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი.

მშენებლობის საკითხთა და სამხედრო პოლიტიკის კოორდინირების მიზნით, შეიქმნა თავდაცვის მინისტრთა საბჭო და დსთ-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა, აგრეთვე სასაზღვრო ძალების მეთაურთა საბჭო.

ეკონომიკური სასამართლოს მიზანია: ეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა დსთ-ს ფარგლებში.

თანამეგობრობის სამუშაო ენაა რუსული ენა. დსთ-ს მთავარი ორგანოების ადგილსამყოფელია მინსკში (ბელორუსია).

7. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია

ეს ორგანიზაცია დაფუძნდა 1948 წელს. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრია ლათინური ამერიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის 31 სახელმწიფო. 1971 წელს ორგანიზაციასთან შეიქმნა მეთვალყურეთა ინსტიტუტი. მისი მუდმივი მეთვალყურეები არიან ბელგია, გაიანა, ისრაელი, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, პაკისტანი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, შვეცია, იაპონია.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მიზნებია: კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება; სადავო საკითხების მშვიდობიანი მოგვარება და უთანხმოების თავიდან აცილება; აგრესიის შემთხვევაში — ერთობლივი მოქმედება; ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ-

ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტისთვის ხელშეწყობა; ძალების გაერთიანება ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო და კულტურული განვითარებისთვის.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საგარეო საქმეთა მინისტრების გენერალური ასამბლეა, რომელსაც ყოველწლიურად იწვევენ. იგი განსაზღვრავს მის პოლიტიკასა და საქმიანობას, მისი ორგანოების სტრუქტურასა და ფუნქციებს. ყველა ქვეყნისათვის საინტერესო, სასწრაფო ხასიათის პრობლემის განსახილველად იწვევენ საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო თათბირებს.

სამხედრო საკითხებზე თანამშრომლობისთვის შექმნილია თავდაცვის საკონსულტაციო კომიტეტი უმაღლესი სამხედრო წარმომადგენლების შემადგენლობით.

აღმასრულებელი ორგანო მუდმივი საბჭოა, რომელიც შედგება მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებისაგან. მუდმივ საბჭოსთან შექმნილია მრავალი დამხმარე კომიტეტი და საბჭო.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სამდივნოს მეთაურობს გენერალური მდივანი, რომელსაც ირჩევს გენერალური ასამბლეა ხუთი წლის ვადით.

ორგანიზაციასთან შექმნილია სპეციალიზებული დაწესებულებანი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ამერიკის ქვეყნების ინსტიტუტი; ჯანმრთელობის დაცვის პანამერიკული ორგანიზაცია; ბავშვთა ამერიკათაშორისო ინსტიტუტი; გეოგრაფიისა და ისტორიის პანამერიკული ინსტიტუტი.

სამუშაო ენებია: ინგლისური, ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული. მუდმივი საბჭოს შტაბ-ბინა ვაშინგტონშია (აშშ).

8. არაბულ სახელმწიფოთა ლიგა

არაბულ სახელმწიფოთა ლიგა საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1945 წლის 22 მარტს კაიროს კონფერენციაზე, მის წესდებას ხელი მოაწერეს ექვსი

არაბული სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა. ეს სახელმწიფოებია: ეგვიპტე, სირია, ერაყი, ლიბანი, საუდის არაბეთი, ტრანსიორდანია. ლიგაში იმავე წელს გერთიანდა იემენი, შემდეგ კი სხვა არაბული ქვეყნებიც. ამჟამად ლიგაში შედის 22 არაბული სახელმწიფო, მათ შორის ერაყი.

1950 წელს ლიგის წევრებმა, წესდების დამატებით, ხელი მოაწერეს თავდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივ ხელშეკრულებას, ხოლო 1965 წელს — სოლიდარობის პაქტს, რომელიც ფორმით საერთაშორისო ხელშეკრულებაა. არაბულ სახელმწიფოთა ლიგის მიზნებია: წევრ სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ფართო კოორდინაცია, მათი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, მათ შორის უთანხმოებათა მშვიდობიანი მოგვარება, კოლონიური დამოკიდებულებისა და ნეოკოლონიალიზმისგან არაბეთის ქვეყნების სრული განთავისუფლებისათვის ერთობლივი ბრძოლა, მჭიდრო თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგებში. ლიგის წევრი ქვეყნები მიუმხრობლობის პოლიტიკას ატარებენ.

არაბეთის ქვეყნების ლიგის წესდებაში (1945 წლის 22 მარტი) ასეა განსაზღვრული ორგანიზაციის მიზნები: „ლიგის მიზანია უზრუნველყოს უფრო მჭიდრო ურთიერთობა ლიგის წევრ სახელმწიფოთა შორის, კოორდინირება გაუწიოს მათ პოლიტიკურ მოქმედებას იმისათვის, რომ მიაღწიოს მათ მჭიდრო თანამშრომლობას, უზრუნველყოს მათი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, განიხილოს ყველა საკითხი, რომლებიც ეხება არაბეთის ქვეყნებს და მათ ინტერესებს. ლიგას აგრეთვე მიზნად აქვს დასახული, თითოეულ სახელმწიფოში არსებული შინაგანი პირობების დაურღვევლად, უზრუნველყოს მჭიდრო თანამშრომლობა ლიგის წევრ სახელმწიფოთა შორის შემდეგ საკითხებში:

1. ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები, მათ რიცხვში სავაჭრო ბაჟი, ფულის სისტემა, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა; 2. გზები და კავშირი, მათ რიცხვში რკინიგზები, გზატკეცილები, ავიაცია, ნაოსნობა, ფოსტა და ტელეგრაფი; 3. კულტურის საკითხები; 4. მოქალაქეობასთან, პასპ ორ-

ტებთან, ვიზებთან, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებასთან, დამნაშავეთა გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები; 5. სოციალური უზრუნველყოფა; 6. ჯანმრთელობის დაცვა.[1]

არაბულ სახელმწიფოთა ლიგის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოს სესიებს იწვევენ წელიწადში ორჯერ. საბჭოს სესიებს შორის ლიგის საქმიანობას ხელმძღვანელობს გენერალური სამდივნო, რომელთანაც შექმნილია პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციის, პალესტინის საქმეების, ნავთობის საკითხებისა და სხვა დეპარტამენტები. სამდივნოს სათავეში უდგას საბჭოს მიერ 5 წლით არჩეული გენერალური მდივანი.

1973 წლის იანვარში საბჭოს სესიაზე საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა შექმნეს სამხედრო ღონისძიებათა დაფინანსების არაბთაშორისო ფონდი, არაბულ სახელმწიფოთა ლიგასთან ფუნქციონირებს, აგრეთვე, აფრიკის ქვეყნებისთვის დახმარების არაბული ფონდი და ერთობლივი საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები და მათი წარმომადგენლები.

შტაბ-ბინის ადგილსამყოფელი კაიროშია.

9. აფრიკის ქვეყნების კავშირი

აფრიკის ერთობის ორგანიზაცია შეიქმნა 1963 წლის მაისში აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ადის-აბებაში. კონფერენციამ მიიღო „აფრიკის ერთობის ქარტია". ორგანიზაცია გაეროს საერთაშორისო რეგიონული, აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაერთიანებაა; მასში გაერთიანებულია 50-მდე სახელმწიფო.

---

1. საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1949, გვ. 215-216.

აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მიზნებია: აფრიკის სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება და საერთაშორისო ასპარეზზე მათი სოლიდარობის განმტკიცება „აფრიკის ხალხთა უკეთესი ცხოვრების უზრუნველყოფად", კონტინენტზე ნებისმიერი სახის კოლონიალიზმის მოსასპობად და აფრიკის სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

აფრიკის ერთობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ურთიერთობა აგებულია თანასწორობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ყოველგვარი დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისა და შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე. ორგანიზაციის საერთაშორისო პოლიტიკას საფუძვლად უდევს მიუმხრობლობა, თანამშრომლობა და გაეროს წესდებისადმი ერთგულება.

აფრიკის ერთობის ორგანიზაცია მტკიცედ იცავს მშვიდობას, მხარს უჭერს საყოველთაო სრულ განიარაღებას. მან მიაღწია იმას, რომ აფრიკა გამოცხადდა უბირთვო ზონად. აფრიკის ერთობის ორგანიზაციის საქმიანობას ხელს უშლის წევრ სახელმწიფოთა შორის ჯერ კიდევ არსებული უთანხმოებანი და წინააღმდეგობანი, რომელთა მიზეზია მძიმე კოლონიური მემკვიდრეობა, ცალკეული განვითარებული ქვეყნის მხრივ პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედება.

აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მთავარი ორგანოებია: სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეა, რომელსაც წელიწადში ერთხელ იწვევენ, მინისტრთა საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში ოთხჯერ, გენერალური სამდივნო — მუდმივი ადმინისტრაციული ორგანო, შუამავლობის, მორიგებისა და არბიტრაჟის მუდმივი კომისიები, სხვა სპეციალური კომისიები და კომიტეტები.

2002 წლის ივლისში აფრიკული ქვეყნების ლიდერები შეიკრიბნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ გულბანში. აქ მუშაობა დაიწყო ახალმა საერთაშორისო რეგიონულმა

ორგანიზაციმ — აფრიკის კავშირმა. ახალმა ორგანიზაციამ შეცვალა აფრიკელთა ერთიანობის ორგანიზაცია, რომელიც იყო აფრიკის სახელმწიფოთა დიალოგის ფორუმი მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან.

აფრიკელთა კავშირის შექმნა, ექსპერტთა დასკვნით, ამ კონტინენტის ისტორიის ახალი ეტაპის მაუწყებელია. აფრიკელთა ერთიანობის ორგანიზაციამ შეასრულა თავისი როლი კოლონიალიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მას ბევრი არაფერი გაუკეთებია დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის ან რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. სწორედ ასეთი საქმიანობისათვის შეიქმნა აფრიკელთა კავშირი.

10. დუნაის კომისია

დუნაის კომისია დუნაისპირა ქვეყნების სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1949 წელს, დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის შესახებ 1948 წლის კონვენციის შესაბამისად. მისი შექმნის მიზანი იყო დუნაიზე ნორმალური ნაოსნობის უზრუნველყოფა, დუნაისპირა სახელმწიფოთა ინტერესებისა და სუვერენული უფლებების შესაბამისად. მასში გაერთიანებული არიან: ავსტრია, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და იუგოსლავია. მისი წევრი იყო რუსეთი. 1957 წლიდან კომისიის მუშაობაში მეთვალყურის სტატუსით მონაწილეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

დუნაის კომისიის მთავარი ამოცანაა: დუნაის სახელმწიფოთა წინადადებებისა და პროექტების საფუძველზე, შეადგინოს დუნაიზე ნაოსნობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა გეგმა. კომისია აწესებს სანაოსნო-საგზაო მდგომარეობის ერთიან სისტემას მდინარის მთელ სანაოსნო სიგრძეზე. კომისიის ამოცანებია აგრეთვე საბაჟო, სანიტარული და სამდინარო ზედამხედველობის წესების უნიფიკაცია, ჰიდრომეტეოროლიგიური სამსახურის კოორდინაცია და ნაოს-

ნობის სტატისტიკა. კომისიის სხდომებს იწვევენ წელიწადში ერთხელ ბუდაპეშტში.

დუნაის კომისიის ხელმძღვანელი ორგანოა საბჭო, რომელიც შედგება კომისიის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. სპეციალური საკითხების განსახილველად კომისია ქმნის სამუშაო ჯგუფებს. კომისიის ბიუჯეტი იქმნება წევრ სახელმწიფოთა საწევრო შენატანებისგან.

დუნაის კომისია მუდმივად გამოსცემს კომისიის სესიების ოქმებს და ჰიდროლოგიურ წელიდწლეულს. სამუშაო ენებია: ფრანგული და რუსული. კომისიის ადგილსამყოფელი ბუდაპეშტშია (უნგრეთი).

11. შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია

1992 წლის 25 ივნისს სტამბოლში უმაღლეს დონეზე შეხვედრის მონაწილეებმა — შავი ზღვის აუზის 11 სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. დოკუმენტს ხელი მოაწერეს რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, მოლდავეთის, საქართველოს, რუმინეთის და ალბანეთის წარმომადგენლებმა.

დეკლარაციაში დასახულია შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები, აღნიშნულია მისი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ასპექტი, მკაფიოდ არის დადგენილი პრინციპები, რომლებიც მთლიანად შეესაბამება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტს და პარიზის ქარტიას ახალი ევროპისათვის. შავი ზღვა, — ხაზგასმულია დოკუმენტში, — უნდა იქცეს მშვიდობის, სტაბილურობისა და აყვავების ზღვად.

შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია შეიქმნა თურქეთის ინიციატივით 1992 წლის ივნისში, სტამბოლში. მის რიგებში გაერთიანდნენ სახელმწიფოები, რომლებიც 90-იან წლამდე დაპირისპირებულ ბანაკებს მიეკუთვნებოდნენ. 1998 წელს იალტის სამიტზე

ბისეკი, — როგორც ამ ალიანს უწოდებენ — საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია.

შავი ზღვის ქვეყნების ალიანსის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდება. ამას ადასტურებს ის ინტერესი, რომელსაც მის მიმართ იჩენენ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები. ამ ორგანიზაციაში მეთვალყურის სტატუსით შევიდნენ გერმანია და საფრანგეთი.

საქართველოსადმი, ისე როგორც კავკასიის რეგიონისადმი, ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. კავკასიის თემა გამუდმებით ფიგურირებს მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებში. მას ახასიათებენ, როგორც ყველაზე მოკლე და უსაფრთხო გზას, შუა აზია — კასპიისპირეთის რესურსებით მდიდარ რეგიონსა და ევროპის ბაზრებს შორის. საქართველო კი ამ ხიდის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია.

უძველესი „აბრეშუმის გზის" აღდგენა რეალობად იქცა. ტრასეკას და ინოგეიტის პროექტები, რომლებიც ევროპის კავშირის დახმარებით ხორციელდება და გულისხმობს აბრეშუმის გზის გაყოლებაზე თანამედროვე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დანერგვას, თავისი მასშტაბით სცილდება რეგიონულს და მსოფლიო მნიშვნელობას იძენენ. ახალი აბრეშუმის გზის მიმართ ინტერესს იჩენენ ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, ჩინეთი, უკრაინა, დუნაისპირა ქვეყნები და სხვა. აშშ-ის კონგრესმა განიხილა და მიიღო კანონი: „აბრეშუმის გზის სტრატეგია".

1998 წლის სექტემბერში ბაქოში გაიმართა ტრასეკას ქვეყნების სამიტი, რომელშიც თოთხმეტი სახელმწიფოს პრეზიდენტი და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობდა. ბაქოს სამიტს მოჰყვა რეგიონის ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრა 1998 წლის ოქტომბერში ანკარაში, სადაც თურქეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ანკარის დეკლარაციას, რომელშიც პოლიტიკური მხარდაჭერა აღუთქვეს დიდი ნავთობის — ბაქო—თბილისი—ჯეიჰანის მარშრუტით ტრან-

სპორტირებას. დეკლარაციას ხელი მოაწერა აგრეთვე, აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრმა.

პირველი რეგიონული გაერთიანება, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოა, იყო ბისეკი, ანუ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია. იგი 1992 წელს შეიქმნა. საქართველო ამ ორგანიზაციას 1998-1999 წლებში თავმჯდომარეობდა. თბილისის სამიტზე ორგანიზაციამ მიიღო ბისეკსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის პლატფორმა. ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე.

2000-2002 წლებში ბისეკი თანდათან გარდაიქმნა კონკრეტულ პროექტებზე ორიენტირებულ ორგანიზაციად. სტამბოლის სამიტზე დადასტურდა საქართველოს ინიციატივა ქვეყანაში რეგიონალური ცენტრის შექმნის შესახებ, რომელიც შავი ზღვის აუზის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებით უზრუნველყოფს არა მარტო შავი, არამედ კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების რეგიონთა ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურ, უსაფრთხო ათვისებას.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ლიდერები ამ ორგანიზაციის ათი წლისთავის აღსანიშნავად 2002 წლის 24 ივნისს შეიკრიბნენ სტამბოლში, რათა შეეჯამებინათ განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგები და დაესახათ სამომავლო გეგმები. არსებობის ათი წლის მანძილზე BSEC-მა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მასში გაერთიანებულ ქვეყნებს მრავალმხრივი თანამშრომლობა აკავშირებთ. მჭიდრო კონტაქტები ჩამოყალიბდა ტრანსპორტის, ენერგეტიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, საბანკო და საფინანსო, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში. ამასთან გამოიკვეთა შავი ზღვის ალიანსის წევრი ქვეყნების ინტერესთა თანხვედრის ფართო სპექტრი, კერძოდ, ურთიერთობა ევროკავშირთან, თანამშრომლობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის სფეროებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ბრძოლა ორგანიზებული დამნაშავეობის, ტერორიზმის წინააღმდეგ და სხვა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრო-

ექტების განხორციელებას, რომლებიც შეესაბამება წევრი ქვეყ - ნების საერთო ინტერესებს ეკონომიკის იმ დარგებში, სადაც მათ შეუძლიათ კონკრეტული სარგებლის მოტანა. რეგიონის ქვეყნებში ახალ მსოფლიოში საკუთარი ადგილის ძიების პროცესები მიმდინარეობს. ამის აუცილებელი წინაპირობაა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, რეგიონული ინტეგრაცია. ამაში ეხმარება აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უნიკალური გამოცდილების გაზიარება.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მეთაურების მეოთხე რიგგარეშე სამიტმა მიიღო ბისეკის წესდება.

დოკუმენტის თანახმად, წევრი სახელმწიფოები გამოხატავენ თავიანთი ქვეყნებისა და ხალხების სურვილს კონსტრუქციულად და ნაყოფიერად ითანამშრომლონ ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში და აცხადებენ, რომ ბისეკის რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამკვიდრების მიზნით, ხელს შეუწყობენ ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის, ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპების განვითარებას.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში იქმნება მთავარი და დამხმარე ორგანოები, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო.

წესდების თანახმად, მოქმედი თავმჯდომარე ბისეკის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის მასშტაბით განხორციელებულ ყველა ქმედებას და უზრუნველყოფს ბისეკის საქმიანობის სათანადო წარმართვას და ასევე მიღებული რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების განხორციელებას.

თავმჯდომარეობა ინგლისური ანბანის მიხედვით, როტაციის წესით, გადაიცემა ექვს თვეში ერთხელ. ორგანიზაციის მუდმივი საერთაშორისო სამდივნო, რომელიც მოქმედი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით იმოქმედებს, მდებარეობს სტამბოლში.

ბისეკის მიზნების განხორციელებაში ორგანიზაცია გამოხატავს მზადყოფნას, მჭიდროდ ითანამშრომლოს შავი

ზღვის ეკონომიკური ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეასთან.

ახლადშექმნილი ორგანიზაციის ფარგლებში ყალიბდება შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი, რომლის მიზანია: უზრუნველყოს რეგიონში მცხოვრები ხალხების ეკონომიკური აღმავლობა, ხელი შეუწყოს და დააფინანსოს რეგიონული პროექტები, მოახდინოს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო და კერძო სექტორების პროექტების საბანკო მომსახურების უზრუნველყოფა; ასევე სავაჭრო კავშირურთიერთობების გაღრმავება.

ბისეკის ბიუჯეტი შედგება წევრი სახელმწიფოების ფინანსური შენატანებით, რომელიც განსაზღვრულია ორგანიზაციის საბჭოს რეზოლუციებით.

წესდების შესაბამისად, 1999 წლის 30 აპრილს თბილისში გაიმართა შავი ზღვის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა. სხდომაზე აღინიშნება, რომ ბისეკმა შვიდწლიანი ნაყოფიერი და აქტიური საქმიანობის შემდეგ სრულიად ახალი მნიშვნელობა და დატვირთა შეიძინა — დასრულდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციად ტრანსფორმირების პროცესი. ბისეკი საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციების ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

12. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია დაფუძნდა 1947 წელს. ამჟამად იგი წარმოადგენს ევროპის სახელმწიფოების ერთადერთ მუდმივმოქმედ ორგანოს. კომისიის შემადგენლობაში შედის ევროპის ყველა სახელმწიფო; აგრეთვე აშშ და კანადა. კომისიაში შექმნილია 15 მუდმივი ორგანო, რომელთა შორის 50 მუდმივმოქმედი ჯგუფია. ერთ-ერთი მთავარი ორგანოა ტრანსპორტის კომიტეტი, რომელიც დაკავებულია საავტომობილო, სარკინიგზო და სამდინარო ტრანსპორტის საკითხებით. კომიტეტის შემად-

გენლობაში შედიან: ამ სახეობის ტრანსპორტის სამუშაო ჯგუფები და საბაჟო ექსპერტთა ჯგუფი. ეს ჯგუფი პრაქტიკულად წარმოადგენს სპეციფიკურ ორგანოს ევროპის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში საბაჟო საკითხების შემუშავებისათვის.

თავისი არსებობის მანძილზე საბაჟო ექსპერტთა ჯგუფმა ითამაშა მთავარი როლი 13 საერთაშორისო საბაჟო კონვენციისა და სხვა საერთაშორისო-სახელშეკრულებო დოკუმენტების შემუშავებაში. მათ შორისაა საერთაშორისო კონვენციები: კონვენცია ტურისტებისათვის საბაჟო შელავათების შესახებ, საბაჟო კონვენცია კონტეინერების შესახებ (1972 წ.), საერთაშორისო კონვენცია საზღვრებზე ტვირთის გადაზიდვის კონტროლის პირობების შეთანხმების შესახებ (1982 წ.) და სხვა.

13. მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესი

მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესი არასამთავრობათაშორისო რეგიონული ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა 1992 წელს. კონგრესი აერთიანებს ევრაზიის კონტინენტის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მრეწველთა და მეწარმეთა ეროვნულ კავშირებსა და ასოციაციებს. კონგრესის შტაბ-ბინა მოსკოვშია.

კონგრესის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. მრეწველთა და მეწარმეთა ინტერესების დაცვა; 2. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამის განხორციელების პროცესში მათი მუშაობის კოორდინაცია; 3. კონგრესის წევრ სახელმწიფოებს შორის სამეურნეო კავშირების აღდგენა; 4. ინოვაციური საქმიანობისა და ინვესტიციური პროცესების ხელშეწყობა; 5. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთზემოქმედების მექანიზმების დამუშავება. 6. საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის გზაზე წინააღმდეგობებისა და შეზღუდვების შემცირების წინადადებათა მომზადება; 7. სამეწარმეო პროექტების დამუშავება.

კონგრესის სტრუქტურა. უმაღლესი ორგანოა ასამბლეა (დელეგატების კრება). იგი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. განმკარგულებელ ფუნქციებს ასრულებს კონგრესის საბჭო.

კონგრესში შექმნილია საექსპერტო-კონსულტაციური ცენტრი. იგი ახორციელებს ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის შედარებით ანალიზს და ამუშავებს პრაქტიკულ რეკომენდაციებს ტრანსეროვნული საფინანსო-სამრეწველო გაერთიანებების, თავისუფალი ეკონომიკური ზონებისა და სხვათა შექმნის შესახებ.

14. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (European Bank for Reconstruction and Development - EBRD, Европейский банк реконструкции и развития - ЕБРР)

შეიქმნა 1990 წელს. ფუნქციონირება დაიწყო 1991 წლიდან. მისი დამფუძნებელი იყო 40 ქვეყანა, შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა 57-მდე. ბანკის შემადგენლობაში ინსტიტუციონური წევრის სტატუსით შედიან: ევროკავშირი და ევროპის საინვესტიციო ბანკი. ბანკს მჭიდრო კავშირი აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შექმნის მიზანია დააჩქაროს გარდამავალი ეკონომიკის ევროპული ქვეყნების გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე და ემყარება დემოკრატიული პრინციპების — პლურალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას აღნიშნულ ქვეყნებში. ევრობანკი ეხმარება 26 ქვეყანას განახორციელონ სტრუქტურული და სექტორული რეფორმები, ხელი შეუწყონ ჯანსაღ კონკურენციას, პრივატიზაციას და კერძო მეწარმეობას და ითვალისწინებს თითოეულ ამ ქვეყნის საჭიროებებსა და ინტერესებს გარდამავალ პერიოდში.

ბანკი თავისი ინვესტიციებით ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებას, აძლიერებს დახმარების მიმღები ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტებს და საკანონმდებლო სისტე -

მებს, ანვითარებს კერძო სექტორისათვის საჭირო ინფრასტრუქტურებს[1]. ბანკი აგრეთვე ხელს უწყობს თანადაფინანსებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ეხმარება მათ საშინაო კაპიტალის მობილიზებაში და სთავაზობს ტექნიკურ დახმარებას საჭირო სფეროებში. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან. ბანკი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან.

ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. დახმარების აღმოჩენა წევრ-სახელმწიფოებისადმი სტრუქტურულ და დარგობრივი ეკონომიკური რეფორმების, დეცენტრალიზაციისა და პრივატიზაციის განხორციელებაში;

2. კერძო სექტორის განვითარების მხარისდაჭერა ორგანიზაციის, მოდერნიზაციის და საწარმოო საქმიანობის, პირველ რიგში მცირე და საშუალო საწარმოთა გაფართოების გზით;

3. ინვესტიციების მოზიდვა კონკურენტული გარემოსა და მწარმოებლობის ამაღლების, ცხოვრების ხარისხის და შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით;

4. კერძო და პრივატიზირებული საწარმოების ფინანსირება;

ბანკის სტრუქტურაში შედის 10 დეპარტამენტი. ბანკის ოპერაციების დეპარტამენტში სამი განყოფილებაა. დეპარტამენტები ქვეყნების მიხედვითაა:

1. აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი; 2. ბალტიისპირეთის ქვეყნები, ბელორუსია; 3. ბულგარეთი, ალბანეთი, მაკედონია, სლოვენია; 4. ჩეხეთი, სლოვაკია; 5. უნგრეთი; 6. ყაზახეთი, უზბეკეთი; 7. პოლონეთი; 8. რუმინეთი, მოლდავეთი, ხორვატია; 9. რუსეთის ფედერაცია; 10. უკრაინა, სომხეთი, საქართველო.

საქმიანობის მიხედვით გამოყოფილია 13 ჯგუფი დარგების მიხედვით: სოფლის მეურნეობა; განათლება და პროფესიული მომზადება; ენერგეტიკა; საფინანსო ინსტიტუტები;

---

1. საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992-2000, დახმარების მიმოხილვა, 2000, გვ. 102.

ბუნებრივი რესურსები; ბირთვული უსაფრთხოება; პრივატიზაცია; სტრუქტურული რეფორმები; საკუთრება; ტურიზმი; ტელეკომუნიკაციები; ტრანსპორტი; ეკონომიკური ინფრასტრუქტურა.

შექმნილია ოპერაციების მხარდამჭერი ჯგუფები. ჯგუფებისშემადგენლობაში შედიან ბანკის წევრი-ქვეყნების კერძო და სახელმწიფო სექტორის სპეციალისტები.

ბანკის თავდაპირველი კაპიტალი შეადგენდა 10 მილიონ ეკიუს ანუ 12,8 მილიონ დოლარს. შემდეგში იგი მკვეთრად გაიზარდა. ბანკის კაპიტალში კვოტები განაწილდა შემდეგნაირად: ევროპის კავშირის ქვეყნებისათვის — 51%, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის — 13,5%, ევროპის სხვა ქვეყნებისათვის — 11,3%, არაევროპული ქვეყნებისათვის — 24,2%. კაპიტალის უფრო დიდი წილი აქვთ: აშშ — 10%, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია — თითოეულს 8%[1]. მასშტაბური გახდა საქართველოს თანამშრომლობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. საქართველოში მისი საქმიანობის ძირითადი სფეროებია: ინვესტიციები კერძო სექტორში, ენერგეტიკის სექტორი, სატრანსპორტო სექტორი, ფინანსური სექტორი. 1999 წელს ბანკმა დაამტკიცა 40 მილიონიანი კრედიტი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციისათვის. ყურადღების ცენტრშია საპორტო და სარკინიგზო სექტორები. დამტკიცებულია 20 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სარკინიგზო პროექტის დაკრედიტება. გამოიყო საკრედიტო ხაზები ქართული ბანკებისათვის 20 მლნ აშშ დოლარის ოდენობით[2].

---

1. **И. Герчикова. Международные экономические организации. 2002, стр. 154**
2. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. 2001, გვ. 452.

15. სუუამ-ი

საერთაშორისო სამთავრობათაშორისი რეგიონული ორგანიზაციაა. იგი დაარსდა 1997 წლის ოქტომბერში. ამ წლის 10 ოქტომბერს მიიღეს სტრასბურგის დეკლარაცია. ამ ინიციატივამ დასაბამი მისცა ახალი რეგიონული ორგანიზაციის ფორმირებას. 1999 წლის 25 აპრილს შეუერთდა უზბეკეთის რესპუბლიკა.

სუუამ-ი თავდაპირველად შეიქმნა უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდოვასა და საქართველოს ინტერესთა თანხვედრის საფუძველზე — ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ვაშინგტონში, ნატოს სამიტის დროს, სუუამ-ს უზბეკეთიც შეუერთდა. მონაწილე ქვეყნების საერთო ინტერესებმა თანდათან აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის მიმართულებით გადაინაცვლეს. დღეს სუუამ-ის მიმართ მზარდ ინტერესს ამჟღავნებენ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი.

სუუამ-ი ახორციელებს სრულყოფისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის გააქტიურების ღონისძიებებს. ამ თანამშრომლობის ამოცანა არის ეკონომიკური განვითარების ხელსაყრელი გარემოს შექმნა, წევრი ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება, ევროპა—კავკასია—აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის შემდგომი უსაფრთხო და ეფექტიანი განვითარება, აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობისათვის ხელის შეწყობა.

ეს უმთავრესი პრინციპი დადასტურებულია მემორანდუმით, რომელსაც ხუთივე სახელმწიფოს მეთაურმა მოაწერა ხელი 2000 წლის სექტემბერში გაეროს შტაბ-ბინაში გამართულ შეხვედრაზე.

მემორანდუმში დეტალურად აისახა ისეთი პრინციპები, როგორც არის ერთგულება საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმებისადმი, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა, ძალის გამოუყენებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, შინაურ საქმეებში ჩაურევლობა და

საზღვრების ხელშეუხებლობა. დოკუმენტში დადასტურებულია, რომ წევრი სახელმწიფოები ვერ შეურიგდებიან ვერავითარ კანონსაწინააღმდეგო აქტის, და, რაც მთავარია, ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. სუუამ-ის ჯგუფმა გამოიჩინა ინიციატივა — მიმართა გაეროს, რათა მის ფარგლებში შექმნილიყო ანტიტერორისტული ცენტრი.

სისტემატურად იმართება სუუამ-ის სამიტები. 2001 წლის ივნისში უკრაინის კალაქ იალტაში, ლივადიის სასახლეში, გაიმართა სუუამი-ს მონაწილე სახელმწიფოთა — საქართველოს, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას მეთაურების უმაღლესი დონის სამიტი, რომლითაც დაიწყო ახალი ეტაპი ამ რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების თანამშრომლობაში. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სუუამ-ის ყველა სახელმწიფო იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სუუამ-ი ღია ორგანიზაციაა და არ ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნების ინტერესებს. ბოლო დროს სულ უფრო იზრდება დასავლეთის, მათ შორის ამერიკის ადმინისტრაციის ინტერესი სუუამ-ის ქვეყნებთან თანამშრომლობის მიმართ.

რას მიაღწია სუუამ-მა? ჯერ ერთი, გაფართოვდა თანამშრომლობის მასშტაბი და დონე. უმაღლეს დონეზე შეხვედრების გარდა, რეგულარული ხასიათი მიეცა ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტის შეხვედრებს, კოლნსულტაციებს საერთაშორისო ორგანიზაციებში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიათა, საპარლამენტო სრუქტურათა დონეზე. შეიმჩნევა არასამთავრობო ორგანიზაციათა და საქმიანი წრეების დაინტერესებაც. მეორე, მუშაობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაცია. მტკიცდება და იხვეწება საერთაშორისო ორგანიზაციათა ფარგლებში კონსულტაციებისა და მოქმედების კოორდინაციის მექანიზმი, ნაყოფიერად გამოიყენება გაეროსა და ეუთოში, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ერთობლივ გამოსვლათა პრაქტიკა.

' ᲡᲣᲣᲐᲛ-ის ფარგლებში რეგიონული თანამშრომლობის ᲔᲥᲡ... ,იანი გზების ძიებაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები. საქმიანობა წარიმართება ორი პრიორიტეტული მიმართულებით. პირველი იოვალისწინებს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას, სამრეწველო კოოპერაციის ხელსაყრელი პირობების შექმნას, საინვესტიციო პროექტების წინ წამოწევას; მეორე პრიორიტეტული მიმართულებაა — თანამშრომლობა ევროპის სატრანსპორტო დერეფნის ფარგლებში, მონაწილეობა ისეთ პროექტებში, როგორიც არის ენერგეტიკული ქარტია, ინოგეიტი, ტრასეკა და სხვა. აქ მიღწეულია დადებითი შედეგები. შეუფერხებლად მუშაობენ ნავთობსადენი ბაქო—სუფსა, საბორნე გადასასვლელები ბათუმი—ფოთიდან ილიჩევსკის, ვარნისა და კონსტანცის მიმართულებით და სხვა. თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა უშიშროებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა სუუამ-ის სახელმწიფოთა რეგიონში.

რეგიონული თანამშრომლობის მიმართულებით საქართველოსათვის პრიორიტეტულია — სუუამ-ი. იგი რეგიონული თანამშრომლობის ის მაგალითია, რომლის უმთავრესი მიზანია ეკონომიკური პროექტების დაჩქარება, უშიშროების საკითხებსა და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში თანამშრომლობის გაფართოება. ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობის განვითარება ბისეკის ფარგლებში, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობის განვითარებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან.

თავი მეშვიდე

საერთაშორისო არასამთავრობათშორისო ორგანიზაციები

1. არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ცნება

გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან საკონსულტაციო სტატუსი გააჩნია დაახლოებით 1600 არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში. გარდა ამისა, დაახლოებით 1500 ორგანიზაციაა, რომელთა საქმიანობით დაინტერესებულია გაერო [1]. ყველა ეს ორგანიზაცია შედის იმ არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციების სიაში, რომლებსაც კავშირი აქვთ გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან.

გაეროს ორგანიზაციებთან დამოკიდებულებაში არასამთავრობათშორისო ორგანიზაციები ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

1. ორგანიზაციებისა და პირთა ჯგუფების თხოვნით კონსულტაციებისა და რჩევების მიღება;
2. არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციებისაგან მიღებული ინფორმაციების გავრცელება;
3. მონაწილეობის მიღება შეთანხმებათა პროექტების შემუშავებაში, რომლებიც შემდეგ განსახილველად გადაეცემა სახელმწიფოთა და სამთავრობათშორისო ორგანიზაციებს.

1996 წელს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მიიღო 1996/31 რეზოლუცია გაეროს და არასამთავრობათშორისო ორგანიზაციების საკონსულტაციო ურთიერთობის შესახებ. მასში აღნიშნულია ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა და მათი რიცხვის ზრდა; დასმულია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს არასამთავრობათშორისო კო-

1. **И. Герчикова. Международные экономические организации. 2002, стр. 493.**

მიტეტის როლის გაფართოების საკითხი; შემუშავებულია გაეროს საერთაშორისო კონფერენციებში და მათი მომზადების პროცესში არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის სტანდარტული წესები.

საერთაშორისო ორგანიზაციები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1. სამთავრობათშორისო და 2. არასამთავრობათშორისო ორგანიზაციებად. მათი მიზნები შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს.

არასამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება რომდენიმე სახელმწიფოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო პირებისა და ასოციაციების მიერ. მის საქმიანობას საფუძვლად უდევს სამართლებრივი დოკუმენტი — წესდება (პროგრამა, განცხადება, შეთანხმება), რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებს, ამოცანებს, საქმიანობის პრინციპებს, კომპეტენციას, ხელმძღვანელ ორგანოთა საქმიანობის წესს, მუშაობის მთავარ მიმართულებებს.

არასამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციას არა აქვს საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა. ზოგიერთი მათგანი სარგებლობს საკონსულტაციო სტატუსით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ფარგლებში.

გაეროს წესდების 71-ე მუხლის შესაბამისად, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია გაატაროს სათანადო ღონისძიებანი მის კომპეტენციაში შემავალი საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან საკონსულტაციოდ. ამ მუხლის თანახმად: „ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია გაატაროს სათანადო ღონისძიებანი მის კომპეტენციაში შემავალი საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან საკონსულტაციოდ. ასეთი ღონისძიებანი შეიძლება შეპირობებული იყოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჭიროების შემთხვევაში კი ეროვნულ ორგანიზაციებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაინტერესებუ ლ წევრებთან კონსულტაციის შემდეგ“.[1]

---

1. გაეროს წესდება. იხ. წიგნში: ლეონ ალექსიძე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 1985, გვ. 126.

საერთაშორისო არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობა მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს: პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობანი, ვაჭრობა, განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, ტექნიკა, სპორტი, ტურიზმი, მედიცინა, სამართალი და სხვა.

გაერო არასამთავრობო საერთაშორისო ორაგნიზაციებს მიიჩნევს ქმედით და მნიშვნელოვან ინსტრუმენტებად. მათ საქმიანობაზე დიდად არის დამოკიდებული მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საკითხების, ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისა და გაფართოების ეფექტიანობა.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციები დაფუძნებულნი არ არიან სამთავრობათშორისო შეთანხმებებით; ამიტომ ისინი არ წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს. არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან: მშვიდობის მსოფლიო საბჭო, გაეროს ხელშემწყობი ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია, საერთაშორისო წითელი ჯვარი, საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსი, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია, პენ-კლუბი, პაგუოშის მოძრაობა და სხვა.

საერთაშორისო არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მასშტაბებზე, მნიშვნელობასა და ეფექტიანობაზე მიუთითებენ წიგნში წარმოდგენილი არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობის ამსახველი მოკლე, კონკრეტული და ყოვლისმომცველი ცნობები.

2. გაეროს ხელშემწყობი ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია

საერთაშორისო არასამთავრობათაშორისო ორგანიზაცია აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობ 100-მდე ეროვნულ ასოცია-

ციას. ფედერაცია დაარსდა 1946 წლის აგვისტოში 22 ეროვნული ასოციაციის წარმომადგენელთა კონფერენციაზე ლუქსემბურგში.

გაეროს ხელშემწყობი ასოციაციების მსოფლიო ფედერაციას აქვს თვისი საკუთარი წესდება, რომლის მიხედვით ფედერაციის მიზნებია: გააერთიანოს ხალხთა ღონისძიებები გაეროს მხარდასაჭერად, მოახდინოს ეროვნული ასოციაციების მოღვაწეობის კოორდინაცია ხალხთა შორის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს სამართლიანობა, უშიშროება და განიარაღება, ადამიანის უფლებათა დაცვა და პატივისცემა, მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესება. ფედერაცია გაეროს პრინციპებისა და მიზნების პოპულარიზაციასა და პროპაგანდას ეწევა.

მსოფლიო ფედერაციას აქვს მტკიცე კონტაქტი გაეროსა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებებთან; კონსულტაციური სტატუსი — გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსა და იუნესკოსთან. ფედერაცია თანამშრომლობს საზოგადოებრივი ინფორმაციის, განიარაღების საკითხების დეპარტამენტებთან, ადამიანის უფლებათა ცენტრთან, გაეროს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.

მსოფლიო ფედერაცია მტკიცედ იბრძვის განიარაღებისთვის, საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების, მსოფლიო სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და საქმიანი კავშირის განვითარებისთვის; დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიკურ და სხვა პრობლემებს.

გაეროს ხელშემწყობი ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის სტრუქტურა: უმაღლესი ორგანოა პლენარული ასამბლეა, რომლის სესიებს ინვევენ ორ წელიწადში ერთხელ. ასამბლეის სხდომებზე ირჩევენ აღმასრულებელ კომიტეტს, ეროვნული ასოციაციების 20-მდე წარმომადგენლის შემადგენლობით, პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტსა და ფედერაციის ხაზინადარს. მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით. სამდივნოს ადგილსამყოფელი ჟენევაშია. ფედერაციას აქვს განყოფილება ნიუ-იორკში, აგ-

რეთვე რეგიონული განყოფილებები აკრასა (განა) და კალკუ-ტაში (ინდოეთი).

ფედერაცია გამოსცემს ყოველკვარტალურ ბიულეტენს. ფედერაციის ბიუჯეტი ყალიბდება ძირითადად ფედერაციის წევრი ასოციაციების საწევროების ფონდებისა და ცალკეულ პირთა შენაწირებისაგან. სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული.

3. მშვიდობის მსოფლიო საბჭო

მშვიდობის მსოფლიო საბჭო დაარსდა 1950 წელს მშვიდობის მომხრეთა მეორე კონგრესზე. საბჭო მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის უმაღლესი მუდმივი ორგანოა, რომელიც აერთიანებს დედამიწის მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენებს, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა, პარტიულობისა და რელიგიური შეხედულებებისა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე იყო გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ფრედერიკ ჟოლიო-კიური. პირველი შემადგენლობა ითვლიდა 60 ქვეყანას. ამჟამად მასში წარმოდგენილია 180 ქვეყნის 250-ზე მეტი ეროვნული ორგანიზაცია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო წარმართავს და კოორდინაციას უწევს სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობის მომხრეთა საქმიანობას, ახდენს მათ მობილიზაციას მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ და საყოველთაო განიარაღებისათვის საბრძოლველად, მხარს უჭერს ბრძოლას აგრესიის წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის. ამ მიზნით საბჭო აწყობს საერთაშორისო კამპანიებს, იწვევს მსოფლიო კონგრესებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეხვედრებს, სხვა ღონისძიებებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მშვიდობის დაცვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისთვის დიდმნიშვნელოვანი მასობრივი მოძრაობისა და ღონისძიებების ინიციატორი და ორგანიზატორია.

საბჭოს სესიებს იწვევენ ორ-სამ წელიწადში ერთხელ. სესიებსშორის პერიოდში მშვიდ ობისთვის მოძრაობას ხელმძღვანელობს სესიებზე არჩეული საბჭოს პრეზიდიუმი, რომლის

შემადგენლობაში ირჩევენ 120-140 წევრს. პრეზიდიუმი იკრიბება წელიწადში ორჯერ, საგანგებო სესიებსაც იწვევენ.

საბჭოს პრეზიდიუმის აღმასრულებელი ორგანოა სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს ეროვნულ კომიტეტებთან და თანამშრომლობს მშვიდობის მომხრე სხვა ორგანიზაციებთან. მას სათავეში უდგას გენერალური მდივანი. 1994 წლიდან მოქმედებს საბჭოს პრეზიდიუმის ბიურო მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობით.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს ადგილსამყოფელი ჰელსინკშია (ფინეთი).

4. საპარლამენტთაშორისო კავშირი

საპარლამენტთაშორისო კავშირი საერთაშორისო არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 140-ზე მეტი ქვეყნის პარლამენტთა წარმომადგენელ ეროვნულ საპარლამენტო ჯგუფებს. დაარსდა 1889 წელს იმ მიზნით, რათა პარლამენტების გავლენით დამკვიდრებულიყო საერთაშორისო არბიტრაჟის გამოყენება სახელმწიფოთა შორის დავის გადასაწყვეტად.

1922 წელს მიღებული წესდებით, საპარლამენტთაშორისო კავშირის მიზანია: წაახალისოს პარლამენტების წევრთა პირადი კონტაქტები და ერთობლივი საქმიანობა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. კავშირი იღვწის საპარლამენტო და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საერთაშორისო კულტურული კონტაქტების განმტკიცებისთვის. კავშირს აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საკონსულტაციო სტატუსი.

საპარლამენტთაშორისო კავშირის უმაღლესი ორგანოა საპარლამენტთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ყოველწლიურად იწვევს ეროვნული ჯგუფების ორ-ორი წარმომადგენლისგან შედგენილი საბჭო. კონფერენცია განიხილავს საერთაშორისო პრობლემებს, რომელთა გადაჭრა შეიძლება დაჩქარდეს პარლამენტური გზით და შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს. საამისო რეკომენდაციებს ამზადებს ხუთი მუდმივი კომისია. კონფერენციის გადაწყვეტილებანი სარეკომენ-

დაციო ხასიათისაა და არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა კავშირის წევრი ქვეყნებისთვის. ეროვნულ ჯგუფებს ევალებათ კონფერენციის გადაწყვეტილებები გააცნონ თავიანთ პარლამენტებს და აცნონ კავშირს ამ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ.

კონფერენციებს შორის პერიოდში უმაღლესი ორგანოა საპარლამენტთაშორისო საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში ორჯერ. საბჭოში გაერთიანებულია თითოეული ეროვნული საპარლამენტო ჯგუფის ორ-ორი წარმომადგენელი. საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს კონფერენცია.

კონფერენცია ოთხი წლით ირჩევს 10 წევრისგან შედგენილ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეა საბჭოს პრეზიდენტი. ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ სამუშაოს, აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად, ასრულებს საპარლამენტთაშორისო ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოს მიერ 4 წლით დანიშნული გენერალური მდივანი. ბიუროს ბეჭდვითი ორგანოა საპარლამენტთაშორისო ბიულეტენი.

5. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებაა. იგი შეიქმნა 1945 წლის ოქტომბერში პროფკავშირების პირველ მსოფლიო კონგრესზე პარიზში. თავდაპირველად პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია აერთიანებდა მსოფლიოს ყველა უმსხვილეს ეროვნულ პროფცენტრს, ამერიკის შრომის ფედერაციის გარდა. 1949 წელს ფედერაციიდან გავიდნენ ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესი, აშშ-ს საწარმოო პროფსაბჭოების კონგრესი და ზოგიერთი სხვა ქვეყნის პროფცენტრი. მათ შექმნეს თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაცია. მიუხედავად ამისა, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, აფართოებდა თავის საქმიანობას. ამჟამად ფედერაციაში შემავალი პროფკავშირული ორგანიზაციები აერთიანებენ პროფკავშირის 350 მილიონზე მეტ წევრს. ფედერაციაში გაერთიანებულია 120-მდე ქვეყნის 102 პროფკავშირული ცენტრი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია თავის საქმიანობას წარმართავს წესდების შესაბამისად. მასში განსაზღვრულია მისი ადგილი და როლი პროფკავშირულ მოძრაობაში. წესდებაში აღნიშნულია, რომ იგი „ისეთი მსოფლიო წესრიგის დამყარებისკენ მიისწრაფვის, რომელიც გამორიცხავს სოციალურ უსამართლობას და ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარ ფორმებს". ფედერაცია თანამიმდევრულად იღვწის სხვადასხვა მიმართულების პროფკავშირთა ორგანიზაციების გაერთიანებისთვის, მშრომელთა საარსებო ინტერესების დაცვისთვის, ხალხთა თავისუფლების, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისთვის.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის უმაღლესი ორგანოა პროფესიულ კავშირთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც ირჩევს გენერალურ საბჭოს. მასში წარმოდგენილია ყველა წევრი ორგანიზაცია. გენერალური საბჭო ირჩევს თავმჯდომარეებს, ვიცე-თავმჯდომარეებს, გენერალურ მდივანს, გენერალური მდივნის მოადგილეს, მდივნებს და პროფკავშირების მსოფლიო ფედერაციის ბიუროს. ფედერაციის საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან შექმნილია პროფკავშირთა მსოფლიო გაერთიანებები, რომლებსაც აქვთ თავიანთი წესდებები და ხელმძღვანელი ორგანოები. პროფკავშირების მსოფლიო ფედერაციასთან შექმნილია და მოქმედებს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის ფონდი. იგი დახმარებას უწევს მუშა-მოსამსახურეებს გაფიცვების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების დროს, აგრეთვე მატერიალურად ეხმარება განვითარებადი ქვეყნების პროფკავშირულ მოძრაობას.

ფედერაციას აქვს კონსულტაციური სტატუსი გაეროსა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებებთან. იგი გამოსცემს ჟურნალს და ბიულეტენს.

6. საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსი

ალიანსი საერთაშორისო კოოპერაციული მოძრაობის მაკოორდინებელი, წარმმართველი ორგანოა, რომელიც და-

არსდა 1895 წელს და დღემდე წარმატებით ახორციელებს თავის კეთილშობილურ საქმიანობას. იგი აერთიანებს 100-მდე სამომხმარებლო, საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეროვნულ-რეგიონულ კავშირებსა და ფედერაციებს.

ვის აქვს უფლება გახდეს ალიანსის წევრი? ესენი არიან კოოპერაციულ საზოგადოებათა ეროვნული საბჭოები ან ფედერაციები, კოოპერაციულ კავშირთა ეროვნული კონფედერაციები, ეროვნული კოოპერაციული სპეციალიზებული ორგანიზაციები, ისეთები, როგორიცაა საბითუმო ვაჭრობის საზოგადოებები, ბანკები, სადაზღვევო საზოგადოებები, ნავთობის მომხმარებელთა საზოგადოებები, საერთაშორისო კოოპერაციული საზოგადოებები, აგრეთვე სასწავლო, კვლევითი და სხვა დაწესებულებები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ კოოპერაციული მოძრაობის განვითარებას.

საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსს აქვს პირველი კატეგორიის საკონსულტაციო სტატუსი გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსა და გაეროს სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან.

ალიანსის მიზნებია: თავისი წესდების მოთხოვნათა შესაბამისად, ხელი შეუწყოს ყველა ქვეყანაში კოოპერაციული მოძრაობის განვითარებას, პროპაგანდა გაუწიოს ალიანსის პრინციპებსა და მეთოდებს, დაიცვას მისი ინტერესები, დაამყაროს და გააფართოოს ურთიერთკონტაქტები, ითანამშრომლოს სხვადასხვა ქვეყნის კოოპერაციულ ორგანიზაციებთან, უზრუნველყოს მშვიდობის შენარჩუნება და უშიშროება. ალიანსის წესდება კოოპერაციას განიხილავს, როგორც „ნეიტრალურ საფუძველს სულ სხვადასხვა შეხედულების, რწმენისა და მრწამსის ადამიანთა შეხვედრებისა და ერთობლივი მოქმედებისთვის".

ალიანსის ხელმძღვანელი ორგანოებია: კონგრესი, ცენტრალური კომიტეტი, აღმასრულებელი კომიტეტი და სამდივნო. კონგრესი უმაღლესი ორგანოა, რომელიც ალიანსის საერთო პოლიტიკას განსაზღვრავს. მას იწვევენ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ. კონგრესებშორის პერიოდში ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ამტკიცებს ბიუჯეტს, ნიშნავს დირექტორს, ირჩევს აღმასრუ-

ლებელ კომიტეტს. აღმასრულებელი კომიტეტი შედგება პრეზიდენტის, ორი ვიცე-პრეზიდენტისა და 15 წევრისაგან.

მიმდინარე სამუშაოებს ხელმძღვანელობს დირექცია და სამდივნო. სამდივნო სამუშაო ორგანოა. მისი ადგილსამყოფელი ლონდონშია (დიდი ბრიტანეთი). საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური, რუსული.

საქართველოში მომხმარებელთა პირველი საზოგადოება ჩამოყალიბდა 1869 წელს „მომჭირნეობის" სახელწოდებით, შემდეგ მისი ქსელი გაფართოვდა მთელი საქართველოს მასშტაბით. კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ილია ჭავჭავაძემ, ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა ძმებმა ალექსანდრე და იოსებ ცხვედაძეებმა, ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა, დიმიტრი მაჩხანელმა და სხვებმა.

ისე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც კოოპერაციულმა მოძრაობამ ახალ აღმავლობას მიაღწია პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. 1916 წელს ჩვენში არსებობდა მომხმარებელთა 188 საზოგადოება. ამ წელს დაარსდა ამიერკავკასიის კოოპერატორთა კავშირი „ზაკსოიუზი", რომელიც აერთიანებდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კოოპერაციულ ორგანიზაციებს. იმის გამო, რომ მათი უმრავლესობა მოდიოდა საქართველოს წილად, 1919 წლის მაისში თბილისში გამართულმა პირველმა კოოპერაციულმა კრებამ განიხილა „ზაკსოიუზის" ბაზაზე საქართველოს დამოუკიდებელ მომხმარებელთა კავშირის ჩამოყალიბების საკითხი და იმავე წლის ოქტომბერში კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობამ მიიღო საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოების ცენტრალური კავშირის — ცეკავშირის წესდება. ეს პერიოდი ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობას, რამაც განაპირობა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის ფართოდ გაშლა, თავისი წევრების ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის უკეთ ზრუნვა. 1919 წელსვე წამოიჭრა საერთაშორისო ალიანსის წევრად ცეკავშირის მიღების საკითხი. 1920 წლის თებერვალში ცეკავშირი გახდა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. უნდა აღინიშნოს, რომ „ცენ - ტროსოიუზი" მხოლოდ 1921 წელს გახდა ალიანსის წევრი.

საქართველო კვლავ გახდა ალიანსის წევრი. რას გვპირდება ალიანსის წევრობა? ჯერ ერთი, კოოპერაციული მოძრაობა საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, ეს არის საკუთრების აღიარებული ფორმა; მეორე, ალიანსის წევრობით მოგვეცა უდიდესი ინფორმაციით სარგებლობის საშუალება, გზა გაგვეხსნა საერთაშორისო ბანკებში მონაწილეობისათვის. ალიანსის წევრობით ცეკავშირი შეძლებს მის წევრთა უდიდესი გამოცდილების, მიღწევების გადმოღებასა და დანერგვას, და ბოლოს, ალიანსი დემოკრატიული პროცესების, იდეების აღიარება, ძმობა, მეგობრობა, თანადგომა, სოლიდარობაა.

7. საერთაშორისო სავაჭრო პალატა

სავაჭრო-სამრეწველო პალატები ყველა ქვეყანაში ემსახურებიან ბიზნესს და იცავენ მეწარმეთა ინტერესებს. მათ დიდი ხნის ისტორია აქვთ. ჯერ კიდევ 1599 წელს საფრანგეთში, ქალაქ მარსელში პირველად გამოიყენეს ცნება „სავაჭრო პალატა". დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნაპოლეონის პერიოდში გავრცელდა, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში — თითქმის მთელ ევროპაში[1].

საერთაშორისო სავაჭრო პალატა (Международная торговая палата - МТП, International Chamber of Commerce - ICC) შეიქმნა 1919 წლის ოქტომბერში, ატლანტის (აშშ) კონფერენციაზე. იგი აერთიანებს მსოფლიო მასშტაბით საქმიან წრეებს და წარმოადგენს უმსხვილეს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრია 1,6 ათასი გაერთიანება: მრეწველთა ფედერაციები, ეროვნული სავაჭრო პალატები, საბანკო კავშირები და სხვა კავშირები, რომლებიც მოიცავენ წვრილ და საშუალო ფირმებს. პალატის შემადგენლობაშია 6 ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო კომპანიები და ინდივიდუალური წევრები.

პალატის წევრები შეიძლება იყვნენ შემდეგი ეკონომიკური ორგანიზაციები:

---

1. ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა", 2001, №9, გვ. 14.

1. კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა იურიდიული პირები, აგრეთვე კერძო პირები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბიზნესთან;

2. ეროვნული ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც იცავენ თავიანთ წევრების ინტერესებს.

საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდება მიიღეს 1988 წელს. ამ წესდების მიხედვით, **საერთაშორისო პალატის მიზანია:** ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას და საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას, საქმიან წრეებსა და მის ორგანიზაციებს შორის საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებისთვის. მისი მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობაში დაბრკოლებათა დაძლევას, ეკონომიკური სტრუქტურების შექმნას. საერთაშორისო სავაჭრო პალატის გადაწყვეტილებანი სარეკომენდაციო ხასიათისაა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის უმაღლესი ორგანოა კონგრესი. მისი სესიები იმართება სამ წელიწადში ერთხელ. ოპერატიული მართვის ორგანოა აღმასრულებელი კომიტეტი, გენერალური სამდივნო თავისი ადმინისტრაციული კომისიით, ვაჭრობის, წარმოების, კავშირგაბმულობის, საერთაშორისო ბაზრობებისა და გამოფენების, სამართლებრივი ურთიერთობის კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები. სავაჭრო პალატასთან ფუნქციონირებს საერთაშორისო კომერციული სასამართლო.

სავაჭრო პალატის შტაბ-ბინა პარიზშია, განყოფილებები ლონდონში, ჟენევასა და ბანგკოკში (ტაილანდი). პალატის შემოსავლებს ქმნის ეროვნული კომიტეტების საწევრო შესატანები. მისი ოდენობა დიფერენცირებულად განისაზღვრება.

პალატის სტრუქტურაში შედიან: 1. საბჭო, გენერალური მდივანი; 2. აღმასრულებელი საბჭო, საფინანსო კომიტეტი; 3. საერთაშორისო შტაბ-ბინა; 4. ცენტრალური სამუშაო ჯგუფები; 5. კომისიები და სამუშაო ჯგუფები; 6. საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო; 7. ბიზნესის სფეროში საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ინ-

სტიტუტი; 8. სავაჭრო პალატების საერთაშორისო ბიურო; 9. მსოფლიო სამრეწველო საბჭო გარემოს დაცვის საკითხებზე; 10. პალატის სამსახურები ეკონომიკურ დანაშაულებებთან ბრძოლის დარგში; 11. კონგრესები; 12. კონფერენციები; 13. ეროვნული კომიტეტები და ჯგუფები. საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინა პარიზშია.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გარდა, ფუნქციონირებს ათი სავაჭრო-სამრეწველო პალატა. პალატის წევრთა საერთო რაოდენობა 8000 ადამიანს აღწევს. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ძირითადი ფუნქციაა, მოემსახუროს ბიზნესს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი მეწარმე სუბიექტებისათვის. იგი წარმოადგენს შუამავალ რგოლს სამთავრობო სტრუქტურებსა და მეწარმეთა, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა 1999 წლიდან არის საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის (ICC) პირდაპირი წევრი. მისი წევრობა პალატას საშუალებას აძლევს, უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს ბიზნესის მომსახურების ინფრასტრუქტურა, მიიღოს კომპეტენტური რეკომენდაციები საერთაშორისო პალატის შესაბამის კომისიებში საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და შესაბამისი წინადადებებით წარდგეს საქართველოს ხელისუფლების წინაშე. საქართველოს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პალატის კომისიების, გენერალური ასამბლეის მუშაობაში, სხვა საქმიან შეხვედრებში და მსოფლიო საქმიანი წრეების წინაშე წარმოაჩინოს ქვეყანა, მისი ეკონომიკური შესაძლებლობები.

8. ეკლესიების მსოფლიო საბჭო .

საერთაშორისო რელიგიური ორგანიზაცია, ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისთვის მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო, შეიქმნა 1948 წელს ამსტერდამში. ის აერთიანებს მსოფლიოს პროტესტანტული და მართლმადიდებლური ეკ-

ლესიების მნიშვნელოვან ნაწილს (90 ქვეყნის 300-ზე მეტ ეკ-ლესიას), ეკლესიების მსოფლიო საბჭოში გაერთიანებულია მრავალი მართლმადიდებლური, ლუთერანული, რეფორმისტული, პრესვიტერიანული, კონგრეგაციონალისტური, ანგლიკანური, ბაპტისტური, მეთოდისტური ეკლესიები, ძველკათოლიკური ეკლესია, კვაკერები. 1961 წლიდან ეკლესიების მსოფლიო საბჭოს წევრი გახდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. ცოტა მოგვიანებით — ქართული მართლმადიდებლური და სომხური გრიგორიანული ეკლესიები.

რომის კათოლიკურ ეკლესიას ეკლესიების მსოფლიო საბჭოში ჰყავს თავისი მეთვალყურენი. ეკლესიების მსოფლიო საბჭო წარმოდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებებში.

საბჭოს მთავარი მიზანია: ხელი შეუწყოს რწმენისა და საქმიანობის საკითხებში ერთიანობის მიღწევას . ეკლესიების მსოფლიო საბჭოს ხარჯების დიდი ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების ეკლესიების სახსრებით იფარება.

ეკლესიების მსოფლიო საბჭოს უმაღლესი ორგანოა ასამბლეა, რომელიც 7 წელიწადში ერთხელ იკრიბება. დამფუძნებელი ასამბლეა გაიმართა 1948 წელს ამსტერდამში.

ასამბლეის სხდომებზე ირჩევენ პრეზიდიუმს, 6 პრეზიდენტს და ცენტრალურ კომიტეტს ეკლესიების 150 წარმომადგენელი წევრის შემადგენლობით. ცენტრალური კომიტეტი ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს და თვალყურს ადევნებს საბჭოს სხვადასხვა განყოფილებებისა და კომისიების მუშაობას. საბჭოსთან შექმნილია ეკონომიკური საქმიანობის, ეკლესიათაშორისი დახმარების, ლტოლვილების დახმარებისა და მშვიდობის სამსახურის შესწავლის განყოფილებები და საერთაშორისო საქმეთა საეკლესიო კომისია.

საბჭოს ადგილსამყოფელი ჟენევაშია (შვეიცარია).

9. პენ-კლუბი

მწერალთა საერთაშორისო გაერთიანება შეიქმნა 1921 წელს ინგლისელი მწერალი ქალის კ. ე. დოსონ-სკოტის ინიციატივით. მისი პირველი პრეზიდენტი იყო ჯონ გოლზუორთი. 1921

წელს მიიღეს პენ-კლუბის ქარტია, რომელიც მორალურ-პოლიტიკური ხასიათის ვალდებულებების გარდა, არავითარ მოთხოვნას არ წარუდგენს თავის წევრებს.

სახელწოდება „პენ-კლუბი" მომდინარეობს ინგლისური სიტყვებიდან „pen" — კალამი, ამავე დროს იგი ერთგვარი შემოკლებაა, რომელიც შედგება ინგლისური სიტყვების: poem — ლექსი, novel — რომანი — პირველი ასოებიდან.

პენ-კლუბის ქარტიის თანახმად, მისი ძირითადი მიზანია: ლიტერატურის საერთაშორისო ურთიერთობების ხელშეწყობა. პენ-კლუბში მწერლებთან ერთად გაერთიანებულნი არიან დრამატურგები, რედაქტორები, მეცნიერები, გამომცემლები და სხვ.

პენ-კლუბის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომელსაც ყოველწლიურად იწვევენ. იგი ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს ეროვნული პენ-ცენტრების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს, საერთაშორისო მდივანსა და ხაზინადარს.

პენ-კლუბის სათავეში დგანან პრეზიდენტი და აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი. პრეზიდენტებად ირჩევენ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს, ხოლო გენერალური მდივანი ყოველთვის ინგლისელია. პენ-კლუბის პრეზიდენტები იყვნენ ჯ. გოლზუორთი, ჰ. უელსი, ჟ. რომენი, ა. მოლერი და სხვ. პენ-კლუბის კონგრესები იმართება სხვადასხვა ქვეყნებში.

პენ-კლუბი პროგრესულ როლს ასრულებდა მეორე მსოფლიო ომის დროს, მხარს უჭერდა და ეხმარებოდა ფაშიზმისაგან დევნილ მწერლებს. პენ-კლუბის 150-მდე ავტონომიური ცენტრია სხვადასხვა ქვეყანაში. გენერალური მდივნისა და მისი აპარატის ადგილსამყოფელი ლონდონშია (დიდი ბრიტანეთი).

საქართველო პენ-კლუბის წევრი ქვეყანაა.

10. ვენის მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი

ინსტიტუტი საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრია, რომელიც შეიქმნა 1957 წლის ივლისში მშვიდობის მსოფლიო საბჭოსა და სხვადასხვა ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით.

ინსტიტუტის მიზანია: ხელი შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, მხარი დაუჭიროს საერთაშორისო დავისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრისკენ მიმართულ ყველა ღონისძიებას, ხელი შეუწყოს ყველა მშვიდობისმოყვარე ძალის ურთიერთგაგების საფუძვლების შექმნას, ეძიოს გზები და მეთოდები საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის. ინსტიტუტი აქტიურად უწყობს ხელს მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას.

ვენის მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრები შეიძლება გახდნენ ცალკეული პირები და ორგანიზაციები. მისი კარები ღიაა მშვიდობისთვის ბრძოლით დაინტერესებული ყველა მოღვაწისა და ორგანიზაციისათვის. ინსტიტუტის მეშვეობით მათ შეუძლიათ მიიღონ და გაცვალონ მასალები, ჩაატარონ კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები და სხვ.

ხელმძღვანელი ორგანოებია: საერთო კრება, ხელმძღვანელი კომიტეტი, პრეზიდიუმი და სამეცნიერო საბჭო.

ინსტიტუტის წევრების საერთო კრებას იწვევენ სამ წელიწადში ერთხელ მაინც. კრება ირჩევს ხელმძღვანელ კომიტეტს, რომელიც თავისი წევრებისგან ირჩევს პრეზიდენტს, ორ ვიცე-პრეზიდენტს, დირექტორს, ხაზინადარსა და მის მოადგილეს. პრეზიდენტი, დირექტორი და ხაზინადარი შეადგენენ ინსტიტუტის პრეზიდიუმს. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ასრულებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის საკონსულტაციო ფუნქციებს. საბჭო შედგება სხვადასხვა ქვეყნის ავტორიტეტული მეცნიერებისგან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემებზე სამეცნიერო მუშაობით.

ინსტიტუტის ადგილსამყოფელი ვენაშია (ავსტრია).

11. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია

ორგანიზაცია შეიქმნა 1946 წელს კოპენჰაგენის დამფუძნებელ კონგრესზე; იგი აერთიანებს 140 ქვეყნის 320 ათას ჟურნალისტს.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებია: მშვიდობის დაცვა, ხალხთა შორის მეგობრობისა და. თანამშრომლობის განმტკიცება საზოგადოების თავისუფალი და ობიექტური კეთილსინდისიერი ინფორმირების გზით; სახელმწიფოთა გავლენისგან ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტთა უფლებების გაფართოება და დაცვა.

ორგანიზაციას აქვს სოლიდარობის საერთაშორისო ფონდი, ხელმძღვანელობს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების ჟურნალისტების მომზადებას. ამ მიზნით შექმნილია საერთაშორისო ცენტრი ბუდაპეშტში.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომელსაც იწვევენ ოთხ წელიწადში ერთხელ. კონგრესშორის პერიოდში ხელმძღვანელი ორგანოა აღმასრულებელი სამდივნო გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით.

ორგანიზაციის ადგილსამყოფელი პრაღაშია (ჩეხეთი).

12. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია ჟურნალისტთა ეროვნული კავშირების, გაერთიანებების კონფედერაციაა, რომელიც არ არის დამოკიდებული არანაირ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ორგანოზე. იგი შეიქმნა იმ საკითხების გადაწყვეტისთვის, რომლებიც ეხება ტრედუნიონთა მოძრაობას და ჟურნალისტურ პროფესიულ პრაქტიკას; იცავს ჟურნალისტებისა და მათი ორგანიზაციების უფლებებსა და დამოუკიდებლობას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას, მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა დაეხმაროს ჟურნალისტურ ორგანიზაციებს კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების დადებაში.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას საკონსულტაციო სტატუსი აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მჭიდროდ თანამშრომლობს იუნესკოსთან, იგი აღიარა ევროპის კავშირმა.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა 1952 წელს. მასში გაერთიანებულია 112 ქვეყნის 314 ათასამდე ჟურნალისტი, მსოფლიოს ყველა წამყვანი სახელმწიფოს ჟურნალისტური ორგანიზაცია.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მონრეალის კონგრესმა (1992 წლის ივნისი) საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი მიიღო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად.

13. საერთაშორისო ამნისტია („ემნისტი ინტერნეიშნლი")

1961 წელს ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში ადამიანის უფლებების დამცველის პიტერ ბენენსონის სტატიამ საფუძველი დაუდო „ემნისტი ინტერნეიშნლ"-ის ჩამოყალიბებას. იგი შეიქმნა 1961 წელს. ორგანიზაცია 175 ქვეყნის 950 ათას წევრს აერთიანებს.

„ემნისტი ინტერნეიშნლ"-ი იბრძვის სინდისის პატიმრების განთავისუფლებისთვის; მოითხოვს ყველა პოლიტიკური პატიმრის სწრაფ და სამართლიან სასამართლოს; გამოდის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რადგან მიიჩნევს, რომ სიკვდილით დასჯით თავიდან ვერ ავიცილებთ მკვლელობას, ვინაიდან თვით ეს სასჯელია მკვლელობა.

არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციის „საერთაშორისო ამნისტიის" საქმიანობა დაფუძნებულია თეზისზე: „ადამიანის უფლებათა დაცვა უნივერსალური მოვალეობაა, რომელიც არა ცნობს ეროვნულ საზღვრებს და განსხვავებას იდეოლოგიაში". იგი სამი პრინციპით ხელმძღვანელობს: იყოს მიუკერძოებელი, დაიცვას სრული ნეიტრალიტეტი, არ იმოქმედოს წინასწარ აკვიატებული აზრის მიხედვით.

„ემნისტი ინტერნეიშნლი" სინდისის პატიმრად მიიჩნევს იმ პირებს, რომელთაც პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა შეხედულებების, ანდა ეროვნების, სქესისა თუ კანის ფერის გამო თავისუფლება აღკვეთილი აქვთ შეზღუდული ფიზიკური ზემოქმედების რაიმე საშუალებით. აგრეთვე, იმათ, ვინც არ მო-

უწოდებდა ძალადობისკენ და არ გამოუყენებია ძალა. ორგანიზაცია მოითხოვს მათ სასწრაფოდ და აუცილებელ განთავისუფლებას.

„ემნისტი ინტერნეიშნლი" ერთმანეთისგან განასხვავებს „სინდისის პატიმრებსა" და „პოლიტპატიმრებს". მაგრამ ეს სხვაობა იმდენად ძნელად შესამჩნევი და სიმბოლურია, რომ ორგანიზაციას შეუძლია (თუ სურვილი აქვს) თავისუფლად გადაიყვანოს ესა თუ ის პირი ერთი კატეგორიიდან მეორეში.

წესდების თანახმად, ორგანიზაცია არ არის თავისუფლების აღკვეთის სრული წინააღმდეგი და არ მოითხოვს აბსოლუტურად ყველა პოლიტპატიმრის განთავისუფლებას. ყველა ცალკეულ შემთხვევაში „ემნისტი ინტერნეიშნლი" ცდილობს გაარკვიოს, თუ რამდენად მართლებული იყო სასამართლოს გადაწყვეტილება და შესაძლებელია თუ არა თავისუფლების აღკვეთის მიზეზი ორგანიზაციის შეშფოთების საგნად იქცეს. ყოველთვის, როცა ლაპარაკია „პოლიტპატიმრებზე", ორგანიზაცია მოითხოვს სამართლიან სასამართლო განხილვას. მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ეხება „სინდისის პატიმრებს", იგი დაჟინებით მოითხოვს მათ სასწრაფო განთავისუფლებას.

აღსანიშნავია, რომ „სინდისის პატიმართა" და „პოლიტპატიმართა" საქმეების განხილვას ორგანიზაცია „ემნისტი ინტერნეიშნლი" მხოლოდ იმ შემთხვევაში იწყებს, თუ პატიმარს ძალა არ გამოუყენებია და ძალადობისკენ არ მოუწოდებია. „ემნისტი ინტერნეიშნლი" პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით შენიშნავს: „ხელისუფლება ხშირად ხელოვნურად აკოწიწებს, თითხნის ბრალდებებს თითქოსდა ძალადობრივი აქტების შესახებ". ამ დროს კი თავისუფლების აღკვეთის ერთადერთი მიზანია ადამიანის უფლებათა არაძალადობრივი რეალიზაციის მცდელობა. ორგანიზაცია მხარს არ უჭერს არც ხელისუფლების მსჯელობას, არც სასამართლოს ინტერპრეტაციას ან პატიმართა პირად განცხადებებს ძალის გამოყენებისა და ძალადობისკენ მოწოდების შესახებ. იგი ყველა შემთხვევაში საკუთარი შეხედულებებისამებრ მოქმედებს.

ორგანიზაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტების მიუკერძოებელ, ზუსტ ანალიზს. იგი იტოვებს უფლებას — თავისუფალი ინტერპრეტაცია მისცეს მისთვის საინტერესო პირთა დანაშაულის ხარისხს ან განსაზღვროს სრული უდანაშაულობა იმ შემთხვევაშიც კი, როცა სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობა. — „ემნისტი ინტერნეიშნლი"-თვის ისიც საკმარისია, რომ მისი აზრით, დანაშაული ჩადენილია „პოლიტიკური მოტივებით". ეს ორგანიზაციას უფლებას ანიჭებს საეჭვოდ მიიჩნიოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

14. საერთაშორისო წითელი ჯვარი

საერთაშორისო წითელი ჯვარი საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მასში გაერთიანებულია წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის ეროვნული ორგანიზაციები, აგრეთვე წითელი ჯვრის საზოგადოების ლიგა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი.

საერთაშორისო წითელი ჯვრის მიზანია: დაჭრილების, სამხედრო ტყვეებისა და ომის სხვა მსხვერპლთათვის, აგრეთვე ავადმყოფებისთვის, კატასტროფებით ან სხვა სტიქიური უბედურებებით დაზარალებულთათვის, დახმარების გაწევა.

წითელი ჯვრის საზოგადოების ლიგა შეიქმნა 1919 წელს. იგი აერთიანებს წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის 180 ეროვნულ საზოგადოებას. საზოგადოებას 370 მილიონამდე წევრი ჰყავს.

წითელი ჯვრის საზოგადოების ლიგას აქვს საკონსულტაციო სტატუსი გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსა და იუნესკოსთან.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც შეიქმნა 1963 წელს, შეიარაღებული კონფლიქტების დროს ნეიტრალური შუამავლის როლს ასრულებს. იგი შედგება შვეიცარიელი მოქალაქეებისაგან.

სახელწოდება „საერთაშორისო წითელი ჯვარი“ დამტკიცებულია 1928 წელს წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციაზე ჰააგაში. აქ მიიღეს ორგანიზაციის წესდება. შემდეგ წესდებაში შეიტანეს დამატებები და ცვლილებები (1952, 1965, 1977, 1992 წლებში).

საერთაშორისო წითელი ჯვრის შემადგენლობაში გაერთიანებული საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციები, იურიდიულად ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არიან. წესდების თანახმად, მათი საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს ომის მსხვერპლთა დაცვის კონვენციით, რომელიც მიიღეს 1949 წელს ჟენევაში და 1961 წელს წითელი ჯვრის მიერ აღიარებული პრინციპების: ჰუმანურობის, მიუკერძოებლობის, ნეიტრალიტეტის, დამოუკიდებლობის, ნებაყოფილობითობის, ერთიანობისა და უნივერსალობის შესაბამისად.

საერთაშორისო წითელი ჯვრის უმაღლესი ორგანოა საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ოთხ წელიწადში ერთხელ იწვევენ. კონფერენციებსშორის პერიოდში მუშაობს მუდმივი კომისია, რომელიც შედგება საზოგადოებების ლიგისა და საერთაშორისო კომიტეტის ორ-ორი წარმომადგენლისგან, აგრეთვე წითელი ჯვრის ხუთი გამოჩენილი მოღვაწისაგან. მათ ირჩევს კონფერენცია.

ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელი ჟენევაშია (შვეიცარია).

15. მსოფლიო პატიმართა თანამეგობრობა

მსოფლიო პატიმართა თანამეგობრობა, არის საერთაშორისო არასამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან, საკონსულტაციო სტატუსით. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია: პატიმრების, ყოფილი პატიმრებისა და მათი ოჯახების სულიერი და მატერიალური დახმარება, პატიმართა უფლებების დაცვა. იგი იყენებს საქმიანობის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა:

1. რეგულარულად მონახულება პატიმრებისა, მათ შორის განსაკუთრებით ისეთების, რომლებიც სულიერ დეპრესიას განიცდიან, არ ჰყავთ ახლობლები, ღმერთის რწმენისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენენ;

2. მიმოწერა პატიმრებთან მათთვის საინტერესო თემებზე; განსაკუთრებით რელიგიურ საკითხებზე, მათთვის მისალოცი ბარათების გაგზავნა სადღესასწაულო დღეებში;

3. პატიმრების მომარაგება მათთვის საინტერესო ლიტერატურით, განსაკუთრებით რელიგიური წიგნებით;

4. მოხალისეთა მობილიზაცია, რომლებსაც სურვილი გააჩნიათ ზონებში შესვლისა და ქადაგებისა პატიმრების წინაშე, მათში ღმერთისადმი რწმენის მიზნით;

5. ღმერთისადმი რწმენის და ბიბლიის შესწავლისადმი ინტერესის გაღვივება პატიმრებში;

6. პატიმრებისადმი დახმარება მათი განთავისუფლების შემდეგ, რაც გამოიხატება მათთვის სამსახურის შოვნაში, რიგ შემთხვევებში მათთვის საცხოვრებლის მოძებნაში, ფულად დახმარებაში განთავისუფლების პირველი პერიოდისათვის, ტანსაცმლის გადაცემაში, გამწვავებული ოჯახური სიტუაციების მოგვარებაში და სხვა მათ წინაშე მდგომი საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში;

7. იდეოლოგიური მუშაობა საზოგადოებრივი აზრის ჰუმანიზაციის მიმართულებით პატიმართა მიმართ;

8. პატიმართა ოჯახის წევრებისადმი დახმარება, მათ წინაშე მდგარი საყაცხოვრებო პრობლემების გადაწყვეტაში, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა პატიმარსა და მის ოჯახს შორის ურთიერთობა.

მსოფლიო პატიმართა თანამეგობრობა ჩამოაყალიბა ჩარლზ კოლსონმა, ორგანიზაციის პრეზიდენტი წარმოადგენს მსოფლიო პატიმართა თანამეგობრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მსოფლიო პატიმართა თანამეგობრობას მსოფლიოს 90 ქვეყანაში გააჩნია ფილიალები ანუ ეროვნული სამსახურები, რომლებიც ორგანიზაციის წევრების სტატუსით მოქმედებენ. ისინი მსოფლიო პატიმართა თანამეგობრობასთან დაკავშირებულნი არიან წესდება-ხელშეკრულების საფუძველზე. ამ თანა-

მეგობრობის წევრია სრულიად საქართველოს პატიმართა საძმო. იგი დაფუძნდა 1991 წლის 28 ნოემბერს. საძმო ხელმძღვანელობს წესდებით[1].

პატიმართა საძმო წარმოადგენს ნებაყოფილობით საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის ძირითადი მიზანია: თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადამიანთა ქრისტიანული სულისკვეთების ამაღლება, ქრისტიანული მოძრაობის ხელის შეწყობა, რეპრესირებულთა, პატიმართა და მათი ოჯახებისათვის მორალური და მატერიალური დახმარების აღმოჩენა, მათში მიმტევებლობა-შემწყნარებლობის გრძნობის განმტკიცება, საქართველოს გარეთ მყოფ ქართველ პატიმრებთან კონტაქტის დამყარება და მათთვის თანადგომის აღმოჩენა.

წესდების თანახმად პატიმართა საძმოს უფლება აქვს:

1. საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, აქციები, სხვა ფასიანი ქაღალდები და ქონება, რაც საჭიროა მიზნების განხორციელებისათვის;

2. განახორციელოს საკანონმდებლო ინიციატივა, წარმოადგინოს და დაიცვას საძმოს წევრების კანონიერი ინტერესები სახელმწიფო ორგანოებში;

3. დადოს ხელშეკრულებები საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ფირმებთან;

4. იჯარით აიღოს ქონება, სახელმწიფო, სააქციონერო, კოოპერაციული და სხვა საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისაგან, მოქალაქეთაგან და იჯარით გასცეს თავისი ქონება;

5. განახორციელოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა, მხოლოდ საწესდებო პროცესების შესრულების მიზნით, ქმნის საწარმოებსა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებს იურიდიული პირის უფლებებით;

6. სარგებლობს ბანკის სესხებით და გასცემს სხვა ორგანიზაციებზე ფულად სახსრებს.

სრულიად საქართველოს პატიმართა საძმოს წევრი, ნებაყოფილობის საფუძველზე, შეიძლება გახდეს საქართველოს ან

---

1. ჟურნალი „პატიმართა საძმო", 1992, №1, გვ. 22-26.

სხვა სახელმწიფოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აღიარებს საძმოს წესდებას, აქვს სურვილი აქტიური მონაწილეობა მიიღოს საძმოზე დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტაში და რეგულარულად გადაიხდის საწევრო გადასახადს.

პატიმართა საძმომ 1992 წლის ოქტომბერში გამოსცა ჟურნალი „პატიმართა საძმო", რომელმაც დადებითი როლი შეასრულა.

16. პაგუოშის მოძრაობა.

ეს მოძრაობა სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა მოძრაობაა მშვიდობის, განიარაღებისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფისათვის. მოძრაობას დასაბამი მიეცა 1955 წლის ივლისში, როდესაც თერთმეტმა ცნობილმა მეცნიერმა, მათ შორის ალბერტ აინშტაინმა, ბერტრან რასელმა და სხვებმა, მოწოდებით მიმართეს მსოფლიოს მეცნიერებს — ხმა აემაღლებინათ ატომური ენერგიის სამხედრო მიზნით გამოყენების წინააღმდეგ და მოუწოდეს მათ შეკრებილიყვნენ კონფერენციაზე ატომური ომის საფრთხის საკითხების განხილვისთვის. ამ მანიფესტს შეუერთდა ფრედერიკ ჟოლიო-კიური.

1957 წლის ივლისში პაგუოშში (კანადა) მოიწვიეს მეცნიერთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია. იგი ჩატარდა ამერიკელი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორის საიროს იტონის მამულში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 10 ქვეყნის 22 მეცნიერი. მათ დააფუძნეს მუდმივი კომიტეტი. მას შემდეგ კონფერენციები იმართება ყოველწლიურად. კონფერენციებზე იხილავენ მეცნიერების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, მშვიდობის, განიარაღებისა და უშიშროების პრობლემებს. კონფერენციის მასალები, რეკომენდაციებთან ერთად, ეგზავნებათ მთავრობათა მეთაურებს და გაეროს გენერალურ მდივანს.

პაგუოშის მოძრაობა დიდ როლს ასრულებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა დაახლოებ ასა და მათ შორის ურთიერთობის განვითარებაში.

პაგუოშის მოძრაობას არა აქვს წესდება. მის წევრებად მიჩნეული არიან მეცნიერთა ეროვნული ჯგუფები, აგრეთვე ამა თუ იმ კონფერენციაზე მიწვეული მეცნიერები. კონფერენციები ტარდება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ დახურულად, რათა დისკუსია სრულიად თავისუფალი იყოს.

მოძრაობას სათავეში უდგას პაგუოშის საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში 1–2-ჯერ. საბჭო შედგება 27 წევრისაგან. ის აღმასრულებელი ორგანოა, მთლიანად განაგებს მოძრაობის მიმდინარე საქმეებს; ამასთან, შეიმუშავებს მოქმედების პროგრამას, განსაზღვრავს მუშაობის ძირითად მიმართულებებს, ადგენს კონფერენციის მონაწილეთა წრეს, რეგულარული კონტაქტი აქვს მოძრაობის ეროვნულ ჯგუფებთან.

მოძრაობას მჭიდრო კავშირი აქვს იუნესკოსა და გაეროს სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან. ამ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ პაგუოშის კონფერენციაში, როგორც მეთვალყურეები.

პაგუოშის შტაბ-ბინა ლონდონშია (დიდი ბრიტანეთი).

17. პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია

პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა 1949 წელს, იუნესკოს ინიციატივით და მოქმედებს მისი მფარველობით. ასოციაცია წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო საბჭოში. ორგანიზაციის მიზანია: „პოლიტიკურ მეცნიერებათაა განვითარებისთვის ხელშეწყობა მთელს მსოფლიოში“ ეროვნული ასოციაციების შექმნისა და მათი საქმიანობის გააქტიურობის გზით, პოლიტიკურ მენიერებათა დარგში მიღწევათა შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალისტებს შორის პირადი კონტაქტის დამყარება. ასოცი აციის საქმიანობის ძირითადი ფორმაა პოლიტიკურ მეცნირებათა საერ-

თაშორისო კონგრესებისა და ყოველწლიური „მრგვალი მაგიდების“ მოწყობა.

პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის წევრობის სამი კატეგორიაა: კოლექტიური (ეროვნული ასოციაციები), ინდივიდუალური და მიერთებული წევრები (ორგანიზაციები, რომლებიც იმავე მიზნებს ისახავენ, რასაც პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია). ასოციაციის შემადგენლობაშია 70 ქვეყნის პოლიტიკურ მეცნიერებათა ეროვნული ასოციაცია, 100-ზე მეტი ქვეყნის ინდივიდუალური წევრი, 300-ზე მეტი წევრი — ეროვნული უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები, აგრეთვე ინდივიდუალური წევრები.

პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომელიც შედგება ეროვნული ასოციაციების წარმომადგენლებისგან, აგრეთვე ინდივიდუალური წევრებისგან, რომლებსაც ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი იმ ქვეყნებიდან, სადაც არ არიან კოლექტიური წევრები. იგი სამი წლით ირჩევს პრეზიდენტს და აღმასკომს 16 წევრის შემადგენლობით. საბჭოს სესიები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ.

სესიებსშორის პერიოდში ასოციაციის საქმიანობას წარმართავს აღმასრულებელი კომიტეტი, პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტები, რომლებსაც საბჭო ირჩევს.

პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია გამოსცემს ჟურნალსა და ყოველწლიურ ბიბლიოგრაფიულ კრებულს. ასოციაციის სამდივნო ბრიუსელშია (ბელგია).

18. გაეროს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

გაეროს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეიქმნა 1965 წლის 24 მარტს. იგი დაარსდა როგორც გაეროს ავტონომიური ორგანო. მისი მიზნებია: აამაღლოს გაეროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა ისეთი მთავარი მიზნების მიღწევის საქმეში, როგორი-

ცაა მსოფლიოში მშვიდობა და უშიშროება, ეკონომიკური და სოციალური პროგრესი; უზრუნველყოს ხელსაყრელი პირობები კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და იმ ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევითი პროექტებისათვის, რომლებიც ამ მთავარი მიზნის მიღწევას შეუწყობენ ხელს.

ინსტიტუტი ხელმძღვანელობს გაეროს წესდებით, აგრეთვე იმ დადგენილებებით, რომლებსაც იღებენ გაეროს გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო და ეკონომიკური და სოციალური საბჭო. წესდების შესაბამისად (მუხლი 62), ეკონომიკური და სოციალური საბჭო „უფლებამოსილია მოაწყოს გამოკვლევა და შეადგინოს მოხსენებები საერთაშორისო საკითხებზე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში და ამგვარ საკითხებზე ან შეაგულიანოს საამისოდ სხვები, აგრეთვე ყოველ ამ საკითხებზე მისცეს რეკომენდაციები გენერალურ ასამბლეას, ორგანიზაციის წევრებს და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს“.

კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ექვემდებარება გაეროს გენერალური ასამბლეას და ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს. მისი აქტიური თანამშრომლობით მომზადდა და წარედგინა გენერალურ ასამბლეას უმნიშვნელოვანესი კონვენციები, საერთაშორისო პაქტები და შეთანხმებები. მათი მიღება მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო ცხოვრებაში.

19. კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია („ინტერპოლი“)

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი და სპეციალური სუბიექტები. საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისას სახელმწიფოს გარდა, პასუხს აგებენ ის ფიზიკური პირები, რომლების სახელმწიფოს სათავეში იდგნენ ან მოხელეები, რომლებმაც ჩაიდინეს საერთაშორისო დანაშაული.

საერთაშორისო დანაშაული ეს არის დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოთა არსებობის საფუძველს, არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. საერთაშორისო დანაშაულია აგრესია, სამხედრო დანაშაულებები (სამხედრო ტყვეების წამება და მკვლელობა, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობისდამონება, მძევლად აყვანა და სხვა), კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები (გენოციდი, აპარტეიდი, რასიზმი და სხვა). საერთაშორისო დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს. პასუხისმგებლობა ასეთი დანაშაულებისათვის შეიძლება დაეკისროთ სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძო პირებს [1].

განსაკუთრებით აღსანიშნავია გაეროს როლი საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. თითქმის ყველა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ამ ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავდა.

საერთაშორისო დანაშაულის თავიდან აცილებას ემსახურება: გაეროს გენერალური ასამბლეის და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიებზე დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხის განხილვა და რეკომენდაციების მიღება. გარდა ამისა, ყოველ ხუთ წელიწადში იწვევენ გაეროს კონგრესს დანაშაულების თავიდან აცილებისა და სამართალდარღვევების მიმართ მოპყრობის თაობაზე; ყოველ ორ წელიწადში იკრიბება დანაშაულის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის გაეროს კომიტეტი; გაეროს სამდივნოში მუდმივად ფუნქციონირებს განყოფილება დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებზე.

შექმნილია სამთავრობათაშორისი და არასამთავრობათაშორისი, აგრეთვე რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გაეროსთან.

---

1. ალექსანდრე შუშანაშვილი. იურიდიული ლექსიკონი. 2000, გვ. 243

ამ თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებია: 1. სისხლის სამართლის საქმეებზე დამნაშავეთა გადაცემის და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის ინსტიტუტის შემდგომი დამუშვება; 2. სამეცნიერო ინფორმაცია (ეროვნული სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების ურთიერთგაცვლა, პრობლემის განხილვა და ერთობლივი გამოკვლევების ჩატარება); 3. სახელმწიფოსათვის პროფესიულ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენა სისხლისამართლებრივ დანაშაულობასთან ბრძოლაში; 4. საერთაშორისო-სამართლებრივი კოორდინაციისათვის ხელის შეწყობა, რომლის მიზანია დანაშაულობასთან ბრძოლის განვითარება და დახვეწა [1].

საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციას. იგი დაარსდა 1923 წელს. მისი მიზანია სხვადასხვა ქვეყნების საპოლიციო ხელისუფალთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. წესდება მკაცრად კრძალავს ქვეყნის საშინაო საქმეებში ყოველგვარ ჩარევას და პოლიტიკურ, სამხედრო, რელიგიურ ან რასობრივ ხასიათის საქმიანობას.

„ინტერპოლის" უმთავრესი პრინციპია — გაფართოვდეს საერთაშორისო პოლიციის თანამშრომლობა, თანაც კანონის, სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე. „ინტერპოლი" არა მარტო პოლიციური ინფორმაციის ურთიერთგაცვლას ემსახურება, არამედ იგი ხელს უწყობს წევრსახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას და მას პრივილეგიური პოზიცია უკავია საერთაშორისო დანაშაულის მსოფლიო გავლენის ანალიზთან დაკავშირებით.

საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის ინტერნაციონალური ორგანიზაცია „ინტერპოლი" 178 ქვეყანას აერთიანებს, რომელთა რიცხვს საქართველო 1993 წელს შეუერთდა. 1994 წლის იანვარში საქართ ველოს მთავრობის გადაწყვეტ ი-

---

1. ლეონ ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2001, გვ. 239.

ლებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა „ინტერპოლის“ ეროვნული ცენტრალური ბიურო, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა „ინტერპოლის“ — ამ ავტორიტეტულ სერთაშორისო ორგანიზაციაში. იგი აქტიურად საქმიანობს საქართველოში და საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის, დაკავებისა და გადაცემის საქმეში.

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიის უძველეს მიწაზე, სადაც ოდითგან გადიოდა მსოფლიოში ცნობილი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები და მარშრუტები. საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ხორციელდება უდიდესი საერთაშორისო პროექტები. მათი განხორციელების მოსალოდნელ დადებითს სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან ერთად, იქმნება, აგრეთვე კრიმინალურ პრობლემათა გაზრდის სერიოზული საფრთხეც. შეეცდებიან ევროპა—აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო არტერიები საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენონ ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა ჯგუფებმა, კრიმინალებმა. ასეთ მცელობათა აღკვეთა-აცილების საქმეში აქტიური როლი ეკუთვნით „ინტერპოლს“ და მის შესაბამის რეგიონულ დანაყოფებს.

„ინტერპოლის“ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა — გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება დანიშნული დელეგატებისაგან. იკრიბება წელიწადში ერთხელ. ასამბლეა ირჩევს აღმასკომს პრეზიდენტის, 3 ვიცე-პრეზიდენტის და ცხრა დელეგატის შემადგენლობით. ამასთან, ყოველი მათგანი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი უნდა იყოს. აღმასკომთან შექმნილია მრჩეველთა კოლეგია.

გენერალური სამდივნო კოორდინაციას უწევს ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების საპოლიციო ხელისუფალთა საქმიანობასა და გადაადგილებას. სამდივნო კონტროლს უწევს „ინტერპოლის“ რადიოქსელს, რომელიც 53 რადიოსადგურისაგან შედგება.

ორგანიზაციის ოფიციალური ენებია: ფრანგული, ინგლისური და ესპანური. შტაბ-ბინა პარიზშია (საფრანგეთი).

20. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი

იურიდიული სტატუსი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი) არის არასამთავრობათაშორისი, არაკომერციული ორგანიზაცია, შექმნილი განუსაზღვრელი ვადით, როგორც ასოციაცია იურიდიული სტატუსით. იგი აღიარებულია შვეიცარიის ფედერალური საბჭოს მიერ 1981 წლის 17 სექტემბერის დადგენილებით. მისი მუდმივი ადგილმსამყოფელია ქალაქი ლოზანა. სოკ-ი ხელმძღვანელობს ოლიმპიური ქარტიით.

ოლიმპიური ქარტია წარმოადგენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ მიღებული ძირითადი პრინციპების, წესებისა და მათი განმარტებების კრებულს. მასზე დაყრდნობით ხდება ოლიმპიური მოძრაობის ორგანიზება და განვითარება, ყალიბდება ოლიმპიური თამაშების გამართვის პირობები.

თანამედროვე ოლიმპიზმი ჩამოაყალიბა პიერ დე კუბერტენმა (1863-1937 წწ.), რომლის ინიციატივით 1894 წლის ივნისში, პარიზში ჩატარდა საერთაშორისო სპორტული კონგრესი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი) დაფუძნდა 1894 წლის 23 ივნისს. პიერ დე კუბერტენი ასე მიმართავდა სპორტს, პირველ რიგში, ოლიმპიურ სპორტს: „შენ ხარ უკვდავი, ჰარმონიის ოსტატი, მიუკერძოებელი, უმწიკვლო ტრუბადური, შენ კურნავ სულის იარებს, შენ ხელს უწყობ ბუნების ულამაზესი ქმნილების — ადამიანის სრულყოფას, შენ ასწავლი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ახალგაზრდობას ერთმანეთის პიტივისცემას. ო, სპორტო, მშვიდობა ხარ შენ!“ [1].

ოლიმპიზმის მიზანია სპორტი ყველგან ემსახურებოდეს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას და ადამიანის ღირსების დაცვას.

ქარტიაში ხაზი აქვს გასმული: ოლიმპიური მოძრაობა, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უდგას

1. ავთანდილ ციბაძე, დავით კინწურაშვილი. ოლიმპიზმი საქართველოში. თბ., 1996, გვ. 3.

სათავეში, თანამედროვე ოლიმპიზმიდან იღებს სათავეს. სოკ-ის მეთაურობით ოლიმპიური მოძრაობა აერთიანებს იმ ორ-განიზაციებს, სპორტსმენებსა და სხვა პირებს, რომლებიც თანახმანი არიან ხელმძღვანელობდნენ ოლიმპიური ქარტი-ით. ოლიმპიური მოძრაობის მონაწილედ ხდება საერთაშო-რისო ოლიმპიური კომიტეტის აღიარების შემდეგ.

გარდა აღნიშნულისა, ოლიმპიური მოძრაობის მიზანია: ხელი შეუწყოს მშვიდობიანი და უკეთესი სამყაროს შექმნას. ახალგაზრდობის სპორტთან ზიარების მეშვეობით, ყოველ-გვარი დისკრიმინაციის გარეშე განავითაროს მეგობრობის, სოლიდარობისა და ჯანსაღი შეჯიბრების პრინციპებზე და-ფუძნებული ოლიმპიური სულისკვეთება.

ოლიმპიური მოძრაობა მუდმივი და უნივერსალურია. იგი თავის მწვერვალს აღწევს, როდესაც მთელი მსოფლიოს სპორ-ტსმენები შეიკრიბებიან უდიდეს სპორტულ ფესტივალზე, რო-მელსაც ოლიმპიური თამაშები ჰქვია.

სპორტი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გზით ვითარ-დება. მიზანი ყველასათვის ერთია — ხელი შეუწყოს ერის ფიზიკურ გაჯანსაღებას, ახალგაზრდობის ჰარმონიულ აღ-ზრდას, რჩეულთა გამოვლენით და ყოველმხრივი მხარდა-ჭერით კი განადიდონ თავიანთი ქვეყნის სახელი მსოფლი-ოს თვალში. იმაზე უკეთესი რამ, რაც ამ ამოცანას ემსახუ-რება, კაცობრიობას ჯერ არ გამოუგონია — ესაა ოლიმპი-ური თამაშები. ასეთია ოლიმპიური მოძრაობის ძირითადი პრინციპები.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი წარმოადგენს ოლიმპიური მოძრაობის უზენაეს ხელისუფლებას. ყოველი პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ნებისმიერი სტატუსით მონაწი-ლეობს ოლიმპიურ მოძრაობაში, იცავს ოლიმპიური ქარტიის, ამ უდიდესი მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებებს და ემორჩილება სერთაშორისო ოლიმპიური კო-მიტეტის გადაწყვეტილებს.

ქარტიაში ნაჩვენებია საერთაშორისო ოლიმპიური კომი-ტეტის როლი და მნიშვნელობა. მისი ფუნქციაა ოლიმპიური ქარტიის საფუძველზე უხელმძღვანელოს ოლიმპიზმის განვი-თარებას. ამ მიზნით:

1. ხელს უწყობს სპორტისა და სპორტულ შეჯიბრებების კოორდინირებას, ორგანიზაციასა და განვითარებას; 2. თანამშრომლობს კომპეტენტურ საზოგადოებრივ ან კერძო ორგანიზაციებთან და მთავრობებთან, რათა სპორტი ჩააყენოს კაცობრიობის სამსახურში; 3. უზრუნველყოფს ოლიმპიური თამაშების რეგულარულად ჩატარებას; 4. იბრძვის ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ; 5. მხარს უჭერს და ხელს უწყობს სპორტული ეთიკის დახვეწას; 6. ყველა ღონეს ხმარობს სპორტში სამართლიანი თამაშის სულისკვეთების დამკვიდრებისა და ძალადობის აღმოფხვრისათვის; 7. ხელმძღვანელობს სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას; 8. ატარებს შესაბამის ღონისძიებებს სპორტსმენთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით; 9. წინაღუდგება სპორტისა და სპორტსმენების პოლიტიკური ან კომერციული მიზნებით გამოყენებას; 10. ყურადღებას აქცევს ოლიმპიური თამაშების ორგანიზებისას გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას; 11. მფარველობს საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიას; 12. მფარველობს ოლიმპიური განათლებით დასაქმებულ სხვა ორგანიზაციებს.

ოლიმპიურ მოძრაობაში გაერთიანება. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად, ოლიმპიური მოძრაობა აერთიანებს საერთაშორისო ფედერაციებს (სფ), ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს (ეოე), ეროვნულ ასოციაციებს, კლუბებსა და კერძო პირებს, რომლებიც აღნიშნულ ორგანიზაციებში ირიცხებიან, განსაკუთრებით კი სპორტსმენებს.. ამასთან ერთად, ოლიმპიური მოძრაობა მოიცავს სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც აღიარებულია სოკ-ის მიერ.

ქარტიაში ხაზგასმითაა მითითებული: „ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია, ქვეყანასთან ან პიროვნებასთან მიმართებაში (რასობრივ, პოლიტიკურ, რელიგიურ, სქესობრივ ან სხვა საფუძველზე) ეწინააღმდეგება ოლიმპიურ მოძრაობაში გაერთიანებას"[1].

---

1. ოლიმპიური ქარტია. გვ. 12.

ოლიმპიურ ქარტიაში ცალკე განხილულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარება. მსოფლიოში ოლიმპიური მოძრაობის გასავრცელებლად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს ორგანიზაციები ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სახით. ამ ორგანიზაციათა საქმიანობა ოლიმპიური მოძრაობის ნაწილია. ასეთ ორგანიზაციას შეუძლია ჰქონდეს იურიდიული პირის სტატუსი თავის ქვეყანაში, დაფუძნებული უნდა იყოს ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, ხოლო მის წესდებას ამტკიცებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი.

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციები კონტინენტურ ან მსოფლიო დონეზე, როგორიცაა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაცია (ANOC); აფრიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაცია (ANOCA); აზიის ოლიმპიური საბჭო (OCA); პანამერიკული სპორტული ორგანიზაცია (PASO); ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაცია (AENOC); ოკეანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები (ONOC).

ამ ორგანზაციების აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მათი წესდება შეესაბამება ოლიმპიურ ქარტიას და დამტკიცებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

საერთაშორისო ოლიპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს საერთაშორისო ფედერაციათა ასოციაციები, როგორიცაა ზაფხულის საერთაშორისო ოლიმპიურ ფედერაციათა ასოციაცია (ASOIF); ზამთრის საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია (ARISF); საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა ძირითადი ასოციაცია (GAISF).

ქარტიაში აღიარებულია, რომ საერთაშორისო ფედერაციებისა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციების აღიარება არაფრით არ უშლის ხელს თითოეულ საერთაშორისო ფედერაციას და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს იქონიოს პირდაპირი ურთიერთობა სოკ-თან და პირიქით.

ქარტიის თანახმად, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს არასამთავრობათაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ საერთაშორისო დონეზე და რომელთა წესდება და საქმიანობა შეესაბამება ოლიმპიურ ქარტიას.

რა თქმა უნდა, სოკ-ს უფლება აქვს სწრაფი რეაგირებით გააუქმოს თავის მიერ საერთაშორისო ფედერაციის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სხვა ასოციაციებისა და ორგანიზაციების აღიარება.

ოლიმპიური ქარტიის მიხედვით, სოკ-ს შეუძლია მფარველობა გაუწიოს სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებს რეგიონულ, კონტინენტურ ან მსოფლიო დონეზე მისთვის მისაღებ ვადებსა და პირობებში, თუ ეს შეჯიბრებები ჩატარდება ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად და სათანადო საერთაშორისო ფედერაციების დახმარებითა და ტექნიკური წესების დაცვით, ორგანიზებული იქნება სოკ-ის მიერ აღიარებული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და ასოციაციების მეთვალყურეობით.

სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მაინც შეკრებს საერ თაშორისო ფედერაციებს და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს. ამ სხდომების თავმჯომარეა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, რომელიც შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ განსაზღვრავს სხდომის პროცედურასა და დღის წესრიგს.

ოლიმპიურ ქარტიაში განსაზღვრულია ოლიმპიური კონგრესის სტატუსი. სოკ-ის გადაწყვეტილებით პრეზიდენტის მიერ, ფაქტიურად ყოველ რვა წელიწადში ერთხელ, ხდება ოლიმპიური კონგრესის მოწვევა, განსაზღვრულ ვადებში. და ადგილზე. მას ხელმძღვანელობს სოკ-ის პრეზიდენტი და განსაზღვრავს პროცედურას. ოლიმპიური კონგრესი შედგება სოკ-ის წევრებისა და საპატიო წევრებისაგან, საერთაშორისო ფედერაციების და სოკ-ის მიერ ა ღიარებული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ამასთან ერთად კონგრესი მოიცავს ინდ ივიდუალურად ან მათ მიერ წარმოდგე-

ნილი ორგანიზაციის სახელით მოწვეულ სპორტსმენებსა და სხვა პირებს. სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო კონსულტაციების შემდეგ განსაზღვრავს ოლიმპიური კონგრესის დღის წესრიგს.

ოლიმპიური სოლიდარობა. მიზანია სოკ-ის მიერ აღიარებული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დახმარება, განსაკუთრებით იმათთვის, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ ამას.

ოლიმპიური სოლიდარობის მიერ მიღებული პროგრამის მიზანია:

1. ოლიმპიური მოძრაობის ძირითადი პრინციპების გავრცელება; 2. სპორტსმენთა და მწვრთნელთა მიერ სპორტის ტექნიკურ მხარეთა ცოდნის გაღრმავება; 3. სპორტის ადმინისტრაციულ მუშაკთა მომზადება; 4. სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტექნიკური დონის ამაღლება სტიპენდიების მეშვეობით და სხვა.

ოლიმპიურ ქარტიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ოლიმპიურ თამაშებს. ოლიმპიური თამაშები წარმოადგენენ შეჯიბრებებს სპორტის ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში, სპორტსმენებს და არა ქვეყნებს შორის. თამაშები თავს უყრის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მიერ ამ მიზნით შერჩეულ სპორტსმენებს, რომელთა განაცხადი მიღებულია სოკ-ის მიერ და რომლებიც ასპარეზობენ შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციების ტექნიკური მითითებით.

ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების უფლება ეკუთვნის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

ოლიმპიური თამაშები შედგება ოლიმპიადის თამაშებისაგან და ზამთრის ოლიმპიური თამაშებისაგან. ორივე მათგანი ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

ზამთრის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1924 წელს. აქედან იწყება მათი სათვალავი თანმიმდევრობის მიხედვით. სპორტის ის სახეობები, რომლებიც თოვლსა და ყინულზე იმართება, სპორტის ზამთრის სახეობად ითვლება.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ. ტერმინით „ოლიმპიადა“ აღინიშნება ოთხწლიანი პერიოდი. ოლიმპიადა იწყება ერთი ოლიმპიადის თამაშების გახსნით და მთავრდება მომდევნო თამაშების გახსნით. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თამაში არ აღიარეს ოლიმპიურად, ასეთი ოლიმპიადა დაიწყება წინა ოლიმპიადის დაწყებიდან ოთხი წლის შემდეგ.

ოლიმპიადების აღრიცხვა წარმოებს თანმიმდევრულად, თანამედროვე პირველი ოლიმპიური თამაშებიდან (ოლიმპიური თამაშები), რომლებიც 1896 წელს გაიმართა ათენში.

ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს სოკ-ის საკუთრებას, რომელსაც გააჩნია მასთან დაკავშირებული ყველა უფლება და ასევე, შეზღუდვის გარეშე, მის ორგანიზებასთან, მომზადებასთან, ტრანსლიაციასა, გადაცემასა და ნებისმიერი სახით გაშუქებასთან დაკავშირებული უფლებები.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიზანია ოლიმპიური მოძრაობა წარმართოს ოლიმპიური ქარტიის საფუძველზე. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებები, რომლებიც ოლიმპიური ქარტიის პირობების საფუძველზეა მიღებული, საბოლოოა. ამ გადაწყვეტილების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი საბოლოოდ გადაწყდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს და გარკვეულ შემთხვევებში, სპორტის სამედიატორო საბჭოს მიერ.

ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ. ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲐ; ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ; ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐ. სოკ-ი თავის წევრებს ირჩევს ისეთ პიროვნებებისაგან, რომელთაც კვალიფიციურად მიიჩნევს. „ისინი უნდა იყვნენ იმ ქვეყნის მოქალაქეები, — ნათქვამია ოლიმპიურ ქარტიაში, — სადაც მათ გააჩნიათ მუდმივი ადგილსამყოფელი, აქ უნდა იყოს მათი დაინტერესების ძირითადი ცენტრი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ამასთან ერთად, ასეთი პიროვნებები უნდა ლაპარაკობდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიებზე გამოყენებულ სულ ცოტა ერთ ენაზე“[1].

1. ოლიმპიური ქარტია. გვ. 20.

ერთი ქვეყნიდან არ შეიძლება ერთ წევრზე მეტის არჩევა. თუმცა იმ ქვეყნებში, სადაც ტარდება ოლიმპიადის თამაშები ან ზამთრის ოლიმპიური თამაშები, სოკ-ს აქვს მეორე წევრის არჩევის უფლებაც.

ქარტიის თანახმად, პრეზიდენტი უფლებამოსილია სესიაზე წამოაყენოს არა უმეტეს ათი წევრის არჩევის წინადადება, განურჩევლად ეროვნებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა. თითო ქვეყნიდან მხოლოდ ერთი წევრის არჩევა შეიძლება.

არჩევნების ჩატარების წესი ასეთია: არჩეულ წევრთა რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ათს. სოკ-ი მათ აცხადებს წევრებად სპეციალურ ცერემონიალზე, რომლის დროსაც ისინი შემდეგ ფიცის დადებით პირობას იძლევიან, რომ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს: „მაქვს რა პატივი, გავხდე საერთაშორისო კომიტეტის წევრი და მისი უშუალო წარმომადგენელი ჩემს ქვეყანაში... გაცნობიერებული მაქვს ჩემზე ამ განხრით დაკისრებული ყველა ვალდებულება, უფლებამოსილებას ვიღებ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი მოვახმარო ოლიმპიური ქარტიისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა დებულების შესრულებას. მე თავისუფალი ვიქნები ნებისმიერი პოლიტიკური თუ კომერციული გავლენისაგან ან რასობრივი თუ რელიგიური შეხედულებებისაგან და ყველა შექმნილ ვითარებაში დავიცავ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მთლიანად ოლიმპიური მოძრაობის ინტერესებს".

ქარტია მოითხოვს: სოკ-ის წევრებმა მთავრობისაგან, ორგანიზაციების, სხვა კანონიერი დაწესებულებებისა თუ ცალკეული პირებისაგან არ უნდა მიიღონ ისეთი წინადადებები, რომლებიც მიზნად ისახავენ მათი უფლებების შეზღუდვას ან ერევიან მათი მოქმედებისა და ხმის მიცემის თავისუფლებაში.

ნებისმიერი წევრი, რომელმაც სოკ-ში სულ ცოტა ათი წელი იმსახურა და რომელიც გადადგომას აპირებს ასაკის, ჯანმრთელობის ან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოსათვის მის აღები სხვა ნებისმიერი მიზეზებ ით, გამოცხადდება საპატიო წევრად. საპატიო წევრებს შეუძლიათ გააგრძელონ საქმიანობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სახელით, მათი სტატუსი ამ შემთხვევაში უცვლელი რჩება,

თუმცა მათ არა აქვთ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება. ისინი მიწვეულები არიან ოლიმპიურ თამაშებზე, ოლიმპიურ კონგრესებსა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიებზე დასასწრებად, სადაც მათთვის ადგილი წინასწარ არის შენახული. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თხოვნის თანახმად ისინი სთავაზობენ თავიანთ რჩევებს. მათ შეიძლება მიენიჭოთ ოლიმპიური ორდენი.

გარდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიებზე წარმომადგენლობისა, სოკ-ის წევრებს შემდეგი ვალდებულებები აკისრიათ:

1. სოკ-ის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა თავიანთ ქვეყანაში; 2. მონაწილეობა სოკ-ის კომისიათა საქმიანობაში, სადაც ისინი განაწესეს; 3. თავიანთ ქვეყანაში ოლიმპიური მოძრაობისათვის ხელშეწყობა; 4. სოკ-ის პროგრამების ადგილობრივ დონეზე განხორციელება, ოლიმპიური სოლიდარობის ჩათვლით; 5. სოკ-ის პრეზიდენტისათვის სულ მცირე წელიწადში ერთხელ მოხსენების წარდგენა ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისა და ქვეყანაში მისი საჭიროებების შესახებ; 6. სოკ-ის პრეზიდენტისათვის დაუყოვნებლივ მოხსენება ყველა იმ მოვლენის შესახებ, რომლებიც აფერხებენ ქვეყანაში ოლიმპიური ქარტიის მოქმედებას ან ხელს უშლიან ოლიმპიური მოძრაობის წარმართვას როგორც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ფარგლებში, ასევე მის გარეთაც; 7. პრეზიდენტის მიერ მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულება, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში სოკ-ის წარმომადგენლობა ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე.

წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტა. სოკ-ის ნებისმიერმა წევრმა შეიძლება წევრობის უფლებამოსილება შეაჩეროს ნებისმიერ დროს გადადგომის თაობაზე წერილობითი განცხადებით სოკ-ის პრეზიდენტის სახელზე. ასეთი განცხადების განხილვამდე სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო სთხოვს ამ წევრს განმარტებას.

სოკ-ის ნებისმიერ წევრს შეუძლია გადადგეს კალენდარული წლის ბოლოს, როდესაც ის მიაღწევს 80 წლის ასაკს.

სოკ-ის წევრი ან საპატიო წევრი შეიძლება გაირიცხოს წევრობიდან სესიის გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ

მან შეგნებულად საშიშროების ქვეშ დააყენა სოკ-ის ინტერესები, ან იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი სოკ-ისათვის მიუღებლად მოქმედებდა.

გადაწყვეტილებები სოკ-ის წევრის ან საპატიო წევრის გარიცხვის შესახებ, უნდა მიიღონ აღმასრულებელი საბჭოს მოწვეულ სესიაზე დამხმარე წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. აღნიშნულ წევრს შესაძლებლობა ეძლევა პიროვნულად წარდგეს სოკ-ის სესიის წინაშე და გამოთქვას საკუთარი აზრი.

ORGANIZACIA. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორგანოებს წარმოადგენენ: 1. სესია; 2. აღმასრულებელი საბჭო; 3. პრეზიდენტი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა საგანგებო შეხვედრას ეწოდება სესია, რომელიც სულ მცირე წელიწადში ერთხელ ტარდება. რიგგარეშე სესიის მოწვევა ხდება პრეზიდენტის ინიციატივით ან წევრთა სულ მცირე 1/3-ის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

სესიის ჩატარების ადგილი განისაზღვრება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ, ხოლო საგანგებო სესიის ჩატარების ადგილს განსაზღვრავს პრეზიდენტი. სესიებისა და საგანგებო სესიების საკითხები, დღის წესრიგთან ერთად, შეკრებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე დაიგზავნება პრეზიდენტის მიერ.

სოკ-ის უზენაესი ორგანოა სესია. იგი იღებს, განსაზღვრავს და თარგმნის ოლიმპიურ ქარტიას. მისი გადაწყვეტილებები საბოლოოა; აღმასრულებელი საბჭოს წინადადების საფუძველზე ის ირჩევს კომისიის წევრებს.

აღმასრულებელი საბჭო. იგი შედგება პრეზიდენტის, ოთხი ვიცე-პრეზიდენტისა და ექვსი დამატებითი წევრებისაგან. აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრის არჩევა ხდება სესიის მიერ ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. ვიცე-პრეზიდენტებისა და აღმასკომის სხვა ექვსი წევრის მანდატთა ხანგრძლიობა ოთხ წელს შეადგენს.

PREZIDENTI. საერთაშორისო ეროვნული კომიტეტი თავისი წევრებიდან ირჩევს პრეზიდენტს რვა წლის ვადით. პრე-

ზიდენტი ხელახლა შეიძლება იქნეს არჩეული მომდევნო ოთხი წლის ვადით.

პრეზიდენტი წარმართავს სოკ-ის საქმიანობას და მისი უცვლელი წარმომადგენელია.

ქარტიის თანახმად, პრეზიდენტი ქმნის საგანგებო ან მუდმივ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს, საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს მათი უფლებამოსილების ვადას და ნიშნავს მათ წევრებს. პრეზიდენტი ქმნის აგრეთვე სპორტსმენთა კომიტეტებს, რომელთა წევრთა უმრავლესობა აირჩევა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ათლეტთა მიერ.

პრეზიდენტი ან მისი არყოფნის შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი, თავმჯდომარეობს სესიასა და აღმასრულებელი საბჭოს სხდომებს. სესიის ჩატარებისათვის აუცილებელ კვორუმს წარმოადგენს სოკ-ის საერთო წევრთა ნახევარს დამატებული ერთი ადამიანი. აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ჩატარებისათვის კვორუმია ექვსი წევრი. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრაში მონაწილე პირთა უმრავლესობით; ძირითადი პრინციპებისა და წესდებაში ცვლილებების მისაღებად საჭიროა სესიაზე დამსწრე წევრთა ორი მესამედი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ყველა არჩევნებისთვის ამუშავებს დებულებებს.

ენები. სოკ-ის ოფიციალური ენებია ფრანგული და ინგლისური. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა სხდომაზე წარმოებს სინქრონული თარგმნა გერმანულ, ესპანურ, რუსულ და არაბულ ენებზე.

ქარტიის მიხედვით, სოკ-ს შეუძლია საჩუქრებისა და ნაანდერძევის მიღება და ყველა იმ საშუალების ძიება, რაც მისი ამოცანების განსახორციელებლად არ ის საჭირო. სოკ-ს შეუძლია სატელევიზიო უფლებების მიცემის ფონდიდან ფულადი სახსრები გადასცეს საერთაშორისო ფედერაციებს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებსა და ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტებს.

საერთაშორისო ფედერაციები (სფ). ოლიმპიური მოძრაობის განვითარების მიზნით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს საერთაშორისო ფედერაციები,

როგორც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში მსოფლიო დონეზე და ცალკეული ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ სპორტის ამ სახეობებს ეროვნულ დონეზე.

ქარტიის თანახმად, რაც შეეხება საერთაშორისო ფედერაციების როლს ოლიმპიურ მოძრაობაში, მათი სტატუსი, საქმიანობა და პრაქტიკა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ოლიმპიური ქარტიის დებულებებთან და უნდა ეთანხმებოდეს მათ. თითოეული საერთაშორისო ფედერაცია ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და ავტონომიას სპორტის თავისი სახეობის მართვაში.

საერთაშორისო ფედერაციების ფუნქციებია:

1. სპორტის სახეობის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო წესების შემუშავება და მათი დანერგვა; 2. მსოფლიოში სპორტის სახეობათა განვითარების უზრუნველყოფა; 3. ოლიმპიური ქარტიით დასახული მიზნების მიღწევაში წვლილის შეტანა; 4. ვარგისიანობის კრიტერიუმის შექმნა ოლიმპიური თამაშებით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. ამ კრიტერიუმის შექმნა უნდა განხორციელდეს ოლიმპიური ქარტიის დებულებათა თანახმად და განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს; 5. პასუხისმგებლობა სპორტის შესაბამისი სახეობის ტექნიკურ კონტროლსა და წარმართვაზე ოლიმპიურ თამაშებსა და იმ თამაშებზე, რომლებიც სოკ-ის ეგიდით იმართება; 6. ტექნიკური მხარდაჭერა ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის.

ამასთან ერთად, საერთაშორისო ფედერაციებს შეუძლიათ, ჯერ ერთი, ოლიმპიურ ქარტიასთან და ოლიმპიურ მოძრაობასთან დაკავშირებული წინადადებებით მიმართონ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს; მეორე, გააცნონ მათ თავიანთი აზრი ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციასთან დაკავშირებით და აღნიშნონ სავარაუდო ქალაქების ძირითადი ტექნიკური შესაძლებლობები ოლიმპიური თამაშების ჩატარების თვალსაზრისით; მესამე, ითანამშრომლონ ოლიმპიური კონგრესების მომზადების საქმეში; მეოთხე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თხოვნით მონაწილეობა მიიღონ სოკ-ის კომისიათა საქმიანობაში.

თავი მეოთხე

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტები

საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში მოცემულია ადამიანის უფლებათა ყოველმხრივი დახასიათება, განსაზღვრულია სახელმწიფოთა და საერთაშორისო გაერთიანებათა (გაერო, ევროპის საბჭო, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და სხვა) უფლება-მოვალეობები და ამ სფეროში მათი მუშაობის ძირითადი მიმართულებები. სახელმძღვანელოს ამ თავში განხილულია ადამიანის უფლებათა ცნება, საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

1. ადამიანის უფლებათა ცნება

პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან. პოლიტიკის საფუძველია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება და დაცვა. სახელმწიფოები შეიმუშავებენ ერთიან პოლიტიკას ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში, ქმნიან სამთავრობო დაწესებულებებს, სხვადასხვა ინსტიტუტებსა და კომისიებს ამ უფლებათა დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო დოკუმენტების განხორციელების მიზნით.

ამა თუ იმ საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა დაცვის რეალურ მაჩვენებლებზე. შესაბამისად, დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგარი საქართველოსთვის, ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე ზრუნვა დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების მნიშვნელოვანი ფუნქციაა. მხედველობის არედან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ ადამიანის უფლებათა რეალური

დაცვა საზოგადოებაში შესაბამისი საბაზისო სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ-ფსიქოლოგიური ფაქტორების არსებობასაც გულისხმობს, რომელთა გარეშეც ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დეფინიცია. უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ ვთვლით „უფლებების" და „თავისუფლებების" ზოგადი განმარტების მოცემას. უფლებები, რომლებსაც ზოგჯერ „პოზიტიურ უფლებებს" უწოდებენ, განსაზღვრავს სახელმწიფო პირების ან ორგანიზაციების ვალდებულებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ყველა აუცილებელი საშუალებები, რათა მოქალაქემ ისარგებლოს ამა თუ იმ სიკეთით, განახორციელოს მისთვის მიზანშეწონილი ქმედებანი[1]. მაშასადამე, უფლებები გულისხმობს ხელისუფლების აქტიურ მოვალეობებს თითოეული ადამიანის მიმართ. მაგალითად, სიცოცხლის დაცვის უფლება სახელმწიფოს ავალდებულებს შექმნას ისეთი პირობები, სადაც თითოეული ადამიანის სიცოცხლის უფლება შეძლებისდაგვარად იქნება დაცული. ზოგადად, სახელმწიფო უფლებათა რეალიზაციას ახორციელებს.

თავისუფლებები, რომელთაც „ნეგატიური უფლებების" სახელითაც მოიხსენებენ, განსაზღვრავს სახელმწიფოსა და სხვა ადამიანების ვალდებულებებს, თავი შეიკავონ ამა თუ იმ ქმედებისაგან სხვა ინდივიდის მიმართ და ამით დაიცვან პიროვნება მისი თავისუფლებების შემზღუდავი, მისთვის არასასურველი ზემოქმედებისაგან.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები უზენაესი ადამიანური ღირებულებებია. ამ უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა არ შეიძლება შემოიფარგლოს დროის რომელიმე მონაკვეთითა და რომელიმე სხვა ღირებულებით[2].

ადამიანის უფლებების და თავისუფლებების საყოველთაო აღიარების პირობებშიც კი ამ კატეგორიებს უნივერ-

---

1. ომარ ჭუმბურიძე. ადამიანის ფუძემდებლურ უფლებათა კონცეფცია და კლასიფიკაცია. ჟურნალი „პოლიტიკა", 2001, გვ. 72.
2. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, ფრიდონ საყვარელიძის რედაქციით, თბილისი, 1999, გვ. 11.

სალური ხასიათი არ გააჩნიათ. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც ევროპული ცივილიზაციის კუთვნილებაა, დასავლური სამყაროს გარდა, გავრცელებას მხოლოდ იმ არადასავლური სამყაროს სახელმწიფოებში ჰპოვებს, სადაც დემოკრატიული ღირებულებებია დამკვიდრებული. საკითხის მიმართ ასეთი მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა შესაძლებელია, როგორც მხოლოდ დეკლარირებული, ისე რეალურად განხორციელებადი ფორმითაც. დასავლური სამყარო სწორედ ამ უკანასკნელ ვარიანტს შეესაბამება. მაშასადამე, ყველაზე მეტად ადამიანის უფლებათა დაცვას დასავლური სამყარო უზრუნველყოფს.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა „ვერტიკალური" მოქმედება. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ადამიანსა და სახელმწიფოს, პიროვნებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთმიმართების კუთხით უნდა იქნეს განხილული. ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის უფლებებში სწორედ ადამიანსა და სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროს მიეკუთვნება. ადამიანის უფლებებში სწორედ ადამიანსა და სახელმწიფოს შორის არსებული ე. წ. „ვერტიკალური ურთიერთობები" იგულისხმება. საერთოდ, ადამიანის უფლებები ადამიანთაშორის ურთიერთობებში არ გამოიყენება, ანუ მას არ გააჩნია ე. წ. „ჰორიზონტალური მოქმედება". ასე, მაგალითად, სახალხო დამცველის განხილვის საგანია მოქალაქის ურთიერთობა სახელმწიფოსთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და არა სამოქალაქო ურთიერთობის დავები.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად წარმომავლობის იდეა. ადამიანის უფლებები, უმეტესწილად აქ ადამიანის ხელშეუვალ უფლებებზეა საუბარი, ადამიანს დაბადებიდან ეკუთვნის და მისი ხელყოფის უფლება სახელმწიფოს არ გააჩნია. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაფიქსირებულია თუ არა ყველა ეს უფლება და თავისუფლება სახელმწიფოთა კონსტიტუციებსა თუ საკანონმდელო აქტებში, ვინაიდან ადამიანის კუთვნილი უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციასა

და კანონმდებლობაზე მაღლა დგას. სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ადამიანის უფლებათა წარმომავლობის იდეა შეესაბამება ადამიანის უფლებებისადმი მიდგომის ბუნებრივ-ისტორიულ ასპექტს, რომელიც სახელმწიფოს ადამიანის კუთვნილ ბუნებრივ უფლებათა წართმევას უკრძალავს.

სახელმწიფო–ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ძირითადი განმახორციელებელი კატეგორიაა. უფლებების სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად წარმომავლობის იდეის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა სახელმწიფოს გარეშე წარმოუდგენელია. სახელმწიფო არსებული პოლიტიკური სისტემის უზრუნველსაყოფი მექანიზმის სახით გვევლინება და ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხსაც სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური სისტემის ხსიათი განსაზღვრავს. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა სახელმწიფოს მოვალეობებში შედის. თუმცა, საერთაშორისო დოკუმენტებში სახელმწიფოსათვის ასეთი მოვალეობის დაკისრება გათვალისწინებული არაა. შესაბამისად, ადამიანის უფლებებსა და მის მოვალეობებს შორის კავშირის არსებობის საკითხს მკვლევარები სადაოს ხდიან. სწორედ ამიტომაც მივიჩნევთ, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე ზრუნვა და ასეთი ზრუნვის სახელმწიფოებრივ მოვალეობათა რანგში აყვანა წმინდა ინდივიდუალური (ვგულისხმობთ, სახელმწიფოებრივს) საკითხია.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა. საერთოდ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში პრობლემის სახით ჩნდება, კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს [1]. ადამიანის უფლებათა ყოვლისმომცველი და მრავალწახნაგოვანი ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემაზე საუბრისას არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის სახელმწიფოებრივი სისტემა, რომლის პირობებშიც ხორციელდება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა

1. Политология, курс лекций. Москва, 2000, стр. 511.

დაცვა, რადგან აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა ამ საზოგადოებაში მოქმედი სოციალური შესაძლებლობების (ამაში იგულისხმება, როგორც საკანონმდებლო, ისე ულებათა რეალური რეალიზაციისათვის აუცილებელი სხვა პირობები) საფუძველზე ხორციელდება. ამ თეზისის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითის მოყვანაც კმარა: ადამიანის უფლებების სრული დაცვა შეუძლებელია იმ პირობებში, თუ ამ საზოგადოებაში არ ხორციელდება დამოუკიდებელი სასამართლოს წარმოების პრინციპი, რაც თავისთავად დემოკრატიული სისტემის არსებობაზეა დამოკიდებული. მაშასადამე, ადამიანის უფლებები წარმოადგენენ დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა სხვადასხვა კატეგორიებს და ჯგუფებს, რომლებიც კონსტიტუციური გარანტიების თვალსაზრისით ერთ მთლიან ნაკრებს შეადგენს. ამდენად, ერთი რომელიმე მათგანის განუხორციელებლობის შემთხვევაში სერიოზული საფრთხის წინაშე დგება უფლებებისა და თავისუფლებების ინსტიტუტი მთლიანობაში. ამ გაგებით ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესწავლისას კომპლექსური მიდგომის გამოყენება გამართლებული და აუცილებელიცაა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტიები. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ საუბისას არ შეიძლება მხედველობის არედან გამოგვრჩეს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები, რომელიც ერთგვარი უზრუნველსაყოფი მექანიზმის სახით გამოდის. შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის ასეთი საგარანტიო მექანიზმების სახით საპროცესო უფლებები გვევლინება, ხოლო საერთაშორისო კანონმდებლობა კი სხვადასხვა პროცედურას გვთავაზობს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურებში არსებულ დამცავ ორგანოებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სახელმწიფოთა რეგიონულ თანამშრომლობას (ევროპული სისტემა, აფრიკული ქარტია, ჰუმანიტარული სამართალი). შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში კი გა რანტიების სა-

ხით გამოდის „ამპარო“[1], იგივე „ჰაბეას კორპუსი“, რაც დაკავების კანონიერების გასაჩივრებას გულისხმობს, ასევე, საპროცესო უფლებები, რომელთა დახმარებითაც ადამიანი აიძულებს ხელისუფლებას, დაიცვას მისი უფლებები. საპროცესო გარანტიებს მიეკუთნება: საკონსტიტუციო სასამართლო, ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც ადამიანის უფლებათა დამცველი საპარლამენტო რწმუნებულის სახელით მოიხსენიებენ, პეტიციის და რეფერენდუმის უფლება.

ომბუდსმენის ინსტიტუტის უმთავრეს დანიშნულებად ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ ადმინისტრაციული უფლებამოსილების არამართლზომიერი და ბოროტად გამოყენების შემთხვევებისაგან პიროვნების დაცვა სახელდება. ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად მსოფლიოს 40-მდე ქვეყანაში, მათ შორის, ფინეთში, დანიაში, ნორვეგიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ინდოეთში ფუნქციონიორებს, თავდაპირველად შვედეთში XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა და მისი შექმნა ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებათა და სამართლებრივი ნორმების მზარდმა რაოდენობამ განაპირობა. ომბუდსმენი, რომელიც ზოგჯერ მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის არბიტრის სახით განიხილება, წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფო და არა საპარლამენტო ორგანოს, თუმცა, გარკვეულწილად სწორედ პარლამენტის საკონტროლო ფუნქციის რეალიზაციას ახდენს. გამოყოფენ ომბუდსმენის ორ ფუნქციას: საკონტროლოს, რაც ადამიანის უფლებათა სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლით ხორციელდება და სამართალდამცავ ფუნქციას. სამართალდამცავი ფუნქციის გატარებით დაკავშირებულნი არიან ახლადჩამოყალიბებული დემოკრატიული ქვეყნების, მათ შორის ესპანეთის, პორტუგალიისა და პოლონეთის ომბუდსმენები, მაშინ, როცა ტრადიციული დემოკრატიული ქვეყნების სა -

1. „ამპარო“ (Amparo) – პროცედურა, რომელიც ძირითადად იდენტურია „ჰაბეას კორპუსის“ პროცედურისა (დაკავების კანონიერების გასაჩივრება სასამართლოში, „ამპაროს“ ინსტიტუტი კონსტიტუციური ნორმის სახით არსებობს ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში.

ხალხო დამცველები, ძირითადად, საკონტროლო ფუნქციას ასრულებენ. აღიარებულია, რომ სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის ეფექტიანობას პარლამენტთან თანამშრომლობის ხარისხი განსაზღვრავს, უფრო მეტიც, ზოგ ქვეყანაში საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის ზრდა სწორედ სახალხო დამცველის საშუალებით ხორციელდება. თავად ომბუდსმენის უფლებებზე საუბრისას არ შეიძლება არ შევჩერდეთ მის ფუნქციებზე: ომბუდსმენის საკონტროლო ფუნქცია მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე ამოქმედდება. ომბუდსმენს აქვს უფლება დააყენოს საკითხი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შესახებ, შეუძლია გასცეს რეკომენდაციები, თუმცა, მას არ აქვს უფლება გააუქმოს ან შეცვალოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილება. ომბუდსმენის მოვალეობებში პარლამენტის წინაშე რეგულარული ანგარიშგება შედის.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პრაქტიკული განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, მსჯელობისას, შეუძლებელია თავი დავაღწიოთ ისეთ პრობლემას, როგორიცაა ადამიანის უფლებათა თეორიასა და პრაქტიკას შორის სხვაობა, რაც დიდ იშვიათობას არ წარმოადგენს. თეორია, რომლის სახითაც, ადამიანის ხელშეუვალ უფლებებთან ერთად სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტაცია გვევლინება, ხშირ შემთხვევაში რეალურად არ ფუნქციონირებს. ამ გაგებით, ლაპარაკობენ „დე იურე“ და „დე ფაქტო“ ადამიანის უფლებებზე. იდეალურ ვარიანტს თეორიასა და პრაქტიკას შორის თანხვედრა წარმოადგენს. შესაბამისად, რაც უფრო მეტად შორდება ადამიანის უფლებათა პრაქტიკა თეორიას, მით უფრო იზრდება „ადამიანის უფლებების“, როგორც ფორმალურ კატეგორიად ჩამოყალიბების, ალბათობა. თავად ადამიანის უფლებათა რეალური ფუნქციონირება კი, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, სახელმწიფოში მოქმედ სისტემაზე, საზოგადოებრივი ორგანიზმის სტრუქტურასა და არსებულ პოლიტიკურ კულტურაზეა დამოკიდებული. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობებიც, რადგან უფ -

ლებათა განხორციელებისათვის და სხვადასხვა სახის პროგრამების დასაფინანსებლად საჭირო სახსრების გამოყოფას ამ უკანასკნელის მდგომარეობა განსაზღვრავს. ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად ძირითად ამოცანას ადამიანის უფლებათა თეორიასა და პრაქტიკას შორის შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესწავლისას კი ძირითადი კითხვის სახით შემდეგი ჩნდება: რამდენად ემთხვევა, რა თანაფარდობაშია ერთმანეთთან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თეორია და მისი პრაქტიკული განხორციელება?

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალური განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული პიროვნებასა და ხელისუფლებას შორის ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებული ურთიერთობის ხასიათზე. გამოიყოფა მათ შორის ურთიერთობის ორი ტიპი, რომელსაც ა. ობოლონსკი გვთავაზობს: პერსონაცენტრისტული, რომელშიც წამყვანი როლი პიროვნებას ენიჭება და სისტემაცენტრისტული, რომელიც პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში აქცენტს ამ უკანასკნელზე აკეთებს და პიროვნებას სახელმწიფო სისტემის უმნიშვნელო შემადგენელი ნაწილის სახით განიხილავს[1]. შესაბამისად, სისტემაცენტრისტული ურთიერთობების პირობებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე საუბარი არარეალურად გამოიყურება. ამ ურთიერთობების პირობებში, რომელიც ფაქტობრივად ტოტალიტარულ და თეოკრატიულ ქვეყნებში არის ჩამოყალიბებული, ადამიანის უფლებების დაცვის საჭიროება გამოირიცხება. ტოტალიტარულისაგან განსხვავებით, სადაც ადამიანის უფლებებს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი ენიჭება, თეოკრატიულ (მუსლიმანურ) სახელმწიფოებში ადამიანის უფლებებზე ზრუნვა სახელმწიფოებრივი განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად გამოდის. სრულიად განსხვავებული სიტუაცია ყალიბდება პერსონაცენტრისტული ურთიერთობების შემთხვევაში, რაც ძირითადად დასავლური სამყაროსათვის არის დამახასიათებელი. აქ ადამიანის

1. **Права человека, учебник для вузов. Москва, 2000, стр. 15.**

უფლებებსა და თავისუფლებებზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად განიხილება. ვფიქრობთ, ადამიანის უფლებათა საკითხის მიმართ ცივილიზებური მიდგომის გამოყენება ადამიანის უფლებათა არაუნივერსალური ხასიათის თავისებურ ახსნას იძლევა. რაც შეეხება საკანონმდებლო აქტებს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, მათი ხარისხი უკვე ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს, თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს კარგი საკანონმდებლო ბაზის განსაკუთრებული მნიშვნელობაც.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების ძირითადი პრინციპები. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების ძირითადი პრინციპების სახით გამოყოფენ: ადამიანური ღირსების ცნებას, რომელიც ადამიანს დაბადებიდანვე ენიჭება, თანასწორობისა და ადამიანის განუყოფელ უფლებათა კონცეფციას. განსაკუთრებული აქცენტი გვინდა გავამახვილოთ თანასწორობის პრინციპზე. საქმე ისაა, რომ ადამიანის უფლებები საზოგადოების ყველა წევრზე თანაბრად და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ვრცელდება. ამ სამ პრინციპს, რომლის გარეშეც ადამიანის უფლებათა რეალური განხორციელება შეუძლებელია, შესაძლოა დაემატოს დისკრიმინაციის უარყოფაც, რადგან ადამიანის უფლებათა დაცვა რეალურად ყოველგვარი სახის დისკრიმინაციისაგან ადამიანის დაცვას გულისხმობს.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კლასიფიკაცია. ზოგადად, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. ამ შემთხვევაში გამონაკლისის სახით გამოდის ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, რადგან უფლების მატარებელი სუბიექტის სახით აქ პიროვნებების ნაცვლად ხალხი გვევლინება.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კლავიფიკაციის სხვადასხვა მეთოდები არსებობენ. გამოყოფენ ადამიანის უფლებათა ძირითად, ე. წ. ხელშეუვალ და სხვა დანარჩენ უფლებებს. მათ სხვაგვარად პირველად და მეორად, ან ძირითად და კანონით მინიჭებულ უფლებებადაც აჯგუფებენ. გარდა ამისა, გვხვდება ადამიანის უფლებათა მატერიალურ და საპ-

როცესო უფლებებად, პიროვნულ და ადმინისტრაციულ, პოზიტიურ და ნეგატიურ უფლებებად დაყოფის პრაქტიკა.

ადამიანის ხელშეუვალი უფლებები, რომელთაც ხშირად ადამიანის ფუძემდებლური და ძირითადი უფლებების სახელით მოიხსენიებენ, წარმოადგენს უფლებათა ერთობლიობას, რომელთა განხორციელებაც არ შეიძლება შეჩერდეს ხელისუფლების კანონიერი აქტით თვით საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი. ეს უფლებებია: 1. სიცოცხლის უფლება; 2. წამების, სასტიკი, არაადამიანური, ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობის და სასჯელის აკრძალვა; 3. მონობის, მონებით ვაჭრობის და დამონების სხვა ფორმების აკრძალვა; 4. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეტროაქტიური (უკუქმედების ძალის მქონე) მოქმედების აკრძალვა; 5. აზრის, სინდისის, რელიგიის თავისუფლება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უფლებათა დარღვევა ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებადაა მიჩნეული.

ადამიანის უფლებათა მატერიალურ და საპროცესო უფლებებად კლასიფიკაცია. მატერიალური უფლებები მოიცავს ადამიანის პირად, ანუ სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს, ხოლო საპროცესო უფლებებში ერთიანდება ადამიანისათვის მიკუთვნებული მეთოდები და ინსტიტუტები, რომელთა დახმარებითაც ადამიანი თავს ხელისუფლების თვითნებობისაგან იცავს.

ადამიანის უფლებათა დარღვევა. ადამიანის უფლებათა დარღვევების კლასიფიკაციის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. პრაქტიკაში გამოიყენება დარღვევათა შორის ყველაზე სერიოზული დარღვევების დადგენის მეთოდი, დარღვევათა ინტენსივობის განსაზღვრა, დარღვევათა მასშტაბების დადგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ყველაზე სერიოზული დარღვევები თითოეული ადამიანის ფიზიკურ ხელშეუხებლობასთან, კერძოდ კი, სიცოცხლის უფლებასთანაა დაკავშირებული. მათ მიეკუთვნება: 1. პოლიტიკური მკვლელობა (სიცოცხლის ხელყოფა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გარეშე); 2. გაუჩინარება და წამება; 3. არამართლზომიერი დაკავება, რასაც თან სდევს ხანგრძლივი პატიმრობა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გარეშე.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის საკითხთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია ადამიანის უფლებათა დარღვევის ძირითადი მიზეზების გამოკვეთის პრაქტიკის არსებობაზე ზოგადი მონაცემების მოწოდება. საქმე ისაა, რომ დისციპლინათაშორისმა კვლევითმა პროგრამამ (PIOOM. Interdisciplinary REsearch Programme), რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევის ძირითადი მიზეზების გამოკვლევითაა დაკავებული, ადამიანის უფლებათა დარღვევის 80-ზე მეტ მიზეზს მიაკვლია. მათ შორისაა სახელმწიფოს მიმართ პიროვნების „ბრმა მორჩილება", სახელმწიფოსა და ადამიანს შორის ურთიერთობის „ზიზღის საფუძველზე წარმართვა", დაუსჯელობა და სხვა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მიზანი და ამოცანა. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მიზანია დიკრიმინაციის თავიდან აცილება, ძალადობის ფართომასშტაბიანი პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, მომჩივარი პირებისა და ჯგუფების დაცვა. ადამიანის უფლებათა დაცვა მიმართულია ადამიანის უფლებათა დარღვევის თავიდან ასაცილებლად, შესაწყვეტად, ან შესარბილებლად. ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვა ხელისუფლების მოქმედებათა შეზღუდვასაც ისახავს მიზნად. იგი ქვეყანაში დემოკრატიის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი გარანტიის სახით გვევლიება.

2. ადამიანის უფლებათა კონცეფცია

ადამიანის უფლებათა ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია დიდ ისტორიულ მოვლენებთან: დიდ ბრიტანეთში რევოლუციას მოჰყვა „უფლებათა ბილის" მიღება, ამერიკის დამოუკიდებლობას — „ბილი უფლებების შესახებ", საფრანგეთის რევოლუციას — ადამიანის და მოქალაქის უფლებების 1789 წლის დეკლარაცია. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციასა და მის შესწორებებში ადამიანის უფლებათა მთელი ნუსხაა მოცემული: ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლება, პიროვნებისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, საარ-

ჩევნო უფლება, ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება და სხვა. კონსტიტუციაში ადამიანის უფლებები აღიარებულია როგორც ბუნებრივი, განუყოფელი და გაუსხვისებელი ღირებულებები.

საფრანგეთის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულმა „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ" არა მარტო აღიარა ადამიანის უფლებები, არამედ სახელმწიფოს დააკისრა ადამიანის ბუნებრივი და მისგან განუყოფელი უფლებების დაცვა. ასეთ უფლებებად დეკლარაციამ აღიარა — თავისუფლება, საკუთრება, პიროვნების ხელშეუხებლობა და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევის უფლება. საფრანგეთის დეკლარაციამ თავისუფლება განსაზღვრა როგორც უფლება — აკეთო ყველაფერი, რაც ხელს არ უშლის სხვათა თავისუფლებას .

XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საყოველთაოდ აღიარეს ადამიანის უფლებების პრიორიტეტი სახელმწიფოს კანონებზე; ჩამოყალიბდა მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ყოველი კანონმდებელი ვალდებულია აღიაროს ადამიანის ძირითადი უფლებები, ხოლო ნებისმიერმა მთავრობამ უნდა დაიცვას ეს უფლებები, როგორც წმინდა და ხელშეუხებელი.

ადამიანის უფლებების ზესახელმწიფოებრივი ბუნება აღიარა და დაასაბუთა ჰუგო გროციუსმა. მის სახელთან არის დაკავშირებული ე. წ. „ჰუმანიტარული ინტერვენციის" თეორიული საფუძვლების შექმნა, რამაც ასახვა ჰპოვა მის ნაშრომში „ომისა და მშვიდობის შესახებ" (1623).

ადამიანის უფლებების თეორიის განვითარების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია თომას ჰობსის სახელთან. თავის ნაშრომში „ლევიათანი" (1651) მან პირველმა შემოიტანა ბრუნვაში ბუნებითი უფლებების ცნება და გარკვეული აზრით დაუპირისპირა ბუნებრივ სამართალს. მას უპერსპექტივოდ მიაჩნდა ადამიანის არსების გააზრება ბუნებითი სამართლის ჩარჩოებში. ბუნებითი სამართლის პირობებში ადგილი აქვს უწესრიგობას და ომს, სადაც ადამიანი არის გარიყული, ღარიბი, ბინძური, მხეცური და სულსწრაფი. ამიტომ ადამიანები იძულებული გახდნენ დაედოთ საზოგადოებრივი ხელშეკრულება ანუ თავიანთი ბუნებრივი უფლებების დაცვის მიზნით ადამი -

ანებმა ძალაუფლება მიანდეს სუვერენს, რომელმაც ვალდებულება იკისრა დაიცავდა მათ სიცოცხლეს, თავისუფლებას და საკუთრებას.

ადამიანის უფლებების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანია ჯონ ლოკის წვლილი. მისი აზრით, ადამიანები ბუნებით არიან თანასწორნი და ამიტომ თითოეული ინდივიდის თანხმობის გარეშე და მის დაუკითხავად არავის აქვს უფლება იქონიოს ძალაუფლება მასზე. თავის ნაშრომში „მთავრობის ორი ხელშეკრულება" (1680) დაასაბუთა ადამიანის პრიორიტეტი მთავრობის მიმართ. თავის თეორიას მან საფუძვლად დაუდო დებულება იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და არავინ არ შეიძლება დაემორჩილოს ხელისუფლებას, თუ არა მისი თანხმობის გარეშე. იგი არ იზიარებს ჰობსის პესიმიზმს და მიაჩნია, რომ სწორედ ბუნებითი სამართლის და არა საზოგადოებრივი ხელშეკრულების წყალობით შეიძლება დაცულ იქნეს სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. ბუნებითი სამართალი გულისხმობს არა სახელმწიფოს, არამედ ხალხის სუვერენობას. ჯერ ერთი, ადამიანები თანხმდებიან შექმნან საზოგადოება და ერთობლივი მოქმედებით დაიცვან ერთმანეთის უფლებები; მეორე, ისინი თანხმდებიან ხმათა უმრავლესობით დაამკვიდრონ საკანონმდებლო და სხვა ინსტიტუტები; მესამე, საკუთრების მფლობელნი თანხმდებიან გადაიხადონ გადასახადი საზოგადოებაში საყოველთაო კეთილდღეობის დასამყარებლად მათი წარმომადგენლების მეშვეობით.

კანონმდებლობის მიზანია კი არ შეცვალოს ბუნებითი სამართალი და ბუნებითი უფლებები, არამედ მისცეს მათ საჭირო სიზუსტე, სიახლე და კონსტრუქციულობა. თუმცა ჯონ ლოკმა არ მიუთითა თუ რა გზით მიღწეულიყო იგი.

ასეთი გზა მიუთითა ფრანგმა განმანათლებელმა შარლლუი დე მონტესკიემ თავის ნაშრომში „კანონთა სული" (1750). მან პირველმა წამოაყენა სამი დამოუკიდებელი ხელისუფლების იდეა (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება), როგორც ადამიანის უფლებების დაცვის გარანტია. მონტესკიეს ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა ადამიანის და მოქალაქის უფლებათა საფრანგეთის დეკლარაციაზე (1789) და აშშ-ის ადამიანს უფლებათა ბილზე (1741).

ჟან-ჟაკ რუსო თავის ნაშრომს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“ (1762) ასე იწყებს: „ადამიანი იბადება თავისუფლი, მაგრამ ყველგან ის ბორკილებშია“. რუსოს მიხედვით, თუ სახელმწიფო დაფუძნდება საზოგადოებრივ ხელშეკრულებაზე, რომლის ძალითაც ადამიანები შეზღუდავენ იმ თავისულებას, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ ბუნებრივ მდგომარეობაში, მაშინ ადამიანები სანაცვლოდ მიიღებენ თავისუფლების უფრო მაღალ დონეს“.

ჯონ ლოკისა და შარლ-ლუი დე მონტესკიეს იდეები აისახა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში (1776 წლის 4 ივლისი). დეკლარაციის მთავარი დებულება გადმოცემულია შემდეგი სიტყვებით: „ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილნი არიან როგორც თანასწორი არსებები, რომ მათ ღვთის მიერ მინიჭებული აქვთ გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ ლტოლვა; რომ ამ უფლებების განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას ღებულობენ მათი თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ; რომ თუ განმგებლობის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნით შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი, და შეჰქმნას ახალი მთავრობა, დააფუძნოს იგი ისეთ პრინციპებზე და ისეთი ძალაუფლებით აღჭურვოს, როგორც მისი აზრით, ყველაზე ხელსაყრელი იქნება მისი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისათვის“[1].

ადამიანის უფლებების იდეის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თომას პეინმა და მარკუს დე ლაფაიეტმა. თომას პეინი დაბრუნდა ევროპაში ამერიკიდან. 1791 წელს გამოსცა წიგნი „ადამიანის უფლებები“, რომელშიც ამხილა ევროპის მთავრობები თვითნებობაში, ხალხის სილატაკისა და ადამიანის უფლებების უგულვებაყოფაში. თომას პეინის იმ დროისათვის ძალზე გაბედულმა იდეებმა ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გარანტიების

1. ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი. 1995, გვ. 440.

ვალდებულებაზე, განსაკუთრებით ღარიბთა და მოხუცებულთა საპენსიო უფლებების, აგრეთვე საყოველთაო უფასო განათლების შესახებ დიდი ზეგავლენა მოახდინა ადამიანის და მოქალაქის საფრანგეთის დეკლარაციის შინაარსზე, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებზე. მარკუს დე ლაფაიეტი იყო ადამიანის და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის პირველი პროექტის ავტორი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებებში ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: მატერიალურ და საპროცესო უფლებებს. მატერიალური უფლებები მოიცავენ პირად, ანუ სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

ПИРАД ANУ САМОЦАЛАЦО УФЛЕБЕБСА ДА ТАВИСУФЛЕБЕБС МИЕКУТВНЕБА: ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, თავისუფლების ხელშეუვალი უფლებები, სიტყვის, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება და სხვა.

ПОЛИТИКУР УФЛЕБЕБС МИЕКУТВНЕБА: ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება, საარჩევნო უფლება, პოლიტიკური პარტიის, პროფესიული კავშირის შექმნის და მასში მონაწილეობის უფლება, მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარების უფლება და სხვა.

ЕКОНОМИКУР ДА СОЦИАЛУР УФЛЕБЕБС МИЕКУТВНЕБА: შრომის უფლება, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლება, პროფკავშირების შექმნის უფლება, გაფიცვის უფლება, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის უფლებები და სხვა.

КУЛТУРУЛ УФЛЕБЕБС МИЕКУТВНЕБА: საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, სამეცნიერო პროგრესის შედეგებით სარგებლობის უფლება და სხვა.

საპრცესო უფლებები კი ადამიანისათვის მიკუთვნებული მეთოდები და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტებია, რომელთა დახმარებითაც ადამიანი დაცულია ხელისუფლების თვითნებობისაგან. ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცესო გარანტიებს მიეკუთვნება, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლო, ომბუდსმენის (სახალხო დამცველი) ი ნსტიტუტები, რეფერენდუმის მოწყობის უფლება და ა. შ.

ადამიანის უფლებათა ზოგადი პრინციპები:

1. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროს განეკუთვნება;

2. ადამიანის უფლებები ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისია ხალხთა თვითგამორკვევის უფლება; ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის სახელმწიფოს მიერ ნაბოძები წყალობა, ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ვინაიდან ჩვენ ადამიანებად დავიბადეთ. „ყველა ადამიანი თავისუფალი და ღირსებებითა და უფლებებით თანასწორი იბადება. ისინი გონებითა და სინდისით არიან დაჯილდოებული და ერთმანეთს ძმობის სულისკვეთებით უნდა მოეკიდონ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 1).

3. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაფიქსირებულია თუ არა ყველა ეს უფლება და თავისუფლება სახელმწიფოთა კონსტიტუციებსა და საკანონმდებლო აქტებში, ვინაიდან ადამიანის კუთვნილი უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციასა და კანონმდებლობაზე მაღლა დგას;

4. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა წყარო არ არის სახელმწიფო. ეს უფლებები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, სახელმწიფო კი აღიარებს მათ არსებობას; სახელმწიფოს მოვალეობაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, რადგანაც ის არსებობს ხალხისაგან და ხალხისათვის;

5. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ნარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია. ამ უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა არ შეიძლება შემოიფარგლოს დროის რომელიმე მონაკვეთით და არ შეიძლება შეილახოს სხვა ღირებულებებით.

6. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, როგორც ნარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები, ზღუდავს სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელებისას, ე. ი. ხელისუფლება შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით.

3. გაეროს წესდება

1945 წელს დაარსდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მის დაფუძნებაში მონაწილე ყველა ხალხის სახელით გამოცხადდა გაეროს ერთგულება ადამიანის უფლებებისადმი. გაეროს წესდებაში ადამიანის უფლებები გამოცხადებულია, როგორც ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მოღვაწეობის ფუძემდებელი და უმთავრესი პრობლემა. წესდებაში გაეროს ერთ-ერთ მიზნად მიჩნეულია: „კვლავ განვამტკიცოთ ადამიანის ძირითად უფლებათა, ადამიანის პიროვნების, ღირსების და ღირებულების, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის და დიდი და პატარა ერების თანასწორობის რწმენა".

გაეროს წესდებაში გამოცხადდა: „განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად და ყველასათვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის წასახალისებლად და განსავითარებლად, მიუხედავად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა"[1].

გაეროს წესდების შესაბამისად, გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება გაერთიანებული ერების ყველა წევრისაგან, აწყობს გამოკვლევებს და აძლევს რეკომენდაციებს მონაწილე სახელმწიფოებს იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, წესდების თანახმად, ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას ყველასათვის.

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, წესდების თანახმად, უფლებამოსილია მისცეს რეკომენდაციები ადამია-

---

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. იხ. წიგნში: ლევან ალექსიძე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1985. გვ. 100-10;.

ნის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვის წახალისების მიზნით, ამასთან, საბჭო ქმნის კომისიებს ეკონომიკურ და სოციალურ დარგში და ადამიანის უფლებათა წასახალისებლად.

4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით, მისი წესდების შესაბამისად, შემუშავდა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის უფლებებს და მათი დაცვის გარანტიებს. ეს გაეროს ეგიდით მიღებული ოთხი ძირითადი დოკუმენტია:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ;
3. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ;
4. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის თანდართული ფაკულტატური პროტოკოლები.

ამათგან აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც დამტკიცებული და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლს 10 დეკემბერს. ამით მსოფლიომ გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ თავის ოცდაათივე მუხლში დასახა „მიღწევათა საერთო სტანდარტი ყველა ხალხისა და ყველა ერისათვის".

პირველად კაცობრიობის ისტორიაში შედგენილ იქნა ნუსხა ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისა და აღიარებულ იქნა, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. ადამიანის უფლებები ეკუთვნის უკლებლივ ყველა ადამიანს. ისინი დაადასტურა მსოფლიო საზოგადოებამ. გაეროს და მის 191 წევრ ქვეყანას მათი დაცვისა და განვითარებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია.

ადამიანის ამ უფლებათა გაცნობიერებას მრავალი საუკუნე დასჭირდა. დეკლარაციაში გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა დასაცავად საუკუნეების მანძილზე გაწეული მუშაობისა და ბრძოლის შედეგები, გათვალისწინებულია დიდ მოაზროვნეთა ნააზრევი, დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ამ პრობლემას ეძღვნება.

გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გამოაცხადა ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და სახელმწიფო, დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს.

უფლება რაიმე მოქმედების, რისიმე კეთების, განხორციელების შესაძლებლობაა, რაც განსაზღვრული და განმტკიცებულია სახელმწიფო კანონითა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში დამკვიდრებული ჩვეულებით, მორალით. უფლებამოსილი — უფლების მქონე, უფლებით აღჭურვილი [1].

დეკლარაციის მეორე მუხლის მიხედვით, ყოველი ადამიანი განურჩევლად ყოველგვარი განსხვავებისა, — რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა, — უნდა ფლობდეს დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა და თავისუფლებას.

ადამიანის უფლებების ნუსხა ასეთია:

სამოქალაქო უფლებები:

1. ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყველას, ყოველგვარი განსხვავების მიუხედავად, კანონის თანახმად დაცვის უფლება აქვს;

2. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება; არავის შეუძლია ადამიანს თვითნებურად ჩამოართვას მოქალაქეობა ან თავის მოქალაქეობის შეცვლის უფლება;

3. ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება;

---

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკეთი მეორე. თბ., 1990, გვ. 946.

4. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და აირჩიოს თავისი საცხოვრებელი ადგილი ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში; ყოველ ადამიანს იმის უფლებაც აქვს, რომ დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის, თავისიც და იმის უფლებაც, რომ დაბრუნდეს თავის ქვეყანაში;

5. არავის არა აქვს ადამიანის თვითნებურად დაპატიმრების, დაკავების ან განდევნის უფლება;

6. არ შეიძლება თვითნებური ჩარევა ადამიანის პირად და საოჯახო საქმეებში, თვითნებურად ხელყოფა მისი საცხოვრებლისა, მისი კორესპონდენციების საიდუმლოებისა, შებღალვა მისი ღირსებისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს კანონით აქვს ამგვარი ჩარევისა ან ამგვარი ხელყოფათაგან თავის დაცვის უფლება და სხვა.

პოლიტიკური უფლებები:

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისი ქვეყნის მართვაში მიიღოს მონაწილეობა უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეოხებით. ხალხის ნება უნდა იყოს მთავრობის ძალაუფლების საფუძველი; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და არაფალსიფიცირებულ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებებით, ფარული კენჭისყრის ან თავისუფალი კენჭისყრის უზრუნველმყოფელი სხვა ნაირმნიშვნელოვანი ფორმებით;

2. ყოველ ადამიანს აქვს აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება;

3. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს თავისუფალი მრწამსი და თავისუფლად გამოხატოს ის;

4. ყოველ ადამიანს აქვს მშვიდობიან საკრებულოებსა და ასოციაციებში მონაწილეობის უფლება; არ შეიძლება ადამიანის იძულებით შეყვანა რომელიმე ასოციაციაში;

5. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დევნის შემთხვევაში თავშესაფარი ეძიოს ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავშესაფარით.

არავინ არ უნდა ეწამოს, არავინ არ უნდა დაისაჯოს სასტიკად, არაადამიანურად, მისი ღირსების დამამცირებელი საშუალებებით.

ეკონომიკური უფლებები:

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, არ შეიძლება ვინმეს თვითნებურად ჩამოერთვას მისი ქონება;

2. ყოველ ადამიანს აქვს შრომის უფლება, საქმიანობის თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან თავდაცვის უფლება; ყოველ ადამიანს რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, თანაბარი შრომისათვის აქვს თანაბარი გასამრჯელოს მიღების უფლება; ყოველ ადამიანს უფლება აქვს შექმნას პროფესიული კავშირები და შედიოდეს მათში თავისი ინტერესების დასაცავად;

3. ყოველ ადამიანს უფლება აქვს იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე, რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრებლის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და დოვლათისათვის.

სოციალური უფლებები:

1. ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის, ღირსების შენარჩუნების და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უფლება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ეროვნული ძალისხმევის, საერთაშორისო თანამშრომლობის მეოხებით და, ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესატყვისად;

2. ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება, სამუშაო დროის გონივრულად შეზღუდვისა და გასამრჯელოიანი პერიოდული შვებულებით საოგებლობის უფლება;

3. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება უნდა იყოს უფასო — სულ მცირე, დაწყებითი და ზოგადი განათლება მაინც. განათლება ხელს უნდა უწყობდეს ურთიერთგაგებას, ყველა ხალხის, ყველა რასისა და რელიგიური; ჯგუფის ურთიერთშემწყნარებლობას, მათ მეგობრობას, ხელს უნდა უმართავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მშვიდობის შენარჩუნებაში;

4. სრულწლოვან მამაკაცებსა და ქალებს, რასისა და ეროვნების ან რელიგიის ნიშნების მიხედვით ყოველგვარი შეზღუდ-

ვის გარეშე აქვთ შეუღლების, ოჯახის შექმნის უფლება. მათი შეუღლებისას, მეუღლეობის პერიოდში და გაყრისას თანაბარი უფლებები აქვთ. შეუღლება შეიძლება მხოლოდ კაცისა და ქალის სურვილისმიერი და სრული თანხმობის შემთხვევაში.

კულტურული უფლებები:

1. ყოველ ადამიანს აქვს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაშითავისუფლად მონაწილეობის, ხელოვნებით ტკბობის, მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობისა და მისი სიკეთით სარგებლობის უფლება;

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაიცვას თავისი მორალური და მატერიალური ინტერესები, რომლებიც მისი ავტორობით შექმნილი მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომების შედეგს წარმოადგენს.

დეკლარაცია ყოველი ადამიანის უფლებად მიიჩნევს — მოითხოვოს სოციალური და საერთაშორისო წესრიგი, რომლის წიაღშიცაა მხოლოდ შესაძლებელი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მთლიანად განხორციელება. ამასთან, ყოველ ადამიანს აქვს ვალდებულებები საზოგადოების წინაშე და მხოლოდ მის წიაღშია შესაძლებელი ადამიანის პიროვნების სრული განვითარება.

აღვნიშნავთ რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მნიშვნელობას, მის ძლიერ მხარეებს, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ აკადემიკოს ლევან ალექსიძეს: „დეკლარაცია არ განსაზღვრავდა იმ გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ადამიანის უფლებათა ხელშეუხებლობას სახელმწიფოების მხრივ. ეს მისი დიდი ნაკლია. ამავე დროს ის ფაქტი, რომ დეკლარაციაში არ მოინახა ადგილი ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპებისათვის, როგორიცაა ერთა თვითგამორკვევის უფლება, ერთა და ხალხთა თანასწორუფლებიანობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლება — გამოიყენონ თავიანთი ენა, იქონიონ სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, უარყოფით დაღს ასვამს ამ სასარგებლო და მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტს"[1].

---

1. ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., 1998, გვ. 206.

შეჯამება. ამგვარად, 1948 წლის 10 დეკემბერს მეორე მსოფლიო ომისაგან სისხლდაწრეტილმა ერებმა ადამიანის უფლებათა დეკლარაცია მიიღეს, უაღრესად საჭირო და ლოგიკური აქტი, რადგან მაშინ ორივე მხრივ, გამარჯვებულისა და დამარცხებულის მხრივ, უპირველეს ყოვლისა ადამიანი დაზარალდა. ადამიანი, რომელიც აბსოლუტურად დაუცველი აღმოჩნდა სამხედრო, პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური ექსპანსიის პირობებში, ადამიანი, რომელსაც წაართვეს ღვთით ბოძებული სიცოცხლე, ადამიანი, რომელიც დააცილეს ოჯახს, ადამიანი, რომელსაც დაუნგრიეს სახლკარი, ადამიანი, რომელსაც შეულახეს ყველა უფლება, ჩაუკლეს ყველა იმედი.

და აი, დიდ ომგადახდილ მსოფლიოში სამართლიანობამ გაიმარჯვა. სწორედ ადამიანის წინაშე ჩადენილმა დანაშაულობებმა განაპირობა ადამიანის უფლებათა დეკლარაციის და შემდეგ სხვა შესაბამისი საერთაშორისო აქტების მიღება.

5. ბავშვთა უფლებების დეკლარაცია

არასრულწლოვანთა უფლებები განსაზღვრულია ისეთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები (სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ), ასევე ადამიანთა უფლებების შესახებ სხვა საერთაშორისო დოკუმენტები. მიღებულია საერთაშორისო აქტები და კონვენციები ბავშვთა უფლებების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია 2002 წლის 8-10 მაისს მიეძღვნა ბავშვთა საკითხებს. სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია. ამ სამიტზე 71 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურმა ხელი მოაწერა ბავშვთა სიცოცხლის დაცვისა და განვითარების მსოფლიო დეკლარაციას. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ბავშვების ინტერესებისათვის გლობალური ძალისხმევა 10 პრინციპს ეყრდნობა, რომელთაგან უმთავრესი

გულისხმობს ვალდებულებებს ბავშვთა სიკვდილის აღმოფხვრის, მათი განათლების უზრუნველყოფის, ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის, აგრეთვე, ბავშვთა შეიარაღებული კონფლიქტებისაგან არიდებისათვის. საგანგებო სესიაზე მიიღეს 10 წლისათვის გაანგარიშებული სამოქალაქო პროგრამა შესაბამისი ადამიანური და ეკონომიკური რესურსების მობილიზაციისათვის.

სესიაზე აღინიშნა, რომ გლობალიზაციის პროცესს, რომელიც უნიკალურ ახალ შესაძლებლობებს სახავს, თან სდევს ახალი გამოწვევებიც. ეს განსაკუთრებით ეხება მსოფლიოს იმ რეგიონებს, სადაც მიმდინარეობს დემოკრატიული გარდაქმნებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული პროცესები, ეს კი განსაკუთრებით მტკივნეულია ბავშვებისათვის. იმ პირობებში, როცა როგორც ადგილობრივი რესურსები, ისე საერთაშორისო დახმარება შეზღუდულია, ტრანსნაციონალური კორპორაციების, კერძო სექტორის როლი საერთოდ, შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. დღევანდელ მსოფლიოში ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების მრავალფეროვნება საგანგებო მასშტაბს იღებს. ამ მხრივ გამოიკვეთა ბავშვის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფაქტორები: ჯანმრთელობისა და ხარისხიანი საბაზისო განათლების უზრუნველყოფა.

ბავშვთა უფლებების დეკლარაცია მიღებულია 1959 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. იგი განსაზღვრავს ძირითადად ბავშვთა უფლებების ნორმებს. დეკლარაციის მიხედვით „ბავშვები თანასწორნი არიან, ისინი არ უნდა განიცდიდნენ არავითარ დისკრიმინაციას, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ნაციონალური ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ნიშანთა ან სხვა გარემოებათა გამო“ [1].

კანონი უზრუნველყოფს ბავშვის დაცვას, მას უნდა მიენიჭოს უფლება, ჰქონდეს სახელი და მოქალაქეობა, ბავშვი უნ -

1. ბავშვთა უფლებათა დეკლარაცია. იხ. წიგნში „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (სახელმძღვანელო მასალა მასწავლებელთათვის)“. 1993.

და სარგებლობდეს სოციალურ უზრუნველყოფის ყველა სიკეთით, იგი, დედასთან ერთად, საჭიროებს სპეციალურ მზრუნველობას, რაც აუცილებელია მისი ჯანმრთელობისათვის. აქ იგულისხმება მშობიარობამდელი და მშობიარობის შემდგომი მოვლაც. ბავშვის უფლებებს მიეკუთვნება სათანადო კვება, ბინა, გართობა და სამედიცინო მომსახურება.

დეკლარაციის მიხედვით, ბავშვი, რომელიც არასრულწლოვანია ფიზიკურად, ფსიქიკურად ან სოციალურად, უზრუნველყოფილი უნდა იყოსსპეციალური რეჟიმით, განათლებითა და ზრუნვით, რაც აუცილებელია მისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო.

ბავშვთა უფლებათა დეკლარაციის თანახმად: ბავშვს მისი სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის სჭირდება სიყვარული და გაგება, თუ ამის შესაძლებლობა არის, იგი უნდა იზრდებოდეს თავისი მშობლების მფარველობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ. გარდა განსაკუთრებული ვითარებისა, მცირეწლოვანი ბავშვი არ შეიძლება მოსწყვიტონ დედას; საზოგადოებას და ხელისუფლებას ევალებათ განსაკუთრებით იზრუნონ იმ ბავშვებზე, რომელთაც არა აქვთ ოჯახი ან არსებობისათვის საჭირო სახსრები. დეკლარაციის შესაბამისად, სასურველია, რომ მრავალშვილიან ოჯახებს მიეცათ სახელმწიფო და სხვა დახმარება ბავშვების შესანახად.

დეკლარაცია ხაზგასმით აღნიშნავს (პრინციპი 7) ბავშვის განათლების მიღების უფლებას, რომელიც უნდა იყოს უფასო და სავალდებულო, დაწყებითი მაინც. მას უნდა მიეცეს განათლება, რომელიც ხელს შეუწყობს მის კულტურულ აღზრდას, განუვითარებს ნიჭს და აქცევს საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანად. მასში ნათქვამია: „ბავშვის ინტერესთა უზრუნველყოფა უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპი იმათთვის, ვისაც აკისრია პასუხისმგებლობა მისი განათლებისათვის. ეს პასუხისმგებლობა, უპირველესად, ეკისრებათ მშობლებს. ბავშვს სრული შესაძლებლობა უნდა მიეცეს თამაშისა და გართობისათვის. საზოგადოებისა და ხელისუფლების ორგანოების ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ამ უფლების განხორციელების ხელშეწყობისაკენ.

დეკლარაციის თანახმად, ბავშვი ყველა ვითარებაში უნდა იყოს მათ შორის, ვინც უპირველესად უნდა მიიღოს დაცვა და დახმარება. ბავშვი დაცული უნდა იყოს ყველა ფორმის გაუფრთხილებელი დამოკიდებულებისაგან, უსულგულობისა და ექსპლოატაციისაგან. იგი არ უნდა იქცეს ვაჭრობის ობიექტად. არ შეიძლება ბავშვის მიღება სამუშაოზე ასაკობრივი მინიმუმის მიღწევამდე. მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაევალოს და არც ნება დაერთოს შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც საზიანო იქნება მისი ჯანმრთელობის ან განათლებისათვის. ანდა შეაფერხებს მის ფიზიკურ, გონებრივ ან ზნეობრივ განვითარებას.

დეკლარაცია 10 პრინციპისაგან შედგება. მეათე პრინციპის მიხედვით: „ბავშვი უნდა იზრდებოდეს ურთიერთგაგების, მოთმინების, ხალხთა შორის მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის სულისკვეთებით. ბავშვი არავინ უნდა წააქეზოს სხვათა მიმართ ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან სხვა ფორმის დისკრიმინაციისათვის, იგი უნდა აღვჭურვოთ იმის შეგნებით, რომ მისი ენერგია და უნარი მიეძღვნას ადამიანისათვის სასარგებლო სამსახურს“.

საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით ყველაფერი კეთდება ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებისათვის. მაგრამ ამ დარგში მაინც ბევრი პრობლემა და გადაუწყვეტი საკითხია.

6. ბავშვთა უფლებათა კონვენცია

ბავშვთა უფლებათა კონვენცია ერთხმად მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ (1989 წ.). ამ უფლებათა განხორციელებას მრავალი საუკუნე დასჭირდა. კონვენციაში გაანალიზებულია ბავშვთა უფლებათა დასაცავად საუკუნეების მანძილზე გაწეული მუშაობისა და ბრძოლის შედეგები, გათვალისწინებულია დიდ მოაზროვნეთა ნააზრევი, დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ამ პრობლემას ეძღვნება.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში შედგენილ იქნა ნუსხა ბავშვთა უფლებებისა და აღიარებულ იქნა, რომ ყველა ადა-

მიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. ისინი დაადასტურა მსოფლიო საზოგადოებამ.

კონვენცია მრავალი წლის შესწავლის, გამოკვლევის, განხილვის, მთავრობათა, გაეროს ბავშვთა ფონდის და სხვა ორგანიზაციების მოლაპარაკებათა ნაყოფია. იგი ამკვიდრებს ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ ცხოვრებაზე ბავშვთა უფლებებს. კონვენცია რატიფიცირებულია 200-ზე მეტი ქვეყნის მიერ. გასაგებია, როდესაც ქვეყანა რატიფიკაციას უკეთებს კონვენციას, ის იღებს ვალდებულებას განახორციელოს მისი დებულებანი, ამ მიზნით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო იღებს კანონებს, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება ქმნის სახელმწიფო დაწესებულებებს ბავშვთა უფლებების დასაცავად. ეს მიუთითებს კონვენციის მასშტაბებსა და მნიშვნელობაზე.

ბავშვთა უფლებათა კონვენცია თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მასში ჩამოყალიბებული დებულებები სახელმძღვანელოა მთავრობებისა და საკანონმდებლო ორგანიზაციებისათვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, აღმასრულებელი დაწესებულებებისათვის.

კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის ძირითადი პრინციპები, მის მიერ მიღებული პაქტებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა საქმიანობისათვის. კონვენციაში დადასტურებულია, რომ ბავშვები თავიანთი უსუსურობის გამო, საჭიროებენ მზრუნველობასა და დაცვას. მასში ძირითადი აქცენტი გადატანილია ბავშვისადმი ოჯახისა და სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობაზე, მისი ინტერესების დაცვაზე.

კონვენციაში განსაზღვრულია ბავშვის ცნება. ბავშვად ცნობიერდება ის პირი, ვისაც არ შესრულებია თვრამეტი წელი. იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ეროვნული სახელმწიფოების კანონების შესაბამისად სრულწლოვანად ითვლება უფრო ადრეული ასაკი.

ყველა უფლება ვრცელდება უკლებრივ ყველა ბავშვზე. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან და მიიღოს ყველა ზომა მისი უფლებების დაცვისათვის.

კონფერენციის თანახმად, ბავშვის მიმართებაში ყველა მოქმედება უნდა ითვალისწინებდეს მის ინტერესებს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი მეურვეობა და მზრუნველობა ბავშვზე. მისი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, თუ მშობლები თავს არიდებენ ბავშვის აღზრდის მოვალეობებს.

სახელმწიფო ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს იმ უფლებების განხორციელებისათვის, რომლებიც აღნუსხულია კონვენციაში.

სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მშობლების უფლებებს და მოვალეობებს ბავშვთა აღზრდის საქმეში, დაეხმაროს მათ. მშობლები მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის. არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ეკისრებათ მათ მშობლებს.

ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება და სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის ჯანმრთელობა და მისი განვითარება.

კონვენციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას, ხოლო საჭირო შემთხვევაში აღადგინოს, ბავშვის ინდივიდუალობის ძირითადი მომენტები: სახელი, მოქალაქეობა, ოჯახური კავშირი. ბავშვს უფლება აქვს იცხოვროს თავის მშობლებთან, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. ბავშვს აქვს აგრეთვე უფლება შეინარჩუნოს კავშირი ორივე მშობელთან, თუ იგი დაშორებულია ერთ-ერთი მათგანისაგან ან ორივესთან.

ბავშვს და მის მშობლებს უფლება აქვთ დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის თავისიც, და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში ბავშვისა და მშობლების ხელახლა შეერთების ან პირადი ურთიერთობის შენარჩუნება-განმტკიცების მიზნით.

სახელმწიფო ვალდებულია აიცილოს ბავშვის გატაცება ან დაკავება საზღვარგარეთ ერთ-ერთი მშობლის ან მესამე პირის მიერ, ამასთან მოვალეა მიიღოს ზომები მსგავს შემთხვევაში.

კონვენციის მიხედვით, ბავშვს აქვს თავისი შეხედულებების გამოხატვის, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნებულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში, ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით. აღსანიშნავია, რომ კონვენცია უფლებას აძლევს ბავშვს გაერთიანდეს ასოციაციაში ან შექმნას იგი.

კონვენციის შესაბამისად, ბავშვის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა, ყოველ ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

კონვენცია განსაზღვრავს მშობლების პასუხისმგებლობას. მშობლებს ერთობლივად ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდაზე, ხოლო მათ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო. სახელმწიფომ მშობლებს უნდა აღმოუჩინოს დახმარება ბავშვის აღზრდაში.

სახელმწიფოს მოვალეობად მიჩნეულია ბავშვის დაცვა ნებისმიერი ფორმის არაკეთილსინდისიერი მოპყრობისაგან, მშობლებისაგან თუ სხვა პირებისაგან, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდაზე, საჭიროა შეიქმნას სპეციალური პროგრამები, რომლებიც აღკვეთენ ბოროტმოქმედებას და უზრუნველყოფენ დაშავებულის მკურნალობას.

კონვენცია სახელმწიფოს მოვალეობად თვლის — უზრუნველყოს სოციალური დაცვა იმ ბავშვებისა, რომლებიც მოკლებულნი არიან ოჯახურ გარემოს. დასაშვებია მათი მოთავსება შესაბამის საბავშვო დაწესებულებებში.

იმ ქვეყნებში, სადაც შვილად აყვანა დაშვებულია, შეიძლება გაშვილება ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. იგი უნდა განხორციელდეს ხელისუფლების თანხმობით და ბავშვებისათვის საჭირო გარანტიებით.

კონვენცია ინვალიდ ბავშვებს აძლევს განსაკუთრებული მოვლის, განათლების მიღების უფლებას. იმის უფლებას, რომ მათი მომზადება დაეხმარება ღირსეული და სრულყოფილი ცხოვრებისათვის პირობების შექმნაში. ამ პირობებმა უნდა უზრუნველყონ მათი მაქსიმალური დამოკიდებულება და სოციალური ინტეგრაცია.

ბავშვს აქვს სამედიცინო დახმარების უფლება. იგი უნდა შეესაბამებოდეს უმაღლეს სტანდარტებს. სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველი სამედიცინო დახმარების გაწევას, დაავადებათა პროფილაქტიკას, სანიტარიულ პროპაგანდას და ბავშვის სიკვდილიანობის შემცირებას. კონვენცია ანიჭებს ბავშვს სოციალური უზრუნველყოფის სიკეთით სარგებლობის უფლებას. აქ იგულისხმება სოციალური დაზღვევაც.

თითოეულ ბავშვს აქვს უფლება გააჩნდეს ცხოვრების ისეთი დონე, რაც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. ბავშვის ცხოვრების დონის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს. სახელმწიფოს მოვალეობაა შექმნას შესაბამისი პირობები ამ პასუხისმგებლობის რეალიზაციისათვის, ამასთანავე სახელმწიფო ვალდებულია აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება მშობლებსა და მათ ბავშვებს.

კონვენციის მიხედვით, ყოველ ბავშვს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უნდა იყოს უფასო. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. უმაღლესი განათლება უნდა იყოს ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარისამებრ. განათლება უნდა დაეხმაროს ბავშვს ტალანტის, გონებრივი და ფიზიკური მონაცემების გამოვლენასა და განვითარებაში. განათლებამ უნდა მოამზადოს ბავშვი აქტიური ცხო ვრებისათვის, აღზარდოს მას-

ში პატივისცემა მშობლებისადმი, კულტურული ღირებულებისადმი, ტრადიციებისა და ეროვნული თავისებურებისადმი.

კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები სცნობენ ბავშვის უფლებას — დაიცვას ეკონომიკური ექსპლოატაციისაგან, აგრეთვე ნებისმიერი სამუშაოსაგან, რომელიც შეიძლება საშიში აღმოჩნდეს მისი ჯანმრთელობისათვის ან ხელი შეუშალოს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, ზენობრივ და სოციალურ განვითარებას.

კონვენციამ საჭიროდ მიიჩნია სახელმწიფოებმა:

1. დააწესონ მინიმალური ასაკი ბავშვის სამუშაოზე მიღებისათვის;

2. განსაზღვრონ აუცილებელი მოთხოვნები სამუშაო დღის ხანგრძლივობაზე, ბავშვის შრომის პირობებზე, საქმიანობის ხასიათზე.

ბავშვებს აქვთ არაკანონიერი ნარკოტიკული საშუალებებისაგან, ფსიქოტროპული ნივთიერებების, ასეთივე ნივთიერებების წარმოებისა და მათი ვაჭრობის გამოყენებისაგან დაცვის უფლება. ასევე სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი სექსუალური ექსპლოატაციისაგან და შეცდენისაგან, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიისაგან.

არც ერთი ბავშვის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი, არაკანონიერი დაპატიმრება და თავისუფლების აღკვეთა. სახელმწიფოს ვალდებულებაა ყველა ღონისძიებით აიცილოს ბავშვების გატაცება, ბავშვებით ვაჭრობა და კონტრაბანდა.

კონვენციით აკრძალულია 18 წლის ასაკის ბავშვის სიკვდილით დასჯა. ბავშვი, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, გამოცალკევებული უნდა იყოს მოზრდილებისაგან, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ასეთი გამოცალკევება უარყოფითად მოქმედებს არასრულწლოვანის აღზრდაზე. დაკავებულ ბავშვს უფლება აქვს მოითხოვოს სამართლებრივი და სხვა დახმარება, აგრეთვე კონტაქტები ოჯახთან.

კონვენცია განსაზღვრავს აგრეთვე ლტოლვილთა, ომის და შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეთა უფლებებს,

გარდა აღნიშნულისა, კონვენცია იძლევა გარანტიებსაც ამ უფლებათა შასრულებისათვის.

საქართველო 1994 წლის 21 აპრილს შეუერთდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ ბავშვთა უფლებათა კონვენციას.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრისი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის ინფორმაციისა და სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული მასალების, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციებისა და მასალების მისაწვდომობას, რომელთა მიზანია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობის, აგრეთვე, ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები:

1. წაახალისებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იმ ინფორმაციისა და მასალების გასავრცელებლად, რომლებიც სასარგებლოა ბავშვისათვის სოციალური და კულტურული თვალსაზრისით;

2. წაახალისებენ საერთაშორისო თანამშრომლობას სხვადასხვა კულტურულ, ეროვნულ და საერთაშორისო წყაროებიდან ასეთი ინფორმაციისა და მასალების მომზადებაში, გაცვლასა და გავრცელებაში;

3. წაახალისებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობს.

მნიშვნელოვანია კონვენციის 37-ე მუხლი, რომლის შესაბამისად „მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს მათ მიმართ გამოყენებულ ბავშვთან დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებსა და უზრუნველყონ მათი დაცვა"[1]. ამ მიზნით:

---

1. ბავშვთა უფლებათა დაცვა, საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო აქტების კრებული, თბ., 2002, გვ. 56.

1. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წელს მიუღწეველი პირები პირდაპირ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში;

2. მონაწილე სახელმწიფოები თავს იკავებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებში ყველა იმ პირის გაწვევისაგან, რომელსაც არ მიუღწევია 15 წლის ასაკისათვის. 15 წელს გადაცილებულთა რიცხვიდან, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ შეკრების დროს უპირატესობა მისცენ უფრო ასაკოვან პირებს.

კონვენციის მიხედვით (მუხლი 39, ნაწილი 2), ყოველ ბავშვს, რომელმაც დაარღვია სისხლის სამართლის განონმდებლობა ან ბრალად ედება მისი დარღვევა, აქვს შემდეგი გარანტიები:

1. უდანაშაულობის პრეზუმფცია, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის თანახმად;

2. დაუყოვნებლივი და უშუალო, საჭიროების შემთხვევაში, მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით ინფორმირება მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ და სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება თავის დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის;

3. კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის მდგომარეობის დროს განსახილველ საკითხზე დაუყოვნებლივი გადაწყვეტილებების მიღება კანონის შესაბამისად ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით, თუ კი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, მისი ასაკის, მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინაბით;

4. ძალდატანებისაგან თავისუფლება მოწმის ჩვენების მიცემისას ან დანაშაულის აღიარებისას;

5. თუ ითვლება, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საქმის განმეორებით განხილვა ზემდგომი, კომპენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ კანონის და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიებების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

6. თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ბავშვს არ ესმის ან ვერ ლაპარაკობს გამოყენებულ ენაზე;

7. მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის სტადიაზე.

7. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი

იმის გამო, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მხოლოდ ნაწილობრივ განსაზღვრავდა იმ გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ადამიანის უფლებათა ხელშეუხებლობას სახელმწიფოს მხრივ, გენერალურმა ასამბლეამ 1966 წლის დეკემბერში მიიღო ორი პაქტი: 1. საერთაშორისო პაქტი ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; 2. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. სახელმწიფოებმა ამ პაქტებით აიღეს ვალდებულება უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის განხორციელება რაიმე დისკრიმინაციის გარეშე.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეის სესიაზე 1966 წლის 16 დეკემბერს. იგი შედგება ექვსი ნაწილისა და 53 მუხლისაგან.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ითვალისწინებს სახელმწიფოთა მხრიდან ყველა საშუალების გამოყენებას, რათა არ დაუშვას ადამიანის ისეთი უფლებების დარღვევა, როგორიცაა: ადამიანის წამება და მის მიმართ სასტიკი, არაადამიანური და ან ღირსების დამამცირებელი მოქმედება; მონობა; დაიცვას პიროვნების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის, აღკვეთილ პირთა, თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებები; უზრუნველყოს სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე თანასწორუფლებიანობის, აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; აიკრძალოს ომისა და რასობრივი პროპაგანდა; დაიცვას კრებების მოწვევისა და პროფკავშირების შექმნის უფლებები, ოჯახის და

ბავშვის სტატუსი, თითოეული მოქალაქის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისუფალი მონაწილეობის უფლება. ყოველი ადამიანის ყოველგვარი დისკრიმინაციის დაუშ ვებლობა.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისად, სახელმწიფოში შეიძლება შემოღებულ იქნეს საგანგებო წესები და ამით ერთგვარად შეიზღუდოს ადამიანის უფლებები. ამის შესახებ საერთაშორისო პაქტში აღნიშნულია: „სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როცა ერის სიცოცხლე საფრთხეშია და ეს ოფიციალურად გამოაცხადეს, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ თავიანთ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, და განახორციელონ ღონისძიებანი იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან და მათ არ მოჰყვება დისკრიმინაცია მხოლოდ და მხოლოდ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა თუ სოციალური წარმოშობის საფუძველზე".

დადგენილია, რომ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, გაეროს გენერალური მდივნის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამ პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელ დებულებებს გადაუხვია და რა მიზეზებმა მიაღებინეს ასეთი გადაწყვეტილება, იმავე შუამავლის საშუალებით მან უნდა შეატყობინოს აგრეთვე თარიღი, როცა შეწყვეტს ასეთ გადახვევას.

ორივე საერთაშორისო პაქტის პირველი მუხლი აცხადებს ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. მათში ნათქვამია (მუხლი 1): „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ გავითარებას".

საერთაშორისო პაქტში აღნიშნულია, რომ ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრენი და რესურსები ისე, რომ

ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლობის პრინციპზე და - ფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობიდან და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას, „არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის“ — ნათქვამია პაქტში.

პაქტის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს კანონის თანასწორი დაცვის უფლება. ამ მხრივ ყოველგვარი დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს კანონით და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტიან დაცვას.

პაქტის მიხედვით, არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური და უკანონო ჩარევა თავის პირად თუ ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებელის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა. თითოეულ ადამიანს, სადაც უნდა იყოს იგი, აქვს უფლება, რომ ცნონ მისი სუბიექტობის უფლება. მეშვიდე მუხლში აღნიშნულია: „არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოქცევასა თუ სასჯელს. კერძოდ, არც ერთ პირზე, თუ არ იქნა მისი თანხმობა, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება“.

პაქტი მოითხოვს ყველა თავისუფლება-აღკვეთილ პირს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. „თითოეულ ადამიანს, — ნათქვამია მე-9 მუხლში, — აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, არავინ არ შეიძლება თვითნებურად დააპატიმრონ ან პატიმრობაში აიყვანონ, არავის არ შეიძლება თავისუფლება აღკვეთოთ სხვაგვარად, თუ არა ისეთ საფუძველზე და ისეთი პროცედურის შესაბამისად, რომლებიც კანონით არის დაწესებული, თითოეულ დაპატიმრებულს დაპატიმრების დროს ეუბნებიან მისი დაპატიმრების მიზეზებს და სასწრაფო წესით ატყობინებენ, თუ რა ბრალდებას უყენებენ“.

პაქტი აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას დაუბრკოლებლად ჰქონდეს საკუთარი აზრი. მეცხრამეტე მუხლში ნათქვამია: „თითოეულ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესის და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით".

პაქტი ითითხოვს ომის ყოველგვარი პროპაგანდის აკრძალვას კანონით, ამასვე მოითხოვს ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური შუღლის სასარგებლოდ ყოველგვარი გამოსვლის მიმართ.

პაქტის 21-ე მუხლი აღიარებს მშვიდობიანი კრების უფლებას. ამასთან განსაზღრავს ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვას. მასში ნათქვამია: „ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება კანონს და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვისა თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის".

პაქტის 27-ე მუხლის მიხედვით იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას ეკუთვნიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მისი წესები, აგრეთვე ილაპარაკონ დედაენაზე.

საყურადღებოა საერთაშორისო პაქტის 24-ე მუხლი: „1. თითოეულ ბავშვს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, თუ დაბადების გამო ყოველგვარი დასკრიმინაციის გარეშე აქვს უფლება დაცვის ისეთ ღონისძიებებზე, რომლებმაც მას, როგორც მცირეწლოვანს, უნდა გაუწიოს მისმა ოჯახმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ. 2. თითოეული ბავ-

შვი რეგისტრირებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ დაბადების შემდეგ და ჰქონდეს სახელი. 3. თითოეულ ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება".

ამ მუხლის პირველი პუნქტი აკისრებს ოჯახს, საზოგადოებას და სახელმწიფოს მოვალეობას განახორციელოს დაცვის ისეთი ზომები, რომელსაც ითხოვს ბავშვის, როგორც არასრულწლოვანის სტატუსი, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

დაცვის ზომის ქვეშ იგულისხმება ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სპეციალური ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ზომები, რაც დაკავშირებულია, კერძოდ, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებასთან, ბავშვთა შორის შიმშილობის აღმოფხვრასთან, მათ მიმართ სასტიკი და არაადამიანური დამოკიდებულების, მათი სამუშაო ძალის ექსპლოატაციის და პროსტიტუციის აღკვეთასთან, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გადაზიდვის საშუალებად მათ გამოყენებასთან და ა. შ.

ცალკე უნდა ითქვას ბავშვის უფლებების დაცვაზე მართლმსაჯულების სფეროში. იგი მოიცავს შემდეგ ზომებს: სასჯელის განსაკუთრებული ზომა — სიკვდილდით დასჯა არ შეიძლება დაენიშნოს პირს 18 წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, სასამართლო გადაწყვეტილება მათ საქმეებზე მიღებულ უნდა იქნას რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში; მსჯავრდებული არასრულწლოვანები სასჯელს უნდა იხდიდნენ სრულწლოვანებისაგან განცალკევებულად; არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლო სამსჯავრო განხილვა შეიძლება დახურულად ჩატარდეს.

ბავშვის რეგისტრაციის აუცილებლობა დაკავშირებულია მისი როგორც პიროვნების სამართლებრივი სტატუსის, სამართალსუბიექტობის ცნობასთან, სამართლებრივი ინდივიდუალობის აღიარებასთან. ბავშვის რეგისტრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სამართლებრივ სფეროში არის ბავშვის გატაცების და ბავშვით ვაჭრობის შემცირების ხელშეწყობა ან ბავშვთან მოპყრობის სხვა ისეთი ქმედებების აღკვეთა, რაც შეუთავსებელია საერთაშორისო პაქტთან.

ბავშვის უფლება მოქალაქეობის მიღებაზე — უზრუნველყოფს იმას, რომ პირი არ დარჩეს სახელმწიფოსაგან დაუცველი, ვინაიდან სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი ქვეშევრდომი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, ამიტომ, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა, როგორც შიდა სახელმწიფო, ისე სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რომ მათ ტერიტორიაზე ყოველი დაბადებული ბავშვი იყოს რეგისტრირებული, ისევე როგორც მისი ქვეშევრდომი. ამ თვალსაზრისით შიდასახელმწიფო კანონმდებლობით არავითარ დისკრიმინაციას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ქორწინებისმიერ ბავშვებს, ქორწინების გარეშე ბავშვებს, მოქალაქეობის არ მქონე მშობლების ბავშვებს და იმ ბავშვებს შორის, რომელთა მშობლები სხვა მოქალაქეობისანი არიან.

8. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი

პაქტი მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე 1966 წლის 16 დეკემბერს. იგი შედგება ხუთი ნაწილისა და 36 მუხლისაგან.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ითვალისწინებს ისეთი უფლებების აღიარებას და გარანტიას, როგორიცაა შრომის უფლება; შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები თანასწორი შრომისათვის თანასწორი ანაზღაურების ჩათვლით; პროფკავშირების შექმნა და მათში მონაწილეობა; სოციალური უზრუნველყოფის უფლება სოციალური დაზღვევის ჩათვლით; განათლების უფლება; ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება; უფლება — ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე და სხვა. პაქტი ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს ოჯახისა და დედობის დაცვის მიზნით.

პაქტი აღიარებს მონაწილე სახელმწიფოთა უფლებას თითოეულს გააჩნდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, მათ შორის, კერძოდ, ანაზღაურება, რომელიც

ყველა მშრომელისათვის როგორც მინიმუმს უზრუნველყოფს: 1. სამართლიან ხელფასს და თანაბარ ანაზღაურებას თანაბარი შრომისათვის რაიმე განსხვავების გარეშე. ამასთან, კერძოდ, ქალებისათვის გარანტირებული უნდა იყოს შრომის ისეთი პირობები, რომლებიც მამაკაცთა შრომის პირობებზე უარესი არ იქნება, და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურება; 2. მათი და მათი ოჯახების დამაკმაყოფილებელი არსებობა პაქტების დებულებათა შესაბამისად; 3. უსაფრთოებისა და ჰიგიენის მოთხოვნების შესაბამისი შრომის პირობები; 4. ყველასათვის ერთნაირი შესაძლებლობა სამუშაოზე დაწინაურდეს შესაბამის უფრო მაღალ საფეხურზე მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კვალიფიკაციის საფუძველზე; 5. დასვენება, თავისუფალი დრო და სამუშაო დროის გონივრული შეზღუდვა და პერიოდული ანაზღაურებული შვებულება, ისევე როგორც ანაზღაურება უქმე დღეებისათვის.

პაქტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოჯახის პრობლემებს. მასში აღნიშნულია: 1. ოჯახს, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობისდაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და სანამ ეკისრება პასუხისმგებლობა და ზრუნვა ბავშვებსა და მათი აღზრდისათვის, ვიდრე ისინი დამოუკიდებელი გახდებოდნენ. ქორწინება უნდა ხდებოდეს მექორწინეთა თავისუფალი თანხმობით; 2. განსაკუთრებული დაცვა უნდა ჰქონდეთ დედებს, მშობიარობამდე და მის შემდეგ გონივრული პერიოდის მანძილზე. ამ პერიოდის მანძილზე მომუშავე დედებს უნდა ეძლეოდეთ ანაზღაურებული შვებულება ან შვებულება, რომლის დროს მისცემენ საკმარის დახმარებას სოციალური უზრუნველყოფის სახით; 3. დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებებანი უნდა ხორციელდებოდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ, ოჯახური წარმოშობის ნიშნისა თუ რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცული უნდა იყვნენ ეკონომიკური და სოციალური ექსპლოატაციისაგან, მათი ზნეობისა და ჯანმრთელობისათ ვის მავნე ან სიცოცხ-

ლისათვის საშიშ ან სხვა იმ დარგში მათი შრომის გამოყენება, რომელსაც შეუძლია ავნოს მათ ნორმალურ განვითარებას, კანონით უნდა ისჯებოდეს. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნა დააწესონ ასაკობრივი საზღვრები, რომელთა ქვემოთ ბავშვთა ფასიანი შრომის გამოყენება აკრძალულია და კანონით ისჯება.

პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, აღიარებენ რა თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას იყოს თავისუფალი შიმშილისაგან, ინდივიდუალური და საერთაშორისო თანამშრომლობის წესით უნდა ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს, მათ შორის, ასრულებენ კონკრეტულ პროგრამებს, იმისათვის, რომ: 1. გააუმჯობესონ სურსათის წარმოება, მისი შენახვისა და განაწილების მეთოდები, ტექნიკურ-მეცნიერული დონის ფართოდ გამოყენების, კვების პრინციპების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და აგრარული სისტემების ისეთი სრულყოფისა და რეფორმების გზით, რომ მიაღწიონ რესურსების ყველაზე ეფექტიან ათვისებასა და გამოყენებას; 2. უზრუნველყონ სურსათის მსოფლიო მარაგის სამართლიანი განაწილება, როგორც სურსათის იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი ქვეყნების მოთხოვნილებათა შესაბამისად და პრობლემების გათვალისწინებით.

საერთაშორისო პაქტი აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეთ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე, პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა საჭიროა ამ უფლების სრული გამოყენებისათვის განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა: 1. მკვეთრად შობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფისათვის; 2. გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისათვის; 3. ეპიდემიური, ენდემიური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის; 4. ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარებასა და სამედიცინო მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში.

საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა: 1. იკისრეს ვალდებულება პატივი სცენ თავისუფლებას, რომელიც უთუოდ აუცილებელია მეუნიერული კვლევისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის; 2. აღიარეს, რომ დიდად სასარგებლოა მეცნიერებისა და კულტურის დარგებში საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის წახალისება და განვითარება.

საერთაშორისო პაქტების მონაწილე სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და სამოქალაქო უფლებებით.

9. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებები

1949 წლის 5 მაისს ლონდონში შეიკრიბა 10 ევროპული ქვეყანა, რომელმაც გამოაცხადა ევროპის საბჭოს შექმნა. ევროპის საბჭოს მიზნად განისაზღვრა „მის წევრებს შორის რაც შეიძლება მეტი ერთიანობა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამედიცინო, სამართლებრივ და ადმინისტრციულ საკითხებში შეთანხმებების დადების და ერთობლივი მოქმედების გზით და ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლების შემდგომი რეალიზაციის უზრუნველყოფით".

დღეისათვის ევროპის საბჭო გადაიქცა პან-ევროპულ სამთავრობათაშორისო ორაგნიზაციად, რომელიც ითვლის 43 წევრს საქართველოს ჩათვლით.

ევროპის საბჭო თავის საქმიანობას, მათ შორის ადამიანის უფლებათა სფეროში, ახორციელებს სხვადასხვა დონის სტრუქტურების მეოხებით. ასეთებია:

1. მინისტრთა კომიტეტი, რომელიც იღებს აღმასრულებელ აქტებს და წარმართავს მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობას;

2. ექსპერტთა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელიც ასრულებს მინისტრთა კომიტეტის დავალებებს, ადგენს

რეკომენდაციების, რეზოლუციების, კონვენციების და სხვა სამართლებრივი და არასამართლებრივი დოკუმენტების პროექტებს მინისტრთა კომიტეტისათვის;

3. საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც წარმოადგენს ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოს და აერთიანებს წევრი სახელმწიფოების პარლამენტარებს; ის მოწოდებით მიმართავს წევრ-სახელმწიფოებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს;

4. ევროპის ადგილობრივი და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის დამკვიდრებას წევრ სახელმწიფოებში ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე; ადამიანის უფლებების უშუალო დაცვას ახორციელებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

ევროპის საბჭოს ყველა ორგანო თავის საქმიანობაში ადამიანის უფლებების დარგში ეყრდნობა ოთხ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;

2. ევროპის კონვენცია წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღსაკვეთად;

3. ევროპული სოციალური ქარტია;

4. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩაარჩო კონვენცია.

დღეისათვის ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების სფეროში ევროპის საბჭოს საქმიანობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა ინდივიდუალური საჩივრების პროცედურის მექანიზმის გამოყენებით;

2. ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვა დაკვირვების სისტემებისა და სახელმწიფოთა მიერ ამ სფეროში ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის მოსმენით და კოლექტიური საჩივრების განხილვის გზით;

3. თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვა წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის კომიტეტის წევრთა მიერ მათი მონახულების გზით;

4. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობისაკენ მიმართული საქმიანობა,

ბრძოლა რასიზმის, აგრესიული ნაციონალიზმის და მიუტევებლობის წინააღმდეგ;

5. მჭიდრო ურთიერთობა და კონსულტაციები მასმედიასთან, აზრის გამოხატვის თავისუფლების და ადამიანის უფლებების სხვა საკითხებთან დაკავშირებით;

6. ადამიანის უფლებების გაცნობიერება, სკოლებსა და პროფესიულ ჯგუფებში ადამიანის უფლებათა განათლების ხელშეწყობა;

7. ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დასაცავად.

10. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია

ევროპის დონეზე უმთავრესი დოკუმენტია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია, რომელიც ევროპის საბჭომ მიიღო 1950 წლის 4 ნოემბერს, ქალაქ რომში. ამჟამად, კონვენცია რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს ყველა წერი სახელმწიფოს მიერ.

ევროპის კონვენცია აფიქსირებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ ადამიანის მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

ევროპის კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია: „გადაწყდა რა, რომ როგორც ევროპული ქვეყნის მთავრობებმა, რომელთაც აქვთ მსგავსი აზრი და პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის წესის საერთო მემკვიდრეობა, გადადგან პირველი ნაბიჯები, რათა სისრულეში მოიყვანონ საყოველთაო დეკლარაციის მიერ განსაზღვრული უფლებები“[1].

კონვენცია ხუთი ნაწილისა და 66 მუხლისაგან შედგება. დართული აქვს კონვენციის ოქმები. კონვენციის ძირითადი დებულებებია:

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლებას იცავს კანონი. არავინ არ შეიძლება აწამონ ან მოეპყრონ ან დასაჯონ მისი პიროვნული ღირსების დათრგუნვით;

---

1. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა. თბ., 1998, გვ. 43.

2. არავინ არ შეიძლება ცხოვრობდეს მონობაში ან არათავისუფალ მდგომარეობაში, ძალდატანებით არავინ არ უნდა ასრულებდეს იძულებით ან სავალდებულო შრომას;

3. ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება; არავის არ უნდა წაერთვას თავისუფლება;

4. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მისი სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების განსაზღვრის ან მისადმი წარდგენილი ყოველგვარი სისხლის სამართლის ბრალდების წარდგენის დროს, ითხოვოს მისაღები ვადის განმავლობაში დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად და საჯაროდ განხილვა;

5. ყოველ ადამიანს უფლება აქვს პატივი სცენ მის პირად ან საოჯახო ცხოვრებას, საცხოვრებელს, მისი კორესპონდენციის საიდუმლოებას; გარდა ამისა, ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. მას უფლება აქვს თავისუფლად დაიცვას თავისი აზრები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები სახელმწიფო ხელისუფალთა ან სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად;

6. საქორწინო ასაკს მიღწეულ მამაკაცებს და ქალებს უფლება აქვთ დაქორწინდნენ, შექმნან ოჯახი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

ჩამოთვლილ უფლებათა გამოყენება შეუზღუდველია, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისა. ეს კი აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, უწესრიგობათა და დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად. ამ კონვენციაში მითითებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შემთხვევაში „... ყოველი პირის შელახული უფლებანი და თავისუფლებანი უნდა აღადგინოს ეროვნულმა სახელმწიფო ორგანომ (მუხლი 13)".

კონვენციის შესაბამისად, შეიქმნა: 1. ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია; 2. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო.

ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია შედგება იმდენი წევრისაგან, რამდენი სახელმწიფოც მონაწილეობდა მოლაპა-

რაკებაში. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი მოქალაქე. კომისიის წევრებს ირჩევენ ექვსი წლის ვადით.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო შედგება იმდენი მოსამართლისაგან, რამდენი სახელმწიფოც არის ევროპის საბჭოს წევრი. სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი მოქალაქე. სასამართლოს წევრებს ირჩევეს კონსტიტუციური ასამბლეა ხმების უმრავლესობით ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ წარდგენილ კანდიდატთა სიიდან. ყოველი სახელმწიფო წარადგენს სამ კანდიდატს, რომელთაგან სულ ცოტა ორი მისი მოქალაქეა. „კანდიდატები შემკულნი უნდა იყვნენ საუკეთესო მორალური თვისებებით, ჰქონდეთ სათანადო კომპეტენცია უმაღლესი სასამართლო თანამდებობის დასაკავებლად ან წარმოადგენენ აღიარებული ავტორიტეტის მქონე იურისკონსულტებს" (კონვენცია, მუხლი 39, ნაწილი 3) [1]. სასამართლოს წევრებს ირჩევენ ცხრა წლის ვადით.

სასამართლო ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს სამი წლით; შესაძლებელია მათი განმეორებითი არჩევა.

სასამართლოს კომპეტენციაშია განიხილოს ყველა საქმე, რომელიც ეხება ადამიანის ულებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის განმტკიცებას და განხორციელებას და რომლებიც სასმართლოს განსახილველად გადასცეს მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოებმა. კომისიის საქმიანობისა და სასამართლოს ხარჯებს გაიღებს ევროპის საბჭო.

1950 წელს, როდესაც კონვენცია მიიღეს, წამოყენებულ იქნა რამდენიმე წინადადება, რომელთა თაობაზე ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. ამიტომ შეთანხმდნენ დამატებითი დებულებების შემცველი ოქმების (პროტოკოლების) მიღების თაობაზე. 1952 წლიდან დაწყებული მიღებულია 11 შეთანხმება. მათი უმეტესობა პროცედურულ საკითხებს შეეხება, ხოლო ზოგიერთი შეიცავს დამატებით უფლებებს.

---

1. საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ. საერთაშორისო აქტები და კონვენციები. თბ., 1998, გვ. 401.

კონვენციის პირველ ოქმში (დაიდო სტრასბურგში, 1963 წლის 6 მაისს) ხაზი აქვს გასმული ყოველი ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებას — მშვიდობიანად გამოიყენოს თავისი ქონება. გარდა ამისა, ოქმში მითითებულია იმის თაობაზე, არავის არ უნდა ეთქვას უარი განათლების მიღებაზე, სახელმწიფო პატივს უნდა სცემდეს მშობლების უფლებას უზრუნველყონ შვილების იმგვარი განათლება და სწავლა, რომელიც შეესატყვისება მათ რელიგიურ და ფილოსოფურ მოძღვრებას.

ევროპის საბჭოს სახელმწიფოებმა ივალდებულეს — განახორციელონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით იმ პირობებით, რომელებიც უზრუნველყოფს ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვას საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების არჩევის დროს.

მეოთხე ოქმის (სტრასბურგი, 1963 წლის 16 სექტემბერი) მიხედვით:

„1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ეძლევა ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება;

2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის თავის სამშობლო;

3. ეს უფლება უნდა შეიზღუდოს მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული კანონით სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის მიზნით, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების, დანაშაულის აღკვეთის, მოსახლეობის ჯანმრთელობის და ზნეობრივობის დაცვის ან სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“ (მუხლი 2).

ევროპის ადამიანის უფლების კონვენცია ადგენს ორ პროცედურას, რომელითაც წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს კონვენციის ორგანოთა წინაშე მასში აღიარებული უფლებების დარღვევისათვის. ესენია: ინდივიდუალური და სახელმწიფოთაშორისი. აღიარებული უფლებების დაცვის პირველადი პასუხისმგებლობა თვით წევრ ქვეყნებს აკისრიათ ეროვნულ დონეზე.

კონვენციის პირველი და მეცამეტე მუხლების საფუძველზე „კონვენციაში მითითებული უფლებების და თავისუფლებების შელახვის შემთხვევაში, — ყოველი პირის შელახული უფლებანი და თავისუფლებანი უნდა აღადგინოს ეროვნულმა სახელმწიფო ორგანომ“.

11. ევროპის სოციალური ქარტია

ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებანი აისახა ევროპის სოციალურ ქარტიაში. ქარტია ხელმოწერილ იქნა ტურინში 1961 წელს და ძალაში შევიდა 1965 წელს. ქარტიას მიუერთდა ევროპის 23 ქვეყანა. იგი შედგება ოთხი ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში მოცემულია ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და პრინციპების ჩამონათვალი, რომელთაც მონაწილე ქვეყნები თავისი პოლიტიკის მიზნად ისახავენ. ეს უფლებებია: მუშაობის სამართლიანი პირობების, სამართლიანი და საკმარისი ანაზღაურების, ნორმალური ცხოვრების პირობების, ასოციაციის თავისუფლების და ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური დაცვის, სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

მეორე ნაწილი შეიცავს იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეთა მიერ ჩამოთვლილი უფლებების ეფექტიან შესრულებას და მოიცავს ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სპეციალურ ღონისძიებებს თითოეულ ამ უფლებასთან კავშირში.

მესამე ნაწილი გამოხატავს „პროგრესული განხორციელების“ პრინციპს, რომელიც უნდა მიესადაგებოდეს ცალკეულ მონაწილე სახელმწიფოების გარემოებებს.

მეოთხე ნაწილი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ რეგულარული მოხსენებით წარმოდგენაზე დამყარებულ სამონიტორო სისტემას. წარმოდგენილი მოხსენენები განიხილება ევროპის საბჭოს დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტის მიერ, რომლის დასკვნები განიხილება საპარლამენტო ასამბლეის ან სამთავრობო კომიტეტის მიერ. საბოლოოდ, მინისტრთა კომიტეტი, ყველა ამ პროცედურის საფუძველზე წარ-

მოდგენილი დასკვნებით, ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით, შესაბამის მონაწილე ქვეყანას უმზადებს სპეციალურ რეკომენდაციას, რითაც სიტუაციის შეცვლაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს.

სოციალური ქარტიის მიხედვით, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებმა მიზნად დაისახეს შეექმნათ ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანის შემდეგი უფლებების განხორციელებას:

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს გამოკვებოს თავისი თავი შრომით, რომელსაც ირჩევს საკუთარი ნებით;

2. ყოველ მშრომელს უფლება აქვს ჰქონდეს სამართლიანი სამუშაო პირობები, რომლებიც პასუხობენ უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნილებებს;

3. ყოველ მშრომელს აქვს უფლება მიიღოს სამართლიანი გასამსჯელო, რომელიც საჭიროა მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ნორმალური დონის შენარჩუნებისათვის;

4. ყოველ მშრომელს ან მეწარმეს უფლება აქვს თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად თავისუფლად გაერთიანდნენ ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში; დადოს კოლექტიური ხელშეკრულება;

5. ბავშვებსა და მოზარდებს უფლება აქვთ განსაკუთრებულად იყვნენ დაცული იმ ფიზიკური და მორალური ზარალისაგან, რომელიც მათ ემუქრებათ;

6. ორსულობის პერიოდში მომუშავე ქალებს და სხვა მომუშავე ქალებს, გარემოების გათვალისწინებით, უფლება აქვთ მოითხოვონ მათი შრომა სპეციალურად იყოს დაცული;

7. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი მომსახურება პროფესიონალურ-ტექნიკურ ორიენტაციის სფეროში, რომელიც დაეხმარება აირჩიოს მისი ინტერესების და პირადი უნარის შესაბამისი პროფესია; ჰქონდეს შესაბამისი პირობები პროფესიულ-ტექნიკური მომზადებისათვის;

8. ყოველ ადამიანს აქვს უფლება გამოიყენოს ნებისმიერი ზომები, რომელთა მეშვეობით მიაღწევს ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლეს დონეს.

9. ყოველ მშრომელს და მის კმაყოფაზე მყოფ პირს აქვს სოციალური დაზღვევის უფლება;

10. ყოველ ადამიანს, რომელიც არ ფლობს შესაბამის სახსრებს, უფლება აქვს ისარგებლოს სოციალური და სამედიცინო დახმარებით; აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მომსახურებით;

11. არაშრომისუნარიან პირებს აქვთ პროფესიული მომზადების მიღების, შრომითი მონყობის და განსაზღვრულ ადგილზე დასახლების უფლება, მიუხედავად მათი შრომისუნარიანობის წარმომშობი მიზეზისა და ხასიათისა;

12. ოჯახს, რომელიც საზოგადოების ძირითად უჯრედს წარმოადგენს, უფლება აქვს დაცულ იქნეს სოციალურად, სამართლებრივად და ეკონომიკურად მისი ყოველმხრივი განვითარების მიზნით;

13. დედებსა და ბავშვებს, დამოუკიდებლად მათი ოჯახური მდგომარეობისა და ოჯახური კავშირებისაგან, უფლება აქვთ იქონიონ შესაბამისი სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფა[1].

აღსანიშნავია სოციალური ქარტიის დამატება სოციალური ქარტიის მოქმედების სფეროს დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ. ქარტიის თანახმად, „სიკვდილის განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს 18 წლამდე ასაკის პირებმა".

ევროპის სოციალური ქარტია განსაზღვრავს თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებებს. სოციალური ქარტიის დამატების მეათე მუხლის მიხედვით, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ პუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. ამ მუხლში ყურადღებას იქცევს ორი გარემოება: პირველი — იმ შემთხვევაში, როცა არ არის განსაკუთრებული გარემოებანი, მსჯავრდადებულებს ათავსებენმსჯავრდადებულისაგან ცალკე და უწესებენ ცალკე რეჟიმს, რომელიც შეესაბამება არამსჯავრდებულ პირთა სტატუსს; მეორე, არასრულწლოვან ბრალდებულებს ათავსებენ სრულწლოვანებისაგან ცალკე და უმოკლეს ვადაში წარუდგენენ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსატანად.

---

1. საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, 1998, გვ. 431-432.

პენიტენციალური სისტემის პატიმრებისათვის გათვალისწინებულია რეჟიმი, რომლის არსებითი მიზანია მათი გამოსწორება და ახლებული სოციალური აღზრდა. ქარტიის თანახმად, არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს აცალკევებენ სრულწლოვანებისაგან და უწესებენ რეჟიმს, რომელიც შეესაბამება მათ ასაკსა და სამართლებრივ სტატუსს,

ქარტიის შესაბამისად, ყველა პირი თანასწორია სასამართლოს წინაშე, თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიონ კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლოებმა.

1988 წლის 24 ოქტომბერს სოციალურ ქარტიას დაემატა ოქმი, რომლითაც მონაწილე მხარეებს დაეკისრათ ვალდებულება უზრუნველყონ შემდეგი უფლებები:

1. უფლება თანასწორ შესაძლებლობებზე და თანასწორ რეჟიმზე საქმიანობის სახეობის არჩევისას და სამუშაოზე დაქირავებისას;

2. უფლება მუშების ინფორმირებულობაზე და კონსულტაციის მიღებაზე შრომის ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით;

3. უფლება მუშებისა მიიღონ მონაწილეობა თავისი შრომის პირობების განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში;

4. უფლება უფროსი ასაკის პირებისა სოციალურ დაცვაზე.

ევროპის საბჭოში არსებობს სოციალური ქარტიის განხორციელების ორი პროცედურა: პერიოდული მოხსენებები და კოლექტიური საჩივრები

12. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და ადამიანის უფლებები

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის — ჰელსინკის, ვენის, კოპენჰაგენის, პარიზის, ჰელსინკი—2-ის, ბუდაპეშტის, ლისაბონის, სტამბოლის თათბირების დასკვნით აქტებსა

და დოკუმენტებში გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში გაწეული მუშაობის შედეგები და განსაზღვრულია კონკრეტული ამოცანები ამ სფეროში.

1. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის (1975 წ.) დასკვნით აქტში გამოცხადებულია დეკლარაცია პრინციპებისა, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ ერთმანეთთან ურთიერთობაში. ეს პრინციპებია: სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელ უფლებათა პატივისცემა, ძალით ან ძალით დამუქრების გამოუყენლობა; საზღვრების ურღვეობა; სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა; დავის მშვიდობიანი მოწესრიგება; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ხალხთა თანასწორუფლებიანობა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლება; სახელმწიფოთა თანამშრომლობა; საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება. ერთ-ერთ ასეთ პრინციპად დასახელებულია ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლების, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემა.

ჰელსინკის დასკვნითმა აქტმა შეაჯამა საერთაშორისო თანამშრომლობის დარგში გაწეული მეშაობა ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფის სფეროში და ცალკე, ძირითად პრინციპად გამოყო ადამიანის უფლებათა დაცვა. მონაწილე სახელმწიფოებმა შემდეგნაირად განსაზღვრეს ამ პრინციპის მნიშვნელობა:

პირველი, სახელმწიფოები პატივისცემით მოეკიდებიან ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა;

მეორე, ისინი ხელს შეუწყობენ და განავითარებენ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა იმ უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტიან განხორციელებას, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების დამახასიათებელი ღირსებიდან და არსებითი მნიშ-

ვნელობა აქვს პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარებისათვის;

მესამე, ამ ფარგლებში სახელმწიფოები ცნობენ და პატივს სცემენ პიროვნების თავისუფლებას, იწამოს, მარტო ან სხვებთან ერთად, რელიგია ან სარწმუნოება, იმოქმედოს საკუთარი სინდისის კარნახის თანახმად;

მეოთხე, სხელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზე არიან ეროვნული უმცირესობანი, პატივისცემით მოეკიდებიან კანონის წინაშე ასეთ უმცირესობათა წარმომადგენელი პირების თანასწორობის უფლებას, მიანიჭებენ მათ შესაძლებლობას — ნამდვილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით და ამრიგად დაიცავენ მათ კანონიერ ინტერესებს ამ დარგში;

მეხუთე, სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემა არსებითი ფაქტორია მშვიდობის, სამართლიანობის და კეთილდღეობისა, რაც აუცილებელია მათ შორის, ისე როგორც ყველა სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფისათვის;

მეექვსე, ისინი მუდამ პატივისცემით მოეკიდებიან ამ უფლებებსა და თავისუფლებებს თავიანთ ურთიერთობაში და იხმარენ ღონისძიებებს, ერთობლივად და დამოუკიდებლად, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რათა ხელი შეუწყონ მათს საყოველთაო და ეფექტიან პატივისცემას;

მეშვიდე, ისინი ადასტურებენ პირთა უფლებებს იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობანი ამ დარგში და მოიქცნენ მათ შესაბამისად;

მერვე, სახელმწიფოები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ისინი შეასრულებენ აგრეთვე თავიანთ ვალდებულებებს, როგორც ისინი დაწესებულია ამ დარგის საერ-

თაშორისო დეკლარაციებსა და შეთანხმებებში, მათ შორის საერთაშორისო პაქტებში ადამიანის უფლებათა შესახებ [1].

ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპის ქვაკუთხედს წარმოადგენს დებულება, რომელიც კრძალავს იძულებითი ზომების გამოყენებას უცხო სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. ბოლო წლებში ხელმოწერილ იქნა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აქტები, რომლებშიც ადამიანის უფლებათა დაცვას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია.

2. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ვენის 1986 წლის თათბირის შემაჯამებელი დოკუმენტი წარმოადგენს ჰელსინკის დასკვნითი აქტის დებულებათა კონკრეტიზაციას, დეტალიზაციის განვითარებას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის დარგში.

შემეჯამებელ დოკუმენტში განსაკუთრებით გაესვა ხაზი და დაზუსტდა სახელმწიფოთა ვალდებულება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შემდეგი ვალდებულებანი:

1. უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეფექტიანი განხორციელება და ამ თვალსაზრისით სრულყონ თავიანთი კანონები, ადმინისტრაციული წესები, პრაქტიკა და პოლიტიკა;

2. უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებანი იმათთვის, ვინც აცხადებს, რომ მათი უფლებანი და თავისუფლებანი ირღვევა;

3. უზრუნველყონ, რომ უფლება-თავისუფლებათა განმხორციელებელმა და მის ოჯახის წევრებმა არ განიცადონ ამის გამო რაიმე ფორმის დისკრედიტაცია;

4. უზრუნველყონ ადამიანის უფლება, რათა მისი საქმე განხილულ იქნეს სამართლიანად და საჯაროდ, გონივრულ ვადებში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, მათ შორის, უფლება წარადგინოს მტკიცებულებანი და

---

1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, დოკუმენტების კრებული. თბილისი, 1991, გვ. 16-18.

საქმის განხილვაში მონაწილეობდეს მის მიერ არჩეული ადვოკატი;

5. უზრუნველყონ ადამიანის უფლება, რომ მას დროულად, ოფიციალურად და წერილობით შეატყობინონ პასუხი ნებისმიერი აპელაციის გამო, მათ შორის, შესაბამისი იურიდიული დასაბუთებით და ყოველ შემთხვევაში ისე, რომ პიროვნებას შესაძლებლობა ჰქონდეს ეფექტიანად გამოიყენოს სამართლებლივი დაცვის სხვა ხელმისაწვდომი საშუალებები;

6. უზრუნველყონ, რომ არავინ არ იქნეს თვითნებურად დაპატიმრებული, დაკავებული და გადასახლებული, უზრუნველყონ, რომ ციხეში მყოფ და დაპატიმრებულ პირებს ეპყრობოდნენ ჰუმანურად და ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემით; დაიცვან პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები;

7. უზრუნველყონ პიროვნების დაცვა ყოველგვარი ფსიქიატრიული ან სხვაგვარი სამედიცინო ზემოქმედებისგან, აგრეთვე წამებისა და ნებისმიერი დევნისაგან, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს;

8. ეფექტიანად უზრუნველყონ ადამიანთა უფლება — იცოდნენ თავიანთი უფლებამოვალეობანი ამ დარგში და მოიქცნენ მათ შესაბამისად. ამ მიზნით გამოაქვეყნონ და ხელმისაწვდომი გახადონ ყველა კანონი, ადმინისტრაციული წესები და პროცედურა, რომლებიც განეკუთვნება ადამიანის თავისუფლებებს;

9. წაახალისონ სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განვითარებისა და დაცვის საკითხთა განხილვა; უზრუნველყონ თითოეულის უფლება თავისუფლად იმოგზაუროს და იცხოვროს ყოველი სახელმწფოს საზღვრების ფარგლებში და დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის თავისი საკუთარი და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში;

10. შექმნან პირობები თავიანთ ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თავისთავადობის წასახალისებლად; ნებას დართა-

ვენ ყველა ლტოლვილს, ვინც ამას მოისურვებს, უშიშრად დაბრუნდნენ შინ, აკრძალონ წამება და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური და ადამიანის ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და დასჯა, მიიღონ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვა ღონისძიებები ასეთი პრაქტიკის თავიდან აცილებისა და მის გამო დასჯისათვის.

ვენის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა ერთსულოვნად დაგმეს ტერორიზმის ყოველგვარი აქტი, მეთოდი და პრაქტიკა, სადაც და ვის მიერაც უნდა იყოს ჩადენილი. მათ გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება, იღვაწონ ტერორიზმის აღსაკვეთად, როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით.

ვენის თათბირზე მოეწყო ღია და გულახდილი დისკუსია ჰელსინკის დასკვნითი აქტის პრინციპების გამოყენებისა და პატივისცემის საკითხზე, გამოითქვა შეშფოთება იმის გამო, რომ სერიოზულად ირღვევა მთელი რიგი პრინციპები, ინტენსიური და წინააღმდეგობრივი განხილვის ფოკუსში იყო, კერძოდ, საკითხები, რომლებიც განეკუთვნება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას. მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ პრინციპების სრულ პატივისცემას ყველა მათს ასპექტში, არსებითი მნიშვნელობა აქვს მათი ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

3. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის სტოკჰოლმის კონფერენციის მიერ მიღებულ დოკუმენტში „ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებანი და ევროპის უშიშროებისა და განვითარების ზოგიერთი ასპექტი“ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანთა შორის კონტაქტებსა და ამასთან დაკავშირებულ სხვა ჰუმანიტარული ხასიათის საკითხებს. მონაწილე სახელმწიფოებმა საჭიროდ ცნეს გაუმჯობესდეს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და მათი თანამშრომლობა ადამიანური განზომილებად დარგში. საინტერესოა განყოფილება „კონტაქტი ადამიანთა შორის“. მასში ნათქვამია: ისინი დიდად შეუწყობენ ხელს ადამიანთა შორის კონტაქტების განმტკიცებას; მოგზაურობას ინდივიდუალურ ან კოლექ -

ტიურ საფუძველზე პირადული თუ პროფესიული მიზეზებით და ტურისტული მიზნებით. კერძოდ, როგორიც არის დელეგაციებისა და ცალკეული პირების მოგზაურობა. ამ მიზნით ისინი მინიმუმამდე შეამცირებენ ასეთი მოგზაურობის შესახებ შუამდგომლობის განხილვის დროს. ამასთან წაახალისებენ მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის, აგრეთვე მათი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის უშუალოდ პირადი კონტაქტების დამყარებასა და განგრძობას სახელმწიფოთა შორის მოგზაურობისა და ცოცხალი ურთიერთობის სხვა საშუალებების საფუძველზე.

4. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის 1990 წლის თათბირის დოკუმენტში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა, დაკავშირებულია ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესის განვითარებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფასთან.

თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს მხარი დაუჭირონ ყველა სახელმწიფოს მიერ გამოხატულ მისწრაფებას დემოკრატიისა და პლურალისტური სახელმწიფოს იდეალებისაკენ, აგრეთვე, მათს ერთობლივ მზადყოფნას — ააშენონ დემოკრატიული საზოგადოება თავისუფალი არჩევნებისა და კანონის უზენაესობის საფუძველზე. მათ აღიარეს, რომ პლურალისტური დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო წარმოადგენენ აუცილებელ მომენტს ადამიანის ყველა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის, ადამიანებს შორის კონტაქტების განვითარებისა და ამასთან დაკავშირებული სხვა ჰუმანიტარული ხასიათის საკითხების უზრუნველყოფისათვის.

თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს არა უბრალოდ ფორმალურ კანონიერებას, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულობას და თანმიმდევრობას დემოკრატიული წესების დამყარებასა და შენარჩუნებაში, არამედ სამართლიანობასაც, რომელიც ემყარება ადამიანის პიროვნების უმაღლესი ღირსების აღიარებასა და სრულ გაზიარებას და იმ დაწესებულებების

არსებობის გარანტიას, რომლებიც ქმნიან სტრუქტურას და თავის მხრივ უზრუნველყოფენ მის ყველაზე სრულ გამოხატულებას. თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა დაადასტურეს, რომ დემოკრატია სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელი ელემენტია. მათ აღიარეს პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიმართ პლურალიზმის მნიშვნელობა. მათ ყველა ადამიანისათვის თანაბარ და განუყოფელ უფლებათა ელემენტად მიიჩნიეს: 1. თავისუფალი არჩევნები; 2. მართვის წარმომადგენლობითი ფორმა; 3. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ვალდებულება: დაიცვან კონსტიტუცია; 4. სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების შერწყმის დაუშვებლობა; 5. შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის სამოქალაქო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ ყოფნა; 6. კანონების, აგრეთვე ადმინისტრაციული წესების გამოქვეყნება და ხელმისაწვდომობა, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის აუცილებლობა; 7. ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტიანი სამართლებრივი საშუალებები; 8. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და სასამართლოს მიუკერძოებლობა; 9. ადვოკატურის დამოუკიდებლობა. მასში ხაზი აქვს გასმული, რომ ყოველი ადამიანი ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალდება არ იქნება დადასტურებული კანონის შესაბამისად.

კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტში კონკრეტული მითითებებია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის დარგში; მოცემულია სახელმწიფოთა გარანტიები მათი შესრულდებისათვის.

5. თანამედროვეობის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია დეკლარაცია „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის", რომელიც მიღებულია უმაღლესი დონის შეხვედრაზე 1990 წლის ნოემბერში. პარიზის თათბირის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ყველგან იზრდება მნიშვნელობა პლურალისტური დემოკრატიის, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებისადმი საერთო ერთგულებისა, რომლებიც ესოდენ საჭიროა კონტინენტზე მტკიცე უშიშროებისათვის. დეკლარაციაში შემუშავებულია დემოკრატიულ სახელმწიფოთა გაერთიანების შექმნის სახელმძღვანელო პრინციპები.

იმ დროისათვის ჩვენ გავხდით „ცივი ომის“ დამთავრების, ტოტალიტარული რეჟიმის დამხობისა და იმ იდეოლოგიის კრახის მომსწრენი, რომელსაც ისინი ეფუძნებოდნენ. ახლა ყველა ქვეყანას დემოკრატია მიაჩნია თავისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლად. ამით შეიქმნა უკეთესი პირობები ადამიანის უფლებათა დაცვისა და განმტკიცებისათვის.

6. ახალი ვითარების ანალიზი მოცემულია ჰელსინკის უმაღლესი დონის თათბირის 1992 წლის 10 ივლისის დეკლარაციაში „ცვლილებათა ხანის იმედები და პრობლემები“. შეხვედრის მონაწილეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ ჰელსინკის საბოლოო აქტისა და პარიზის ქარტიაში ჩამოყალიბებულ სახელმძღვანელო პრინციპებს და ზოგად ღირებულებებს, რომლებიც განასახიერებენ სახელმწიფოთა ვალდებულებებს თავიანთი ხალხების წინაშე, არ დაუკარგავთ ძალა. ისინი გამოხატავენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის გაერთიანების კოლექტიურ სინდისს. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ადამიანურ განზომილებათა სფეროში ნაკისრი ვალდებულებანი უშუალო და კანონიერ ინტერესს წარმოადგენს ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის და არ არის რომელიმე ერთი სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ შინაური საქმე. ადამიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი განხორციელების ხელშეწყობა, აგრეთვე დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება კვლავ ჩვენი ყოვლისმომცველი უშიშროების საარსებო მნიშვნელობის საფუძველია“[1].

ჰელსინკის გადაწყვეტილებების მიღებით გაფართოვდა მოქმედების კოორდინირების ყოველისმომცველი პროგრამა, რომელიც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს აძლევს დამატებით შესაძლებლობებს, რომ აღკვეთოს დაძაბულობა, ძალადობა და დაძლიოს კრიზისები, რომელთა წარმოქმნა, სამწუხაროდ, მოსალოდნელია. კონფლიქტების პერიოდში უმეტესი საფრთხე ექმნება ადამიანის ელემენტარულ

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წლის 14 ივლისი

მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ადამიანები უზრუნველყოფილი იყვნენ ყოველივე საჭიროთი, ხოლო პუმანიტარული ვალდებულებანი სრულდებოდეს“.

7. ლისაბონისა და სტამბოლის უმაღლესი დონის შეხვედრის დეკლარაციებში კვლავ ხაზი გაესვა ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემას. ლისაბონის თათბირის დეკლარაციაში აღნიშნულია: „ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა დემოკრატიის ჩვენებური კონცეფციისა და პარიზის ქარტიით ნაგულისხმევი დემოკრატიზაციის პროცესის საფუძვლად რჩება. ჩვენ ყველა განზომილების გაძლიერებაში ვითანამშრომლებთ დემოკრატიული ინსტიტუტების განსამტკიცებლად“ [1].

13. ადამიანის უფლებები საერთაშორისო კონვენციებში

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე შემუშავებულ იქნა და შევიდა ძალაში მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციები, რომელთა მიზანია დარაზმონ საერთაშორისო საზოგადოებრიობა ადამიანთა კონკრეტული სახის უფლებების განმტკიცებისა და დაცვისათვის.

1. **გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის დეკემბერში დაამტკიცა კონვენცია გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ**. იგი განსაზღვრავს „გენოციდს როგორც მოქმედებას, რომლის მიზანია მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგუროს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, ან რელიგიური ჯგუფები“, აცხადებს მას საერთაშორისო-სამართლებრივ დანაშაულად და ითვალისწინებს დამნაშავეთა დასჯას. სახელმწიფო მოვალეა მტკიცედ იბრძოლოს გენოციდის პოლიტიკის გამტარებელთა წინააღმდეგ თავისი საზღვრების ფარგლებში, თუ ამ პოლიტიკას თვით სახელმწიფო ახორციელებს, იგი არღვევს საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმას და მისი ხელმძღვანელები წარდგებიან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე.

---

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა, 1996 წლის 7 დეკემბერი.

2. დეკლარაცია და კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ. 1963 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაცია მოუწოდებდა ყველა ქვეყანას უარი ეთქვა რასობრივი დისკიმინაციის ყოველგვარ გამოვლინებაზე. 1969 წელს ძალაში შევიდა ანალოგიური კონვენცია. ამიერიდან რასობრივი დისკრიმინაცია ანუ ყოველი განსხვავება, გამონაკლისობა, შეზღუდვა ან გამორჩევა, რომელიც ეყრდნობა რასობრივ, კანის ფერის, ეროვნულ, ეთნიკურ ნიშნებს და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე დარგში (ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარებას, გამოყენებას ან თანაბარ საწყისებზე განხორციელებას, გაუქმებას ან შეზღუდვას, კანონგარეშე გამოცხადდა.

კონვენცია გმობს არამარტო რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმას, არამედ კანონით დასასჯელ დანაშაულად აცხადებს რასობრივ უპირატესობასა და სიძულვილზე აგებული იდეების ყოველგვარ გავრცელებას, რასობრივი დისკრიმინაციისაკენ წაქეზებას; კონვენცია კრძალავს ისეთი ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ეწევიან რასობრივი დისკრიმინაციის პროპაგანდას ან აქეზებენ მის ჩასადენად. დეკლარაციის მეოთხე მუხლში ნათქვამია: „ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები მთავრობისა და სხვა საჯარო ხელისუფალთა ისეთი პოლიტიკის გადასასინჯად და ისეთი კანონებისა და წესების გასაუქმებლად, რომლებიც წარმოშობენ რასობრივ დისკრიმინაციას, ანდა მას სამარადჟამოდ ამკვიდრებენ იქ, სადაც ის ჯერ კიდევ არსებობს. მათ უნდა გამოსცენ კანონები ასეთი დისკრიმინაციის ასალაგმავად“ 1.

3. ინვალიდდა უფლებების დეკლარაცია. იგი მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1975 წლის 9

---

1. დეკლარაცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის მოსპობის შესახებ (მიღებულია 1963 წლის 20 ნოემბერს), იხილეთ წიგნში: გიორგი ფეანია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში. თბილისი, 1974, გვ. 165.

დეკემბერს. მასში ახსნილია გამოთქმა „ინვალიდი". იგი აღნიშნავს პირს, რომელსაც არ შეუძლია თვითონ უზრუნველყოს მთლიანად ან ნაწილობრივ პირადი ნორმალური ან სოციალური ცხოვრების მოთხოვნილების დაკმაყოფილება ფიზიკური ან გონებრივი არასრულფასოვნების გამო, იქნება ის თანდაყოლილი თუ არა.

დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია ინვალიდთა შემდეგი უფლებები:

1. ინვალიდებს აქვთ საკუთარი ადამიანური ღირსების პატივისცემის უფლება წარმომავლობის, არასრულფასოვნებისა და დაშავებულის ხასიათისა და სიმძიმის მიუხედავად, ინვალიდებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც იმავე ასაკის თანამოქალაქეებს; ინვალიდებს აქვთ იგივე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რაც სხვა პირებს. ინვალიდებს აქვთ უფლება გამოიყენონ ზომები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ მოიპოვონ რაც შეიძლება მეტი დადამოუკიდებლობა;

2. ინვალიდებს უფლება აქვთ ისარგებლონ სამედიცინო, ფსიქიკური ან ფუნქციური მკურნალობით პროთეზული და ორთოპედიული აპარატების მიღების ჩათვლით; აღიდგონონ ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა და მდგომარეობა საზოგადოებაში, მიიღონ განათლება, გაიარონ პროფესიული მომზადება, მიიღონ დახმარება; ინვალიდებს უფლება აქვთ იყვნენ ეკონომიკურად და სოციალურად უზრუნველყოფილნი და ჰქონდეთ ცხოვრების დამაკმაყოფილებელი დონე; ინვალიდებს უფლება აქვთ მათი განსაკუთრებული საჭიროებანი, გათვალისწინებული იყოს ეკონომიკური და სოციალური დაგეგმარების ყოველ სტადიაზე;

3. ინვალიდებს უფლება აქვთ იცხოვრონ საკუთარ ოჯახში ან ისეთ პირობებში, რომლებიც ცვლის ოჯახს და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში, რომელიც შეეხება შემოქმედებას და თავისუფალი დროის გატარებას; ინვალიდები დაცული უნდა იყვნენ ნებისმიერი ექსპლუატაციისაგან, დისკრიმინაციული, შეურაცმყოფელი ან დამამცირებელი რეგლამენტაციისა და მოპყრობის ნებისმიერი ფორმისაგან; ინვალიდებს შესაძლებლო-

ბა უნდა ჰქონდეთ მიიღონ კვალიფიციური იურიდიული დახმარება, როდესაც ეს აუცილებელია მითი პიროვნებისა და ქონების დასაცავად;

4. ინვალიდთა ორგანიზაციებში ჩატარდეს სასარგებლო კონსულტაციები ყველა იმ საკითხზე, რომელიც ეხება ინვალიდთა უფლებებს; ინვალიდები, მათი ოჯახები და ინვალიდთა თემები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული ყველა არსებული საშუალებით დეკლარაციაში გათვალისწინებული უფლებების შესახებ. დეკლარაციის თანახმად, ინვალიდები უნდა სარგებლობდნენ მასში მითითებული ყველა უფლებებით.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში მოქმედებს რამდენიმე სპეციალური დანიშნულების კონვენცია. ესაა კონვენციები და შეთანხმებები მონობისა და მონებით ვაჭრობით აღკვეთის შესახებ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვას. ამ დარგში საერთაშორისო-სამათლებლივი დოკუმენტებიდან აღსანიშნავია: 1. კონვენცია ქალთა პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (მიღებულია 1952 წელს); 2. კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შრომისა და თანაბარი ანაზღაურების შესახებ (მიღებულია 1952 წელს); 3. კონვენცია ქორწინებაში მყოფი ქალის მოქალაქეობის შესახებ (მიღებულია 1957 წელს); 4. კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (მიღებულია 1977 წელს); 5. იუნესკოს ჩარჩოებში მოქმედებს 1960 წელს მიღებული კონვენცია განათლების სფეროში დიკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ; 6. ბავშვთა უფლებების დეკლარაცია (1956 წ.), ბავშვთა უფლებების კონვენცია (1989 წ.) და ა. შ.

გაეროს ორგანიზაციები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება ყველა სახელმწიფოს საშინაო საქმეა, მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოები აღიარებენ საერთაშორისო ორგანოების უფლებას — კონტროლი გაუწიონ მათ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. გაეროს მთავარი ორგანოები, რომლებიც წესდების თანახმად, აღჭურვილნი არიან უფლებით განიხილონ

ადამიანის უფლებათა სიკითხები, არის გენერალური ასამ-ბლეა და ეკონომიკური და სოციალური საბჭო. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების უმრავლესობა განიხილება გე-ნერალური ასამბლეის სესიების დროს. ასამბლეას უფლება აქვს შექმნას დამხმარე ორგანოები, რასაც ის ხშირად აკე-თებს. გენერალური ასამბლეის სესიებს შორის პერიოდში, ადა-მიანის უფლების დარგში, კონკრეტულ ხელმძღვანელობას ეწევა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო.

მთავარ დამხმარე ორგანოს ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში წარმოადგენს ადამიანის უფლებათა კომისია. იგი შე-იქმნა 1946 წელს. კომისია უფლებამოსილია შექმნას სპეცია-ლური სამუშაო ჯგუფი ექსპერტებისაგან, რომლებიც დანიშ-ნულები არ არიან მთავრობათა მიერ. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1956 წლის 26 ივლისის 1074 რეზოლუ-ციით დაწესდა გაეროს წევრ-სახელმწიფოთა მიერ გენერალუ-რი მდივნისათვის პერიოდული მოხსენებების წარდგენა. იგი ხდება სამწლიანი ციკლების მიხედვით. გენერალური მდივანი ამ მოხსენებებს გზავნის ადამიანის უფლებათა კომისიაში. კო-მისია მათ განსახილველად ქმნის სპეციალურ ჯგუფს. ერთდრო-ულად კომისიას ეგზავნება წარდგენილი მოხსენებების ანალი-ზური მიმოხილვა, რომელშიც დასისტემებულია წარმოდგენი-ლი ინფორმაცია. განხილვის შედეგებს ჯგუფი განსახილვე-ლად უგზავნის ადამინის უფლებათა კომისიას. ეს უკანასკნელი კი განხილვის შედეგებს ატყობინებს ეკონომიკურ და სოცია-ლურ საბჭოს კომისიას მოხსენების სახით, რომელიც შეიცავს შენიშვნებს და რეკომენდაციებს.

ასეთი სისტემა საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთ საქმიან და ნაყოფიერ ფორმას წარმოადგენს. მოხსენებე-ბი განიხილება ადამიანის უფლებათა კომისიასა და გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულ-ტურული უფლებების შესახებ, ავალებს პაქტის მონაწილე სა-ხელმწიფოებს, წარუდგინონ გაეროს გენერალურ მდივანს მოხ-სენებები იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ და რას მიაღწიეს ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო დროდადრო ნარუდგენს მოხსენებებს გენერალურ ასამბლეას. მოხსენებებში მოცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები და პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან მიღებული ცნობების მოკლე შინაარსი, რომლებიც ეხება პაქტის აღიარებული უფლებების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებსა და მიღწეულ შედეგებს. მოხსენებათა წარდგენის პროცედურა გათვალისწინებულია იმ პაქტითაც, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ეხება.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა განმტკიცების, განვითარებისა და დაცვის სფეროში საერთაშორისო კონტროლის ისეთი ორგანო, როგორიცაა აამიანის უფლებათა კომიტეტი, როემლიც 1947 წლიდან მუშაობს.

14. ადამიანის უფლებათა დაცვა საქართველოში

თანამედროვე საქართველოს საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედია ადამიანის უფლებათა დაცვა და მასზე დაყრდნობით — ეროვნული თანხმობის კურსი. ამის შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა დაცვის მიზანმიმართული და ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც გულისხმობს, როგორც ადამიანის სიკვდილით დასჯის აკრძალვას, ისე სახალხო დამცველის ინსტიტუტის შექმნას, სამთავრობო და არასამთავრობო სრუქტურების მუშაობას ამ სფეროში, საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობას, სასამართლო რეფორმის განხორციელებას და ა. შ.

საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტიებს იძლევა კონსტიტუციის 43-ე მუხლი, რომლის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც ხუთი წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. კონსტიტუციაში პირველად შეიტანეს სახალხო დამცველის ცნება. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვე -

ვის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. ამასთან ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციაში იმის მითითებას, რომ სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დარკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

საქართველო გაეროს 10 უმთავრესი პაქტისა და კონვენციის მონაწილეა. 1994 წელს საქართველო შეუერთდა ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტებს, აგრეთვე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა ფაკულტატურ ოქმს. იმავე წელს ჩვენი ქვეყანა შეუერთდა წამებისა და ღირსების შემლახავი სხვა სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის წმნააღმდეგ გაეროს კონვენციას, აგრეთვე ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციებს.

1997 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტმა შემოიღო ახალი თანამდებობა — ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა განყოფილება. ეროვნული უშიშროების საბჭოში — კონსტიტუციურ ორგანოში ასეთი რგოლის გაჩენით ხაზი გაესვა ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტულ მნიშვნელობას. საქართველოს ყოველ რეგიონში, გამგეობებში, მერიებში, პოლიციის სამმართველოებსა და განყოფილებებში, პროკურატურის ორგანოებში გამოყვეს პიროვნებები, რომლებიც პასუხს აგებენ ადამიანის უფლებათა დაცვაზე, ამ უფლებების დარღვევების ფაქტების გამოაშკარავებასა და მათ აღმოფხვრაზე. მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა თავისუფალმა პრესამ და ტელევიზიამ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში.

საქართველოს კონსტიტუციის ცენტრში დგას ადამიანი, საქართველოს მოქალაქე, მისი საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები; ადამიანის უფლებებს ეძღვნება კონსტიტუციის მეორე თავი „საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თვისუფლებანი". ამ თავში ჩამოყალიბებულია საქართველოს მოქალაქეთა პოლი ტი-

კური, სამოქალაქო, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფბლებებისა და მოვალეობების ნუსხა და შემუშავებულია ამ უფლებათა დაცვის ვარიანტები.

საქართველოში ადამიანის უფლებათა უპირობო დაცვა ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების პროცესისა და რეფორმათა შეუქცევადობის უმთავრეს გარანტად გამოდის. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ აღიარებულია და პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია თითქმის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

ქრისტიანული რელიგია, რომელიც, ზოგადად, კაცთმოყვარეობის პრინციპებზეა აგებული ისტორიულად, ისევე როგორც დღესაც, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკანონმდებლო ბაზისის როლს ასრულებდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჯერ კიდევ „ოქროს ხანიდან" ჩვენი სხვადასხვა რელიგიების მიმართ დამკვიდრებული ტოლერანტობა. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცესო ინსტიტუტებს, დავით აღმაშენებლის დროს შექმნილი სააჯო კარი, შესაძლოა, დღევანდელი სახალხო დამცველის ინსტიტუტს შევადაროთ. სქართველოს პირველი რესპუბლიკის მიერ მიღებული კონსტიტუცია კი, რომელიც ქვეყნის დღევანდელ კონსტიტუციას დაედო საფუძვლად, აღიარებდა ისეთ უფლებათა მთელ რიგს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაში მოგვიანებით იქნა შეტანილი. ესენია: 1. მოსახლეობის მიწით და ქონებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობები; 2. კავშირების, პოლიტიკური პარტიების, დემონსტრაციების და მიტინგების თავისუფლება; 4. წამების არაჰუმანური და შეურაცმყოფელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა; 5. კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობა; 6. თვითნებური დაპატიმრების, დაკავების და გადასახლების აკრძალვა და სხვა.

კონსტიტუციაში მოცემული იყო ამ უფლებათა დაცვის გარანტიებიც. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით „მოქალაქეთა უფლებათა დარღვევისათვის როგორც თანამდებო-

ბის, ისე კერძო პირი, მიეცემა პასუხისმგებლობაში სისხლის სამართლის კანონების თანახმად"[1].

ბოლო დროს ურთულეს პრობლემად იქცა ქვეყანაში ახალ, არატრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობათა მომრავლება. ხელისუფლება აქ განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს, ვინაიდან ამ საკითხში არ არსებობს საზოგადოებრივი კონსენსუსი. ურთიერთდაპირისპირებული საზოგადოებრივი ჯგუფები ხელისუფლებას უყენებენ სრულიად საპირისპირო, კატეგორიულად ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს; ასეთ ვითარებაში სახელისუფლებო სტრუქტურათა რადიკალური ნაბიჯები შეიცავენ უდიდეს საფრთხეს: ამგვარი მოქმედების შედეგად, საზოგადოებრივი უთანხმოება შეიძლება გადაიზარდოს სამოქალაქო დაპირისპირებად, რაც უდავოდ დამღუპველი იქნება ახლადშობილი, ჯერ კიდევ სუსტი და სათუთი ქართული დემოკრატიისათვის.

***

ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადიდგა ადამიანის ძირითადი უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარებისა და დაცვის თვალსაზრისით. ჰელსინკის თათბირის დასკვნითმა აქტმა შეაჯამა საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფის სფეროში და ცალკე ძირითად პრინციპად გამოყო.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებმა საყოველთაო აღიარება მოიპოეს და მათი განხორციელებისათვის უდიდეს მზრუნველობას იჩენენ სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები. შედეგებიც სასურველია, მაგრამ პრობლემებიც ბევრია.

---

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990. გვ. 464.

გამოყენებული და რეკომენდირებული ლიტერატურა

ძირითადი ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2002.
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; საერთაშორისო პაქტები: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ; ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ; ევროპის სოციალური ქარტია. იხ. წიგნში: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ხელშეკრულებები, აქტები, კონვენციები. თბ., 2002.
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სამართლის სტატუსი, თბ., 2002.
4. ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001.
5. ვახტანგ ქარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები, 1999.
6. დიკ ლეონარდი. ევროკავშირის სახელმძღვანელო. თარგმანი მეშვიდე გამოცემიდან. თბ., 2002.
7. Кольяр К. Международные организации и учреждения. Москва. 1972.
8. Герчикова И. Н. Международные экономические организации, Москва. 2002.

დამხმარე ლიტერატურა:

1. ლევან ალექსიძე, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985.
2. ზურაბ აბაშიძე, ნატო და საქართველო, უტოპიიდან რეალობისაკენ, თბილისი, 2001.

3. გურამ ჯოლია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ., 2002.

4. ანდრო ღვამიჩავა. ევროკავშირი XXI საუკუნის მიჯნაზე, 1998.

5. ლევან ბოძაშვილი. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა. თბ., 1998.

6. დავით ძამუკაშვილი. პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია, თბილისი, 2000.

7. სანდრო ჯორბენაძე. ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 2001.

8. ვასილ ჭყოიძე, ზაზა ჭელიძე. ევროპული ინტეგრაცია და ევროკავშირის ინსტიტუტები. თბ., 1998.

9. ვაჟა კაკაბაძე. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი, ნაწილი პირველი. თბ., 1998.

10. ბიძინა სავანელი, ადამიანის უფლებები, 2001.

11. ზურაბ დავითაშვილი. მსოფლიო ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია. თბ., 2001.

12. ვლადიმერ პაპავა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბ., 2000.

13. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001.

14. ვახტანგ ქარუმიძე. საქართველოს ტურიზმისა და სპორტის სამართალი. თბ., 2001.

15. პოლიტოლოგია, ლექციების კურსი, პროფესორ ომარ გოგიაშვილის რედაქციით. თბ., 2003.

16. Международные организации системы ООН, справочник. Москва. 1994.

17. Дюмулен И. И. Всемирная торговая организация. Москва. 1997.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

თავი პირველი. საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები 8

თავი მეორე. საერთაშორისო ორგანიზაციები და კონფერენციები 27

1. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საგანი, სისტემა 27
2. საერთაშორისო ორგანიზაციები 36
3. საერთაშორისო კონფერენციები 50

თავი მესამე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 60

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედების პრინციპები, მიზნები და ამოცანები 60
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოები 66

თავი მეოთხე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებანი 88

1. სპეციალიზებული დაწესებულების ცნება 88
2. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია 92
3. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 98
4. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო) 101
5. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 109
6. საერთაშორისო საზღვაო ორაგნიზაცია 114
7. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორაგნიზაცია 116
8. საერთაშორისო სავალუტო ფონდი 118
9. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი 127
10. საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია 134

11. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია 136
12. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი 138
13. გაეროს სამრეწველო-განვითარების ორგანიზაცია 139
14. სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია 142
15. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი 145
16. მსოფლიო საფოსტო კავშირი 148
17. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია 150
18. ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირი 152
19. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა 154
20. გაეროს ბავშვთა ფონდი 157

თავი მეხუთე. გაეროს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციები 161
1. გაეროს სისტემის ორგანიზაციები 161
2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია 162
3. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო 168
4. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია 171
5. მსოფლიო სასურსათო საბჭო 172
6. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 173
7. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია 176
8. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია 192
9. საერთაშორისო კავშირი საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების დარგში 197
10. საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები 198
11. იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის საერთაშორისო ორგანიზაცია 203

თავი მეექვსე. საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციები 205
1. გაეროს წესდება რეგიონული ორგანიზაციების შესახებ 205
2. ევროპის საბჭო 210

3. ევროპის კავშირი 224
4. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 233
5. ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია 241
6. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა 259
7. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია 264
8. არაბულ სახელმწიფოთა ლიგა 266
9. აფრიკის ქვეყნების კავშირი 267
10. დუნაის კომისია 269
11. შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია 270
12. გაეროს ევროპის ეკონომიკური კავშირი 274
13. მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო ორგანიზაცია 275
14. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 276
15. სუუამ-ი 279

თავი მეშვიდე. საერთაშორისო არასამთავრობათა-შორისო ორგანიზაციები 282

1.არასამთავრობათშორისო ორგანიზაციის ცნება 282
2. გაეროს ხელშემწყობი ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია 284
3. მშვიდობის მსოფლიო საბჭო 286
4. საპარლამენტთაშორისო კავშირი 287
5. პროფკავშირთა მსოფლიო ფეერაცია 288
6. საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსი 289
7. საერთაშორისო სავაჭრო პალატა 292
8. ეკლესიების მსოფლიო საბჭო 294
9. პენ-კლუბი 295
10. ვენის მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი 296
11. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია 297
12. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია 298

13. საერთაშორისო ამნისტია („ემნისტი ინტერნეიშნლ“) 299
14. საერთაშორისო წითელი ჯვარი 301
15. მსოფლიო პატიმართა თანამეგობრობა 302
16. პაგუოშის მოძრაობა 305
17. პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია 306
18. გაეროს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 307
19. კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტერპოლი) 308
20. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 312

თავი მერვე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტები 328
1. „ადამიანის უფლებათა“ ცნება 328
2. ადამიანის უფლებათა კონცეფცია 338
3. გაეროს წესდება 340
4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 341
5. ბავშვთა უფლებათა დეკლარაცია 346
6. ბავშვთა უფლებათა კონვენცია 349
7. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი 357
8. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშირისო პაქტი 362
9. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებები 365
10. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია 367
11. ევროპის სოციალური ქარტია 371
12. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და ადამიანის უფლებები 374
13. ადამიანის უფლებები საერთაშორისო კონვენციებში 383
14. ადამიანის უფლებათა დაცვა საქარტველოში 388

გამოყენებული და რეკომენდირებული ლიტერატურა 392

ОГЛАВЛЕНИЕ

ПРЕДИСЛОВИЕ 3

ГЛАВА ПЕРВАЯ. Грузия и международные организации 8

ГЛАВА ВТОРАЯ. Международные организации и конференции 27

1. Предмет и система международных организаций 27
2. Международные организации 36
3. Международные конференции 50

ГЛАВА ТРЕТЬЯ. Организация Объединенных Наций 60

1. Цели и принципы Организации Объединенных Наций 60
2. Главные органы Организации Объединенных Наций 66

ГЛАВА ЧЕТВЕРТАЯ. Специализированные учреждения Организации Объединенных Наций 88

1. Понятие специализированного учреждения 88
2. Всемирная организация интеллектуальной собственности 92
3. Международная организация труда 98
4. Организация образования, науки и культуры ООН 101
5. Всемирная организация здравоохранения 109
6. Международная морская организация 114
7. Международная организация гражданской авиации 116
8. Международный валютный фонд 118
9. Международный банк реконструкции и развития 127
10. Международная финансовая корпорация 134
11. Международная ассоциаиа развития 136
12. Международный торговый центр 138
13. Организация промышленного развития ООН 139
14. Продовольственная и сельско-хозяйственная организация 142
15. Международный фонд развтия сельского хозяйства 145
16. Всемирный почтовый союз 148
17. Всемирная метеорологическая организация 150

18. Международный союз электросвязи 152
19. Программа развития Организации Объединенных Наций 154
20. Детский фонд ООН 157

ГЛАВА ПЯТАЯ. Международные организации в системе ООН 161
1. Всемирная торговая организация 162
2. Международное агентство атомной энергетики 168
3. Организация стран экспортеров нефти 171
4. Всемирный продовольственный совет 172
5. Организация экономического сотрудничества и развития 173
6. Всемирная туристическая организация 176
7. Всемирная таможенная организация 192
8. Международный союз таможенных тарифов в области публикаций 197
9. Международные спортивные организации 198
10. Международная организация идентификации и коммуникации 203

ГЛАВА ШЕСТАЯ. Международные региональные организации 205
1. Европейский совет 210
2. Европейский союз 220
3. Организация безопасности и сотрудничества Европы 233
4. Организация Северо-атлантического договора 242
5. Содружество Независимых Государств 258
6. Организация американских государств 264
7. Лига арабских государств 265
8. Союз стран Африки 267
9. Дунайская комиссия 269
10. Организация экономического сотрудничества государств Черноморского бассейна 270
11. Международная организация промышленников и производителей 275
12. СУУАМ 279

ГЛАВА СЕДЬМАЯ. Международные неправительственные организации 282
1. Всемирная федерация ассоциаций содействия ООН 284
2. Всемирный Совет Мира 286
3. Всемирная федерация профсоюзов 288
4. Международый кооперативный альянс 289
5. Международная торговая палата 292
6. Всемирный совет церквей 294
7. Пен-клуб 295
8. Международная ассоциация журналистов 297
9. Международная федерация журналистов 298
10. Международная амнистия ("Эмнисти интернейшнел") 299
11. Международый Красный Крест 301
12. Всемирное содружество заключенных 302
13. Пагуошское движение 305
14. Международная ассоциация политических наук 306
15. Интерпол 308
16. Международый олимнийский комитет 312

ГЛАВА ВОСЬМАЯ. Международно-правовые документы по правам человека 328
1. Понятие "прав человека" 328
2. Концепция прав человека 338
3. Устав ООН 340
4. Всеобщая Декларация по правам человека 341
5. Декларация по правам детей 346
6. Конвенция по правам детей 349
7. Международные пакты по правам человека 357
8. Европейский союз и права человека 365
9. Европейская конвенция по правам человека 367
10. Социальная Хартия Европы 371
11. Европейская организация безопасности и сотрудничества и права человека 374
12. Права человека в международных конвенциях 383
13. Защита прав человека в Грузии 388
14. Использованная и рекомендуемая литература 392

CONTENT

INTERPRODUCTION 3

CHAPTER ONE. Georgia and International Organizations 8

CHAPTER TWO. International Organizations and conferences 27

1. The Law, the subject and the system of the International Organizations 27
2. International Organizations 36
3. International Conferences 50

CHAPTER THREE. The Organization of United Nations 60

1. The Aims and the Princeples of action of the Organization of the United Nations 60
2. The main bodies of the Organization of the United Nations 66

CHAPTER FOUR. The Specialized Institutions of the Organization of the United Nations 88

1. The concept of the Specialized Institutions 88
2. The World Organization of the Intellectual Prorerty 92
3. The World Organization of Labour 98
4. The Organization of Education, Science and Culture of the United Nations 101
5. The World Organization of Health Protection 109
6. The Organization of International Navy 114
7. The International Organizations of Civil Aviation 116
8. The International Currency Fund 118
9. The International Bank of Reconstruction and Development 127
10. The International Financial Corporation 134
11. The International Association of Development 136
12. The International Centre of Trade 138
13. The Organization of UN Industrial Development 139
14. The Organization of Agriculture and Food 142
15. The International Fund of Agricultural Development 145

16. The World Postal Union 148
17. The World Meteorological Organization 150
18. The International Union of Electrocommunication 152
19. The Development Program of the Organization of the United Nations 154
20. Children's UN Fund 157

CHAPTER FIVE. The International Organization of the UN System 161
1. The Organization of World Trade 162
2. The International Agency Atom power 168
3. The Organization of Oil Exporter Countries 171
4. The Council of World Food 172
5. The Organization of the Economic Cooperation and Development 173
6. The Organization of the World Tour 176
7. The Organization of the World Customs 192
8. The International Union of the Publication of Customs Tariff 197
9. The International Organization of Sports 198
10. The International Organization of Identification and Communication 203

CHAPTER SIX. The International Regional Organizations 203
1. The Europian Council 210
2. The Europian Union 220
3. The Organization of Europian Security and Cooperation 233
4. The Organization of the North Atlantic Agreement 242
5. The Concord of Independent States 258
6. The Organizations of American States 264
7. The League of Arabian Countries 265
8. The Union of African Countries 267
9. The Commission of Danube 269
10. The Organization of Black Sea Economic Cooperation 270
11. The International Organizations of Manufacturers and Employers 275

12. "The SUAMI" 279

CHAPTER SEVEN. The International Non-Government Organizations 282

1. The Federation of UN Promation Associations 284
2. The World Council of Peace 286
3. The World Federation of the International Cooperation 288
5. The International Chamber of Trade 289
6. The Church World Council 292
7. The Pen Club 294
8. The International Association of Journalists 295
9. The International Federation of Journalists 297
10. The International Amnesty 298
11. The International Red Cross 299
12. The World Prisoner's Concord 301
13. The Paguosh Movement 302
14. The International Association of Political Sciences 305
15. The Interpol 308
16. The International Olympic Committe 312

CHAPTER EIGHT. The International Documentations of the Human Rights 328

1. Notion of "Human Rights" 328
2. The conception of Human Rights 338
3. The UN Charter 340
4. The Universal Declaration of the Human Rights 341
5. The Declaration of Children's Rights 346
6. The Convention of Children's Rights 349
7. The International Pacts of Human Rights 357
8. The Europian Council and Human Rights 365
9. The Europian Convention and Human Rights 367
10. The Europian Social Chapter 371
11. The Organization of Europian Security and Cooperation, and Human Rights 374
12. The Human Rights in International Convention 383
13. The Human Rights in Georgia 388
14. Used and Recommended literature 392

ვახტანგ ქარუმიძე

საერთაშორისო ორგანიზაციები

„საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო
კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი —
„საზოგადოება ცოდნა“

თბილისი
2004

გამომცემლობის რედაქტორი: თამარ კაპანაძე
ტექნიკური რედაქტორი: დიმიტრი ბაბუხადია
კორექტორი: ჯულიეტა ტუკვაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2004 წლის 20 ივლისს
საბეჭდი ქაღალდი 60 x 84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 25
შეკვეთა № 1 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

ლერი გამგებელის სახელობის საარქიო საზოგადოება „პირველი სტამბა“,
თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. 50.